



2017/10

ყველაფერი ლიტერატურულ –  
საზოგადოებრივი აქტინალი

მთავარი რედაქტორი  
**ამირან გომართელი**

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
**ბლათერ არაბული**  
**სოსო გოლიაძე**

რედაქტორთა ჯგუფი  
**ანდრო ბუაჩიძე**  
**თამარ გელიტაშვილი**  
**ელზა მეტრეველი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
**ქეთევან მერკვილაძე**  
**თამარ გელიტაშვილი**

---

გარეკანზე – **მერაბ ბერძენიშვილი** –  
**ქეთევან წამებული**  
(ქანდაკების ფრაგმენტი)

---


აქტინალი გამომცემის  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
ფინანსური მსახურით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

სოსო გოლიაძე შეხება ლეგენდასთან (მერაბ ბერძენიშვილი)	3	ბორის აკუნინი ანდრეი შიპილოვი სერგეი ლუკიანენკო თარგმნა ნათია პაპიძემ	62 67 70
<b>პროზა</b> დათო ჯიქია მანანალა კბილის ჯაგრისის ემოციური დიაპაზონი მოთხრობა	8	მიხეილ გიგოლაშვილი ეზო თარგმნა ნინო პოპიაშვილმა	72
<b>პოეზია</b> დავით თედორაძე ლექსები	28	აფაგ მესუდი მომაკვდავი მოთხრობა თარგმნა იმიერ მამედლიმ	80
ამირან ხეცაძე ლექსები	35	ქართვლი მხარალი აფხაზურ ენაზე გურამ რჩეულიშვილი უკანასკნელი აბენსერაჟი მოთხრობა აფხაზურად თარგმნა ირმა ოსიამ	92-94
ხრიტიანა. ესეისტიკა ამირან გომართელი „მას გახელილი დარჩა თვალები“	39	თეატრი ნათელა არველაძე ტრადიცია გრძელდება	96
მარია ფილინა რომანი „სოლო მონო“ – უსულო სულის ლაბირინთები – გამოსავლის ძიებაში	46	გიორგი ყაჯრიშვილი ვინ მოკლა ტრეპლოვი?	105
<b>ახალი თარგმანები</b> ვერონიკა ტუმნოვა ლექსები თარგმნა ვასილ გულეურმა	53		



## შეხება ლეგენდასთან (მერაბ ბერძენიშვილი)

როცა პოპულარულ საჟურნალე ფორმატში შეეცდები, დიდ ხელოვანზე რაიმე ახალი დანერო, იმ წამსვე აწყდები გამოუვალ სიტუაციას: ხედავ, რომ სპეციალურ მონოგრაფიებში ამომწურავადაა გაანალიზებული მის შემოქმედების ყველაზე უფრო ნიშანდობლივი მომენტები, ტექნიკა, დეტალების გამოსახვის მეთოდი, ოსტატის კრედო მისი გავლენა სხვებზე და სხვებისა – მასზე.

ასეთ დროს ძალიან კარგი გამოსავალია, შეეცადო, ისაუბრო ძველზე ახალი დროების გადმოსახედიდან, მოახერხო უკვე არსებული იკონის კონვერტაცია და მსჯელობა მისი შექმნისას ჯერ არარსებულ ფასეულობათა სპექტრის მეშვეობით.

დიდ ქართველ მოქანდაკეზე, მერაბ ბერძენიშვილზე, არსებობს არაერთი შესანიშნავი სტატია, ტელე და აუდიომედიამ შემოგვინახა მისი ინტერვიუები, მოქანდაკისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმების ცალკეულ გამოსვლაშიც არის აგრეთვე ცოცხალი მარცვალი ცოდნისა მერაბ ბერძენიშვილზე.

და მაინც, მოისეი კაგანის მონო-

გრაფია „მერაბ ბერძენიშვილი“ ის წყაროა, რომელსაც ძალუძს, თითქმის სრულად დააპუროს ჩვენი ცხოველი ინტერესი დიდი მოქანდაკის შემოქმედების შესახებ. შესავალს, შვიდ თემატურ პარაგრაფსა და დასკვნას ამ მონოგრაფიისა ნაბიჯ-ნაბიჯ შეყავს მკითხველი სკულპტორის უმდიდრეს სამყაროში, ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს გამოხატვის უნიკალურ ხერხებს. მოვიყვან დასკვნით პასაჟს იმ მიუკერძოებელი გამოკვლევებიდან: „ვაჯამებ რა ამ წიგნში გაკეთებულ ანალიზს, მზად ვარ, მერაბ ბერძენიშვილს ვუწოდო **„ქართველი მიქელანჯელო“**. მე ამ დასკვნას მკარნახობს მონუმენტური ქანდაკების ბუნების წვდომა და ის როლი, რომელსაც თამაშობს მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედება ხელოვნების ამ დარგის **ეროვნულ** და, იმავდროულად, **ზოგადსაკაცობრიო** ისტორიაში“.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მიმაჩნია, რომ ქართველი მოქანდაკის, მერაბ ბერძენიშვილის (1929-2016) სახელი და შემოქმედება თითქმის უცნობია თანამედროვე საქართველოსათვის. არსებობს რამდენიმე სამწუხარო მიზეზი

ასეთი უცოდინრობისა. ზოგი მართლაც გამოწვეულია სავალალო სიტუაციით კულტურის სფეროში. თუკი ტრადიციულ ქართულ ფენომენს – უკლებლივ ყველა საწახარის მთავრობისათვის გადაბრალებას არ მივიღებთ მხედველობაში, საკმაოდ სწრაფად მივხვდებით, რომ ასეთი უცოდინარობა არის შედეგი ჩვენში ოდითთაგანვე დამკვიდრებული ზედაპირული დამოკიდებულებისა ხელოვნების სცენის, მისი მთავარი მოთამაშეების მიმართ.

ადგილობრივ, ლოკალურ პრობლემას ზურგს უმაგრებს გლობალურიც. ხოსე ორტეგა ი გასეტმა ასიწლის წინათ იწინასწარმეტყველა მაღალი ხელოვნების დაკნინება. მასების ამბოხის ცნობილი თეორიის ფონზე

ის გველაპარაკება ხელოვნების დეჰუმანიზაციაზე, როგორც ყოველსშთან-მთქმელ შემზარავ პერსპექტივაზე. ქანდაკება, მონუმენტური სკულპტურა ამგვარი სცენარის განსაკუთრებული, უპირველესი სამიზნე აღმოჩნდა. ქანდაკება არის პირმშო ქალაქის ლანდშაფტისა. ქალაქის დატყვევებამ, მისი უნიკალური და შემოქმედებითი ნირის აბსოლუტურმა წაშლამ, პროვინციასთან გათანაბრების დაუოკებელმა ჟინმა მოკლა ჯერ შანსი, მერე კი წადილი ძეგლით ტკბობისა.

„კონფლიქტი“ ქალაქსა და სოფელს შორის, თავისთავად ძალიან საეჭვო და საჩოთირო თემა, რომლითაც თავის დროზე სათანადოდ „იპამპულავეს“ ქართველმა ნატივისტებმაც, სახავდნენ რა ქალაქს, როგორც ბუდეს ყოველი სიავისა, ამონურულია.

მასა ზეიმობს – გაიმარჯვა მეგაპოლისის უსახურმა იდეამ. განსხვავება აზრს კარგავს. დასახლების ფორმა აღარ არის არც ქალაქური და აღარც სოფლური, არც მათი სინთეზი, არამედ გაფანტული, უფორმო კონგლომერატია, რომელსაც აღარა აქვს მკაფიო საზღვარი, საჯარო სივრცე და განუმეორებელი (საკუთარი) სახე. საღად მოაზროვნეებს ყოველთვის ესმოდათ, რომ ქალაქი და სოფელი მხოლოდ ავსებენ ერთმანეთს და ეს ბალანსი არის წინაპირობა საზოგადოების კეთილდღეობისა, მათ შორის



ხელოვნების დარგში. სოფელი მოკვდა და ქალაქიც მოკვდა. მასთან ერთად – შანსი კლასიკური ქანდაკებისა. რჩებოდა ილუზია, რომ საბჭოთა საქართველოში ფართო მასები თუ არა, ინტელიგენციის წარმომადგენლები მაინც იცნობდნენ და აფასებდნენ კულტურისა და ხელოვნების სფეროს. დღეს რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა. საბჭოთა საქართველოს ქრონოლოგიურ ჩარჩოში არსებული ხელოვნების ფაქტები, კულტურული ანტიურაჟი ლამის აბსოლუტურად უცხოა ახალგაზრდობისთვის. არ არსებობს მემკვიდრეობითობის, უწყვეტობის ნასახიც კი. ეს მიუთითებს, რომ „გადმომცემი“ სტრატეგია, შრე იყო თავის თავში ჩაკეტილი, ძალიან მცირერიცხოვანი და არ იყო შთაგონებული კულტურული გამოცდილებისა და ცოდნის გადაცემის მიხედვით – წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი **უდაბნო** შეუძლებელი იქნებოდა.

ხელოვნების ისტორიაში არსებობს ბევრი ტერმინი, რომელიც გამოხატავს ცნებას ან ძალიან კონკრეტულ საგანთა ერთობლიობას. ამ ტერმინთა მიღმა დგას ფილოსოფიური და კონცეფციური კავშირები. ბევრი ამ ტერმინთაგან დღეს „იდეოლოგიურად მოძველებულია“ და მათი გაგონებისას თანამედროვე ახალგაზრდას გონებაში წარმოუდგება არა ცოცხალი, ინტერესით მოცული საგანი, ამბავი, არამედ მხოლოდ წარსულის ლანდი, ძველი, ერთ დროს დიადი მოვლენის გამოძახილი, რომელიც ან უკვალოდ გამქრალა, ან თითქმის სრულად ეკუთვნის წარსულს და არა მომავალს.

საინტერესოა, საიდან იბადება ეს განცდა, „იდეოლოგიურად მოძველებულის“. თუ ძალიან ღრმად არ გავყვებით ამ სიტყვათშეთანხმების და მოვლენის გენეზისს, შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, რომ დროის მსვლელობა ამა თუ იმ მოვლენას გამოუტანს საბედისწერო განაჩენს, როცა ირგვლივ არსებულ ფასეულობათა სისტემას გააცამტვერებს

ახალი სააზროვნო ნორმა და ასეთი ობიექტი რაგინდარა ძლევამოსილებით, პოპულარობით, თუგინდ სიყვარულით არ უნდა ყოფილიყო მოცული, დროების გარდატეხისას გადაიქცევა ოდენ გარდასული ჟამის ნიშნად. მისი ხელახალი გაცოცხლების ან აქტუალურ სახელოვნებო სივრცეში დაბრუნების მცდელობა კი აღქმული იქნება, როგორც ანაქრონიზმის გამოვლინება.

ესეცაა ერთერთი ახსნა იმ სიტუაციის, როდესაც „ახლები“ ვეღარ იგუებენ ძველისათვის ღირებული სისტემის ფრაგმენტებს და ამ პირობებში ხშირია გაუნონასწორებელი და სუბიექტური გამათრახება ნაცვლად თუნდაც მძაფრი პოლემიკისა.

წერილის მთავარი გმირიც დაახლოებით იმგვარ ჭიდილში აღმოჩნდა ჩართული, როდესაც მონუმენტური სკულპტურის ცნება გაიგივდა იდეოლოგიზირებული ზესახელმწიფოებისთვის დამახასიათებელ ხელოვნებასთან – ფსევდოდემოკრატიული კლიშე, რომელსაც ხმამაღლა ამხელს ბევრი შედეგრი. ქართველი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, რომლის მდიდარი შემოქმედების უმთავრესი ნაწილი უკავშირდება მონუმენტური სკულპტურის ცნებას, დღევანდელი ახალგაზრდისათვის არის ლამის უცნობი სიდიდე, გამოცანა... მიუხედავად იმის, რომ საქართველოში ყველაზე უფრო ცნობილ ქანდაკებათა ათეულიდან მინიმუმ ნახევარი მერაბ ბერძენიშვილისაა, თანამედროვე მედია და ფართო პუბლიკა მის სახელთან აკავშირებს უპირველეს ყოვლისა ავბედით ფაქტს ქალაქ ქუთაისში, როდესაც ახალი პარლამენტის მშენებლობისას მოქანდაკის კულტურული კომპლექსის დემონტაჟს შეენირა ორი სიცოცხლე. ბუნებრივია, ნიუსმეიკერებისათვის ეს ფაქტი გაცილებით უფრო საინტერესო და მომგებიანი აღმოჩნდა, ვიდრე აფეთქებული სკულპტურული კომპლექსის მრავ-

ლისმეტყველი და მრავალნახნაგაიანი ნარატივის გააზრება — თუნდაც მისი აფეთქების შემდეგ.

ინტერვიუმ შემოგვინახა მოქანდაკის რეაქცია ამ აფეთქებაზე. გასაოცარია მისი უემოციო და რაციონალური განმარტება მომხდარის: „განწირული იყო... ნაწილ-ნაწილ დაშალეს... მე შევეცადე, მაგრამ არავინ ამოიღო ხმა... არა, უკვე გვიანია, უაზრობაა საუბარიც კი აღდგენაზე...“ მე ძალიან დამაინტერესა ამგვარმა მოთოკილმა, ბედსშერიგებულმა დამოკიდებულებამ საკუთარი ქმნილების ასეთი სასტიკი აღსასრულის მიმართ. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ რეაქციის ასეთი ტიპი სულაც არ არის ამოვარდნილი მისი პორტრეტიდან, პიროვნულ-ინდივიდუალური კოდექსიდან. ეს არის მთელი სამყარო, ერთობლიობა მოქანდაკის, მწერლის, მხატვრის, და მისი სრულფასოვანი შესწავლის გარეშე ძალიან ძნელია, წარმოუდგენელია რეკონსტრუქცია მერაბ ბერძენიშვილის ფენომენის.

არსებობს მისი ნოველა-მოგონებათა კრებული „ზარი“. გარდა წმინდა მხატვრული ღირებულებით აღფრთოვანებისა, რაც, უდავოა, მერაბ ბერძენიშვილის ნაწერების გაცნობისას, არ მტოვებს ფიქრი იმაზე, რომ ეს ტექსტური ფრაგმენტები არის ნაწილი მისივე სკულპტურული ნამოღვაწარის. ვგულისხმობ ძნელად დასაჯერებელ, მაგრამ ჩემთვის მკაფიო თეორიას იმის შესახებ, რომ მოქანდაკემ გადაწყვიტა, ლიტერატურაში, როგორც ხელოვნების გაცილებით საყოველთაო მიმართულებაში, გადმოეცა და მოეთავსებინა საკუთარი იდეოლოგია და რომ მიზანი ამ მეთოდის იყო რაც შეიძლება მეტი „გასაღების“ დატოვება მომავალი თაობისათვის. სინამდვილეში შეუძლებელია ნაიკითხო მერაბ ბერძენიშვილის ნაწერი და მაშინვე თვალი არ დაგიდგეს მისი ქმნილებები ბრინჯაოს, ქვის, რკინის სხეულებში.

საერთოდ, მერაბ ბერძენიშვილის გენიას ახასიათებდა მიკროსამყაროების გამოძერწვა – მისი შექმნილი მთლიანი კულტურული ნაკადის ამეტყველების ან რეპროდუცირების მიზნით. ნაწერების გარდა ეს უთუოდ ითქმის მის ეზოში მოწყობილი გამოფენის შესახებაც, რომელიც მეგაპოლისის მძვინვარე და ულანდშაფტო სხეულში გამოყოფილია, როგორც სავანე, როგორც სიმბოლო სიმყარისა, ერთი შეხედვით, თუნდაც ხელოვნურისა და, იქნებ, განწირულისაც...

ეს საშიში ვითარება უკავშირდება დიდ ქართველ სკულპტორ მერაბ ბერძენიშვილს სრულად და განსაკუთრებით. დღეს და აქ აზრი არ აქვს ვისაუბროთ მისი ქმნილებების უაღრესად მნიშვნელოვან პოზიტიურ როლზე ქართული კულტურის ისტორიაში, მის განუმეორებელ პლასტიურობაზე და უზადო ფრაგმენტებით მიღწეული სრული ჰარმონიის ეფექტზე. ახალგაზრდობას შეგვიძლია მხოლოდ ვურჩიოთ, რომ როგორმე გაეცნონ ამ შედეგებს, რომელთაგანაც ყველაზე დიდ სიმბოლოდ ჩემთვის მაინც რჩება გურამიშვილის ძეგლი ვაკეში, ჭავჭავაძეზე. მიმალული და მოულოდნელი ხატება ბერის, მეომრის, პოეტისა. ფალანგების, მიმიკის, დგომის, სხეულის დაჭერის, სახე-ემოციის პლასტიურობას და რაფინირებას მაშინვე მოაქვს მნახველთან მთელი სპექტრი განცდებისა. ეს მთლიანობა თითქოს არის განსხვავებული და გამოძერწილი ხვედრი ჩვენი მიწისა – ყოველგვარი პათეტიკური და მოღრიალე პატრიოტიზმის გარეშე.

ცალკე დგას 1988 წელს შექმნილი „ქეთევან ნამებული“. ჩვეულ, კარგად გასინჯულ სკულპტურულ მეთოდოლოგიაში შემოდის ახლებური სიოც აბსტრაქციული სიმბოლოების სახით. ძეგლიდან ამოღებული რამდენიმე ანატომიური სეგმენტი ქმნის სხეული-

დან ამოგლეჯილის, მარტვილობის ნარატივს – სიმბოლოების შემოტანა ხდება სისრულის დაურღვევლად და სადად, რაც საბოლოოდ დიდებულ სანახაობას ქმნის.

სათაურს ამ წერილს ვარქმევ გაორებული გრძნობით: დიდი ოსტატის მემკვიდრეობით გამოწვეული ბედნიერებით და დანაწიებით თანამედროვე ანტიკულტურული ვითარების გამო თბილისში. თუკი თბილისს, საქართველოს სხვა ქალაქებს უწერიათ გადარჩენა, ქალაქური იერის შენახვა, მაშინ გარდაუვალია გადარჩენა მერაბ ბერძენიშვილისაც, როგორც მოქანდაკის...

მოისეი კაგანი წერდა შესავალში: „...ნამუშევრებმა ჩემზე ისეთი შთაბე-

ჭდილება მოახდინა, რომ მაშინვე დავიწყე წერილის წერა, რომელსაც „დილოგი მითთან“ ვუწოდებ“.

ერთადერთი, რაც შემიძლია ვინატრო, არის ის, რომ მერაბ ბერძენიშვილის ნაქანდაკები პროადამიანური სამყარო (როგორც რეალობა), არ გადაიქცეს თუნდაც ლამაზ მითად. რომ შემექდლოს, აგრეთვე ვთხოვდი ადამიანებს, გამოჰგლიჯონ წუთისოფელს დრო, დაიარონ და დააკვირდნენ ამ ქანდაკებებს — ისინი, ვითარცა ნამდვილი მეგობრები, ცოტა ხნით მაინც კეთილშობილ სინამდვილეში დაგვაბრუნებენ, რადგან ნიჭი მათი შემოქმედის არის ტალანტი რჩეულთა.





დათო ჯიქია

## მანანალა კბილის ჯაბრისის ემოციური დიაკაზონი

*If it's not love then it's the bomb that will bring us together*

*Morrissey*

### ნაწილი პირველი

#### ჩემი ქალაქი ყვირის...

რვაფეხა მატარებელში ნამებულად ნაჯაფი მწუხრის საზოგადოება იტვირთებოდა. ერთ ხელში ბორკილებით გადაბმული ჩემოდნები ეკავათ, მეორეში კი სანთლის ნაღვენთებით ადუღებული, მუყაოს ჭიქით შეფსკვნილი ბნელი სითხე, რომელიც გოჭების ჭყვივითა აპარატით დაგროვილ ენერჯიას ანიჭებდათ. ფეხებზე ვერცხლისფერი ზამშის ბუცები ემოსათ, რომლებიც სიარულისას საშინელ წკრიალს გამოსცემდნენ და მთელს მინისქვეშა სისტემას გამალიზიანებელი კივილით აზანზარებდნენ.

მეტროში საშინელი სიცივე იდგა. ამას მგზავრების ტუჩებიდან გამოქცეული თეთრი ორთქლი ადასტურებდა. ღრუბლები ჭერთან გროვდებოდნენ და ლიანდაგებს ჭექა-ქუხილითა და სეტყვით ემუქრებოდნენ. გვირაბთან ჩახერგილი მონიტორის მონაცემებით, მატარებლის მოსვლამდე ერთი წუთი

და ოცდაცხრამეტი წამი რჩებოდა. ალბათ, ბევრი ვერ ამჩნევდა, რომ შუა ლიანდაგზე ვიღაც კაცი ეგდო, წითურთმიანი, დაფლეთილი ტანსაცმლით. გვერდით ფორთოხლის წვენის შეკვრა ედგა. წვენი პირის ღრუს გამჭვირვალე სანრუპით უკავშირდებოდა. ასე აშიშხინებდა სასმელს, სანამ ბოლოს ვიღაც ცნობისმოყვარემ არ იკითხა, მანდ რას აკეთებო.

– თავს ვიკლავ! – კაცმა მშვიდად უპასუხა და სანრუპი ისევ პირში ჩაიტენა.

– რატო? – არ ნებდებოდა დაინტრიგებული უცნობი.

– იცი რა, ახლა, მგონი, ახსნას ვერ მოვასწრებ. მალე მატარებელი მოვა და ასე რომ, მოდი, მე ჩემს საქმეს მოვათავებ და მერე რო შეგხვდები, უეჭველად მოგიყვები დაწვრილებით ყველაფერს, შევთანხმდით? – ცოტა ნერვულად კი გამოუვიდა, მაგრამ არა მგონია, რომელიმე ჩვენგანი, ლიანდაგზე გაშხლართული, წვენის სრუპვაში მატარებლის მოსვლის მომლოდინე, რომელიც უეჭ-



ველად თავის ქალას გაუსრესდა და ვარდისფრად ეღვარე ტვინს შარდით დაჟანგულ რკინაზე გაასხმევიანებდა უკეთ მოქცეულიყო.

ამ სუიციდურ არსებას რიჟა ერქვა. მართალია, დედამ სხვა სახელი შეურჩია, მაგრამ თავად ამგვარ მიმართვას არჩევდა, ეტყობა საკმაოდ უინტერესო ტიპი იყო, თუ საკუთარი სახელი მხოლოდ და მხოლოდ თავის ფიზიკურ ესთეტიკაზე დააფუძნა, მაგრამ, აბა, მე ვინ რას მეკითხება? არც ვიცნობ. იქნება და, საერთოდ გენიოსია. მე საიდან უნდა ვიცოდე.

ეგდო ასე რიჟა, თან რაღაცას ლილინებდა. გვირაბის იქიდან კი მატარებლის კამკამა თვალები მოციმციმებდა. ეს კიდე თავისას არ იშლიდა, მოლიმარი სახით განაგრძობდა წვენის წრუპვასა და უდარდელ სტვენას. ბოლოს და ბოლოს, ის ცნობისმოყვარე კაცი რიჟას თავზე დაახტა და შეეცადა, ლიანდაგიდან აეყენებინა.

– რა ჯანდაბა გინდა, ტო? – ყვირილით იკითხა რიჟამ, თან ამ კაცს ეჭიდავებოდა.

– არ მოგცემ სიკვდილის უფლებას! – ომახიანად წამოიძახა კაცმა და რიჟა თავისი დაკუნთული ხელებით აიტაცა, პლატფორმაზე გადააგდო და თავადაც ზევით აძვრა.

რიჟას გეგმის მიუხედავად, ერთადერთი, რამაც დაჟანგულ ლიანდაგზე ტვინი გაასხა, მატარებლის ბორბლებით დაჭყლეტილი ფორთოხლის წვენის კოლოფი გახლდათ.

– ვახ, მე შენი... – თავისთვის იგინებოდა ახალგაზრდა, თან ფეხზე წამოდგომას ცდილობდა.

იმ კაცს, რომელიც ახლახან რიჟას ეჭიდავებოდა, აპლოდისმენტებით და ომახიანი შეძახილებით შეხვდნენ. „ღვთისგან გამოგზავნილი“ კაციაო. აბა, რიჟასთვის გეკითხათ. დამპალმა, ქორიკანა, უტვინო, თავისი უფერული ცხოვრებით მობეზრებულმა ღორმა იგმირა ვითომ. და რა ხერი? ერთი კაცი გააუბედურა და

მეტი არაფერი. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ეს რიჟას თვითმკვლელობის პირველი წარუმატებელი მცდელობა არ გახლდათ. მარტო ლიანდაგზე წოლისას სამჯერ მაინც გადაურჩინათ. ერთხელ კიდე თავის ჭალზე ჩამოხრჩობა სცადა სწორედ იმ დროს, როცა სახლში ვილაც ბანჯგვლიანი „ელექტრიკი“ შემობლაგუნდა და დახრჩობის პირას მყოფი ბიჭი გადაარჩინა. თავისთავად, ჩამომსხვრეული ჭალისა და სადენების საფასური თავად რიჟას გადასახდელი გახდა. მეორედ რაღაც შენობის მეცხრე სართულიდან გადმოხტა და ზუსტად ამავე დროს ეზოს ბავშვებმა ახლად ნაყიდი რბილი ბატუტი გაშალეს. სკუპ – რიჟა პირდაპირ ბატუტში ჩახტა და იქიდან ბასრი გირჩებით დაფარულ ნაძვებში გადავარდა. ეს ალბათ მისი ყველაზე წარმატებული მცდელობა გახლდათ, რადგან საკუთარი თავის ვნება სულ მცირედ მაინც მოახერხა. მართალია, სულ რამდენიმე ნაჩხაპნით გადარჩა, მაგრამ არა უშავს. მაინც ითვლება.

ტაშის დამკვრელი საზოგადოება თავის „გმირთან“ ერთად უკვე მატარებელში ეტენებოდა, რიჟა კი თავის არასასურველ მხსნელს ზიზლით სავსე მზერას აყოლებდა. ნაიჩურჩულა: *დაველოდები, ერთხელ შენ თვითონ როდის მოგინდება თავის მოკვლა და გადაგარჩენ... ყველას თვალნინ გადაგარჩენ. მერე ვნახოთ, როგორია სიცოცხლე.*

მე თუ მკითხავთ, ამ კაცს სანუნუნო არაფერი ჰქონდა. ღმერთს თუ განგებას თუ ბუნებას ანდა ბედისწერას სურდა, რომ სიცოცხლე შეენარჩუნებინა. უეჭველია, ეს ყველაფერი უმიზეზოდ არ ხდებოდა. უმიზეზოდ არც არაფერი ხდება. თუ, რა თქმა უნდა, საქმე ფეხბურთს არ ეხება. აი, ეგ მაგარი ყლეობაა. გგონია, მაგარ მყუთს იგებ და ბოლოს კაკადუ ოვერბერგთან ორით ნოლს გაასხამს. აბა, ამის მიზეზი ამიხსნას ერთი ვინმემ!

რიჟა მეტროში დიდ დროს არ ატარებდა ხოლმე. ჩავიდოდა თავის

მოსაკლავად, „კოკა-კოლას“ 2003 წლის ფრაზას „კიდევ სცადეთ“-ს გაიმეორებდა და ისევ ზევით ამოვიდოდა, ნამდვილ სამყაროში. ხედავთ, სამყარო ორად იყოფა. ისინი, ვინც მეტროთი დადიან და ნორმალური ადამიანები. შერეკილი უნდა იყო, რომ თავი მოძრავ ურჩხულში ჩაიკეტო, მხოლოდ იმისთვის, დანიშნულების ადგილას სწრაფად მიხვიდე. ამასთან ერთად, დილის ულამაზეს ხედებს გამაზავთ. ნახეთ, რა სანუკველია. ვიღაც უფეხო ბომჟი ქუდით ხელში დახტის აქეთ-იქით და მღერის: *ზოგი გოგონები უფრო დიდები არიან, ვიდრე სხვები, ზოგი გოგონების დედები უფრო დიდები არიან, ვიდრე სხვა გოგონების დედები. როგორ ვერ ხვდებით, ეს ხომ სილამაზეა! ამ ქუჩაზე ყველაზე მეტად რიჟას „გულახდილი ეკლესია“ უყვარდა. სერიოზულად. მართლა ასე ერქვა – „გულახდილი ეკლესია“. შიგნით შეხვიდოდი და სრული სიცარიელე იდგა, ნუ, რა თქმა უნდა, მრევლს თუ არ ჩავთვლით. არც ხატები, არც საკმეველი, არც საკურთხეველი. მხოლოდ მღვდელი და ხალხი. დამსწრე საზოგადოება კომფორტულ ტახტებზე მოკალათებულიყო. ეს ეკლესია ხომ გულახდილია. იმის დამალვა საჭირო არ არის, რომ ორი საათი ფეხზე დგომა ყველას გვეზარება. ზიარების დაწყებამდე შორტებიანი მღვდელი ამაყად გამოაცხადებდა: *ახლა მე შევალ და 1700-დოლარიან ვერცხლის ბარძიმში ადუღებულ წყალს და აძმარებულ ღვინოს ჩავასხამ, შემდეგ კი ამ ყველაფერში გამხმარ პურს ჩავალებო. ნამდვილად გულახდილი იყო ეს ეკლესია. ყველაზე საინტერესო კი ბოლო ნაწილი – ქადაგება გახლდათ. დაიწყებდა მღვდელი იმის მოყოლას, რომ სასულიერო ცხოვრება მხოლოდ იმის გამო აირჩია, რომ წესიერი სამსახური ვერაფრით იშოვა. როგორ ნანობს, რომ ცოლთან მხოლოდ წელიწადში ერთხელ აქვს სექსი და რომ ყოველი წელიწადის ბოლოს ახალი შვილი უჩნდება. როგორც ამბობდა, ახლა უკვე მეჩვიდმეტეს ელოდა. მერე მოაყოლებდა,**

როგორ არღვევს მარხვას ყოველ სუფრაზე, როცა მწვადის სქელ ნაჭერს ჯიბეში იდებს და შემდგომ ტუალეტში გასვლისას გემრიელად ცოხნის. რამდენად ეჭვობს 2000 წლის წინათ იუდეაში ვიღაც სასწაულმოქმედის გაჩენას. და რა თქმა უნდა, როგორი სულელია ეს ხალხი, რომ ყოველ კვირას ამ ადგილას იკრიბება და საკუთარ თავს ებრაული ლოცვებით ებუტბუტება. ბოლოს კი ხმამაღლა გამოაცხადებდა, ერთად ვიგალობოთო. გულახდილ ეკლესიას კი მხოლოდ გულახდილი გალობა თუ მოუხდებოდა. იწყებდა მთელი მრევლი თავის მღვდელთან ერთად უნიჭოდ სიმღერას: *გინდათ გქონდეთ წმინდა სული, ჩაგვირიცხით უნდა ფული; განგინმოდოთ გინდათ გული, თქვენგან გვინდა მხოლოდ ფული!* მაგარი სანახაობა იყო, ძმაო. სუფთა შოუ. ბოლოში ყველანი 60 თეთრად დამზადებულ სანთლებს ოთხ ლარად შეიძენდნენ და 2400-დოლარიან ოქროს სასანთლეში ჩაარჭობდნენ. რიჟას განსაკუთრებით იესოს გარეშე ობლად დარჩენილი ჯვარი მოსწონდა, ამ ფრესკის ზევით კი რაღაც სიტყვები წაენერათ: *ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ იესო ქრისტე მართლაც არსებობდა. ასეთი ცერემონიის შემდეგ რიჟა დადებითად იმუხტებოდა.*


ეკლესიის გარეთ ინდოელი ქუჩის არტისტი ტაფაზე გახეხილ ხანჯალს ყლაპავდა და შემდეგ უკან აბრუნებდა. გვერდით არაბი ქალი ლურსმნების ზედაპირზე ფეხის წვერებით დადიოდა, ამათგან განცალკევებით კი ორი ქართველი ერთმანეთს ეჯიბრებოდა, ღვინის სმისგან ღვიძლის კიბო პირველს რომელს დაგვემართებო. მაყურებელი ოვაციას ვერ მალავდა, როცა კონკურსანტებმა ერთდროულად შემოირტყეს მუცელზე ხელი და ასფალტზე დამხობილებმა დალიეს სული. ამათში გამარჯვებულს მხოლოდ ფოტოფინიში თუ გამოავლენდა.

რიჟა მაგრად ხალისობდა. აბა, ამის მნახველს სხვა რა უნდა ექნა. ამ ადგილთან ახლოს სამარცხვინო ეპისკოპოსის

ბალი ციმციმებდა. ნარკომანი ყვავილები მზის შუქზე კაიფობდნენ და ყოველ გათენებულ დღეს „აუ, როგორ ასწორებს, ჩემი...“-თი ეგებებოდნენ. აქვე კრიმინალურ ფილმებს აყოლილი სულელი ბიჭები ჭადრაკს თამაშობდნენ, რომელსაც მხოლოდ შავი ფიგურები ჰქონდა. გამარჯვებულიც მხოლოდ ერთი იყო – ქურდული ცხოვრება, ძმაო. რატომღაც ამ ბიჭებს რიჟასი ეშინოდათ. საიდანღაც გაეგონათ, რომ წითურებს სული არა აქვთ, ამიტომ ასეთი არსების დანახვაზე თავიანთ ბალეტის ფეხსაცმელებს იძრობდნენ და მერე სამალავ ადგილას ფეხის წვერებზე ძუნძულით დაეძებდნენ. ეს რიჟასთვის მხოლოდ და მხოლოდ კომფორტს ქმნიდა. ახლა მთელი ის გრძელი სკამი თავისთვის ჰქონდა. ჭანჭიკებზარჭობილ ხის ზოლზე უკანალით რბილად დაეტყუება და გარშემო მიმოიხედა. ბალის გაყინულ შადრევანთან ლესბოსელი ჯუჯების დე-

ტყეში ან, უფრო სწორად, ხეების გარემოცვაში გამოტყვერომას არ ჩავთვლიდით. ეგეთი რამ ხშირად მომხდარა, განსაკუთრებით კი რიჟას გამოცდილებაში. მაგრა ასწორებდა მუცლის იაფფასიანი ქაფით სავსე შარდის გემოიანი სითხით გამოვსება. განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსაფსმელად სულ ერთი-ორი ნაბიჯის გავლა გინევდა. ტყეში იყავი და რომელი ხის ძირშიაც გინდოდა, საქმეს იქ მოითავებდი. გაზაფხულზე კი ეს ხე შარდით გამოკვებილ ყლორტებს მოიხხამდა, რომელსაც დიდი ხნის შემდეგ ვიღაც ტრაკში პეროგაყრილი მაგნატი დააგემოვნებდა.

დილის ტკბილი სურნელით მსუნთქავი რიჟას უნაყოფო გონება სევდიან ნაბიჭვრებს ბადებდა. რალაც მიზეზი ხომ უნდა ჰქონოდა ამდენ სუიციდურ მცდელობას. ეს მიზეზი კი ვენების გადასაჭრელად, თავის ჩამოსახრჩობად გულის



მონსტრაცია იმართებოდა, რომელსაც მაგიდის ფეხებით შეიარაღებული ლილიპუტები არბევდნენ.

რიჟას ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ დილას ქალაქს მინდვრის სუფთა ჰაერის სურნელი ტვირთავდა. ინდუსტრიული კომპარის გარშემო მცხოვრები საზოგადოებისთვის ეს, ალბათ, ბუნების შეცნობის ერთადერთი ფუფუნება გახლდათ. თუ, რა თქმა უნდა, სადმე

ამრევად ამაზრზენად, გამალიზიანებლად ბანალური იყო – სიყვარული. ისევ ეს დედამოცნული სიყვარული. ცხრაჯერ ნაშობი და ცხრაჯერვე გაუპატიურებული სიყვარული. რა ჯანდაბა უნდა ამ გრძნობას. რატომ არ გვანებებს თავს? ნავიდეს სადმე ჰავაის კუნძულებზე, დაისვენოს. რატო გვინამებს ცხოვრებას? რა აზრი აქვს მისი ნარკოლოგიური ენერგიით ჩვენი სულების ავსებას, თუ ბოლოს მაინც

გულგატეხილები დავრჩებით. ყველა ამ შეკითხვას რიჟა გულში იმეორებდა. მისი პრობლემა ის გახლდათ, რომ კრიმინალურად ვულგარული სიმორცხვის მემკვიდრე იყო. მისი გრძნობები თორმეტკედლიანი ციტადელის უკან იმალებოდნენ და მხოლოდ სიმთვრალეში იჩენდნენ თავს. მაგალითად, როდესაც თავის საყვარელ კუს – ილიას უემოციო და ბოთე არსება უწოდა. ამის შემდეგ ორი კვირა არ ლაპარაკობდნენ, სანამ ბოლოს რიჟამ თავის ოთახში არ შეაბიჯა და საძილე ნამღების გადაჭარბებული დოზით გარდაცვლილი ილია არ იპოვა. ამ მოვლენამ რიჟას გული მოუკლა. მისი საუკეთესო მეგობარი, მისი პარტნიორი, მისი მესაიდუმლე კუ ილია აღარ იყო. გამქრალიყო. ამის შემდეგ რიჟამ ფიცი დადო, რომ აღარ დაღვედა. თავისთავად ეს ფიცი მომდევნო დღესვე დაარღვია, რათა წმინდა აკაკი მორჩულის მეორე საფლავიდან მესამეში გადასვენების ორას ოცდაათი წლისთავი აღენიშნა. მაგარი წვეულება კი იყო. მარა, მგონი, სულ სხვა რამეზე ვლაპარაკობდი.

აჰ, ხო, სიყვარული. ბანალურად გათხლებილი გრძნობა, რომელიც რიჟას ძლივს მოდუგდუგე გულს ბასრ ბაირალს არჭობდა. ვინ იყო მისი ნატვრის ობიექტი? ასეთი რა მშვენიერება გააჩნდა, რომ საბრალო კაცს მისი არყოლა ამხელა სევდას ჰგვრიდა? ეს გოგონა ჩვეული სტანდარტებით ლამაზად ნამდვილად არ ჩაითვლებოდა. ანონილი კიდურები ჰქონდა, მისი გამხდარი გულ-მკერდი კი ძვალთა სისტემას ამიშვლებდა. საკმაოდ კაცური ხელები ჰქონდა მოკლე და სქელი თითებით. თმას მუდამ უგემოვნოდ იკრავდა. რაღაც პანკ-როკის ეპოქალურ გადმონაშთს მოგაგონებდათ. თუმცა ყველა ამ ნაკლს მისი სახის მშვენიერება ანაზღაურებდა. საყვარლად მომრგვალებული ნიკაპის ზემოთ სიმეტრიულად განლაგებული მარწყვისფერი ტუჩები კიდევ უფრო საყვარელ ღიმილს ავლენდნენ

ხოლმე. პატარა, პაჭუა ცხვირის გვერდებს ამშვენიებდნენ მუდამ ფართოდ გაღებული ნაბლისფერი თვალები, იდეალურად განლაგებული ნარბები კი ხშირად შავი ჩოლკით „იფარებოდნენ“. ერთის თქმა შემოიძლია – გასაგიჟებელი გოგო ნამდვილად არ იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, რიჟა მასზე ფიქრში ღამეებს ათენებდა. ოცნებობდა, როგორ აკოცებდა. როგორ ეტყოდა, რომ მასზე გიჟდება. რომ უყვარს ყველაფერზე მეტად. რომ ამქვეყნად მხოლოდ ის გააბედნიერებდა, თუ ისიც იმავს იგრძნობდა რიჟას მიმართ. ეს მის მეორე პრობლემად იქცა. გოგონა ზედმეტად მორცხვი იყო ან უბრალოდ, რიჟა საერთოდ არ აინტერესებდა. ბევრჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ცალკეც და მეგობრებთან ერთადაც და ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის, რიჟას ისეთი განწყობილება ეუფლებოდა, თითქოს გოგონა ცივად ექცეოდა. გაურბოდა მის შეხებას. საუბარშიც არ აჰყვებოდა. პრინციპში, ბევრი საერთო ნამდვილად არ გააჩნდათ. პირიქით, სრულიად განსხვავებულები იყვნენ. მაგრამ რიჟას გულს რაციონალური ანალიზი ნამდვილად არ ჩვეოდა. ხაზი უკვე გასმულია – რიჟას უყვარს ეს გოგონა, ამ გოგონას კი, სავარაუდოდ, სულ ფეხებზე კიდა. აპირებს თუ არა რიჟა, რაიმე იმოქმედოს? რა თქმა უნდა, არა. ახლახან არ ვთქვი კრიმინალურად ვულგარული სიმორცხვის მემკვიდრეა-მეთქი. სად გააჩნდა იმდენი გამბედაობა, რომ ამ გოგოსთან მისულიყო, ეთქვა ასე და ასე ვგრძნობ შენს მიმართო და შემდეგ პასუხი გაეგო. დასაკარგავი ნამდვილად არაფერი ჰქონდა. გაარკვევდა თავისას და დამთავრდებოდა საქმე. იქნებ, სულ ტყუილად დარდობდა. იქნებ, ამ გოგონას უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე რიჟას. მაშინ ხომ, უბრალოდ, თავის ბედ-იღბალს კარგავდა. სიყვარულს ცეცხლის შენთება სჭირდება, თორემ უეჭველად ჩაქრება, ცეცხლს კი მხო-

ლოდ პირდაპირობა და გულახდილობა ანთებს. არავითარი თვალთმაქცობა, სიმართლე – მხოლოდ სიმართლე.

რიჟასგან განსხვავებით, ამ გოგონას საკმაოდ ნორმალური სახელი ერქვა – ანასტასია. ალბათ, ერთად რომ ყოფილიყვნენ, ყველაზე შეუსაბამო წყვილი იქნებოდა. აბა, წარმოიდგინეთ, სადმე სადარბაზოში ასეთი წარწერა რომ დაგხვედროდათ: *რიჟა + ანასტასია = ლოკი*.

თუმცა რიჟას ფანტაზიებში ყველაფერი კარგად ლაგდებოდა. ლამაზად და ბედნიერად. ეს მშვენიერი ცხოვრებაა, რომელსაც მხოლოდ სიზმრებში ნახავთ, რეალობაში გადმოტანისას კი ყველაზე საშინელ კომმარად გადაიქცეოდა. რთული მისი გააზრებაა. ყველაფერი იმდენად მარტივად რთულია, რომ თითქმის შეუძლებელია, ალლო აულო.

ამიტომ არის რიჟა მუდმივად მთვრალი. დაბოლილი. გათიშული. ნახევრად მკვდარი. *თვალდახუჭულად ცხოვრება მარტივია, მხოლოდ გაურკვევლობას ხედავ*, – ეს სიტყვები რალაც სიმღერაში გაეგონა და გულის სიღრმეში ჩაიბეჭდა. ამასთან ერთად, ისეთი მეგობრები ჰყავდა, რომლებიც რეალურ სამყაროში ცხოვრებაზე უარს ამბობდნენ. ამა თუ იმ სუბსტანციისგან გაბერილები ასფალტზე ხითხითით ემხოზოდნენ და უშინაარსო შეძახილებით ხალისობდნენ. აქლემის განავლისა და კანალიზაციური ინდუსტრიის გარემოცვაში მეგობრების სიმღერას ინდური სანელელების სურნელი ამკობდა. გართობის დრო მუდამ მთავრდებოდა. ზოგს ოჯახი ჰყავდა. ზოგს – სამსახური. ზოგი კიდე ჯერ კიდევ დედიკოს ბიჭი იყო და როცა ყურმილში ლაპარაკობდა, დანარჩენებს გარკვევით ესმოდათ: *რას შობი, დათუნა? არ მოდიხარ სახლში?* ეს ყველა დანარჩენი, რიჟას გარდა, რა თქმა უნდა. რიჟას არც ოჯახი ჰყავდა, არც სამსახური ჰქონდა და არც დედიკოს ბიჭი აღარ იყო, ყოველ შემთხვევაში, იმის შემდეგ, რაც დედამისი ნესვის

გამჭვირვალე ნაჭრით კინალამ დაიხრჩო და მოხუცთა თავშესაფარში გამოკეტეს. რიჟას არსად არ ჰქონდა წასასვლელი. არც საქმე. არც მოთხოვნილება. ეგდო ხოლმე თავის ბინაში და ელოდებოდა, სანამ რომელიმე მეგობარი მასთან დასალევად მოიცლიდა. იქამდე კიდე ტანჯვაში იყო. მარტოობის კანკალით შელამაზებულ უძინარ ღამეებში წყეული „სანტა ბარბარას“ 247-ე სერიას 69-ედ უყურებდა, ცოცხალი ქათმის სალათას მიირთმევდა და გულში ფიქრობდა ასეთი უბედურება რით დავიმსახურეო.

ასე იყო თუ ისე, სამარცხვინო ეპისკოპოსის ბაღში საკმაოდ ციოდა. რიჟას წინ მათხოვარმა მქადაგებელმა გაიარა და საჩვენებელი თითის მუქარით შესძახა: *სანამ ღმერთის სახეს არ იხილავთ, იქამდე არ მოკვდებით!* რიჟას ჩაეცინა, რადგან ღმერთი ზუსტად ერთი კვირის წინ ილუზიონისტთა ფესტივალზე ნახა – იგი საკმაოდ არაშთამბეჭდავ ფოკუსებს ატარებდა. საბრალო მოხუცი მეჩვიდმეტე ადგილზე გავიდა. თუმცა ისეთი ღმერთისთვის, რომლის არსებობისაც აღარავის სწამდა, ნორმალური შედეგი იყო. საკმაოდ ნორმალური.

რიჟამ ხელები ჟაკეტის ჯიბეებში ჩაიწყო და კანკალს კიდურების ერთმანეთზე გადაბმით იკავებდა. დახეული კედლებში გამოკეტილ გაშავებულ წინდებს სუსხის მყინვარი ხელის მწარე ფრჩხილები ჩხაპნიდნენ. ჯობდა, რაიმე თბილ გარემოცვაში გადასულიყო. ოღონდ სახლში არა. მაგ ადგილს უკვე ვერ იტანდა. მარტოობისა და უსაქმურობის ნავსაყუდელს აგონებდა, რომლის შხამიანი კედლები სევდიანი მლოდიების ფონზე ხარშავდნენ.

## ნაწილი მეორე

### ოპერაცია „ზორბა კობრა“

სიარულისგან სითბოს ნატამალს სტუმრად იღებდა და კარის ბოქლომის

ჩარაზვით უკან აღარ უშვებდა. შერყეული მტრედები ფერად-ფერადი კენკრებით სავსე კალათებს ნისკარტის ბოლოებით იპარავდნენ და ქალაქის მეორე კუთხეში მონა ლიზას რეპროდუქციიან ლანგარზე მიერთებდნენ.

„ლომკაში“ ჩახშობილი ღამის პეპლები ლამპიონების შხამიან ნათურებთან მწარე ნათელის საბოლოო ყლუპს აგემოვნებდნენ. ლათინოამერიკელი ყასბების უბანში, სეკატორის შემზარავი ღრატუნის ფონზე საქონლის დაჭრილი კიდურები დაჟანგულ ლანგარზე ენარცხებოდნენ. გარშემო დამპალი ხორცის სუნი იდგა, ამის გამო რიყას ცხვირზე სამაგრი დაერჭო და სურნელის სიმწრისგან თვალებიდან ცრემლები სდიოდა. ვერ იტანდა ამ ყასბებს. ყველა ერთნაირად გამოიყურებოდა – სლიზინა მელიოტი თავები და გასიებული ჭაღარა უღვაშები. თან ყველა ერთსა და იმავე ანეკდოტს ჰყვებოდა: *ყასაბი შედის მაღაზიაში... დასასრული იმდენად იმედგაცრუებად, ბანალურად, ამაზრზენად არასასაცილო იყო, რომ ჯობდა, საერთოდ არ გაეგონა.*

ეს უბანი რომ გაიარა, ცენტრალურ ქუჩაზე გავიდა. აქ ყველაფერი ნეონის ნათურებით იყო განათებული. ქალაქის ყველაზე მდიდრული და ცხვირაპრეხილი საზოგადოება თებერვლის სუსხს უძვირესი კოქტილებითა და მაღალქუსლიან ფეხსაცმლებზე ცეკვით ებრძოდა. ასეთ ადგილებში მხოლოდ არამელოდიურ, მოსანყენ მუსიკას უკრავდნენ, რომლის შარმი და სილამაზეც მხოლოდ ბრილიანტებსა და ოქროს აბაზანაში გამორეცხილ ხალხს ესმოდა. რიყას ამ ყველაფერზე გული ერეოდა. *დამპალი ცხოვრებით თავმოებზრებული გაპარსულილლიებიანი მახინჯი ჯორები. ბედავენ და თავიანთ სიხარულსა და ქონებას სახეში მესვრიან. მაშინებენ. დამცინიან. ეტყობა, მანიშნებენ, რომ ვერც ვერასდროს ვიქნები მათნაირი. ჰოდა, მადლობა ღმერთს. არც მინდა. არც არასდროს მენდომება. ბო-*

*ლოში მაინც დალპებიან და ვერც ოქროს აბაზანები და ვერც ძვირად ღირებული სასმელები ვერ გადაარჩენენ ცივ მიწაში სამარადისოდ დაჭყლეტას. მე კიდევ ლპობისგან გადარჩენას არ ვცდილობ. ყოველდღე, ყოველ წამს უფრო და უფრო ვლპები. მე ნელა ვკვდები. ისინი კიდე მოულოდნელად. შიშით გაურბიან სიკვდილის სახის დანახვას. ჩემთვის იგი უკვე ნაცნობია. ბევრჯერ გვიცინია ერთად. ბევრჯერ დავმთვრალვართ, გვიცეკვია და ბოლოს მეგობრებად დავცილებულვართ. არა მგონია, ასეთმა ახლობელმა სადღაც ცუდ თუ მტანჯველ ადგილას წამიყვანოს. ამქვეყანას უმტკივნეულოდ მოვევლინე და ალბათ, მსგავსადაც დაეტოვებ. ჩემი დაბადების ტკივილი დედაჩემმა შეიგრძნო, ჩემი სიკვდილისას კი უკვე არავინ იგრძნობს. ასეც ჯობს. არ მინდა, ჩემ გამო ვინმე ტიროდეს. შავები ემოსოს. ჩემთვის სანთლების შუქზე ილოცოს. ალბათ მარტოობა ჯობს. უსიყვარულობა. ორივეს მაინც ერთი ბოლო უწევს. ტალახად ქცეული, ბინძური საფლავი.*

რიყამ შეთხვევით უცხო შესახვევში შეაბიჯა. ეს ჩიხი იყო, რომლის ბოლოშიც დაფლეთილ სამოსელში გამოწყობილი ახალგაზრდები რაღაც უინტერესო თემაზე დავობდნენ. ერთ-ერთი მათგანი მისკენ ქორივით გამოქანდა.

– სად ხარ, კაცო, ამდენხანს, ერთი კაცი გვაკლდა და ვერც ვხვდებოდით, რომელი, – სწრაფად მიმართა ახალგაზრდა კაცმა. – შენ, ალბათ, სამხრეთ რაიონის წევრებმა გამოგიშვეს, ხო?

– მე... არა მგონია... – რიყა დაიბნა. უეჭველი იყო, ვილაც სხვა ტიპად მიიჩნიეს.

– აბა, რომელი დაჯგუფებიდან ხარ? – იკითხა მეორე ახალგაზრდამ. – ანდა რა მნიშვნელობა აქვს. დროზე, გეგმას გაეცანი.

რიყამ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ყველა ეს ახალგაზრდა მასავით გამოიყურებოდა. ზუსტად მისნაირი ტანსაც-

მელი ემოსათ და ლაჟღაჟა წითური თმა ჰქონდათ.

– შენი სახელი? – იკითხა ერთმა, რომელიც გემრიელად მოხელთებულ რუკას იკვლევდა.

– რიჟა, – ახალმოსულმა დაუფიქრებლად უპასუხა.

– რიჟა? რა მაგარია! ნეტა, ჩვენ რატო არ მოგვაფიქრდა? – ახალგაზრდა აღფრთოვანებული ჩანდა. – მე ლასტორკა ვარ. ეს – ხორბალა და გვიდო. ის კიდე სანდროა.

– სანდრო? – გაკვირვებით იკითხა რიჟამ.

– ჰო, უკეთეს კლიჩაზე ფანტაზია არ მეყო, – სიცილით მიუგო სანდრომ.

რიჟას ხელში რუკა მიაჩერეს და ჯიბეები აღჭურვილობით გაუტენეს. როგორც ჩანდა, ეს რალაც ტერორისტული ორგანიზაცია იყო. ცოტა დაბალი დონის და საკმაოდ ბავშვური, მაგრამ მაინც ქვემარტად ტერორისტული ორგანიზაცია. მათი მისია პრემიერ-მინისტრის მკვლელობა იყო. ამის მიზეზი რიჟას მთლად ვერ გაეგო, მაგრამ, როგორც ჩანდა, ზედმეტი შეკითხვების დრო არ იყო. ამათი მისია ამ ღამით უნდა აღსრულებულიყო. საპარლამენტო და სამთავრობო ელიტა (როგორც თავად უწოდებდნენ) შერატონ მეჭეჭი პალასში იკრიბებოდა, რათა ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის პრემიერას დასწრებოდნენ. თავისთავად ეს ლონისძიება უსაფრთხოების სამსახურების მიერ უმაღლეს დონეზე იყო დაცული. ყველგან სათვალთვალ კამერები და მიკროფონები ეყენა. თითო სართულს ათამდე ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი სამხედრო პირი იცავდა. ესენი შენობაში შეღწევას საკანალიზაციო მილების გაფართოებითა და ბომონდური უნიტაზებიდან ამოძრომით აპირებდნენ. ჯგუფიდან ერთ-ერთი ტერასაზე ააღწევდა და პრემიერს ფილმის ჩვენებამდე წარმოსათქმელი სიტყვით

გამოსვლისას თავში ტყვიას დაახლიდა. ამას ოპერაცია „ზორბა კობრა“ უწოდეს, როგორც თავად აღნიშნეს, ამის მიზეზი ის გახდა, რომ პრემიერს საკმაოდ გრძელი ყლე ჰქონდა (ყოველ შემთხვევაში, ყვითელ პრესას თუ ვენდობოდით). თუ ეს არ გაამართლებდა, მაშინ ალტერნატიულ გეგმას მიმართავდნენ, რომლის დეტალების გაცნობაც რიჟას აკრძალული ჰქონდა. ბევრი არ უწუნუნია. არც ესმოდა, რა ხდებოდა. ჯობდა თამაშში აჰყოლოდა და ბოლოს გამოეცხადებინა, რომ ვილაცაში შეეშალათ. ბოლოს და ბოლოს, ის ვილაც ხომ უნდა გამოჩენილიყო. ხომ უნდა მოსულიყო გეგმის შესატანხმებლად.

ბევრი დისკუსიის შემდეგ გუნდის წევრები წრეზე დადგნენ და მხრები ერთმანეთს გადააჭდეს. „და მე ვიქეცი სიკვდილი, გამანადგურებელ სამყართა“, – ლასტორკამ ომახიანად დაიწყო ორგანიზაციის მანტრას ძახილი. მალე დანარჩენებიც აყვნენ. რიჟას სხვა გზა არ ჰქონდა, ახლა თავადაც დაიწყო: და მე ვიქეცი სიკვდილი, გამანადგურებელ სამყართა; და მე ვიქეცი სიკვდილი, გამანადგურებელ სამყართა... ალბათ, ერთი ათი წუთი მაინც იმეორებდნენ ასე, ბოლოს აიბარგნენ და შერატონ მეჭეჭი პალასისაკენ დაიძრნენ.

– გვიდო, – სირბილის დროს რიჟა ქოშინით გაიძახოდა. – გვიდო, მგონი, რალაც შეცდომა დაუშვით. იცით, მე ის არა ვარ, ვინც გგონივართ.

– რაებს ბოდავ? – გვიდო შეჩერების გარეშე პასუხობდა.

– მე თქვენი ორგანიზაციის წევრი არა ვარ!

უცებ გვიდო შეჩერდა და რიჟას უმკაცრესი მზერა ესროლა.

– რას გულისხმობ? – ახლა უკვე გუნდის დანარჩენი წევრებიც შეჩერდნენ და მოსაუბრეებს მიუახლოვდნენ.

– არ ვიცი არც თქვენი გეგმები და არც თქვენი ტერორისტული პრიბამბასები. მე რიჟა ვარ. ჩვეულებრივი ტიპი

და არა ვილაც ტერორისტი. პოლიტიკაში საერთოდ ვერ ვერკვევი. ისიც კი არ ვიცი, პრემიერ-მინისტრი რა გვარია...

– შენ შიგ ხო არ გაქ? – ლასტორკამ მკაცრად დაიყვირა და რიჟას ხელი კისერში მთელი ძალით მოუჭირა.

– მე... მე არ მეგონა... – რიჟა იხრჩობოდა და ლაპარაკი აღარ შეეძლო.

– ამას ეხლა გვეუბნები? იმის მერე, რაც მთელი გეგმები გაგაცანით. იქამდე ვერ თქვი? – იმედგაცრუებული გვიდო თავზე ხელგაფარებული გაიძახოდა.

– ხედავ, შენმა ცნობისმოყვარეობამ რა გიყო? – ბოროტი ღიმილით მიმართა ლასტორკამ. – ახლა კარგის ტრაკს მოგიტყნავთ!

– მაგდენი დრო არ გვაქ! – ხორბალამ შორიდან დაიძახა და შერატონისკენ სვლა განაგრძო. – გაუშვი, მაგას მერე მოვევლით.

ლასტორკამ რიჟას კისერი გაათავისუფლა. რიჟა ახლა ქოშინით ახველებდა.

– ნუ გგონია, რო ასეთი ოინები გაგივა, შე ყლეო! – ლასტორკა დაიხარა და მუქარა რიჟას ყურში ჩასჩურჩულა. – ვერ ვიტან პრაქტიკულ ხუმრობებს.

ლასტორკამ რიჟას ხელი ჰკრა და წინ, მორბენალ გუნდის წევრებს შეუერთდა. რიჟა ძლივს სუნთქავდა. კიდევ კარგი, ამ გორილებს თავი დააღწია. პოლიტიკური შერეკილები. იმედია დაიჭერენ ან უარესი: იმდენ ტყვიას დაახლიან, რო საერთოდ დანყველიან ამ უბედურ ოპერაციას. რა ხალხია ასეთი. *თან მემუქრებოდნენ. თითქოს რამე ჩემი ბრალი ყოფილიყოს. არც შემამომემს, ისე ჩამაბარეს მაგათი გეგმები და მიზნები. მიმიღეს მაგათ წევრად და რაღაც უბედური ლექსები მამეორებინეს. თვითონ ჰქონიათ შიგ! ახლა მართლა სახლში ნავალ. დავიღალე და მშია.*

რიჟას სახლი ოროთახიანი სამოთხე იყო დამლაგებლისთვის. იატაკზე გაზეთებისა და ქალაღდების კორიანტელი უამრავი სითხის ლაქით დათხვრილი ხალიჩით იფარებოდა. მაგიდაზე მთელი

წლის განმავლობაში დასვრილი ჭურჭელი ეყარა. მაცივრიდან ვადაგასული, აყროლებული ყველისა და ხორცის ნაჭრების სუნი გამოდიოდა. კედლებს შპალერი ისე სცილდებოდა, როგორც მეთორმეტეკლასელები სკოლას. რიჟა კი, ნიფხავსა და დახეულ წინდებში გამოწყობილი, მშობლების მიერ ნაყიდ დივანზე იწვა და ტელევიზორს უყურებდა. არც ერთი არხი არ აკმაყოფილებდა, ამიტომ ყოველ ორ წუთში ცვლიდა. სანამ ბოლოს ახალ ამბებმა არ დააინტერესა. წამყვანი ვნებიანად ყვებოდა რომელიღაც ტერორისტულ ორგანიზაციაზე, სანამ ბოლოს რიჟამ არ გააცნობიერა, რომ ამ ამბის თითქმის მონაწილე ახლახან თავად იყო. როგორც ჩანდა, ოპერაცია „ზორბა კობრა“ წარმატებით განხორციელდა. პრემიერ-მინისტრი მკვდარი იყო. ამასთან ერთად, ტერორისტები შენობის აფეთქებასაც აპირებდნენ, თუმცა ყუმბარის ამოღება ვერ მოასწრეს, რადგან ოთხივე წევრი სასიკვდილოდ დაჭრეს. ოთხივე? რიჟას სულ სამი ახსოვდა. განა მეოთხე თავად არ იყო?! აჰ, ეტყობა, მის მაგივრად ვინც უნდა მოსულიყო, ბოლოს მაინც გამოჩნდა. ამ ამბავთან საკუთარი თავის დაკავშირება არც აღელვებდა. არც ის ფაქტი, რომ ქვეყნის პირველი პირი მოკლეს. მისთვის მთავარი იყო, რომ ახლა ეს ტერორისტები რიჟასთვის ველარ მოიცლიდნენ. ან დახოცავდნენ, ან სიცოცხლის ბოლომდე ციხეში გამოკეტავდნენ. **Всё хорошо, что хорошо кончается**, – გაიფიქრა რიჟამ და მშვიდად ამოიხვნეშა.

ახლა, როცა ერთი დარდი მოიცილა თავიდან, დრო იყო მეორეზე ეფიქრა. ანასტასია. ამ დარდს ნაღდად ვერ მოიცილებდა. პირიქით, რაც უფრო მეტ უყურადღებობას გრძნობდა ამ გოგონასგან, მით უფრო უახლოვდებოდა. მით უფრო მეტად უყვარდებოდა. მით უფრო მეტად სწყუროდა მისი კოცნა და ხელის შეხება.

უეცრად ტელეფონმა დარეკა. სა-



შინელი წკრიალის გასაწყვეტად რიჟა სასწრაფოდ მივარდა ყურმილთან.

– ალო, რომელი ხარ? – აჩქარებულად დასვა შეკითხვა.

– ტელევიზორს უყურე? – ყურმილიდან ხნიერი ქალის მჩხავანა ხმა მოისმოდა.

– კი ვუყურე, დედა, – რიჟამ ამოშვებით ამოიხვნეშა, თითქოს ვიღაც უარესის ხმას ელოდა.

– რა საშინელებაა, – დედას ხმაზე ეტყობოდა, რომ თან რაღაცას ღეჭავდა. – მართლა გადაშენების პირას ვართ ეს ქართველები. ასეთი არაფერი გამიგია.

– ჰო, ვიცი, ვიცი, – რიჟა ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე ერთვებოდა საუბარში.

– ახლა პრემიერის ცოლ-შვილს აჩვენებენ. საწყალი ხალხი. საწყალი. არადა, რა კაი ბიჭი იყო. არა, მე ხმა სხვას მივეცი, მაგრამ ამითაც კმაყოფილი ვიყავი. მართლაც ამბობენ ეს ჟურნალისტები. გმირი იყო, გმირი.

– აბა, აბა... – რიჟა ამ საუბარში ყოველგვარი ინტერესის არქონის შენიღბვას არც კი ცდილობდა, თუმცა დედა მაინც ვერ ამჩნევდა და თავისას განაგრძობდა.

– ეს „ზორბა კობრა“ რაღა უბედურებაა? საიდან ჩნდებიან ეს სულელური დაჯგუფებები? ტერორისტები არა, ისა. ვიღაც ბავშვები არიან, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ქვეყანას უფროსებზე უკეთ უპატრონებენ. ვაი მაგათ გამზრდელს, მაგათსას. ერთი მაგათი დედამების სიფათი გვანახონ. ნეტა, რას ჰგვანან ასეთი რეგვენების აღმზრდელი მშობლები?

– კი, კი, აბა, რა...

– შენ რას შობი? – უეცრად დედამ თემა შეცვალა.

– რავი, – რიჟას ამ კითხვაზე პასუხის მოფიქრება მუდამ ეზარებოდა. – არც არაფერს. ტელევიზორს ვუყურებ.

– საჭმელი გაქვს?

– კი, რაღაცა მაქვს. მგონი, ყველი

დარჩა და კვერცხიც.

– კაი, კაი. იცოდე, ჭურჭელი დარეცხე. რო მოვალ, იმდღევანდელივით არეულობა არ დამახვედრო!

– ხო, ზუსტად ახლახან გავრეცხე. დაჟე, იატაკიც მოვწმინდე, – მარტივად იცრუა რიჟამ.

– ეკლესიაში იყავი?

– კი.

– რომელში?

– გულახდილში.

– ეგ რომელია?

– როგორ არ იცი? – რიჟას გაეცინა.

– ის ეკლესია, რომელიც გულახდილია.

– მერე, უსმინე ქადაგებას? რაო მღვდელმა?

– რავი, რა უნდა ეთქვა? ესაო, ისაო. თქვენი დიდი ხათრი მაქვსო, მაგრამ სამოთხეში მოხვედრა ვერაო.

– ერთი, მაგ მკრეხელურ ლადაობებს როდის შეწყვეტ, კი მაინტერესებს? წინა ეკლესიიდანაც მასეთი ოხუნჯობების გამო გამოგადეს. – ქალის მკაცრი ტონი ერთი ამოსუნთქვით შეიცვალა. – ლოცულობ?

– ღმერთთან ლაპარაკისთვის ლოცვა არ მჭირდება.

– ეგ რას ქვია? – დედამ ისევ ჭყავილი დაინყო. – შენ ღმერთი რა გგონია?

– ღმერთი ის ადგილია სადაც ყველანი ბედნიერები ვართ. – დაუფიქრებლად მოროშა რიჟამ.

– რაებს ბოდილობ, ერთი?

– კაი, ნავედი, დედა. წყალი ამიდულდა, – ყურიდან ტელეფონი მოიცილა.

– მოიცა, ესე მარტივად ვერ... – რიჟამ ყურმილი დაკიდა.

მძიმედ ამოიხვნეშა და ისევ დივანზე განვა. ცხოვრებისადმი დედამისის დამოკიდებულებაზე მუდამ ეცინებოდა. ყველგან ეს ღმერთი და ღმერთი. მაგის სახლში რო შესულიყავით, ალბათ, შეგეშინდებოდათ, იმდენი ხატი ეკიდა. თითო კედელზე ოცდაათამდე მაინც იქნებოდა. ისიც იყო, რომ რიჟამ ვერაფრით შეაგნებინა – ასეთი სისულელების აღარ

სჯეროდა. რაღაც დიდებული დიქტატორის, რომელიც ციდან დაგვყურებს და გვიცავს. რომელსაც სპეციალური წესების სია აქვს. რომელსაც აუცილებლად უნდა დაემორჩილო. და თუ რომელიმეს დაარღვევ, ღმერთს შენთვის სპეციალური ადგილი აქვს დამზადებული, სავსე ცეცხლით, კვამლით, წამებითა და ტანჯვით, სადაც შენ საცხოვრებლად გაგიშვებს, რომ იტანჯო, დაიწვა, დაიხრჩო, იყვირო, ინანო, დალპე, ჩაკვდე, ჩაძაღდე, ენამო, იტირო სამუდამოდ და სამარადისოდ, დროის ათვლის დასრულებამდე... მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც უყვარხარ. მაინც უყვარხარ და შენი ფული სჭირდება. ამქვეყნად ყველაზე ძალმოსილი არსებაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ფინანსურ სამყაროს ალლო ვერ აუღო. რიჟას ყველაზე მეტად იმაზე ეცინებოდა, რომ ღმერთს ცისა და დედამიწის შექმნის შემდეგ, ამ ძლევამოსილ, საუხცოო არსებას, დასვენება დასჭირდა. მთელი დღის დასვენება. ალბათ, ლოგინში კოტრიალობდა და რიჟასავით „სანტა ბარბარას“ უყურებდა.

მისთვის გასაკვირი იყო, რომ დედამიწის ამ ყველაფერს ვერ ხედავდა. თითქოს ყოველი შექმნილი ვერცხლის

ჯვრითა და მოოქრული ხატით თავს უფრო მეტად იბრმავებდა. ის შორს იყო ყოველგვარი სკეპტიციზმისგან, ეჭვისგან. გასაგებია, რომ ღმერთის რწმენა თავს კარგად აგრძნობინებდა, მაგრამ განა ყველაფერი, რაც თავს უკეთ გვაგრძნობინებს, ჩვენთვის კარგია? მაშინ ყველანი ნარკომანები ვიქნებოდით. დავლევდით ამას, გავიჩხირავდით იმას და იდეალურად ვიგრძნობდით თავს. ეს ყველაფერი სიმართლის უარყოფაა და მეტი არაფერი. თითქოს რაციონალური ფაქტებით აწყობილი რეალობა კარზე გიკაკუნებს, შენ კიდევ გაღებაზე უარს ამბობ. რწმენა ჩვენი გონების დანებებაა. ერთი რამის დანებება, რაც დანარჩენი ცხოველებისგან განგვასხვავებს.

ამ ფიქრებში რიჟას ჩაეძინა, ფანჯრიდან კი გრილი ნიავი იპარებოდა და მუცელზე ჟრუანტელს ჰგვრიდა. ცა ნელ-ნელა იწმინდებოდა. ღრუბლები თავიანთ ღამისნათევ სამსახურებს უბრუნდებოდნენ, შავბნელ ფონზე კი ვარსკვლავთა მარტოსული შუქები ქარის წუილს შავ-თეთრი ნათებით აფერადებდნენ.

## ნაწილი მესამე



## ჩვენი დაუბადებელი შვილების დედათა ჭმრები

ტელევიზორი ჩართული დარჩენია. ახალი ამბების სპეციალური გამოშვება ზანზარით ანიკნიკებდა ეკრანზე გამობატულ საათს. რაღაც მაგარი ამბავი უნდა ყოფილიყო. ახლახან გამოფხიზლებული რიჟა მძიმედ წამოჯდა. იფიქრა რომელიღაც ტერორისტი მოკლესო. ან ვაბზე გაექცათ და ახლა რომელიღაცა უბნის აფეთქებით იმუქრება. ეკრანზე გამოუძინარი წამყვანი გამოჩინდა, რომელიც ჰალსტუხს ისწორებდა და ხელში ყავის ლაქებით დათხიპნილ ქალაღებებს იმარჯვებდა. დანყებამდე არასრულწლოვანი გოგონასავით წვრილი ხმით დაახველა. სწრაფად ჩამორაკრაკა: *გამარჯობა, მე ეს და ეს ვარო და ეს ჩვენი გადაცემა არიო...*

– ცა თავზე გვენგრევა... – წამყვანმა შიშის მომგვრელად განაგრძო.

რიჟა ტელევიზორს მიუახლოვდა, არასწორად ხომ არ მომესმაო.

– ვიმეორებ, ცა თავზე გვენგრევა. დიახ, არ მოგესმათ. ცა, რომელსაც არავითარი მატერიალური მასა ან ფასადი არ გააჩნია, ახლა იხლიჩება და მისი ნაწილაკები დედამინაზე ცვივა.

რიჟას თავი გამოყლებულ ფილმში ეგონა, რომელშიც სამყაროს მეტეორიტის ორად გახლეჩით გადაარჩინენ ხოლმე. პირდაღებული და ცალწარბანეული უსმენდა ანერვიულებულ წამყვანს.

– მეცნიერების ვარაუდით, ეს რაღაცას უკავშირდება, ოღონდ ჯერჯერობით დაუდგენელია, რას. – წამყვანმა ხელი ყურსასმენზე მიიჭირა. – დიახ... მე... მე ახლახან მაცნობეს, რომ ცის პირველი მცირე ნაწილაკი ვაკის რაიონში გახსნილ გარეული ქათმების თავშესაფარს დაეცა. როგორც ახლა კადრებში ხედავთ, საბრალო ქათმები და წინილები ცისფერი ფოლადის მსგავსი მატერიის ქვეშ იჭყლიტებიან.

ამის დანახვაზე რიჟას, ყველაზე ნაკლებად სენტიმენტალურ ადამიანს, გული აუჩუყდა და ტირილამდე ცოტა დააკლდა.

– ნამდვილად... – წამყვანმა ცრემლები ხმამაღალი ამოხვნეშით შეიკავა. – ნამდვილად, რთული დასანახია, თუ როგორ იხოცებიან ეს ლამაზი ფრინველები. – წამყვანმა ისევ ყურსასმენზე მიარტყა თითი. – აჰ, როგორც მაცნობეს, ქათმები მთლად ფრინველები არ არიან, თუმცა მათი... სიკვდილი მაინც დიდ, დიდ, დიდ სევდას ჰგვრის ჩემს გულს და მინდა მთელი ჩვენი ტელევიზიის თანამშრომლების სახელით თანავუგრძნო ამ ქათმებისა და წინილების ნათესავებსა და მეგობრებს. მართლაც ტრაგიკული, ტრაგიკული დღე.

რიჟა პატარა ბავშვივით ქვითინებდა. *რაღა ქათმები, რატო არა მე? ან ეს კრეტინი წამყვანი? ჰოი, რა უსამართლო ხარ, ჩვენო სამყარო!*

– დიახ, მე ახლა მაცნობეს, – წამყვანმა სწრაფად მიაბა სიტყვები ერთმანეთს. – მე ახლა მაცნობეს, რომ იოსებიძეზე ცის დიდმა ნაჭერმა ექვსი ადამიანი შეინირა! ნუ, რა შეიძლება ითქვას, ძაან... გვეწყინა, ალბათ... სამწუხაროდ, ამ მოვლენის კადრები არ გაგვაჩნია, ამიტომ ისევ დაჭყლეთილ ქათმებს გაჩვენებთ.

ისევ იგივე კადრები ჩართეს. წამყვანი ახლა უკვე ქალაღდის ხელსახოცით იწმენდდა ცრემლებს.

– შეხედეთ, – ქვითინით განაგრძო მან. – რა საბრალონი არიან.

კადრების ფონზე ვიოლინოს ძალზე სენტიმენტალური მელოდია ჟღერდა. მუსიკის შეწყვეტის მომენტში წამყვანმა სველი თვალები საბოლოოდ მოიწმინდა.

– ხო... რაც შეგეხებათ თქვენ, ჩვენს მოქალაქეებს. სავარაუდოდ, ცა დღის ბოლომდე მთლიანად დაიშლება და მთელი ქალაქი მისი ნამსხვრევების ქვეშ აღმოჩნდება. ჯობს, ილოცოთ ან, რასაც შვრებით ხოლმე, ის ქნათ. ოჯახი ნახეთ. ვინმეს ბოდიში მოუხადეთ. იმის თქმას

ნაღდად არ ვაპირებ, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს, რადგან სწორედ ასეთი ფრაზის გაგონების შემდეგ ფილმებში ყველაფერს დედა ეტყვნება. ამიტომ უბრალოდ მოგმართავთ, მშვიდად და გემოვნებიანად: ხალხო, ჩემო საყვარელო ხალხო, მაგრად და კიდეც უფრო მაგრად დაგვენძრა.

მაუწყებლობა შეწყდა და ეკრანზე წუილის ფონზე ფერადი ზოლები გამოჩნდა. რიჟამ სასწრაფოდ გათიშა გამალიზიანებელი ხმის გამომცემი აპარატი, და აქ უეცრად ტელეფონმა დარეკა.

– ალო? – რიჟამ ყურმილი მოუთმენლად აიღო, თითქოს ვიღაც უცხო ხარს ელოდებოდა.

– ტელევიზორს უყურე? – ისევ მჩხავანა ქალის ხმა გაისმა ტელეფონში.

– ახლა არ მცალია, დედა, – მკაცრად მიუგო.

– რას ნიშნავს, არ გცალია? სწორედ ახლა უნდა მოიც...

– ერთ გოგოს სიყვარული უნდა აეუხსნა, – რიჟამ ეს სიტყვები გაბედულად წარმოთქვა. – ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, სანამ ორივენი დავიხოცებით.

რიჟამ ყურმილი ძირს დააგდო, ფეხსაცმელები სწრაფად ჩაიცვა, ქურთუკში ხელები გაუყარა და გარეთ გავარდა. ტელეფონიდან კი ჯერ კიდეც დედის მჩხავანა ხმა გამოდიოდა: *დაბრუნდი ახლავე, ვინ გოგო? დედაშენი ვარ და ჩემთან უნდა იყო, როცა მოკვდებით. ისე, კაი გოგოა?*

ქუჩაში საშინელი პანიკა იდგა. ყველა აქეთ-იქით გარბოდა. ზოგი ბარგს ალაგებდა, ზოგი მიწისქვეშეთში ჩადიოდა, ზოგი კი საერთოდ შიშვლად ესალმებოდა გარდაუვალ სიკვდილს. პროდუქტებთან სასტიკი რიგი იდგა. რიჟა ვერ მიხვდა, პროდუქტები რაში დასჭირდებოდათ, თუ მალე ყველანი დაიხოცებოდნენ. შენობებს მიგდებულ ბავშვების ტირილი აზანზარებდა. რიჟამ მათი დახმარება იფიქრა, სანამ

თავისი მისია არ გაახსენდა. ანასტასია უნდა ეპოვნა და ეთქვა, რომ სასიკვდილოდ უყვარს. ახლა უკვე დასაკარგავი არაფერი ჰქონდა – დღის ბოლომდე, სავარაუდოდ, მაინც მოკვდებოდა.

რიჟა ხალხით სავსე ტროტუარს სირბილით გაუყვა. ხალხი ეტაკებოდა და აგინებდა, *საით გარბიხარ, მაინც დაგერხევაო!* სხეული სირბილისგან ნელ-ნელა ხურდებოდა. ასე სწრაფად, მგონი, ცხოვრებაში არ ურბენია. მიუხედავად იმისა, რომ წინ გარდაუვალი სიკვდილი ელოდა, მაინც ბედნიერი იყო, რადგან ცხოვრებაში პირველად თავის გულახდილ სიკვდილს თავისივე სატრფიალო ობიექტს გაუზიარებდა. ერთი სული ჰქონდა, ანასტასიას უბნამდე მიერბინა. ამ ფიქრებში მიხტოდა, როცა უეცრად ვიღაც საპირისპირო მიმართულებიდან მორბენალი ტიპი ისეთი სიჩქარით დაეტაკა, რომ ორივე ძირს დაენარცხა. საშინელი ტკივილის მიუხედავად, რიჟა სასწრაფოდ წამოხტა და ახლალა ამოიციო, ვის შეეჩხა.

– ანასტასია! – რიჟა გოგონას წამოდგომაში დაეხმარა.

ანასტასიამ მუხლების ფერთხვა დაინიშნა. *რა დამთხვევაა, – ფიქრობდა რიჟა, – ახლავე მოვსულიერდები და ყველაფერს ჩავურაკრაკებ. იმას, რომ ძალიან მიყვარს. რომ მინდა, ერთ დღესაც ცოლად მოვიყვანო. მინდა, ჩვენს პირველ შვილს ალბერტი ერქვას...*

– შენ საით მირბიხარ? – დაინტერესდა ანასტასია.

– არსაით, – სწრაფად მოიტყუა რიჟამ. – ისე, უბრალოდ, ვიფიქრე, კარგი დღეა-მეთქი სავარჯიშოდ. – სანამ ამას ამბობდა, საკუთარ თავს თავის ქნევით ეთანხმებოდა, რა მაგრად მოვიფიქრეო. – და შენ საით მიექანები?

– ოუ, რავი, – ღიმილით უპასუხა გოგონამ. – უბრალოდ, ჯაბასთან მინდა მივიდე და ვუთხრა, რომ, უკვე სამი წელია, რაც მიყვარს.

– ჰოო? – რიჟა სულიერად დაიმსხვრა.

ცის არც ერთი მასშტაბური ნაწილაკი არ იქნებოდა საკმარისი მისი უნუგემო იმედგაცრუების დასაწყლელად. მზად იყო, იქვე დაგდებულყო და ანასტასიას თვალწინ ჩვილივით ებღავლა.

– ხო ხვდები? – ანასტასია ცდილობდა, რიჟას რეაქცია ამოეცნო. – სულ მრცხვენოდა, რომ მაგისტრის რამე მეთქვა, როცა უცებ ტელევიზორში ვილაც ტიპი იძახის დღის ბოლოს ყველანი ცის ქვეშ მოვიჭყლიტებითო. ხოდა, მეც ვიფიქრე, მაინც მოგკვდები, დასაკარგი უკვე არაფერი მაქვს და ჯაბასთან მივვარდები და ვეტყვი, რასაც ვგრძნობ-მეთქი. გინდა ნამომყვე?

– კიი... – რიჟას უნდოდა, სარკაზმი გამოსვლოდა.

– ძაან კაი. – რიჟას სარკაზმი არ გამოუვიდა.

გულგატეხილი და მთხლედ ქცეული რიჟა ანასტასიასთან ერთად მიიწევდა ჯაბას ბინისაკენ. სირბილის დროს სახეზე ტირილი „დაეტყო“ და როცა ანასტასიამ ამის მიზეზი იკითხა, უთხრა, რომ სიცვიეში უნებლიეთ ცრემლები მოსდიოდა ხოლმე. რიჟას იმ განავლის შურს, რომელიც ახლა კანალიზაციაში წყლის მასაში იხრჩობა. რიჟა ის ბარტყია, რომელიც მშვიერმა დედიკო ჩიტმა ბუდიდან ნაადრევად გადმოაგდო. რიჟა აღარ არსებობს. რიჟა ცარიელია. მახინჯი გარეთ და შიგნითაც. იმას გაუძლებდა, ანასტასიას რომ ეთქვა, არ მიყვარხარო, მაგრამ იმას ვერ გაუძლებს, რომ ვილაც სხვა, ვილაც დაყლევებული ჯაბა უყვარს, რომელიც, სხვათა შორის, ბევრად ნაკლებად სიმპათიურია, ვიდრე თვითონ. თმა მუდამ დასველებული და უკან გადავარცხნილი ჰქონდა. ფეხებზე უგემოვნო შავი, სლიპინა ფეხსაცმელები ეცვა. სახეზე კი იოლად შესამჩნევ მაკიაჟს იკეთებდა. რიჟას მეტროსექსუალების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, თუმცა ჯაბა ნამდვილად სხვა დონე იყო. მზიან დღეში მისი ტონალურით დათხიპნილი სიფათი შუქს ირეკლავდა და დამპალ ფორო-

ხალს ამსგავსებდა. ასეთი ვინმე როგორ შეეძლო შეეყვარებინა. ისეთი მახინჯია, რომ, ალბათ, დედამისსაც არ ევასება. მოიცა, ეს... ეს რა, ჯაბაა?

დიახაც, ჯაბა ახლა ქოშინით მორბოდა რიჟასა და ანასტასიას მხარეს. გოგონას თვალელები გაუბრწყინდა და ნერვული სიცილი აუტყდა.

– ჯა... ჯაბა, აქ რას აკეთებ? – საყვარელი ხმით იკითხა ანასტასიამ.

– აღარ შემძლია, – ნარბენი ჯაბა ქოშინით ლაპარაკობდა. – ბოლო შანსია. დღეს თუ ყველანი მოგკვდებით, გული უნდა გადავუშალო. ნათუკას უნდა ვუთხრა, რომ მიყვარს.

რიჟა პირდაღებული დარჩა, გულში კი „ალილუიას“ მღეროდა. ანასტასიამ წყენა შერყეული ლიმილით დამალა.

– მართლა? რა კარგია... – გოგონამ ნაღველი კეთილშობილური ინტონაციით შენიღბა.

– ჰო, ახლავე, – ჯაბა ბედნიერი და ენთუზიით სავსე ჩანდა, თითქოს ერთი სული ჰქონდა, სირბილი გაეგრძელებინა. – ახლავე ვეტყვი ყველაფერს და სულერთია, ისიც იმავეს გრძნობს ჩემს მიმართ თუ არა, გამომყვებით?

და, რა თქმა უნდა, ეს ორი დებილიც გაჰყვა. ბევრი არც ურბენიათ, როცა უეცრად ნათუკა შემოეჩეხათ და განუცხადა, რომ ვილაც ბექა უყვარდა და ახლავე უნდა აეხსნა მისთვის სიყვარული. გულგატეხილები – ჯაბა, ანასტასია და რიჟა გოგონას ამ ბექას სახლამდე გაყოლას დათანხმდნენ. როგორც აღმოჩნდა, ბექა ჰომოსექსუალი იყო და ლადო უყვარდა. როცა ლადოს მიადგნენ, მან განაცხადა, რომ მარგოზე იყო შეყვარებული. მარგო – გიგაზე. გიგა – ნიტაზე. ნიტა – შონ პენზე. შონი – ბალიშზე. ბალიში – სანოლზე. სანოლი – მზეზე. მზე – გიორგიზე. გიორგი – ელენეზე. ელენე – თავის თავზე. თავისი თავი – ჩეკაზე. ჩეკა – ბრიყვი. ბრიყვი – ნონაზე. ნონა – საბაზე. საბა – დედაზე. დედა – მამაზე. მამა –

გოჩაზე. გოჩა – ხინკალზე. ხინკალი – შამფურზე. შამფური – თეაზე. თეა – დათოზე. დათო – თაკოზე. თაკო – სანდროზე. სანდრო – ელისოზე. ელისო კი რიჟაზე. მოიცა, რაა? რიჟაზე?!

– ჰო, შენზე ვარ შეყვარებული. – ბავშვურად შესძახა ელისომ.

– კი მარა, არც გიცნობ. – რიჟა გაკვირვებას ვერ მალავდა.

– არა უშავს. ამას მნიშვნელობა არა აქვს, – გოგონამ რიჟას ხელი გულთან დაიდო. – ამქვეყნად ყველაზე, ყველაზე მეტად მიყვარხარ.

რიჟა სასწრაფოდ მოსცილდა ელისოს.

– მოიცა, მოიცა, მოიცა! – რიჟამ ყვირილით განყვიტა საზოგადო დისკუსია. – ესე იგი, აქ ყველას ყველა უყვარს და ამ გრძნობას გამზიარებული არ ჰყავს?

– შენ გარდა. – ანასტასიამ მშვიდად უპასუხა.

– რას გულისხმობ?

– შენ, მგონი, არ გითქვამს, ვინ გიყვარს?

– მე შენ მიყვარხარ, დებილო. შენ კი ეს სირი! – რიჟამ მკაცრად დაიყვირა.

– ვინ, მეე? – ჯაბა ლენჩი ღიმილით ჩაერთო საუბარში. – მადლობა, გენაცვალე.

– აააჰჰჰჰ! – რიჟამ მთელი ძალით დაიყვირა და უეცრად ამქვეყნად ყველა ცალმხრივი სიყვარულით ნატანჯი სული მსგავსად მოიქცა. შემზარავმა კივილმა მოიცვა მთელი სამყარო და ქალაქი.

ცა იშლება და მიწაზე დანარცხების პირასაა. რიჟას წამოწყებული კივილი კი გრძელდება და უკვე შენობებსაც აზანზარებს. შორეული ეკლესიებიდან ზარების რეკვის ხმა ამ კივილს უერთდება. სადღაც ტრაკში ხელიხელჩაჭიდებული ბავშვები მიმტევებლობის საგალობელს გაიძახიან. *ნეკი ნეკისაო, შერიგებისაო. ნეკი ნეკისაო, შერიგებისაო. ვინც არ შერიგდეს...*

სასწაულს მოკლებული საზოგადოება კიდე ერთ საუცხოო სანახაობას

მოესწრო. ცის ნატეხები უკვე ჰაერში ეკიდნენ და ძირს დანარცხებამდე წამები აკლდათ, როცა უეცრად ყველა ეს ნაწილაკი თავის ადგილს დაუბრუნდა. ცა დამაბრმავებელი ნათლით მთლიანდებოდა. ძირს დანარცხებული ნატეხები ისევ ცად მალდებოდნენ. სასწაული. სასწაული. სასწაული ბუნებისა.

გულგატეხილი შეყვარებულები პირდაღებულნი შესცქეროდნენ ამ საუცხოო, სასწაულებრივ, თითქმის ღვთაებრივ მოვლენას. ათასობით და ასიათასობით ადამიანი ბედნიერების ოდით შეჰლადებდეს ერის გადარჩენას. ყველგან ლალი პრიმიტიული მუსიკა ირთვება, რომელსაც უმრავლესობა კიდე უფრო პრიმიტიული საცეკვაო მოძრაობებითა და ოფლიანი ჩახუტებებით აჰყვება. სერჟანტი პეპერის მარტოხელა გულების კლუბი ნელ-ნელა იშლება და ბოლოს მხოლოდ ანასტასია და რიჟა რჩებიან თავიანთ ადგილებზე. გამტერებულად შესცქერიან ერთმანეთს. თვალთმაქცობისგან გაშიშვლებულნი თვალეზში იმედგაცრუების მწარე სისველეს გრძნობენ.

შემწუხრებულ ცაში ფეიერვერკები ფეთქდება. ექსტაზში ჩავარდნილი ხალხი სიხარულის ოხვრითა და ბედნიერების კივილით ხვდება ფერად-ფერად შუშუნა შუქებს. ანასტასია და რიჟა კი ჯერ კიდევ გაუნძრევლად დგანან. ესენი ვერც ფეიერვერკებს ამჩნევენ და ვერც იმას თუ როგორ გადმოიხედა ვიღაცამ ფანჯრიდან და ხმამაღლა შეჰკვივლა: *ქათმები გადარჩნენ, ქათმები ცოცხლები არიან.* მალე ეს ფრაზა ქალაქის ყოველი ეზოს, ყოველი მიყრუებული უბნის კუთხე-კუნჭულში გაისმა. ეს ამბავი ხალხს ამჯერად თვალში სიხარულის ცრემლჩამდგარმა ახალი ამბების წამყვანმა აცნობა, რის შემდეგაც პირდაპირ ეთერში შამპანურის ბოთლი გახსნა და შუშუნა სითხე თავზე გადაისხა. მთვრალი რეპორტიორი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გამართული უფასო კონცერტიდან ერთგებოდა, სადაც ქუჩის უნიჭო მუსიკოსები თეატრის აივნი-

დან საცეკვაო სიმღერებს დასძახოდნენ. რიჟამ და ანასტასიამ ისიც გამაზეს, თუ როგორ მოეველინა მხსნელად ნახევრად დანგრეულ ქალაქს მისივე მოსახლეობა. ცის ნაფშევენებით აყრილი ასფალტი და ჩამომსხვრეული კერძო სახლები. გარდაცვლილი მწვანე ველები. მორაკრაკე, მშვიდი მდინარეები. ამ ყველაფერს ახლა ნიჩბებით, სანვიმრებითა და ბოტებით შეიარაღებული საზოგადოება უვლიდა. რა თქმა უნდა, ასეთი სამოქალაქო აქტივობა ერთგვარი ეგზიბიციონიზმის გარეშე არ გამოვიდოდა. ინტერნეტის ფასიანი ფოტოდღიურებით გმირებად ქცეული დამლაგებლები ნახვებისა და გაზიარების მედლებით ჯილდოვდებოდნენ და ნელ-ნელა უტოლდებოდნენ წარსულ ჟამთა წმინდანებს.

რიჟა და ანასტასია კი ჯერაც გაქვავებულნი უცქერდნენ ერთმანეთს. ორივეს ტუჩები იმაზე მეტყველებდა, რომ რალაცის თქმას აპირებდნენ, მაგრამ, ალბათ, სიტყვებს თავს ვერ აბამდნენ. მეგობრები დღეში ერთხელ აკითხავდნენ ხოლმე. ცდილობდნენ, მოესულიერებინათ, გამოეფხიზლებინათ. ერთ წვიმიან დღეს თავზე ტენტიც კი დაადგეს, რომ არ დასველებულიყვნენ. მუდამ საჭმელსა და სასმელს სთავაზობდნენ, მაგრამ არც ერთი არ პასუხობდა. მკვდარი მზერით განაგრძობდნენ ერთმანეთის კვლევას. დამშრალი ტუჩები ყოველი ნერწყვის ყლაპვაზე იჭიმებოდნენ. რიჟას ბავშვის უკანალივით სუფთა სახის კანი საცოდავი ნვერითა და მუნუკებით იფარებოდა. ანასტასიას მაკიაჟი თვალებქვეშ ცრემლებთან ერთად ჩამოდნა და ახლა ბერძნული ალქაჯის იერს ანიჭებდა. უემოციო გამომეტყველებას უძრაობისგან გამონვეული სახის სპაზმი ცვლიდა ხოლმე. იძინეთ, წვეულებით დამმეულო ხალხო. იძინეთ. ცეკვისა და სიმღერის დრო, დიდი ხანია, დამთავრდა. ნუ აჰყვებით იმათ, ვინც გიმტკიცებთ, რომ ყოველი მშვიდი და უხალისო მომენტი დაკარგულია. სწორედ ეს მომენტები განსაზღვრა-

ვენ თქვენი სევდის მთვრალ ნაბიჭვრებს, თქვენი გონების გადაფსკენილ ნერვებს, თქვენი ხელების კანკალა ქმნილებებს. თქვენს ღიმილებს და თქვენს ცრემლებს. თქვენი შვილების მშობლებს და თქვენს შვილიშვილთა ბებია-ბაბუებს. განაგრძეთ ძილი. პოვეთ მთვრალ სიზმრებში შვება და გახარება. დაე, გელირსოთ ჟამი ბედნიერებისა.

დღე ერთისა თუ ორის შემდეგ ანასტასიას გაფართოებული თვალები დაშრნენ და დაიხუჭნენ. ამავე დროს, რიჟა გამოფხიზლდა. ახალდაბადებულებით გადადგა პირველი ნაბიჯი და გოგონას მიუახლოვდა. არ უნდოდა, მდგომარე ძილისგან გაეღვიძებინა, ამიტომ ფრთხილად აკოცა მარჯვენა ლოყაზე, რომელსაც კოცნა ვარდის ფურცლის მსგავს ლაქასავით შერჩა. რიჟამ რეკონსტრუქციული სამუშაოების ქვეშ ჩამარხული ქალაქი დაიარა. გაუკვირდა – ცის ერთი-ორმა ნაჭერმა ამხელა ზარალის მოყენება როგორ მოახერხაო. თურმე მოხალისეები იმას ცდილობდნენ, რომ თავიანთი მოხალისეობრივი შრომისმოყვარეობა დანარჩენებისთვის დაენახვებინათ, ამიტომ ისინი, რომლებმაც ნამდვილი ზარალის აღდგენას ვერ მოუხსნრეს, ახლა უაზროდ დაიარებოდნენ მთელი აღჭურვილობით და ყველა ორმოიან გზატკეცილს თუ ჩახერგილ კანალიზაციის მილს უვლიდნენ. ვითომ ესენიც საქმეში ჩაერთვნენ, რა. რიჟას გაელიმა. იმდენი ხანი იყო, არ გაელიმა, რომ სახე ეტკინა. ამ ტკივილმა კი სამი დღის წინ გაქვავებული დარდი გაახსენა. რა საშინელი სამყაროა ასეთი. რა უბედურად გვექცევა. თან ვის დავაბრალოთ, ნეტა, ეს ყველაფერი? ეს ტანჯვა და ეს სევდა. ღამენათევი დარდის ფალარათი.

რიჟამ ნაცნობ „გულახდილ ეკლესიაში“ შეიარა, სადაც სწორედ ახლა ნირვა მთავრდებოდა. მღვდელი რალაცას ბუტბუტებდა. ღმერთი რომ არსებობდესო, ასეთი საშინელება არ დაგვემართებოდაო და მრევლიც თავის ქნევით

თუ „ალილეის“ ძახილით ეთანხმებოდა. რიჟა ჩაბნელებულ ტაძარში ჩუმად და შეუმჩნეველად დადიოდა, სანამ იმ ერთადერთ ხატს არ მიადგა, რომლის გადაგდებაზეც „გულახდილი ეკლესია“ უარს აცხადებდა. მოოქრულ ხის ნაჭერზე ქრისტეს მკაცრი სახე იყო გამობატული, ხელში ეკლესიის მაკეტი ეჭირა, მეორეში კი, ალბათ, ამავე ეკლესიის არქიტექტურული გეგმა. არ ვიცოდი, ხუროთმოძღვრებით თუ იყავი დაინტერესებული, – ქრისტეს გასაგონად აღნიშნა რიჟამ და თან სასანთლეში ჩამდნარი სანთლების თითებით დაბურთავება დაიწყო.

– ვერ მიტან? – ჩურჩულით მიმართავდა რიჟა ხატს. – ჰა, მითხარი, ვერ მიტან? მანიშნე შენი ჯადოსნური ძალით. შენი ღვთაებრივი სასწაულებით მანიშნე. გეკითხები, ვერ მიტან? რატომ ჩადე ჩემში ამდენი სურვილი, თუ მათი განტვირთვის საშუალებას არ მომცემდი? რატომ ჩადე ჩემში ამდენი სიყვარული ამ უსიყვარულო სამყაროში? რატომ ჩამტენე ამ საღპობად განწირულ ხორცსა და ძვლებში? ვერ მიტან? გეკითხები, ვერ მიტან? გული მაშინ მატკინე, როცა მიმატოვე. როცა სულ მარტო დამტოვე ამ სამყაროში და ჩემს უძირო ნაქირავებ ბინაში გამომკეტე სანტა ბარბარასთან ერთად. მაგრამ მე შენსავით სასტიკი არ ვარ. მე შენ შეგინდობ, იესო. გპატიობ იმას, რაც დამიშავე. მე შენ შეგინდობ, იესო.

თურმე ამ ყველაფერს არც ისე ხმადაბლა ამბობდა და მთელ ეკლესიას ესმოდა. მღვდელი მრევლთან ერთად გასუსული უსმენდა რიჟას ჩურჩულს, რომელიც ახლა ხატს სცილდებოდა და გასასვლელისაკენ უნდა დაძრულიყო, როცა შემოტრიალდა, დაინახა, რომ ასობით კაცის მზერა მისკენ იყო მიპყრობილი. უეცრად მღვდელი მივარდა და ცრემლიანი თვალებით გადაეხვია. „გულახდილი ეკლესიის“ მთელი საზოგადოება ამ ჩახუტებას შეუერთდა. რიჟას

ყურში ჩურჩულებდნენ: ყოჩაღ, შვილო, და აბა, შენ იცი. ბოლოს, როცა ეს დამლელი ალერსი დამთავრდა, მღვდელმა ხელები მხრებზე დაადო და ისე მიმართა:

– აბა, ახლა რას აპირებ? ხომ იცი, შენნაირი ხალხი ყოველთვის საჭიროა ამ ეკლესიისთვის. – მეგობრულად მიმართა.

– არა, მადლობა, მამაო. მე სხვა გზა ვიცი. უკეთესი. მე რომელიც მომნონს და მიყვარს, – რიჟამ მშვიდად უპასუხა და ეკლესიიდან გავიდა.

ამ დროს ქალაქის მეორე ბოლოს ანასტასია გამოფხიზლების პირას იყო. თვალები ჯერ არ გაეხილა, თუმცა გონებით კი ყველაფერს ხედავდა: ფერებს, შუქს, ჩრდილებს. მრავალი რამე უტივტივდებოდა თავში. განსაკუთრებით კი რიჟა. არადა, გულგატეხილი გოგონა, ალბათ, ჯაბაზე უნდა ფიქრობდეს. მაგ უგულო ყლეზე, მაგრამ არა. რატომღაც მხოლოდ რიჟა ახსენდება და ის დღეები, რომლებიც ერთად გაუფლანგავთ. როგორ დასცინოდნენ პარკებში სერიოზულ კოსტიუმებსა და ჰიპსტერულ მაისურებში გამოწყობილ გადაპარსულ წინილებს. როგორ აშრობდნენ ტუჩებს 1934 წლის 27 აპრილის მეორე ნახევარში გადაღებულ ცხრა ფილმზე საუბარში. როგორ იმტვრევდნენ გონებას, რათა ჰიუგოს რომანების ყველა სათაური ორიგინალში ამოეცნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულად არც ერთი სიტყვა არ ესმოდათ. როგორ სციოდათ ხოლმე, როცა გვიან ღამით გავიდოდნენ სასაიროდ. როგორ თვრებოდნენ მუდამ და სამარადჟამოდ. როგორ ეგებებოდნენ ახალ წელს მიგდებული შენობის სახურავზე განათებულ შუქურებთან ერთად. როგორ იცინოდნენ. როგორ უმშრალდნენ ერთმანეთს ცრემლებს. როგორ სძულდათ და უყვარდათ ყველაფერი, რაც ფერადი იყო.

რიჟა ქალაქში დახეტიალობდა. ბოლოს მეტროში ჩასვლა გადაწყვიტა. ფიქრობდა ისევ თავის დამპალ სიყვარულზე. თავის ჩამქრალ სანთელზე, რომელიც



უკვე რამდენ უძინარ ღამეს უნათებდა. მეტროში სიცარიელე იყო. ალბათ, ქალაქი რეკონსტრუქციულ სამუშაოებში იყო ჩაფლული. კაციშვილი არ ჩანდა. ახლა უკვე ხელს არავინ შეუშლიდა.

ანასტასია ფიქრობდა და იხსენებდა და იხსენებდა, რომ დაფიქრებულიყო. ნელ-ნელა თითები აამოძრავა და ფეხიც პირველი ნაბიჯისთვის მზად იყო. დილის სურნელი მივიწყებულ სიფხიზლეს უბრუნებდა.

ამასობაში რიჟა ლიანდაგზე წვებოდა და უემოციო მზერით მატარებლის მოსვლას ელოდა. ასეთ მომენტებში გონებაში ათასი რამ უტრიალებს ხოლმე. მაგალითად ვთქვათ და, მატარებელმა თავზე გადაუარა, მაგრამ გადარჩა. ამ შემთხვევაში ხომ მთელი ცხოვრება ინვალიდად მოუწევს დარჩენა. რაღაც საბრალო ადამიან-სპილოდ. ამის ასაცილებლად ზუსტად უნდა განესაზღვრა, საით დაედო თავი. სწორედ ამ დროს გვირაბის ბოლოდან ლიანდაგებზე მცოცავი გველის მანათობელი თვალები იკვეთება. რიჟა ღრმად ჩაისუნთქავს. მალე ყველაფერი დამთავრდება.

ანასტასია საუბარს გადაჩვეული ტუჩებით ცდილობს, რომ რაღაც წარმოთქვას. ის რაღაც, რის თქმასაც, უკვე დიდი ხანია, ფიქრობს. *მგონი, მეც მიყვარხარ.* – თქვა გოგონამ და თვალები იმ იმედით გაახილა, რომ რიჟას დაინახავდა, მაგრამ ბიჭი არსად ჩანდა. ანასტასიამ გაკვირვებით ამოიხვნეშა. სად უნდა გამქრალიყო?

რიჟა გვირაბის შესასვლელთან მოუთმენლად უცდის თავის აღსასრულს. ათობით თვითმკვლელობის მცდელობის პროცესში პირველად თავის გადანწყვტილებას ეჭვობს. არადა, თითქოს სხვა გამოსავალი აღარა აქვს. ცოტაც და, მატარებლის ბორბლები თავს გაუსრესენ. არა. აღარ უნდა. გადაიფიქრა. აღარ უნდა სიკვდილი. ცდილობს, წამოდგეს, მაგრამ ფეხი ლიანდაგის ნაპრალებს შორის ეჭედება. ორივე ხელით აწვება, რომ

რამენაირად ამოგდოს. მატარებელი კი უკვე გრილი ნიავის მორევით ემუქრება და პირდაპირ თვალებში უყურებს. რიჟა თვალებს ხუჭავს და ხელებს მაღლა წევს იმის ნიშნად, რომ სიკვდილს ნებდება. მატარებელი შემზარავი სიჩქარით მოინწევს და უეცრად წამის მეასედში ჩერდება. რიჟა თვალებს ახელს და არც კი იცის, რა იფიქროს. მატარებელი ზუსტად ცხვირთან უჩერდება. რა ჯანდაბა მოხდა?

– აბა, ახლა ჩემით კმაყოფილი ხარ? – პლატფორმიდან კაცის ხმა გაისმის.

რიჟა უკან ტრიალდება და ვილაც შორტებში და ლენონის მაისურში გამონყობილ ტიპს ხედავს, რომელსაც, როგორც ჩანს, დიდი ხნის დაუბანელი გრძელი ნაბლისფერი თმა და წვერი მოუშვია. კისერზე ყურში ჩასათხრელი ყურსასმენები გადაუკიდია.

– შენ ვინ ჩემი ფეხები ხარ? – უხეშად მიუგო რიჟამ.

– ის ვარ, ვინც შეგიძულა, არ გახსოვს? – მშვიდად განაგრძობდა უცნობი. – მე ის ვარ, ვინც შენი მიმტევებლობა დაიმსახურა.

– იესო? – თვალების მოჭუტვით იკითხა რიჟამ.

– ბინგო. – ეს თქვა და ხელი ისე გაიქნია, თითქოს რიჟას რაიმე ვიქტორინაში ჯილდო მოეგოს.

– დედამინაზე რა გინდა?

– რავი, მეთქი, ვინმეს დავეხმარები. ხო აზრზე ხარ? – იესომ ჩაიციხა. – შენ გგონია, არ გისმენ ხოლმე? როცა ლოცულობ, ან მწყევლი, ან მაგინებ. მე ყველაფერი მესმის, ოღონდ მხოლოდ მაშინ ჩავერევი, თუ მართლა იმსახურებ ამას. თუ მართლა გჭირდება გამოსავალი.

– იმის თქმა გინდა, რომ აქამდე ოცჯერ რომ ვცადე თავის მოკვლა, დახმარებას არ ვიმსახურებდი? – დაეჭვდა რიჟა.

– შენი აზრით, ამ ოცჯერ რო არ გამოგივიდა, უბრალო დამთხვევა იყო? მე ვიყავი ის ელექტრიკი, სახლში რო

შემოგივარდა, როცა ქალზე ჩამოეკიდე. მე ვიყავი ის ბავშვი, ბატუტი რომ გაშალა, როცა მეცხრე სართულიდან გადმოხტი. მე ვიყავი ის კაცი, რომელსაც შენი გადარჩენისათვის აგინებდი ზუსტად აქ, აი, ამ ადგილას.

რიჟა შოკშია და არ უნდა, რომ ხმა ამოიღოს. რცხვენია და დადუმებულიად ხარშავს თავის სიმორცხვეს.

– ხედავ, ძმაო? არც ისეთი ცუდი ვარ, როგორც გეგონა. – დამცინავი ტონით მიმართა იესომ, თან ჯიბიდან ფორთოხლის წვენი შეკვრა ამოიღო და რიჟას მიუგდო.

რიჟა ჯერ კიდევ შოკშია, მაგრამ წვენი დალევას ვალდებულებად აღიქვამს და შეკვრაში სანრუპს არჭობს. ძან გემრიელია. ალბათ, ხმამაღლა უნდა აღნიშნოს.

– ძან გემრიელია, – რიჟა იესოს გასაგონად გაიძახის. – თუ სამოთხე არსებობს, ალბათ, ზუსტად ასეთი გემო აქვს.

– ეჭვიც არ შეგეპაროს, ძმაო. ეჭვიც არ შეგეპაროს, – იესო თავის ქნევით ეთანხმება.

რიჟა გემრიელად წრუპავდა ფორთოხლის მოტკბო-მომჟავო წვენს და თან ტუჩებს იდაყვზე შეკეცილი პერანგით ინმენდდა.

– იმ დღეს სამსახურიდან გამომავდეს. იცი, როგორ მენყინა. – მოულოდნელად დაიწყო იესომ. – მაგრამ კი არ მიტირია. კი არ მიფიქრია თავის მოკვლაზე!

– რა სამსახური? – რიჟამ წვენიდან წამიერად შეისვენა.

– ერთი ბუნგალო იყო, ურეკთან ახლოს. გამომავდეს, ბანძი მიმტანი ხარო. ჰოდა, მეც დავანგრეე ეგ რესტორანი და მესამე დღეს ისევე აღვადგინე. – იესოს სიტყვებში სიამაყის გრძნობა გამოსჭვიოდა. – ანი ეცოდინებათ, როგორ გაავადონ ძე კაცისა სამსახურიდან. შენა და, იქიდან ამოსვლას არ აპირებ? დავიღალე მაგ მატარებლის ჭერით.

რიჟა სასწრაფოდ წამოდგა და პლატფორმაზე აძვრა. მატარებელი კვლავ

დაიძრა და ცოტა მოშორებით შეჩერდა.

– კარგი, – დაიწყო იესომ. – აბა, ახლა რას აპირებ?

– რას უნდა ვაპირებდე?

– ანასტასიაზე გეუბნები. რას აპირებ?

– მეც ანასტასიაზე გეუბნები, რას უნდა ვაპირებდე?

– არ დაელაპარაკები წესიერად? ახლა, მგონი, სიყვარულისთვის ბევრად უკეთესი დროა, ვიდრე მაშინ, როცა ცა მიწის დაჭყლეტის პირასაა.

– აბა, რა ვიცი... – რიჟამ მორცხვი ბავშვივით უპასუხა. – რა უნდა ვუთხრა? ვილაცა ჯაბა მიყვარსო და...

– არ უყვარს ეგ ჯაბა. მე უკეთ ვიცი. უკვე 2000 წელია, სიყვარულზე ლექციებს ვკითხულობ. უბრალოდ, ეშინია, რომ, თუ შენ შეგიყვარებს, მაშინ როგორც მეგობარს დაგკარგავს.

– რაა? – რიჟას ამ ჰიპოთეზის ლოგიკა საერთოდ არ ესმოდა.

– გეუბნები, გეუბნები. ახლა უკვე გამბედაობა აღარც გჭირდება. უკვე ყველაფერი ნათქვამი გაქვს, რაც უნდა იცოდეს. ახლა ქმედებაა საჭირო. სწორედ ისე, როგორც იქ არის „უძინარნი სიეტლში“.

– რაში, რაში?

– „უძინარნი სიეტლში“. ტომ ჰენკსი, მეგ რაიანი. – იესო გაკვირვებული ჩანდა. – ლადაობ?! ეგ როგორ არ გაქნანახი? ერთ-ერთი საუკეთესო რომანტიკული კომედიიაა.

– მე მგონი, თემას გადაუხვიე. – აღნიშნა რიჟამ.

– ხო, ხო, ბოდიში, ბოდიში. მოკლედ, მიდი, იპოვე ანასტასია, სადაც უნდა იყოს, ვისთან ერთადაც უნდა იყოს და დაელაპარაკე. დებილურად კი არ ქნა, როგორც აპირებდი. „მე შენ მიყვარხარ და მორჩა“. ეგრე არ გამოვა, ძმაო. რამე უკეთესი უნდა მოიფიქრო. უფრო ლამაზი და საინტერესო.

– ჰო, – რიჟამ ამოიხვნეშა. – ვიცი, მართალი ხარ.

– რა იყო, კაცო. მაინც რაღაცა დარ-

დიანი ჩანხარ, – იესო ეჭვის თვალით დააკვირდა.

– რავი, თითქოს უკვე ვიცი, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არც კი დანწყებულა.

– ოჰ, ეს უღიმღამო ადამიანები...

იესომ რიყას საფეთქელზე დაადო ხელი, იქიდან თითქოს რაღაც ამოაძვრინა და ჯიბეში ჩაიდო.

– ესიო, ახლა გონებიდან დარდი ამოგაცალე. თუ ოდესმე დაგჭირდა, დამიკავშირდი და დაგიბრუნებ.

– მოიცა, ერთი, – რიყა გაკვირვებას ვერ მალავდა. – შენ რა, მართლა დარდი ამოიღე ჩემი თავიდან და ჯიბეში ჩაიდე?

– არა, სულელო, – იესომ მუდო სახით უპასუხა. – ეს მეტაფორაა.

– ააჰ.

– მიდი ახლა, რაღას ელოდები, იპოვე ეგ შენი ანასტასია და დაელაპარაკე. ოღონდ ისე არა, როგორც ვიღაც ქალაჩუნა. კაცი იყავი, კაცი!

რიყა უკვე ესკალატორზე არბოდა, როცა იესომ შეამჩნია, რომ ნვენის შეკვრა ძირს ეგდო.

– აი, აი, აი, აი... – იესომ შეკვრა აიღო და ურნაში ჩააგდო. – რა ხალხია, რა ხალხი. ბედნიერება უნდათ თავისთვის, სხვებს კიდე ნაგავს უტოვებენ მეტროში. მართლა რა ხალხია ასეთი.

იესო ცეკვით მიიწვედა მატარებლისკენ. შიგნით რომ დაჯდა, „All You Need Is Love“-ის ლილინი დაიწყო. რა ხალხია ესეთი, მნახველიც კი არ ვარ.

## მაილოგი

*თვითმკვლელობა შესაძლებელია ექსპერიმენტად აღვიქვათ – შეკითხვად, რომელსაც ადამიანი ბუნებას უსვამს და აძალებს, რომ უპასუხოს. აი, მთავარი რაა: რა ცვლილებას გამოიწვევს სიკვდილი ადამიანის არსებობასა და სიცოცხლის მიმართ დამოკიდებულებაში? საკმაოდ უაზრო ექსპერიმენტი გამოდის, რადგან იგი სწორედ იმ ცნობიერების განადგურებას მოითხოვს, რომელმაც ეს შეკითხვა დასვა და რომელიც პასუხს ელოდება. ეს ართურ შოპენჰაუერმა თქვა და ისეთი ჭკვიანური გვარი აქვს, რომ, ალბათ, მართალიც იყო.*



დავით თედორაძე

●  
მწარეა შენი ტკივილი,  
გრძნობა ამუნჯებს ენას,  
ნეტავ, მალამოდ მაქცია  
შენს მკერდზე დასაფენად.

რარიგად აგხირებია  
ღვიძლი შვილები შენი,  
ნეტავი, ვიყო მალამო,  
შენს მკერდზე დასაფენი.

მივიწყებულო ღირსებავ,  
ჩემო ერო და ბერო,  
ცრემლებით, გულისტკივილით  
როდემდე უნდა ვნერო.

●  
პეპელა უფრო დიდხანს ძლებს,  
ვიდრე ბათუმში თოვლი,  
და მაინც,  
მაინც  
მიყვარს მზე –  
უპირველესად ყოვლის.

მომწონს ქარების წივილი,  
წვიმაც,  
სეტყვაც და  
ბარდნაც...  
და მაინც, დიდი ტკივილით  
დამამხო მზეზე დარდმა.

მზეო,  
ამოდი,  
გაბრწყინდი,  
გამათბე,  
გამალაღე!..  
ბალში ვდგავარ და  
დარდს ვყიდი,  
მყიდველი დამანახე.



არც ცოლის მჯერა,  
არც შვილის,  
არც მეგობრების მჯერა,  
ვზივარ და გასამგზავრებელ  
ჩოხა-ახალუხს ვკერავ.

სამოთხის კართან დამხვდება  
ჩემიანების გუნდი,  
მკერდზე ვემთხვევი მამაჩემს,  
ამაყს, გულუხვს და გულდიდს.

რამ მოგიყვანა? –  
წარბშეკვრით  
საყვედურს მკადრებს დედა,  
დედის გარშემო სულმნათი  
ანგელოზები სხედან.

აუ, რამდენი ყოფილხართ  
ჩემი სისხლის და ჯიშის,  
ამაოდ მექონდა აქ მოსვლის  
უჟმურშეყრილი შიში.

## სიტყვის ხიზლით

*ელგუჯა თავბერიძეს*

რა წიგნებს წერ,  
რა მირონით ინათლები,  
სად პოულობ ოქროს უძრავ ზოდებს,  
სიტყვის ხიზლით შემიმოსე წინაპრები,  
უფალივით განიკითხავ ცოდვებს.

რა წიგნებს წერ,  
დასახურად მენანება...  
ვერ ვადირსე კარადების თარო,

უბედური უბიხები მელანდება,  
მელანდება ცრემლის მლაშე წყარო.

რა წიგნებს წერ...  
რა მირონით ინათლები,  
სულ მახსენებ, ვინ ვიყავით, რა ვართ,  
შარვაშიძის ანთებული ჩირაღდნებით  
აფხაზეთში უსათუოდ ჩავალთ.

რა წიგნებს წერ,  
ღამეები მათევიანა,  
ფზიზელს მიდევს ლოცვანივით თავთან,  
ვინ გაიმბო, სად ნახე, რამ გათქმევიანა –  
ალარ მახსოვს სხვა რამ წიგნის გარდა.

აშორდიამ სულ არია ივერია  
ჩალის ფასად ნაჩალიჩარ გვარით,  
შენ ღვინჯუას ამფსონები გიმღერვიან,  
არ გაუჩნდეს ნეს-ადათებს ბზარი.

## **ზვარაკი ვარ დარიალის**

მე ვინც მიყვარს,  
მე რაც მიყვარს,  
ნაღდი სიყვარულით მიყვარს,  
კარგად მახსოვს, სად რა ითქვა,  
ყმად ვეკუთვნი ქართულ სიტყვას.

ჩემო მეგობრებო, მოდით,  
არ მკლავენ და გამიჭირდა,  
წინაპრები ცხონდეს, მარა  
ერთი დევი ამიხირდა.

ჩამყლაპა და ხსნა არ არის,  
ასეთ სიზმარს რა ვუთხარი,  
ჩემი მქონდა ცა მაღალი,  
მინა მქონდა სანუკვარი.

ჩემო მეგობრებო, გეძებთ,  
ლელთ ღუნიავ, დარი არის,  
როგორც ჯადოსნური ვერძი,  
ზვარაკი ვარ დარიალის.

ლიხს იქით და ლიხის აქეთ  
ნატვრის ერთი ვაზი ხარობს,

გამჩენელი შემოევლოს,  
გაჩენილი ენაცვალოს.

მე ვინც მიყვარს,  
მე რაც მიყვარს,  
ნაღდი სიყვარულით მიყვარს,  
კარგად მახსოვს, სად რა ითქვა,  
ყმად ვეკუთვნი ქართულ სიტყვას.

## სველი ზღარბები

გამთენიისას ამიტირა წვიმამ პალმები,  
დალახვროს ღმერთმა,  
არ მინდოდა წვიმა სრულებით...  
მიბაჯბაჯებენ ბინებისკენ სველი ზღარბები –  
ძილგატეხილი,  
უნყინარი ღამის მდგმურები.

მე საით,  
ვისკენ?!  
რომელ ქუჩას უნდა დავადგე,  
ვის დაფუტოვო სანაპირო ბალის სიმშვიდე...  
არ გამოვიდა,  
ჩემებურად ვერ ვითამადე,  
ქეიფი ჩაქრა,  
ვიდრე გულებს გადამიშლიდნენ.

ელვა ანათებს გაღმა სერებს,  
ექესი დაიწყო,  
სძინავს ქალაქს და ჩაძირულა ნისლში  
ზღვისპირი,  
მოვალ და გეტყვი –  
ისევ დავთვერ,  
ვითომ რა იყო,  
დავთვერ და ყრმობას,  
ჩვენს სიყვარულს ისევ მივტირი...

არ გამოვიდა კაი საქმე ღვინის გარეშე!  
ქართული ღვინო –  
მის დამწურავს ვენაცვალები,  
ცხრამეტი კაცის სიყვარული მოვითარეშე,  
ავები არა –  
გულკეთილი მიყვარს მთვრალეები...

რალა ამაღამ ამიტირა წვიმამ პალმები,  
დალახვროს ღმერთმა,  
არ მინდოდა წვიმა სრულებით,  
მოვდივარ შენთან,  
საყვარელო,  
სველი ზღარბივით –  
ამავსე ცრემლით,  
უძილობით,  
საყვედურებით.

## დღეს სიყვარული უფრო მჭირდება

მე გავიარე ქრისტეს ასაკი,  
ახლა ყოველ წუთს სიმძიმე ახლავს...  
ქუჩაში მხვდება ლამაზი ქალი  
და ვგრძნობ კეფაზე ბერდანკის დახლას...

ჩემს უბედურ დღეს ბევრი იტირებს,  
ბედნიერებას არც ვინ მპირდება,  
ხვალ შეყვარებას ნუ დამიპირებთ –  
დღეს სიყვარული უფრო მჭირდება.

მე გავიარე ქრისტეს ასაკი,  
ახლა ყოველ წუთს სიმძიმე ახლავს...  
ქუჩაში მხვდება ლამაზი ქალი  
და ვგრძნობ კეფაზე ბერდანკის დახლას...

## მინდოდა ლექსი

ცა იყო თეთრი,  
უსაზღვროდ თეთრი,  
ქალაქიც თეთრად იყო ნაფერი,  
მომწონდი, მაგრამ მიყვარდა ერთი,  
მინდოდა ლექსი, სხვა არაფერი.

მინდოდა ლექსი  
და ამ თოვლაში  
ოქროს გვირგვინად მედგა ნათელი,  
ვცოცხლობდი შენთვის,  
ვკვებობდი შენთვის,  
ლექსი ვიყავი, სხვა არაფერი...



## ცეცხლის პერანგი

გარს მახვევიან მსურველნი,  
ვერძნობ, ოცდაათი ვერცხლის...  
ალარც ბულბულის გალობა...  
ალარც ჭიკჭიკი მერცხლის...  
ცეცხლის პერანგი მაცვია,  
სული დამენვა ცეცხლით.



ე, ბიჭო, ვისი გვარის ხარ?  
შენც ხომ არ მაყრი ნაცარს?  
სიყვარულს ფრთები შეასხი,  
ერს დაუდექი კაცად.

უპატრონე და შეგერგოს  
ქართული მიწის ხვავი,  
სამშობლო, როგორც სურვილი,  
შემოდგომაზეც ყვავის.

ნუ დახარბდები სხვის სითბოს,  
სხვა სამოთხეს და ყვავილს,  
უცხო იადონს გერჩიოს  
შენი ყრანტალა ყვავი.



ჩაიარა,  
ქარავანმა ჩაიარა,  
მიწყდა ეჟენის ჟღარუნი და მასლაათი მდორე,  
დაცლილია ვნებაც,  
სისხლიც ჰაიჰარად,  
ფიტულები მოუპარავთ ქორებს.

არაკს მეტყვი –  
მეამება,  
ჩემებურად მეც ჩემი მხრივ ვზომავ,  
წარმართი ხარ,  
სხვა კერპები გელანდება,  
მთის ნამუსო, ლომანავ თუ ლომავ!

არაფერი იკარგება ჰაიჰარად,  
შეავედრე დედაკაცებს ფუძე,  
ო, რამდენმა ქარავანმა ჩაიარა  
საქართველოს აღმოდებულ გულზე.

## კეთილად მოიხმარონ

სიყვარულია ძლიერი –  
არა ზაკვა და შუღლი,  
ამაოდ ცდილობს ზოგ-ზოგი  
ჩემს ქედზე დადგმას უღლის.

ლალი ვარ, თავისუფალი,  
თავს არ ვიცოდებ კვნესით,  
ავს რასმეს დამიპირებენ –  
დარდებს ვიქარვებ ლექსით.

ვნერ – სიტყვავ, ხმალზე ძლიერო,  
უერთგულესო ფარო,  
ჩემზე ნასროლი ისარი  
კეთილად მოიხმარონ.

## მე გუშინ, ძმებო, სარფში ვიყავი

ძუძუმწოვარა ბავშვის სუნით  
მიზიდავს სარფი, გავცდი კვარიათს,  
მთა მაღალია, როგორც დუმილი  
და ვგრძნობ, ამ მიწის დიდი ვალი მაქვს.

ალაგ მთებიდან წყალი მოწვეთავს,  
წყალი თუ ცრემლი ლაზი ასულის,  
დგას ისტორიის მონმედ მთვარე და  
ჩემს ნორჩ სხეულში ტირის წარსული.

აქ დღეში ცხრაჯერ მოდის ტურისტი,  
ორი სამყარო, სურს, რომ იხილოს,  
გაღმა მხარეზე იტყვის – თათრეთი...  
და მოგინდება, ისევ იტირო.

სარფი – ტკივილი, სარფი – სიზმარი,  
და გაფრთხილება ჩვენი მარადი...  
მე გუშინ, ძმებო, სარფში ვიყავი  
და სოფელივით დავპატარავდი.

ამირან ხეცაძე



რა სევდიანად ჩურჩულებს წვიმა,  
რა სევდიანად ღიღინებს ქარი,  
ახლა სარკმელთან მდუმარედ ვზივარ,  
გვიან ღამეა, იქნება სამი,  
ნეტავი, მალე გათენდეს დილა,  
ნეტავი, მალე ამღერდეს ქნარი.

ვზივარ სარკმელთან, ისევ არ მოჩანს  
მთვარე მზუუტავი და ალმაცერი,  
ო, ეს წვიმები რომ აღარ მორჩა,  
აღარ აკეცა ნისლმა საცერი,  
ვუსმენ ქარების ჭორების როშვას  
და ბურუსიან ქედებს გავსცქერი.

თითქოს კედლებზე ლანდები კრთიან,  
თითქოს ვიღაცამ გამიღო კარი,  
კვლავ სევდიანად ჩურჩულებს წვიმა,  
კვლავ სევდიანად ღიღინებს ქნარი,  
ნეტავი, მალე გათენდეს დილა,  
ნეტავი, მალე ვიხილო დარი.



დილის მზის სხივი,  
სუფთა ჰაერი,  
კავი, სახნისი,  
ტურფა მთა-ველი...  
სხვა განძი არ მსურს  
არანაირი.

ბულბულის სტვენა,  
ქარის შაირი,

შაშვის გალობა,  
სუნთქვა ყვავილის...  
სხვა განძი არ მსურს  
არანაირი.

ქვეყნის ერთობა,  
მკლავი რაინდის,  
ხმები ქართული  
ჩანგის, დაირის...  
სხვა განძი არ მსურს  
არანაირი.



მზემ მოითხოვნა მაყვლით ტუჩები,  
ფოთლები სხივებს მძივად იბნევენ,  
ჩამწკრივებულან გზად ალუჩები,  
ჭრელკაბა ჩრდილებს მკერდზე იფენენ,  
მთვარე სიცხეს თუ გადაურჩება,  
ააფერადებს ღამის სიბნელეს.

ააშრიანებს კუნაპეტ ფარდებს  
სიოს ჩურჩული, ვარსკვლავთ ხამხამი,  
სიჩუმით მოსილ მადლიან მთა-ველს  
ათასი ვერცხლის სხივი დაჰხარის,  
გამოაღვიძებს დაქარვულ ბალებს  
ჩაშაქრებული ჭარხლის ხარხარი.

აისი დილის კოცონს დაანთებს,  
ვარსკვლავს ჩაიხსნის ზეცის თავანი,  
ფუტკარს ყვავილთა სუნთქვა აღანთებს  
და სოფლის ყანა ნათავთავარი,  
ტრფიალი ყველას სვე-ბედს განაგებს,  
ტრფიალი არის ქვეყნად მთავარი.

## შენ გეკუთვნის

ლურჯი ზეცა ფიროსმანის ფუნჯით ნაზად მოხატული,  
ტკბილი ჰანგი მტრედის, მერცხლის, ბულბულის თუ  
მოლალურის.

ველ-მინდვრების მწვანე მხრები, გაფენილი აფრებივით,  
ლაჟვარდისკენ გნოლ-კაკაბთა გუნდი გუნდზე აფრენილი.  
მოკაშკაშე ბადრი მთვარე, როგორც სარკე ჯადოსნური,  
კოსმოსური სივრცეები თუ რაკეტა ჩქაროსნული.  
მინა, გმირი წინაპრების სისხლის წვეთში განბანილი,  
დღეს შენ თვალწინ გადაშლილი იაკობის ანბანივით.

ძველთაძველი ციხე-კოშკნი და ბაგრატის ნანგრევები,  
ვეფხისა და მოყმის ლექსი, ფრესკები და ლეგენდები.  
ბალი, ზვარი და მარანი, ჭირნახულით დატვირთული,  
ნიქარა და ნიშა ხარი შრომის ოფლში გახვითქული.  
სიმღერები ათასგვარი, ძველებურიც, ახლებურიც,  
ზაფხულიც და შემოდგომაც ხვა-დღევით ავსებული.  
გუგულის ხმა, კაფე-თესე, ლექსი მეხრის და მეგუთნის...  
დაიხსომე, ყველაფერი, ყველაფერი შენ გეკუთვნის!..



ნუხელ სახლში მაცილებდა ქარი,  
მე კი ცხვირწინ მივუხურე კარი,  
წავლასლასდი შთაგონებით მთვრალი,  
ალბათ, ვჩანდი მხდალი, საზიზღარი.  
ქარი დიდხანს ქვითინებდა წყნარად,  
თვალზე ნუთით არ მოადგა რული,  
მასზე დარდმა ისე გამანვალა,  
მოვინატრე ჩემი აღსასრული.  
მივატოვე მეგობარი გარეთ,  
მხოლოდ ერთი, ერთი ლექსის გამო,  
ო, დარდები ცოცხლად მასამარებს,  
ალბათ, მომკლავს დარდით ეს საღამო.  
სარკმლით ვლანდავ შუბლგაცრეცილ მთვარეს,  
როგორ ეჭვით, ზიზღით მითვალთვალებს,  
შორით მოჩანს ვარსკვლავთ სიფერმკრთალე,  
ნელა დნება, იღველფება ღამე.  
გარეთ რატომ მიატოვე ქარი,  
რატომა ხარ ეგრე საოცარი, –  
მსაყვედურობს, მსაყვედურობს ქნარი,  
უშიშარი, მარად შეუმცდარი.  
ნუთუ უნდა მოვიგონო რამე,  
ნუთუ მყოფნის მაგის სითამამე,  
მოერია ვარსკვლავთ სიფერმკრთალე,  
შორით დნება, იფერფლება ღამე.



დამწვავენ ეგ თმათა ზილფები,  
სურნელებს მოვპარავ ნანწავებს,  
სანამდე ცოცხალი ვიქნები,  
სანამდე ვნებები დამწვავენ.  
ვიქნები შლეგი და სულელი,  
ვერ გპოვო ზვრებში თუ ქუჩებში,  
არ დავტკბე მაგ თმათა სურნელით,  
არ დავტკბე მაგ მარწყვის ტუჩებით.  
ვივსები ტრფიალის ნექტარით,

ვივსები ლოდინის სამსალით,  
შენს სახეს ლანდებში შევხარი,  
ჭკუიდან ვიშლები სანყალი.  
აივსო ლოდინის ფიალა  
და თმები დავერცხლა ჭალარამ,  
დამლალა ფიქრებმა ტიალმა,  
მე შენზე დარდებით აღარ ვარ...  
ო, ღმერთო, სანამდე ვინვოდე,  
წყლულებმა გონება დაბინდა,  
დღეიდან ამქვეყნად სიცოცხლე  
არ მინდა, არ მინდა, არ მინდა.  
ბნელეთო, მიღერე ცელები,  
ეგ მღვრიე ხელები დამრიე,  
წამიძეხ დაოთხილ ცხენებით,  
სიკვდილის მეუფევე, გაბრიელ...

## ქალბატონებო

ერთი წამითაც არ იფიქროთ, არ ხართ ნატიფი,  
თუკი კაცთაგან ვერ იგრძენით რამე პატივი,  
მიმზიდველი ხართ ყველა ქალი ანდამატივით...

თქვენა ხართ ქვეყნის დედაბოძი, წინსვლა, შენება,  
სანამდე მამულს ეყოლება თქვენებრ მშვენება,  
ქართველს აროდეს უწერია გადაშენება.

ოი, ღვთიურო არსებებო, სიტყვის მაღლია,  
როცა მგოსნები ულამაზეს ყვავილს გადრიან,  
ყოფნა უთქვენოდ უდიდესი მწველი დარდია.

ყოფნა უთქვენოდ უჭაეროდ ყოფნის ტოლია,  
თქვენი სხეულიც მიმზიდველი თეთრი ბროლია,  
ბედნიერებაც მხოლოდ თქვენით მონაგონია.

ერთი წამითაც არ იფიქროთ, არ ხართ ლამაზი,  
თქვენ ასულდგმულებთ ცისქვეშეთის ტრფობის  
დარბაზებს,  
თქვენ იდღეგრძელეთ, იმზეგრძელეთ ამ ქვეყანაზე...

ამირან გომართელი

## „მას გახელილი დარჩა თვალები“



*„მას სული ჰქონდა უხვად ციური“  
(გალაკტიონი)*

გალაკტიონის პოეზიის მკითხველს სრული უფლება აქვს, ანატოლ ფრანსივით განაცხადოს: „ვტკბები იმით, რასაც ვერ ვიგებ“. მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, ვერც აზრი გაიგოს ბოლომდე და ვერც ლოგიკური ახსნა მოუძებნოს, თუ რას ნიშნავს „ლურჯი მონტევიდეო ვინრო ხელთათმანებით“, მკითხველი მაინც საოცრად იხიბლება გალაკტიონის პოეტური ხატებით:

*ლაჟვარდების კიდეო,  
დაბურულო ზმანებით,  
ლურჯო მონტევიდეო,  
ვინრო ხელთათმანებით.*

ასე რომ, იქ, სადაც ლოგიკური შემეცნება ვერ გვშველის, ემოციას უნდა მივინდოთ. თითქოს ეს მომენტიც ჰქონდა გათვალისწინებული გალაკტიონს, თითქოს ამიტომაც ამბობდა: „ოღონდ ყოველში და ყველაფერში მუსიკა იყოს და სილამაზე!“

და მაინც, უმჯობესია, თუ შევძლებთ, ავხსნათ და გავიაზროთ გალაკტიონისეული სახე-სიმბოლოები.

გალაკტიონის სიმბოლისტიკის ხელაღებით უარყოფას რაც შეეხება, ეს მისი პოეზიის ვერ ან არ გაგებას ნიშნავს. ამ სიმბოლოების ახსნა მკითხველის ინტელექტზე, ცოდნასა და, მე ვიტყვოდი, გამოცდილებასა და ინტუიციასზეც არის დამოკიდებული.

გალაკტიონს აქვს ასეთი პოეტური სტრიქონები:

*ჯვარი, ლომი და კურო  
ფარშავანგების არის,  
თვალთა ანგელოზთ შურო,  
შენ, ღვთისმშობლო კარის!  
(„სალამო“)*

იოლია, გადაიკითხო ეს ოთხი პწკარი, მელოდიურობის გამო ემოციური კავშირიც დაამყარო აღნიშნულ სტრიქონებთან და არ დაფიქრდე იმაზე, თუ რას ნიშნავს „ფარშავანგების არე“, რა კავშირშია ჯვარი, ლომი და კურო ფარშავანგების არესთან ან რას ნიშნავს თვალთა ანგელოზები და მათი „შური“ კარის ღვთისმშობლის მიმართ?

იმის მოჩვენებითი თავდაჯერებით გაცხადებაც იოლია, ამის ახსნა არ გვჭირდება და არც არის საინტერესო. სირთულემ არ უნდა შეგვაშინოს.

გალაკტიონი ზერელედ და ჰაიჰარად არაფერს ამბობს. მისი ყოველი სიმბოლო, ყოველი ფრაზა გარკვეული მინიმუმების, კონკრეტული შინაარსის შემცველია.

ლომი და კურო მახარობლების სიმბოლოური გამოსახულებაა და გორელიეფების სახით უხვადაა ჩვენს ტაძრებზე. ხარი (კურო) ლუკა მახარობლის, ხოლო ლომი მარკოზის სიმბოლოური გამოსახულებაა. ფარშავანგი ქრისტიანობის მარადიულობის სიმბოლოა და ის ბარელიეფის სახითაა გამოსახული ტაძრებზე. გალაკტიონის მიერ ნახსენები „ფარშავანგების არე“ კი წმინდა არეა. ლექსის მომდევნო ბნკარში ნახსენები თვალთა ანგელოზები ქერუბიმები არიან, რომლებიც ფრთებით იფარავენ სახეს და ფრთებზე თვალები აქვთ გამოსახული. ამიტომ მათ თვალთა ანგელოზებსაც უწოდებენ. საკურთხეველზე სწორედ ეს თვალთა ანგელოზებია გამოსახული ღვთისმშობლის სიახლოვეს – საკურთხევის მარცხენა მხარეს (მარჯვნივ, როგორც წესი, მაცხოვარია გამოსახული). ერთი სიტყვით, გალაკტიონის პოეტური სტრიქონები გარკვეული რელიგიური შიფრის შემცველია და მისი ამოხსნა ინტერესმოკლებული, ვფიქრობ, სრულიადაც არ არის.

ზემოთ მოხმობილი ეს ოთხი ბნკარი, გაჯერებული რელიგიური სიმბოლიკით, საგანგებოდ შევარჩიე იმის ნიმუშად, თუ რაოდენ განაფული ყოფილა გალაკტიონ ტაბიძე ქრისტიანულ სახისმეტყველებაში და რა ოსტატურად იყენებს ამ ცოდნას სიმბოლისტი პოეტი, თუმც მისი ცოდნა ქრისტიანული სიმბოლიკისა და სახისმეტყველებისა სრულიადაც არ არის გასაკვირი, ამას ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლამ შეუწყობ ხელი. ეს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, XX საუკუნის ყველაზე დიდი ნოვატორი პოეტი მყარად ეფუძნება ტრადიციას. „მზეო თიბათვისას“ და „მერის“ ავტორი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოე-

ზიის უმძლავრესი რელიგიური ნაკადის გამგრძელებელიცაა და, როგორც ჩანს, დიდებულადაც აცნობიერებს მას.

გალაკტიონის პოეზიაში გარდატყდება ჩვენი ჰიმნოგრაფების სახესიმბოლოები თუ რუსთველიდან მომდინარე „საზეო“ მიჯნურობის იდეა... მართალია, გალაკტიონს „მამად“ აკაკი მიაჩნია, მაგრამ განწყობილებისა და რელიგიური განცდის მხრივ, შემოქმედების დასაწყისში, ნიკოლოზ ბარათაშვილთან ამჟღავნებს ყველაზე მკაფიო სულიერ ნათესაობას (თუმც არც აკაკის პოეზიისთვისაა უცხო რელიგიური ნაკადი).

გალაკტიონის სულიერი ძარღვი ზუსტად ამოიცნო ივანე გომართელმა, როცა პოეტის პირველ კრებულს წინათქმად წაუძღვარა – „სევედის მგოსანი“ (გ. ტაბიძე. „ლექსები“, ქუთაისი, 1914 წ.). აქ სათაურშივეა მინიმუმებული ბარათაშვილთან სულიერი თანაზიარობა. ვისაც ივანე გომართლის წინათქმა წაუკითხავს, დამეთანხმება, რომ კრიტიკოსს სწორედ „მერანისა“ და „სული ობოლის“ ავტორი მიაჩნია „Ave Maria“-სა და „ჩემი ვარსკვლავის“ ავტორის წინამორბედად. „დაწყველილი ყრმისა“ და „მარტოობის ორდენის კავალერის“ სულიერი ერთობა, უპირველესად, მღვივე ქრისტიანულ მრწამსშია საძიებელი.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გალაკტიონი არ ამყარებს სისხლხორცეულ კავშირს ჩვენს ჰიმნოგრაფებთან, რუსთაველთან, ვახტანგ მეექვსესა თუ დავით გურამიშვილთან, რომ არაფერი ვთქვათ ილიასა და აკაკიზე. გალაკტიონთან ისევე მძლავრობს რელიგიური განცდა, როგორც დასახლებულ პოეტებთან.

სასულიერო პოეზია არ შეწყვეტილა XI-XII საუკუნეებში, არ მთავრდება მიქაელ მოდრეკილითა თუ იოანე მინჩხით. ასე რომ იყოს, მაშინ რას მივაკუთვნოთ გრიგოლ ორბელიანის „ფსალმუნი“, ნიკოლოზ ბარათაშვი-



ლის „ჩემი ლოცვა“ ან გნებავთ ილიას „ლოცვა“, აკაკის „სულიკო“ თუ მისივე „ქებათა-ქება“, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ დიდ მისტიკოსზე, როგორიც დავით გურამიშვილია, საკუთარი თავი რომ დახატა მლოცველის პოზაში და მიანერა: „ეს კაცი ასე ილოცავს“.

აკაკის „ქებათა ქება“ ვახსენე. სათაურიდანვე ნათელია მისი ღრმა რელიგიურობა. აკაკი საღვთო სიყვარულზე ლაპარაკობს, იმ სიყვარულზე, რომელიც სამყაროშია განფენილი – „შენ, სიყვარულო! ცისა და ქვეყნის კავშირო და თან შუამავალო“. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს გალაკტიონის უმშვენიერესი ლექსი „უსიყვარულოდ“. აკაკის იმავე ლექსის სტრიქონებმა უბიძგა გალაკტიონს, შორეული ქალის ემზის ნატვრისას, მომაკვდავი გედის სიმღერისათვის შეედარებინა საღვთო ტრფიალებით ატაცებული პოეტის საგალობელი. გავიხსენოთ აკაკი:

*რომ მეც, გედივით, სიკვდილის  
ნინეთ  
უცნაურ ჰანგზე ჩავიხმატკბილო.*

შდრ:  
*სიცოცხლეში თეთრი გედი მხოლოდ  
ერთხელ მღერის.  
(გალაკტიონი)*

გალაკტიონი თითქოს საგანგებოდ ცდილობს ქართული პოეზიის მაგისტრალური ხაზის გამთლიანებას. ამდენად, პოეტის ღმერთთან მომართების საკითხი მისი შემოქმედების მთავარი თემაა. აქედან გამომდინარე, არა მარტო ტრადიციულ სახე-სიმბოლოებს იყენებს, არამედ ამა თუ იმ პოეტის ცნობილი ლექსისა თუ თემის ვარიაციასაც მიმართავს.

პოეზიის ყოველ მოყვარულს ახსოვს ბარათაშვილის „ჩემს ვარსკვლავს“. გალაკტიონიც ისევე წარმოიდგენს ვარსკვლავიერ ნათელს ღვთაებად, როგორც ბარათაშვილი. ჯერ ტატოს მოვუსმინოთ:

*რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,*

*მაინც გიცნობ მშვენიერის ცის  
მთენო,  
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,  
მაღბინებელ დაბინდულის  
გულისა!*

გალაკტიონს არაერთი ლექსი აქვს მსგავსი სათაურით: „Astra“ („ვარსკვლავი“) „ჩემი ვარსკვლავი“, „ვარსკვლავია“. ისინი იმ აზრობრივ შინაარსს შეიცავს, რასაც ბარათაშვილის „ჩემს ვარსკვლავს“.

„ვარსკვლავი“ ახალ აღთქმაში ქრისტეს სიმბოლოდაა მოაზრებული: „მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი, და ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“ (გამოცხ. ი. 22, 16). გალაკტიონის ზემოთდასახელებულ ლექსებშიც ვარსკვლავი ქრისტეს ხატებაა.

ლექსში „ვარსკვლავია“ წუხს კიდევც, რომ ბარათაშვილისა არ იყოს, „ვერს ცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს“. მოვუსმინოთ გალაკტიონს:

*ეხლა, გამახსენდა როცა ყოველივე  
ყველა, ყველაფერი  
არის გაჩენილი ამოებისთვის,  
მხოლოდ შენ ანათებ!  
ნეტა არსებობდეს სიტყვა  
ქვეყანაზე  
ამის დამხატავი,  
ნეტა არსებობდეს გული ქვეყანაზე  
ამის შემგძნობელი,  
ნეტა არსებობდეს აზრი ქვეყანაზე  
ამის შემცნობელი.*

გალაკტიონის მრწამსს ძალზე მკაფიოდ გამოხატავს პირველ პოეტურ კრებულში შესული ლექსი „ქრისტე“, რომელიც, სამწუხაროდ, პოეტურად სუსტია არა მხოლოდ იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, გალექსილია ქრისტიანობის ზნეობრივი პრინციპი: „გიყვარდეს მტერი შენი!“ არამედ პოეტური ტექნიკისა და რიტმიკის თვალსაზრისითაც იგი XIX საუკუნის პოეტურ მანერას იმეორებს.

საერთოდ გალაკტიონის პირველ ნიგნში ნაკლებადაა სიმბოლისტური

სტილისტიკა – მინიშნებები, ნახევარ-ტონები, რთული და ასოციაციური პოეტური სახეები. ყოველივე ეს უზადლოდ „არტისტულ ყვავილებში“ განსხეულდა. „არტისტულ ყვავილებში“ თითქმის ყველა ლექსი რთული, მაგრამ მომხიბლავი სიმბოლიკით იტვირთება.

გალაკტიონის სიმბოლო პოლივალენტურია და ნაკითხვათა ნაირგვარობის საშუალებას იძლევა. ემპირიული სინამდვილეც კი ხშირად მინიშნებებისა და სიმბოლოების მეშვეობით გვეძლევა, ტრანსცენდენტური მით უფრო. გალაკტიონმა იცის, რომ ღვთაებრივი იდუმალების წვდომა ლოგიკური განსჯით შეუძლებელია. ღვთაებრივი იდუმალება სახე-სიმბოლოებით, ასოციაციური მინიშნებებით თუ გამოიხატება მხოლოდ. სამწუხაროდ, არ მივაქციეთ ჯეროვანი ყურადღება პოეტის სიტყვებს, სასხვათაშორისო ნათქვამად ჩავთვალეთ, თორემ საკუთარ მხატვრულ მეთოდზე თავად მიგვანიშნა: „ნუ მოაცლი ციურ რიდეს, რომ ბურუსი ჩნდებოდეს“. გალაკტიონის სახე-სიმბოლოებსაც ნისლოვანება ფარავს. ამჯერად, გალაკტიონის იმ ლექსს გაავანალიზებთ, რომლის აზრობრივი შინაარსის ამოსაკითხად ქრისტიანული სახისმეტყველების გათვალისწინებაა აუცილებელი. როგორც ითქვა, ქრისტიანული სახისმეტყველების გალაკტიონისეული ცოდნა საკმაოდ სრულყოფილია, ყველაფერს საგანგებოდ უღრმავდებოდა პოეტი.

1912 წელი. მიხეილ ბოჭორიშვილისადმი გაგზავნილი წერილიდან: „თავში აზრად მომივიდა პოემის „ქრისტე უდაბნოში“ დაწერა, ამიტომ, თუ სადმე საღვთისმეტყველო წიგნები მაქვს, გატაცებით ვკითხულობ“ (გ. ტაბიძე, ტ. 12, 1975, გვ. 46).

შემდგომში პოემა „ქრისტე უდაბნოში“ აღარ დაწერილა, თუმცა მაცხოვრის მინიერი ყოფის დეტალებზე არაერთ მინიშნებას ვიპოვით გალაკტიონის ლექსებში. მეტიც, პოეტურ სიტყვაში

ჯვარცმის მისტერიაც კი აქვს გადმოცემული, თუმცა ამგვარ განსაზღვრებას – პოეტური სიტყვა – შეიძლება არც კი დაეთანხმოს ის, ვისაც ბოლომდე შეუგრძენია მშვენიერება ლექსისა – „მას გახელილი დარჩა თვალები“. იგი უფრო მეტია, ვიდრე პოეტური სიტყვიერების ნიმუში; ის მწუხრის საგალობელია, რომელსაც, როგორც ჭეშმარიტ საგალობელს, მუსიკალური მელოდიაც ახლავს ან, უფრო ზუსტად, ის რეკვიემია, ჯვარცმის რეკვიემი. სწორედ რეკვიემის კვალობაზე, მას სამგლოვიარო ხასიათიც აქვს და იმდენად მელოდიურია, გეჩვენება: თითქოს ნამდვილი მუსიკალური რეკვიემის დარად გუნდისა და ორკესტრის თანხლებით სრულდებოდეს. მოდით, ერთად გავიხსენოთ უმშვენიერესი პოეტური ქმნილება:

**„მას გახელილი დარჩა თვალები“:**

*მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო,  
მზე მიიცვალა ღია თვალებით,  
ის მიიცვალა რაღაც უმზეო და  
საოცარი გარდაცვალებით!*

*მას გახელილი დარჩა თვალები,  
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!  
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა  
და გახელილი დარჩა თვალები!*

*და ეს თვალები საღამოთა ხმას  
უსმენდნენ ტანჯვით და  
მოკრძალებით:  
მას გახელილი დარჩა თვალები,  
ოჰ, გახელილი დარჩა თვალები!*

*რა ხდება იქით! საიდან ისმის  
მგლოვიარეთა ქნართა:  
„მშვიდობით“?  
უეცრად სწყვეტენ სიმები სიცილს  
უამინდობით... უამინდობით!*

*საიდან ისმის ჩუმი გალობა  
და უღონობა სუნთქვის  
შემწყდარის,  
წამების წყნარი წარმავალობა*

და მოგონება ძვირფასი მკვდარის?  
მიდის ზაფხული... ბალში, მდელოში  
სისინებს სიო, შრიალებს ნეშო,  
მე ისევ აქ ვარ... საქართველოში!  
რისთვის ძვირფასო! რისთვის  
ნუგეშო?

და ეს თვალეები სერაფიმთა ხმას  
უსმენდნენ ტანჯვით და  
მოკრძალებით,  
მას გახელილი დარჩა თვალეები,  
ოჰ! გახელილი დარჩა თვალეები!

მივალ, მიმყვება მე შენი ცქერა  
და ხავერდებზე ეცემა ჩრდილი,  
ყველგან უჩინრად ტირის ცერერა,  
თვალეები ცივი და გახელილი.

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე  
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი?  
მე გზა არ ვიცი უახლოესი:  
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.

მას გახელილი დარჩა თვალეები,  
ოჰ, გახელილი დარჩა თვალეები!  
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა  
და გახელილი დარჩა თვალეები!

ახლა კი გალაკტიონისეული ინტეგ-  
რალების ამოსახსნელად პროზაულად  
უნდა გარდავთქვათ მისი ირაციონა-  
ლური პოეტური ხილვები.

აშკარაა, გალაკტიონის პოეტური  
რეკვიემი იმ „ძვირფასს მიცვალებულს“  
ეძღვნება, ვინც ევნო და ენამა, მაგრამ  
ვისთვისაც ეს ვნება-წამება დროებითი  
და წარმავალია, რადგან ამ შემთხვევა-  
ში სიკვდილი სრულიადაც არ არის და-

სასრულის მაუნყებელი.

რა შეიძლება ითქვას, ვინაა ეს  
„ძვირფასი მკვდარი“, ვისაც გახელი-  
ლი დარჩა თვალეები? ვისი თვალეებიც  
„სერაფიმთა ხმას უსმენდნენ“ ისეთი  
„ტანჯვით და მოკრძალებით“, თითქოს  
მწუხრის საგალობელს ზეციური გუნდი  
ასრულებდეს, რადგან მას ზეცასთან  
გაცილებით მეტი აკავშირებს, ვინემ იმ  
მინიერ სამყოფელთან, სადაც ეს კოს-  
მიური მისტერია სრულდება. გალაკ-  
ტიონი სრულიად მკაფიოდ უწოდებს  
მინიერ სამყოფელს – „**უცხო მხარეს**“.  
(„**ის უცხო მხარეს გარდაიცვალა** და გა-  
ხელილი დარჩა თვალეები“, მთავარია,  
„რა ხდება იქით“, ზეციურ მხარეში?!).

მოქმედების დროს თითქოს არც უნ-  
და ჰქონდეს მნიშვნელობა, მაგრამ მა-  
ინც კონკრეტდება – სალამოს ჟამი („და  
ეს თვალეები **სალამოთა** ხმას უსმენდნენ  
ტანჯვით და მოკრძალებით“).

ტრაგიკულია სიკვდილით გამოწვეული  
განცდა, მაგრამ ლექსის ლირიკული გმი-  
რისათვის სხვაგვარ სიცოცხლეზე ოცნება  
და სხვაგვარი აღსასრული შეუძლებლად  
მიიჩნევა. აქ **სიკვდილი განიცდება**, რო-  
გორც ერთადერთი და **ჭეშმარიტი გზა**:

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე //  
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი?

**მე გზა არ ვიცი უახლოესი; // ერთადერ-  
თი გზა არის სიკვდილი.**

ეს არ არის ჩვეულებრივი, პიროვნული  
სიკვდილის განცდა. იგი მესიანისტური  
მსხვერპლშენიშვებაა. ესაა სიკვდილი აღ-  
დგომისათვის, სულიერი ცხოვრებისათ-  
ვის. ასეთი სიკვდილი კი მხოლოდ იმის  
ხვედრია, ვისაც შეეძლო ეთქვა: „მე ვარ  
გზაი და ჭეშმარიტებაი“ (იოანე 14,6)<sup>1</sup>.

1 გალაკტიონის ლექსში აშკარად მეორდება „მერანის“ ბარათაშვილისეული პარადიგმა –  
მაცხოვრისადმი მიმართვა: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება/  
და **გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო** ჩემო, მაინც დარჩება“. ბარათაშვილისეული უვალი  
გზის გამკვალავი ის არის, რომლის სულისკვეთებაც („განწირულის“ სულისკვეთება და  
არა „განწირული“ სულისკვეთება) უკვალოდ არ ჩაივლის და დარჩება. მერანის სახე-  
სიმბოლიკის შესახებ იხ. ჩემი წერილი „მერანის“ ქარაგმა“, „ცისკარი 1852“, №5, 2017წ.

მაცხოვრის ზემოთ მოხმობილი სიტყვები ყოველმა განათლებულმა მკითხველმა იცის. ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ მზე მაცხოვრის მატერიალური სახეა. დავით გურამიშვილი გავიხსენოთ: „**ძე ღვთისა მხოლოდშობილი, მზე სიმართლისა იქოსა**“, ასე რომ, „მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო“ და „მზე მიიცივალა ღია თვალებით“ აშკარად მაცხოვრის ჯვარცმზე მიუთითებს. ამიტომაც ითქვა ზემოთ, რომ გალაკტიონის ეს ლექსი ჯვარცმის რეკვიემია. ამაზე არა მარტო ლექსის შინაარსი მეტყველებს, არამედ არაერთი პოეტური სახე და სიმბოლო, რომელთაგან მხოლოდ ერთია უშუალოდ გალაკტიონის კუთვნილება („მზეო თიბათვისა“), სხვები კი მინიშნებებია, რომელთა ამოკითხვა არ გაუჭირდება ქრისტიანულ სახისმეტყველებაში გარკვეულ (თუ საზოგადოდ სახარების შინაარსს გაცნობილ) მკითხველს. ესენია ლექსში ნახსენები: „გახელილი თვალები“, „სალამო“, „უამინდობა“, „ზაფხული“...

„**მზე სიმართლისა**“ – ეს გამოთქმა კარგადაა ცნობილი ნიგნიერი მკითხველისათვის. იგი ძველი აღთქმიდან მომდინარეობს: „და აღმოგიბრწყინდეს თქვენ მოშიშთა სახელისა ჩემისაი **მზე სიმართლისა** და კურნებაი **შორის ფრთეთა მისთა**“ (მალაქია 4, 2).<sup>2</sup>

„მზე სიმართლისა“ – მაცხოვრის ეს მეტაფორული სახელი ხშირად გვხვდება ჩვენს ჰიმნოგრაფებთან. „ნისლი იგი ცოდვისაი განიბნია და მზე სიმართლისაი გამობრწყინდა“, – ვკითხულობთ ქრისტესადმი მიძღვნილ იოანე მტბევეარის საგალობელში.

გალაკტიონმა „მზე სიმართლისას“

ამჯობინა მისი ანალოგიით შექმნილი შესიტყვება – „მზეო თიბათვისა“. რატომ მოიქცა ასე პოეტი? ჯერ ერთი, მან სრულიად ახალი, მხოლოდ მისეული პოეტური ხატი შექმნა – „მზეო თიბათვისა“, მეორეც, გალაკტიონი, სიმბოლისტური პოეტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ყოველთვის ამჯობინებს მინიშნებას და მესამეც, სახეობრივ სიახლესთან ერთად მან სხვა შინაარსიც ჩადო ლექსში. სწორედ თიბათვეშია მზე ტატნობაზე ყველაზე მაღლა.

გალაკტიონი თვითმხილველის გზებით გადმოგვცემს ჯვარცმის მისტერიას. ეს არცაა გასაკვირი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რელიგიური ცნობიერებისათვის საღვთო მოვლენა არ განიცდება, როგორც ერთჯერადი აქტი, ის მარადიულად მყოფობს. ამიტომ ჩართო გალაკტიონმა ანმყო ქრისტეს ჯვარცმის აღწერაში.

*მიდის ზაფხული... ბაღში, მდელოში  
სისინებს სიო, შრიალებს ნემო,  
მე ისევ აქ ვარ... საქართველოში!  
რისთვის, ძვირფასო! რისთვის  
ნუგეშო?*

აქ წარსული და ანმყო ერთიანია. წარსულში მომხდარს მარადიული მნიშვნელობა ენიჭება. შეუძლებელია, წარსულში დარჩეს და მხოლოდ გალექსვის საგნად იქცეს ის დიდი მისტერია, რაც ამ ლექსის თემაა. ის ისევე მარადიულია, როგორც იმისი მზერა, ვისაც ეს ლექსი ეძღვნება. ამიტომაც ნათქვამი გასაოცარი სინაზით, გალაკტიონისეული ლირიზმით:

<sup>2</sup>კურნებაი შორის ფრთეთა მისთა“ – აქედან მომდინარეობს გალაკტიონის სხვა პოეტური სტრიქონიც – „იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, **ფრთებით დაიფარე** ამას გვედრები“. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ პოეტი მაცხოვრის სიყვარულზე ლაპარაკობს. ისიც გასაგებია, თუ რა არის მიზეზი ვედრებისა – რატომ უნდა დაიფარონ იგი: ნიცმეს ეპოქა და წყალი შესდგომია ქრისტიანულ მრწამსს. აქ სწორედ ეს ნუხილია გამჟღავნებული, ისევე როგორც სხვა ლექსში: „ვით ავიტანოთ უმადონობა, როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა“ ან დანანებითი ამოძახილი უღმერთობის გამო: „არასდროს თქვენთან იქ არ ყოფილა ნაზარეველი“ – („სამშობლო შავი ლიუციფერის“).

*მივალ, მომყვება მე შენი ცქერა,  
და ხავერდებზე ეცემა ჩრდილი,  
ყველგან უჩინრად ტირის ცერერა  
თვალები ცივი და გახელილი.*

გალაკტიონი შეგნებულად შლის დროის საზღვარს და ზემომოხმობილ სტროფებს შორის ისევ უბრუნდება მაცხოვრის ვნებას:

*და ეს თვალები სერაფიმთა ხმას  
უსმენდნენ ტანჯვით და  
მოკრძალებით,  
მას გახელილი დარჩა თვალები,  
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!*

ერთი შეხედვით უცნაური სურათი, რომელიც ლექსის სათაურადაცაა გატანილი – „მას გახელილი დარჩა თვალები“ – კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მაცხოვარზე. ამ სიმბოლიკის არსი ცნობილია ქრისტიანულ სახისმეტყველებაში. იგი მაცხოვრის ერთ-ერთ სახე-სიმბოლოს, ლომს, უკავშირდება. „ვითარცა ლომმან მიყრდნობით მიიძინა“, – ასეთია ქრისტეს მიცვალების მხატვრული მოაზრება იოანე მინჩხთან.

ბასილი კესარიელის თანახმად, ლომი ერთ-ერთი უპირველესი თვისებით უკავშირდება მაცხოვარს: „რაჟამს სძინავნ, მღვიძარე არიედ თვალნი მისნი“. იქვეა განმარტებული, რომ ეს არის მინიშნება მაცხოვრის სულის მარადიულ მღვიძარებაზე: „ხოლო ღმერთებაი იგი მღვიძარე არს მარადის, მარჯვნივ მამისა“ („მატბერდის კრებული“. გვ. 176). ამიტომ არის თვალგახელილი ვნებული და ჯვარცმული ღმერთი გალაკტიონის ლექსში და ჩვენც სულის მღვიძარები-საკენ გვიხმობს.

როცა ლექსის ძირითადი აზრობრივი შინაარსი ამოკითხულია, მაშინ უფრო გასაგები ხდება ცალკეული მინიშნებები: „ძვირფასი მკვდარი“, „ის უცხო მხარეს გარდაიცვალა“, „სალამო“, „უამინდობა“, „ზაფხული“, „ცერერა“.

„სალამოსა“ და „უამინდობის“ ხსენებით გალაკტიონი ქრისტეს ჯვარცმის ჟამზე მიგვანიშნებს. „უამინდობაში“ იგულისხმება მზის დაბნელება, რომელიც ქრისტეს ჯვარცმისას – ექვსიდან ცხრა საათამდე მოხდა. არა მარტო ჯვარცმისას, არამედ, საერთოდ, ახალ აღთქმაში ჭირი და ვაება გამონატულია მზის დაბნელებით.

სიკვდილ-სიცოცხლის წარმართული ღვთაების – „ცერერას“ – ხსენებაც მკვდრეთით აღდგომაზე მიუთითებს.

არც „ზაფხულია“ შემთხვევით მოხმობილი და არც „ბალი“ („მიდის ზაფხული... ბაღში მდელიში“). ლექსში, რომელშიც ჯვარცმაა ასახული, სრულიად ბუნებრივია „ბალის“ ხსენება. იმ ადგილას, სადაც მაცხოვარი აცვეს ჯვარს, ბალი იყო. მოვუსმინოთ იოანე მახარობელს: „იყო ადგილსა მას, სადაც, ჯვარს-ეცვა, მტილი“ (მტილი= ბალი).

სიტყვები: „მიდის ზაფხული“ მაცხოვრის მოლოდინზე მიანიშნებს, რადგან გამოძახილს პოეზის სახარების იგავთან, რომლითაც მაცხოვარი განუმარტავს მოწაფეებს – მეც ისევე მოგცემთ ნიშანს ჩემი მეორედ მოსვლის შესახებ, როგორც ლეღვის რტოთა დარბილება და ფოთლების გამოსხმა მიანიშნებს, „უწყოდეთ, რამე თუ ახლო არს ზაფხული“ (მათე 24,33).

საერთოდ მაცხოვრისა და ღვთისმშობლის მონატრება ხშირია გალაკტიონის პოეტურ საგალობელში („როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა, ვით ავიტანოთ უმადონობა“). ეს არცაა გასაკვირი. იგი არა მხოლოდ აგრძელებს წინაპარ შემოქმედთა ტრადიციას, არამედ თავად არის უმძაფრესი რელიგიური განცდის პოეტი, რომელიც სწორედ პოეზიის მეშვეობით ეზიარა ღვთაებრივს:

*არის წმინდა პოეზია და მუსიკა არის შორი...  
არის საღვთო ბილიკები ამ  
სივრცისკენ მიმავალი.*



მარია ფილინა

### რომანი „სოლო მონო“ – უსულო სულის ლაბირინთები – გამოსავლის ძიებაში

ალექსანდრ პოტიომკინის ახალმა რომანმა „სოლო მონო“ დიდი რეზონანსი პოვა რუსეთის ბეჭდურ მედიასა თუ უამრავ სატელევიზიო გადაცემაში. მას „მსოფლიო ლიტერატურის შედევრადაც“ კი მოიხსენიებენ. მოდით, შევთანხმდეთ, ასეთი წოდება ნაწარმოებს მხოლოდ დრომ უნდა მიანიჭოს. მაგრამ, უდავოა, ამ გამორჩეულმა ნაწარმოებმა უკვე გამოიწვია ცხარე კამათი და გამოკვეთა შეხედულებათა პოლუსები – აღფრთოვანებიდან მოყოლებული გაოგნებასა და უარყოფით დამოკიდებულებამდე.

საერთოდ, ამ მწერლის ყველა ნაწარმოები თავისი განუმეორებელი მსოფლალქმითა და უჩვეულო ბედისწერით, დროდადრო იდუმალებით მოცული, პოლემიკას იწვევს სრულიად განსხვავებული დაჯგუფებების ლიტერატურის კრიტიკოსებს, ფილოსოფოსებს, სოციოლოგებსა და კულტუროლოგებს შორის.

ალექსანდრ პოტიომკინი სოხუმში დაიბადა 1947 წელს. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. მოგვიანებით გერმანიაში გადავიდა, ამჟამად კი ოჯახთან ერთად ესპანეთში სახლობს, თუმცა მისი „ცხოვრებისეული მოღვაწეობის“ გეოგრაფია დიდად არ ჩამოუვარდება მისი ინტერესების

სფეროს: მჭიდრო კავშირი აქვს საქართველოსთან, რუსეთთან, გერმანიასა და ესპანეთთან. უკვე რამდენიმე წელია, შემოდგომობით იგი თავისთან, ერთგვარ „პოტიომკინის კითხვაზე“ ეპატიჟება სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატორებს, მთარგმნელებს, ჟურნალისტებს, კრიტიკოსებს...

ბოლო კონფერენცია დაეთმო თემას, რა ბედი ელის რომანს გლობალისტიკის ეპოქაში. აქ უშუალო ატმოსფეროში განიხილება მწერლის ახალი ნაწარმოებები და თანამედროვე ლიტერატურისა და კულტურის ბევრი საკითხი.

როგორც წესი, ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაცია საქართველოდან არის ხოლმე, რაც სრულიად ბუნებრივია. საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი გაბრიელ ნამთალაშვილი – საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი – დიდი ხნის წინათ მწერლის პირველი უფროსი იყო – ეს მან მიიღო ჭაბუკი ალექსანდრე „ლიტერატურნაია გრუზია“-ში სამუშაოდ. ალექსანდრ პოტიომკინი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, 2016 წელს წმინდა ილია მართლის ორდენით დააჯილდოვეს. პროზაიკოსს ჯილდო გადასცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა. შეხვედრის მონაწილეთა შორის იყვნენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის პროფესორები მარია ფილინა, ნათელა ნადიბაიძე, ილონა ძნელაძე. კონფერენციაში ჩართულნი იყვნენ მოსკოველი კრიტიკოსები და ფილოსოფოსები, ალექსანდრ პოტიომკინის მთარგმნელები პოლონეთიდან, საფრანგეთიდან, უკრაინიდან, ბულგარეთიდან და ყაზახეთიდან, მეცნიერები ისრაელიდან და სომხეთიდან. ამ შეხვედრების მონაწილეთა სპექტრი ფართოა და, ბუნებრივია, ისინი არ შემოიფარგლება მხოლოდ სემინარების მასპინძლის შემოქმედებაზე მსჯელობით; ისინი გვაძლევენ შესაძლებლობას, ვიგრძნოთ „დროის მარჯისცემა“, მივიღოთ ენერჯია სრულიად განსხვავებული შეხედულებების მქონე შემოქმედებთან ურთიერთობით.

ირგვლივ კი სამხრეთი ესპანეთია – ევროპის ღვთაებრივი კუთხე, ამიტომაც პროზაზე მსჯელობა პოეტურ ატმოსფეროში მიმდინარეობს. მარბელი სალვადორ დალის სკულპტურათა ხეივანი; ესტეპონა, რომლის მერიამიც ჩატარდა 2015 წლის კონფერენცია; მაღაგა განსაცვიფრებელი მავრიტანული არქიტექტურითა და პიკასოს მუზეუმით. ალექსანდრ პოტიომკინი ანგრევს კიდევ ერთ მითს, ფესვგამჯდარს რუსულ სიტყვიერებაში, მითს იმის თაობაზე, რომ მწერალი უფრო ხშირად მატერიალურ სიღუბეშია ქმნის.

პროზაიკოსი, ფინანსისტი, ბიზნესმენი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრ პოტიომკინი იმდენად მრავალმხრივი პიროვნებაა, რომ ზოგჯერ გეჩვენება: მისი ინტერესების სფეროებმა შეუძლებელია ერთმანეთი გადაკვეთონ. მაგრამ ის წარმატებას აღწევს ყველაფერში, რაც კი მისი საქმიანობის არეალში მოექცევა. გაოგნებს შეუთავსებლობა ავტორის უდავო წარმატებებსა და მის მიერ შექმნილი რომანების სამყაროს ღრმა ტრაგიზმს შორის, სამყაროსი, რომელიც სავსეა სულის ხვეულებში პირქუში წონილით.

სწორედ იქ დაეხეტებიან ალექსანდრ პოტიომკინის რომანების მრავალრიცხოვანი პერსონაჟები. ავტორი განჩხრეკს თანამედროვე რუსი ადამიანის გონებას და გვიჩვენებს, რომ შეუძლებელიც კია, მას ადამიანი უწოდო. ჩასწვდე ჭკუიდან გადასულის ცნობიერებას, ძნელია, მაგრამ შესაძლებელი, ეს გახლავთ მწერლის ერთ-ერთი ამოცანა: გადალახოს მკითხველის წინააღმდეგობა და დაგვიმტკიცოს, რომ კითხვა – ეს მძიმე შრომაა. მრავალ ენაზე თარგმნილი რომანები: „განდევნილი“, „კაბალა“, „ადამიანი გადაიდო“, „რუსი პაციენტი“, მინირომანები: „მე“, „მოთამაშე“, „ემმაკი“, „მანია“ „ანტიმასობრივი“ ლიტერატურაა. ამ მიმართებით პოტიომკინი განაგრძობს რუსული სიტყვიერების მაგისტრალურ ხაზს და ამტკიცებს, რომ ლიტერატურის საქმე სულაც არ არის თავშესაქცევი რამ და რომ ბელეტრისტიკა, მისი ძველისძველი გაგებით, მეორეხარისხოვანი ცნებაა. საუკუნეთა მანძილზე რუსეთში მიაჩნდათ: ლიტერატურის ვალია, გამოაფხიზლოს ადამიანთა გონება, უპასუხოს მარადიულ შეკითხვებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტია, პასუხები კი სულ უფრო ნაკლები.

რომანები შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც „ფილოსოფიური ტრილერი“. თავის შექცევას – ლიტერატურის ამ ახალ ფუნქციას პოტიომკინი უმწვავესად აკრიტიკებს, როგორც, საერთოდ, „დროსტარების“ უაზრო სურვილს. გართობა თითქოსდა ცოდვაა, რუსულ ვარიანტში ადამიანის მიერ ადამიანის დამცირებად გარდაქმნილი. ის სულაც არ გახლავთ სულისა და სხეულის დასვენება, რამდენადაც სულიერება განადგურებულია, გართობა გადაიქცევა სულის ნარჩენების სისაძაგლის გამოხატულებად – აბუჩად აგდებად, ნაბილწვად, დასნებოვნებულ კონკურენციად და ეშვება სამზარეულოში კონკურენტის დახერხვასა და მის ხორ-

ცსაკეპ მანქანაში ჩაყრამდე („ადამიანი გადაიდო“). პოტიომკინი შეუწყნარებელია ახალი მდიდრების სამყაროსადმი: ეს, უბრალოდ, მახინჯთა კრებული კი არ არის, ეს პირდაპირ ურჩხულთა საკრებულოა. „გლამურის“ სამყარო, რომელსაც ავტორი „შიკერიად“ მოიხსენიებს, არის სიმახინჯის სამყარო, სადაც არ არსებობს გამონაკლისი. საერთოდ, გახერხვა, ნაწილ-ნაწილ აკუნვა მთელრიგ რომანებს გასდევს. ეს მტკიცე სახეა – დანაწევრებულ სულს დანაწევრებულ სხეულთან მიყვავართ. ისინი ერთბაშად კი არ ქრებიან, არამედ ტანჯვის სხვადასხვა ეტაპს გაივლიან. ასეთი ბედი ელის სულიერებისგან დაცლილ სამყაროს.

დოსტოევსკის რომანები – იდეური, პოლიფონიური, უდავო ნიმუშად იქცევა პოტიომკინისთვის, რომელსაც კონკრეტული იდეა ლოგიკურ, უფრო სწორად, ლოგიკას მოკლებულ დასასრულამდე მიყავს. და არა მხოლოდ დოსტოევსკისა, არამედ, საერთოდ, კრიტიკული ლიტერატურისა, რომელსაც აწუხებს მთელი კაცობრიობის ბედ-იღბალი. პოტიომკინი სოციოლოგ-ექსპერიმენტატორი, ფსიქოლოგ-ექსპერიმენტატორია. სამყარო სავსებით მოკლებულია სულიერებას, მან კი შეძლო, შეექმნა საკუთარი სამყარო და ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. ის ატარებს ექსპერიმენტს: სადამდე შეიძლება დაეშვა, როცა ყოველივე გაუფასურებულია, როცა ფულისა და ძალაუფლების მაგია ერთიანი და ერთადერთია. ფული – კაცობრიობის ნამოღვანარის პროდუქტი – თავისი არსით მეორადია, ის ძირითადი ინსტინქტების გაჩენასთან შედარებით ძალიან გვიან გამოიგონეს, მაგრამ მან შეძლო, გარდაქმნილიყო ქცევის ნამყვან მოტივაციად, ანუ როგორღაც იქცა პირველად მოვლენად.

დოსტოევსკი სიმბოლოა ადამიანური ტანჯვისა და ადამიანის „იატაკქვეშა“ ბუნების ცოდნისა. მან ჩაიხედა მა-

ნამდე მიუწვდომელი სიღრმის ფსკერში და შეძრწუნდა. და მასთან ერთად შეძრწუნდა მთელი სამყარო – მაინც რამდენი რამ არის ამ ქვეცნობიერში მრუდი და უგუნური, საშინელი და დაუშვებელი. მერე ყოველივე დასაშვები გახდა და მას შემდეგ, რაც ნიციუმ ღმერთის სიკვდილის თაობაზე განაცხადა, მისგან „წარმოებულმა“ ადამიანმა, როგორც ღმერთის ქმნილებამ, კვდომა დაიწყო, ყოველ შემთხვევაში, ხელოვნებაში მაინც – თანდათანობით, დროდადრო კი დიდი სიჩქარით. ფროიდთან ის ინსტინქტებისა და კომპლექსების ადგილად იქცა, ეკზისტენციალისტებთან – ერთეულად, რომელიც თავისი არსებობის სიმარტოვეში არავის არ უკავშირდება; კომუნისტებთან და ფაშისტებთან იგი სხვადასხვა სახით გადაიქცეოდა ჭანჭიკად იდეოლოგიისა, ხოლო მას შემდეგ, რაც გაუქმდა ეს იდეოლოგია, რომელიც ძალის მემკვიდრით უნარჩუნებდა ადამიანს „მორალურ სახეს“, პოსტმოდერნიზმმა დაიწყო შინაგანად და გარეგნულად ნგრევის პირას მისული სამყაროს აღწერა ათასწლეულების მანძილზე კლასიკოსთა მიერ შექმნილ საერთო საკაცობრიო ღირებულებათა საგანძურის ახლებური გადაფასებით. ლიტერატურის სამყარო ციტატურად – შერყვნილ ციტატებად – იქცა. ნებადართული გახდა, მოახდინო ფილოსოფიისა და ხელოვნების ნებისმიერი პოსტულატის პრეპარირება და ამტკიცო, რომ დღევანდელ მსხვერველ ცნობიერებაში ყოველივე სხვაგვარია, გამოცარიელებული და ამოყირავებული.

პოტიომკინის მხატვრულ-ფილოსოფიური კონცეფცია – დღევანდელი სამყაროს მოდელის შექმნის მცდელობა, ეს გახლავთ უკვე არსებულის კონსტატაცია და მომავლის სამყაროს მოდელირება. ეს არის მოდელი ავის მომასწავებლის, ჰიპოთეტურის, თუკი პროცესები იმ გზით განვითარდება,



რომელსაც ავტორი წინასწარმეტყველებს – ე.ი. საყოველთაო ნგრევის მიმართულებით.

უბრალოდ გაბედულებას კი არა, კადნიერებასაც უნდა ფლობდე, რათა არათუ არ დაფარო ალუზიები დოსტოევსკისთან, არამედ საკუთარ ნაწარმოებებს „მოთამაშე“ და „ეშმაკი“ უწოდო.

კადნიერებას გამართლება აქვს, თუ მემკვიდრე გზას განაგრძობს (არ ვამტკიცებთ, რომ ეს ხდება უკეთ ან უფრო სიღრმისეულად). ჩვენი თანამედროვე კი, უდავოა, გზას ცხოვრების კვალდაკვალ უფრო შორს მიუყვება. პოტიომკინის ტიპოლოგიური მახასიათებელია, აბსურდამდე, ბოლო ზღვრამდე მიიყვანოს ძველი, დიდი ხნის იდეები.

ახალ რომანში „სოლო მონო“, რომელიც მოსკოვის გამომცემლობა „По-По“- მა დასტამბა, შესულია ამ სტრიქონების ავტორის ბოლოთქმა სახელწოდებით „სოლო Homo-ა? (სულის ტაიგური ხეტიალი)“. რომანმა თავისი სირთულით თვით ყველაზე მუყაითი მკითხველებიც კი გააოცა. ეს გახლავთ რომანი-გამონევეა და მისი ტონი უკვე ავტორისეულ ანოტაციაშივე აისახება: „პატივცემულო მკითხველო! თუ თქვენი HIC („ეიჩ-აი-სი“, გონიერების უმაღლესი გამოხატულება, higher intelligence consciousness) ასზე ნაკლებია, გთხოვთ, ნუ შეიძინებთ ამ წიგნს – მისი ნაკითხვით, ვვარაუდობ, ვერანაირ კმაყოფილებას ვერ იგრძნობთ“. ასეთი გზავნილის მიღებისას ბევრი ვერ შეძლებს, აღიაროს საკუთარი უმწეობა და მკითხველიც უზრუნველყოფილია – იწყებ ტექსტის საოცარ ქსოვილში ჩაყვინთვას. თუ ავტორს იმის მიღწევა სურდა, რომ რომანი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ წაეკითხათ, მან ამას მიაღწია.

სწორედ HIC წარმოადგენს რომანის ძირითად შემადგენელს, თანაც ინტელექტის დონე პირდაპირ უკავშირდება კაცობრიობის ბედს, რაც კაცთა მოდგმის ცნობიერებისა და აზროვნების

შესაძლებლობებისადმი დღევანდელი მოჭარბებული ინტერესის კონტექსტშიც კი ერთობ ორიგინალური ჩანს. რაც შეეხება პერსონაჟის შერჩევას, რომელმაც კაცობრიობის სრულყოფის მისია იკისრა, ეს, უბრალოდ, გამოგნებელია. ახალგაზრდა კაცი, გვარად მახორკინი და ბევრის მთქმელი სახელით – ფიოდორ მიხაილოვიჩი, წარმოშობით პატარა ქალაქ სივიაია მასკადან, რომელიც პოლარულ წრესთან მდებარეობს, მშობლიური ადგილებიდან ფეხით დაუყვება ასტრახანისკენ, შესაძლო სპონსორ პენტაკლინთან შესახვედრად, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, დააფინანსოს და ცხოვრებაში განახორციელოს მისი, მახორკინის იდეები.

ყოველგვარი სიამოვნება თუ ტკივილი გმირის მიერ უარყოფილია, როგორც გამოვლინება უმდაბლესისა, რაც „სივო-მასკელთა“ არსებობის მახასიათებელია, იმათი, ვინც მისთვის განასახიერებს ყოველივეს, რაც კი უხამსია, პრიმიტიული და არაადამიანურია. მათი მისწრაფება, მოიწყონ ცხოვრება, უკეთ უზრუნველყონ საკუთარი კეთილდღეობა, უყვარდეთ, სვან და ჭამონ, ჩაიცვან და დაიხურონ, ისიც კი, რომ გააჩინონ ბავშვები, მახორკინში იწვევს სრულ გაუცხოებას. გზის დასაწყისში ფიოდორ მიხაილოვიჩი გამოკვეთს მიზანსა და კოორდინატებს: „ამ მოგზაურობისას, და მე ეს უნდა შევიგნო, ჩემ თვალწინ გადაიშლება არა სამყაროს რეალური სურათი, არამედ მისი დამახინჯებული სახე, ჩემი ავადმყოფური გონების ნაყოფი. ამ გაგებით ჩემი ეგოიზმი აბსოლუტური ხდება. ჩემს სიცოცხლეს მხოლოდ საკუთარ თავს მივუძღვნი. მიმიფურთხებია ყველასთვის და თვით საკუთარი ბიორესურსისთვისაც კი. მარტო ვარ და არანაირ სურვილს არ ვგრძნობ, მქონდეს რაიმე ქონება, გარდა ჩემივე, ხანდახან სულელური, აზრებისა“.

ალექსანდრ პოტიომკინი, ისე, როგორც მთელ თავის შემოქმედებაში, გაათამაშებს იდეებისა და სიუჟეტების

მთელ წყებას. საერთოდ, იოლად საცნობი ციტირება დამახასიათებელია თანამედროვე შემოქმედებითი, განსაკუთრებით პოსტმოდერნული აზროვნებისთვის. ამჯერად ჩვენ წინაშეა რომანი-მოგზაურობა, ოლონდ, ამასთან, ლოგიკურ ზღვრამდე დაყვანილი. XXI ასწლეულში ათასობით კილომეტრის ფეხით გადალახვისას პერსონაჟი, არსებითად, საკუთარი ცნობიერების კუნჭულებში მოგზაურობს და გამუდმებით ახდენს ამის დეკლარირებას. თუ კლასიკური სამოგზაურო რომანის ახალგაზრდა მისი დასრულებისას თავგადასავლებით, ახალ ადამიანებთან ურთიერთობით იყო „გამონვრთნილი“, საკუთარ თავს სრულყოფდა, ამ რომანის ფინალისკენ მახორკინიც იცვლება, მაგრამ ეს არის ევოლუცია – საკუთარი იდეისადმი ინტერესიდან მასში სრულ ჩაფვლამდე – სრული სასონარკვეთისა და ტრაგიკული დასასრულისკენ.

ადამიანები, მახორკინის აზრით, ძირითადად ყველაზე დაბალ ინტელექტში ფლობენ, მათი მოთხოვნილებები პრიმიტიულია, თანამედროვე კაცობრიობა კი უიმიედოდ გადაგვარდა – ადამიანები სპობენ საკუთარ თავს და თავიანთ მსგავსთ (განადგურების, ომების, სიძულვილის მასშტაბების გაფართოების მოტივი განმსჭვალავს მთელ თხრობას). ასეთი კაცობრიობის ადგილი გალაქტიკაზე არ არის და მართალია, ადამიანი შემთხვევითი კოსმიური მუტაციების, მატერიის ქაოსის შედეგია, ეს პროდუქტი ვერ შედგა. ერთადერთი გზა რჩება – ბიოინჟინერული საშუალებებით შეიქმნას ახალი ადამიანური არსება HIC-ის ახლანდელთან შეუდარებლად მაღალი დონით.

საჭიროა, „გამოვიყვანოთ“ პრინციპულად ახალი ტიპი ადამიანისა და ამას თავის თავზე იღებს სივომასკელი მახორკინი. ნანოკუპაჟის პროდუქტად გვევლინება სოლო მონო.

მახორკინის მარტოობა აბსოლუტურია. საერთოდ, ალექსანდრ პოტიომკინის

ყველა გმირი მარტოსულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სიმარტოვე შეუღწეველია. დაუსრულებელ შინაგან მონოლოგს გმირს დროდადრო აწყვეტინებს მოვლენები, რომლებიც სიუჟეტის განვითარების ერთგვარი შემადგენელი ნაწილებია. აქ „ერთგვარს“ ხაზგასმით ვიყენებთ, რამდენადაც სიუჟეტის წამყვანი მოქმედება არის თვით მახორკინის განვითარება ოცნებიდან საკუთარი იდეისადმი სრულად დაქვემდებარებამდე. ტაიგაში ის პოულობს გვამს და საბუთებს, რომლებიც შესაძლოა მკვლელს ეკუთვნოდეს. ასეც ხდება: ფიოდორ მიხაილოვიჩი დროებით „ასცდება“ საკუთარ ტრაექტორიას და აღმოჩნდება პატარა ქალაქში, სადამდეც მკვლელს, რეგვენ ძმას ჩაუდგა კვალში, რომლისგანაც თავს სასწაულებრივად იხსნის. შემდეგ ის ერთ გერმანელ ქალს – ანტიურბანისტული ორგანიზაცია „ინდივიდუალისის“ წევრს ხვდება. გოგონა წლების განმავლობაში ტყეში ცხოვრობს და იშვიათად თუ ხვდება „თავისიანებს“, რომლებთანაც მხოლოდ არსებობისთვის საჭირობოროტო პრობლემებზე მსჯელობს. პოლიტიკასა და თანამედროვე ყოფით საკითხებზე ლაპარაკი აკრძალულია. მომდევნოა მოზანავეთა კომპანია, რომლებიც სანაპიროზე ჯგუფურ ორგანს აწყობენ, შემდგომი მთვრალეების საკრებულოა, რომელსაც მახორკინი გაჭირვებით დააღწევს თავს. და კიდევ: შეშლილი ტიპი, რომელიც ურთიერთობას მოითხოვს. ის სადისტი აღმოჩნდება და უამბობს, რომ შეუძლია, ეპოქიდან ეპოქაში გადაინაცვლოს, ამასთან, ამ გადახტომებს ყოველდღიურად ახორციელებს და ხან გულაგის ჯურღმულებში აღმოჩნდება, ხანაც თანამედროვე ექსტრემისტთა შორის. თვითონ თავი წაუჭრია ადამიანისთვის, რომელმაც რაღაცა აწყენინა. შერეკილთა, ველურთა, გარყვნილთა და გიჟების გალერეა მახორკინში თითქმის არანაირ გრძნობას არ ბადებს. თავის გადასარჩენად ის მთლიანად არის გადაშვებული ოცნებაში ნანოპინციტზე,

რომელიც აუცილებელია ატომურ-მოლეკულურ დონეზე ახალი ადამიანის შესაქმნელად. საერთოდ, ის გამუდმებით ხაზს უსვამს, რომ ადამიანები არ იზიდავენ, ის ამქვეყნიური ვნებების მიღმა და შემხვედრნიც კიდევ უფრო არწმუნებენ, რომ კაცობრიობა უიმედოა და საჭიროა, დაუყოვნებლივ მოჰკიდოს ხელი ადამიანთა მოდგმის ტრანსფორმაციას. ხანდახან გმირს უკვირს საკუთარი თავის, როცა თავისი მარტოობის, არსებობისთვის მისთვის მისაღები ერთადერთი ფორმის, დეკლარირებას ახდენს. მახორკინის მარტოობა აბსოლუტურია. საერთოდ, ალექსანდრე პოტიომკინის ყველა გმირი, მარტოსულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სიმარტოვე შეუღწეველია. პერსონაჟებიც ხომ, რომანის გვერდებზე რომ ჩნდებიან, მხოლოდ გვიდასტურებენ, რომ თითოეული მათგანი საკუთარი განცდებისა და ფიქრების პირქუშ ტაიგაში დაეხეტება. ბუნებრივი ტაიგა აქ არაფერ შუაშია – ის დიდებული და მშვენიერია. მახორკინი იშვიათად თუ აღიქვამს მის სილამაზეს, გრძობს მხეცების ზნეს. მაგრამ ამასაც მხოლოდ „შეხების“ დონეზე აღიქვამს, მისი შემეცნების ტაიგა კი დაბურული და გაუვალია.

მაგრამ გიჩნდება შეგრძნება, რომ მახორკინი თავისებურად განიცდის რეალობაში თავის ჩაუნერლობას. გმირში ყოველივე ურთიერთსაპირისპირო და აუნყობელია. ერთი მხრივ, თანამემამულეები საერთოდ არ აინტერესებს; მეორე მხრივ, ფიქრობს ეკონომიკურ კრიზისზე, რაც, მისი ცხოვრების სტილის გათვალისწინებით, სულაც არ უნდა ანუხებდეს. იბადება შეკითხვა: იქნებ, მახორკინს ემოციური სიჩლუნგე ახასიათებს? როგორც ცნობილია, ეს ფსიქიატრიის ცნებაა, მძიმე დაავადებების სიმპტომი.

თუკი ავტორის ერთ-ერთი მიზანი გამოუვალობის შეგრძნების შექმნა იყო, მან ეს ბრწყინვალედ განახორციელა – მკითხველი თითქოს მახორკინ-

თან ერთად მიიკვლევს გზას რეალურ ტაიგასა და მისი ალგზნებული გონების გაუვალ ტაიგაში. და გმირი თავის წინ გამუდმებით ხედავს სალვადორ დალის ტილოებს, რომლებიც იქცევა ნარაციის ლაიტმოტივად, შესაძლოა, მახორკინის ზმანებათა შესაცნობ გასაღებადაც.

გმირი თავს იკლავს – უკანასკნელი ფულით აფთიაქში შეიძენს პენტალგინსა და და კუნელის ნაყენს და ამ ცხოვრებიდან მიდის. ჩაქრობის პირას მისული შემეცნების ბოლო წამებში იგი იმედოვნებს, რომ გზას სხვა განზომილებაში განაგრძობს და იქ განახორციელებს თავის ოცნებას.

მახორკინს ბევრჯერ უფიქრია სიკვდილზე და ჩვეულებრივი მიწას მიბარება ერთობ ბანალურად და უხამსად ეჩვენება. „სიკვდილი დღესასწაული უნდა იყოს!“ – აცხადებს კაცი, რომელსაც ძალა არ შესწევს, აღიქვას ცხოვრებისეული სიხარულები.

რომანი „სოლო მონო“ კიდევ უფრო მკვეთრი და შეუბრალებელია, ვიდრე მწერლის სხვა ნაწარმოებები. თუ ადრე ალექსანდრე პოტიომკინი ადამიანის დაცემას განიხილავდა ადამიანური კატეგორიებისა და შეფასებების მიხედვით, ამჯერად მწერალმა წარმოგვიდგინა პერსონაჟი, ადამიანური შეგრძნებებისა და ფასეულობათა სისტემიდან გამოსული. თუ წინა რომანების ცენტრში, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ბედი იდგა, „სოლო მონო“ განაჩენს გამოუტანს მთელი კაცობრიობის ახლანდელ მდგომარეობასა და „ამონურულობას“. რომანი საპროგრამოა, დანერგული ჩვენთვის უკვე ცნობილ ავტორისეულ ჟანრში – მხატვრული ქსოვილის ყველა პლასტში ჩაკვანძულია ფილოსოფიის საფუძვლები, ხდება პრეპარირება დამსხვრეული სამყაროსი და მასში მოქცეული ადამიანისა, ცალკეული პერსონაჟისა და ერთიანად მთელი კაცობრიობისა.

იბადება შეკითხვა: რატომ ხდება, რომ მოსაზრებები და იდეები, რომლებიც

აღვლევებს თავად ავტორს, მინდობილი აქვს „პორაჟენელს“, უბადრუკ ადამიანს? ახალი ადამიანის შექმნის ღვაწლი იდეას კისრულობს მავანი, ვისაც არ სწამს შემოქმედი. მაგრამ, თუ სხვა კუთხით შევხედავთ – ჰუმანისტური რუსული ლიტერატურის პოზიციიდან – ჩვენ წარმოგვიდგება უბედური, სიყვარულს მოკლებული, ალერსს დანატრებული ადამიანი, იქნებ, სულაც დიდი, არარეალიზებული პოტენციალითაც კი. ოლონდ ეს პოტენციალი მიმართულია ადამიანური მასშტაბებით განუზომელი იდეებისკენ, რომლებიც, ჩანაფიქრის მიხედვით აღმშენებლური, მისთვის დამანგრეველი აღმოჩნდება. ის ოცნებობდა, თავისი ქმნილება მთელ კოსმოსში განესახლებინა, კოსმოსის უფსკრული და უსასრულო დრო კი მისთვის ჩიხად იქცა. თუმცა ალექსანდრ პოტიომკინის შემოქმედებითი ჩანაფიქრის განჭვრეტა თითქმის ყოველთვის შეუძლებელია. იქნებ, შესაძლებელია, სწორედ ასეთი პერსონაჟი, ინტელექტის ზნეობისა და მოკია-

ფე, აგზნებული ცნობიერების ზღვარზე მყოფი, ახალ პერსპექტივებში იქცეს ამ ამოფრქვევის მაუნყებლად?

ბევრი შეკითხვა უპასუხოდ რჩება. ჩვენს დროში, როცა ყველა გონიერი ადამიანისთვის ცხადია, რომ კაცობრიობამ მიაღწია ზღვარს, რომლის იქითაც ან უფსკრულია, ან პრინციპულად ახალი გზების ძიება, როცა ხელოვნური ინტელექტი შეიცავს რეალურ საფრთხეს, რომელიც, შეიძლება ითქვას, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით სულაც არ არის, შესაძლო გზებზე დაფიქრება ერთობ აქტუალურია. და ალექსანდრ პოტიომკინის რომანი კაცობრიობის ყველაზე მძიმე, მაგრამ გარდაუვალი საფიქრალით გვაავსებს.

შესაძლოა, უღრანი ტაიგის შემეცნებიდან გამოსავალი არსებობდეს და რადგან, უკიდურეს შემთხვევაში, კაცობრიობის მოსპობა კი არა, მისი გაუმჯობესება გვმართებს, ეს, იქნებ, იმედის გზა იყოს.

ვერონიკა ტუმნოვა



●  
მილიდან ნამჯის კვამლი რგოლებად გაიშალა,  
თავიც კი ვერ მივდეთ, დღე კი გადის.  
და აი, განშორების მწუხარე კაემანი,  
შეხვედრებს  
მერმისიც არ გვიქადის.  
ვაგზალს რომ მივაშუროთ,  
ის დროა, რა ხანია.  
გამკვეთრდა  
ფერები შემოდგომის...  
მადლობა, არაფერი რომ არ თქვი,  
მიხარია,  
ნუგეშად სიტყვაც არ შემატოვე.  
კარგი, მაშ, მაკოცე, კეთილო მეგობარო,  
ცოტა ხანს ეგ ხელი ჩამჭიდე კვლავ.  
სიყვარულს არ აშინებს  
ხანგრძლივი განშორება.  
სიყვარულს პატარა  
ტყუილი კლავს.

●  
მე გელოდები.  
შემიძლია დიდხანს გელოდო.  
არ ვსუნთქავ – იმედს ვუფრთხილდები ცოტაოდენსაც.  
ჩაქრობის პირას ცეცხლის თრთოლა, სუსტი ნათება...  
ამგვარს თვალნათლივ და მკაფიოდ ვხედავ სრულიად.  
მთელ ჩემს ძალებსაც თავი ერთად იქ მოუყრიათ,  
ჩემი ყველა გზა იქ ერთდება, იქ იკვეთება,  
ისაა ყოფის გულისგული, არსი მთლიანად,  
ბედის ხანმოკლე სიკაშკაშე და გაელვება,

მასში შეერთდა ყოველივე, გაერთიანდა:  
სასონარკვეთა, დაფიცება, ხვეწნა-ვედრება.  
ვინროა ჩემი თვალთახედვა, სადაც შენ არ ხარ –  
არის პლანეტებს შორის მყოფი ნყვდიადი, მტვერი.  
მე გელოდები.  
შენ იმდენად მჭირდები ახლა,  
რომ სულ ერთია, მოკეთე ხარ თუ ჩემი მტერი.  
მე გელოდები  
ყველა ძალის დაძაბვის ფასად.  
ჩიტი ბრდღენად არ ღირს – სულ ტყუილად უთქვამთ, არ  
მჯერა.  
როცა სხივები თავს იყრიან ლინზაში ასე,  
ხელენიფებათ ყოველგვარი ხანძრის გაჩენა.



გიხმობ, ბრალსა გდებ, ვიმედოვნებ, გეკამათები,  
გევედრები და გასყვედურობ, გპატიობ, გიხმობ...  
ჩემი ვარამი –  
რაც მე მჭირს და რაც მემართება,  
ნამდვილი არის  
მთელი თავის სიგრძით და სიღრმით!  
ბედნიერების არა მჯერა.  
როგორც არ სჯერათ,  
თოვლჭყაპის დროს  
ჭრიჭინა რომ მინდვრად მღეროდეს...  
მაინც იქნება.  
უცილობლად  
მოვა ამჯერად.  
არ გაურს – ნუ გჯერა,  
თუ არ ძალგიძს – არ დაელოდო.  
მაინც იქნება.  
და მე იმავე გატაცებით  
ჩაფხედავ თვალში  
ცრემლების მიღმა,  
და ის იქნება  
ჭეშმარიტი ბედნიერება,  
მთელი თავის სიგრძითა და  
თავისი სიღრმით!



ბევრნაირია გაზაფხული:  
მოკაშკაშე და სწრაფმავალი,  
ავდრიანი და დათალხული  
შავი ღრუბლების ქარავანით...  
მე მოხარული ვიქნებოდი  
ყოველგვარ დღეთა,

მაგრამ მამყოფა, მაგრამ მამყოფა  
ოლონდაც შენთან.  
იყოს სისველე,  
სინოტივე,  
არაფერს ვჩემოზ,  
ოლონდაც ერთხელ, თუნდაც ერთხელ:  
„ძვირფასო ჩემო!“  
ოლონდაც ერთხელ, თუნდაც ერთხელ  
ლოყაზე ლოყა  
და შორი ხმები, გაზაფხული  
რომელსაც მოყავს...



ცხოვრობ კი ახლოს,  
თითქმის გვერდით, მოვიდოდი ორიოდ წუთში,  
რკინა-ბეტონის ერთ-ერთ მოგრძო, ნაცრისფერ ყუთში,  
თუმც მზეს ვერ ვხედავთ,  
ვერ ვგრძნობთ, ქარი ხეებს რომ არწევს,  
სასიყვარულო წერილებსაც  
ერთმანეთს არ ვწერთ...  
და როგორ მოხდა ყველაფერი ასე უაზროდ,  
რომ ჩვენს ტყეებში გვერდიგვერდ არ დავხეტილობთ,  
ხელისგულებს არ მოვიყუდებთ, როგორც ფიალას,  
მაყვალსაც არ ვკრეფთ, შავს და კრიალას,  
მზიან მდელოზე, საპოვნელებს შორის, შუაზე  
არ გავყოფთ ძმურად ჭვავის პურის პატარა ნატეხს,  
ხელს არ წავატანთ უილაჯოდ ღრუბლის ქულაზე,  
უძირო ლურჯი ცის სივრცე რომ შორს გავგიტაცებს.  
შუადღის ხვატში  
ერთმანეთში ჩაჭდობილი ხელის თითებით  
დაქანცულები სიგრილეში არ ჩავთვლემთ ასე,  
რომ არ გვესმოდეს, მოჟიფივე ჩვენი ჩიტები  
რას გვიმღერიან  
ორივესათვის გაუგებარ, უცხო ენაზე...  
ჩვენ მზეს ვერ ვხედავთ  
და ვერ ვსუნთქავთ ჰაერსაც, მგონი,  
არსად არ გავალთ,  
ვერც ვერაფერს ვერ გავიგონებთ,  
მხოლოდღა ზარი ტელეფონის  
დროდადრო  
და მზად  
ყოველთვის არის  
სტანდარტული, ნაცნობი ფრაზა  
მისალმებისა,  
დამშვიდობების...  
და კიდევ ბოლოს

დუმილის ნამი.  
დუმილის ნუთი.  
მდუმარების უსასრულობა,  
სავსე სინაზით,  
ალერსით და უსასოობით.



თაკარა,  
ფერი პლატინისა  
ზეცა, ღრუბლები გროვა-გროვად,  
სუნი გამლღვალი ასფალტისა,  
ქუსლებმა კვალი რომ დატოვა.  
უმოდრაო ფოთლებს მტვერი ადევს,  
უფრო ჭირს სუნთქვა, მზე რომ ჩადის,  
გული იკუმშება დარდიანი,  
ქალაქში ულმობელი  
ხვატი არის.  
დღე არ გაილია, ახლა უფრო  
სულის შემხუთველი სიცხე ახლავს...  
ადამიანო, ჩემო უცნაურო,  
რას დახეტილობ შორიახლოს?  
კეთილი ხელები მე გამომიწოდე...  
გინდა, რომ სიმართლე გაგიმხილო?  
პრინცესა ბარდაზე არა ვარ, იცოდე,  
ეს ფიქრშიც არ უნდა განიხილო!  
პირმოთნე ღიმილი რაში მარგებს  
ან ტკბილი სიტყვები რამედ ვარგა?  
საჩუქრად ერთადერთი დავიგულე –  
შენი ალალი, წრფელი გული.  
მინდა, ეკლიანი წვიმის თქეში  
სახეზე მცემდეს, თავს დამდიოდეს  
და ავაზაკივით, ყრუ სოფელში  
უსტვენდეს ქარი და გაჰკიოდეს,  
ღრუბლებს ტყვიისფერი გადაკვროდეს,  
რომ მინებს დაორთქლოს სიცივისგან,  
რომ ძელურ პარმალთან ქანაობდეს  
ტოტი გალუმპული ცირცელისა,  
რომ ღამით მოვიდეს უხმაუროდ  
თოვლი – ფაფუკი და ნაადრევი...  
ადამიანო, ჩემო უცნაურო,  
მიუხვედრელო და სანატრელო!



მე ისე მინდა, რომ ტუჩები, ხელისგულები...  
და ყველაფერი მტრედისფერი... კამკამა წყალი...  
მაგრამ მუდმივად მესიზმრება მატარებლები.



რას მოასწავებს?  
სხვა ქალაქი, პირქუში მხარე,  
უცნობი ხალხი,  
მტვირთავები და მოხუცები...  
დაგეძებ ბაზრის ხმაურში და მიხლა-მოხლაში,  
შენი ხმა ქრება  
ტელეფონის ყურმილში უცებ,  
„მოიცა!“ – ვყვირი, უიმედო სევდა მაქვს ხმაში...  
ჩემ გვერდით მხოლოდ ორიოდ ნუთით ხარ ისევ.  
მაგრამ სიზმრები კვლავ უაზრო და ნაღვლიანი.  
სამწუხაროა, რომ წინასწარ შეკვეთილ სიზმრებს  
სახლში არასდროს მოგვიტანენ ადამიანებს!  
უკვე მტრედისფრად შეილება ფანჯრის ლიობი,  
ფარდების მიღმა ჩანს, ღრუბლები ფერს რომ იცვლიან...  
მე გიცდი მშვიდად. უდრტვინველად, როგორც იობი.  
მე გიცდი. გიცდი.  
მეტი უკვე არ შემიძლია.



გორაკზე მარტო ვარ, გაღმა არის  
გაზაფხულის მწვანე ჭაობები.  
...მიყვარს ეგ თვალები ნაღვლიანი,  
ახალგაზრდა ვერხვის ქერქისფერი,  
შენი ღიმილი, მშობლიური,  
ტუჩები, ქარისგან გამომშრალი...  
ამიტომ, – სხვაგან რომ მივაშურებ,  
მიმყავხარ, ეგ სახე ჩემთან არის.  
ყველაფერს გიყვები, როგორც ბავშვი,  
შენთან ყველაფერზე ვლაპარაკობ.  
გაჩვენებ შროშანას, ახლად გაშლილს,  
ვარდისფერ გორჩს გჩუქნი საარაკოს.  
შენთვის ამ ჟანგისფერ ჭაობიდან  
ვიჭერ ვარსკვლავების ანარეკლებს...  
კვლავ ფიქრობ – ათობით ვერსის მიღმა  
უცხო ვარ, არადა, რად ვარ ეგრე?  
კვლავ ფიქრობ – შენს დამზრალ სულთან ახლა  
რა მინდა, ან რა მაქვს ხვაშიადად?  
შებინდა, აცივდა, ჩემთან ახლოს  
ბალახში ზღარბები აშრიალდნენ...  
უკვე ბილიკებიც ჩაიკარგა,  
ლამემ რომ გამალა საბურველი...  
მომხვიე ხელები, ჩემო კარგო,  
მიუსაფარნი ვართ ორივენი.



მოღუშულ დედამინას  
სიცივე ემატება,  
ზეცამაც მოიწყინა,  
მზის სხივი ენატრება.  
სისხამზე ბინდია და  
შუადღეც სულეთია.  
ჩემთვის კი სულ ერთია,  
ჩემთვის სულ ერთია!

მე კი მყავს ძვირფასი, ძვირფასი, საყვარელი,  
არწივის ხასიათით  
და მტრედის გულიანი,  
თამამი ჩაცინებით,  
ბავშვურად მოლიმარი,  
ერთი და ერთადერთი  
ყველგან, მთელ დუნიაზე.

ის ჩემი ჰაერია,  
ცა არის, ხმელეთია,  
ირგვლივ უიმისოდ  
წყვდიადი, ბნელეთია...

მან კი არაფერი არ უწყის ამაზე,  
თავის საქმეებში, ფიქრებში ჩაფლულია,  
ერთი რომ გამიღიმოს,  
ამასაც ვერ მიხვდება.  
ჩემკენ არც მოუხედავს,  
გვერდით რომ ჩაუვლია.

ჩვენ შორის განოლილი  
განა გზა და სავალი  
გრძელი და შორეული –  
წლებია წარმავალი,  
ჩვენ შორის რომ ჩამდგარა,  
განა ზღვა უნაპირო –  
დარდი და სატანჯველი,  
გულია უცხო პირის.

შეხვედრა არასოდეს  
ჩვენ არ გვინერია...  
ჩემთვის კი სულ ერთია,  
ჩემთვის სულ ერთია,  
მე კი მყავს ძვირფასი, ძვირფასი,  
საყვარელი!

## მოლოდინი

უსიხარულო სინათლე ფანრის,  
ტროტუარებზე – ფოთლების გროვა.  
ალბათ, ბავშვობის მოთხოვნა არის,  
რომ სასწაული ნამდვილად მოვა.

შორეულია ეგ შენი გზები,  
დაშორება კი სასტიკად ძნელი,  
მე კი გონებას არ ვუთანხმდები –  
მუდამ შემთხვევით შეხვედრას ველი.

ჭიშკრის სიღრმეში ბინდი დამდგარა,  
მხრებზე სიცივის ვგრძნობ ხელის მოსმას.  
მგონია: ვინც კი ელის ამგვარად,  
ის მოესწრება შეხვედრას როსმე.

## ღუმელი

შენ ერთგული ხარ წესის, ადათის,  
არ ტყუის შენი სული არასდროს.  
შენ სიტყვებს უფრთხი, მაგრამ არა ღირს,  
რომ ეგ სიტყვები გადააფასო.  
მე მესმის, მესმის.  
არ შევეხები,  
დავინდობ, რაც შენ გაშფოთებს, გტკივა,  
და მეც ასევე უხმოდ გეხვევი,  
და მეც ასევე მდუმარედ მივალ.  
პირობას არ ტეხ, არ მეხმარები,  
ჩემს დაძახილსაც დატოვებ უხმოდ,  
მაგრამ ყურს ვუგდებ შენს მდუმარებას –  
სასონარკვეთილს სიტყვებზე უფრო.  
თანდათან ხარბად და გაოცებით  
ვუსმენ შენს ღუმელს და ვიგებ უკეთ.  
არც არაფერზე ვნანობ, იცოდე,  
არც არაფერი აღარ მსურს უკვე!



დაბინდებამდე არ არის შორი,  
დაისმა ზეცა ყვითლად შერუჯა...  
ძვირფასო, როგორ მაშფოთებს,  
მზარავს,  
როგორ მაშინებს შენი სიმუნჯე.  
შენ ხომ სადღაცა ცხოვრობ და სუნთქავ,  
იღიმი, როგორც ადრე მინახავს...  
ჩემი სრულიად არ გესმის ნუთუ?

არ მომიხმობ და არ დამიძახებ?  
შენს მორჩილს, ერთგულს არ წამომცდება  
საყვედურები, ცრემლი რომ ერთვის.  
ზეიმისთვისაც,  
სადაგ დღისთვისაც,  
მადლობას გეტყვი ყოველივესთვის.  
ხომ არის: სახლის პარმალი,  
ცეცხლი,  
საკვამურიდან კვამლის ფთილები,  
თითზე – პატარა ბეჭედი ვერცხლის,  
ბეჭედი შენგან დანაპირები.  
მცენარის ორი, გამხმარი ღერი  
ფსკერზე მუყაოს პატარა ყუთის,  
და კიდევ, აი – გული,  
რომელიც  
ვერ იცოცხლებდა უშენოდ ნუთიც.



მზადა ვარ, ასჯერ შემოგეშველო,  
ვიცროო, თუკი არის საჭირო,  
მაგრამ არ არის ისეთი სიტყვა,  
ჩაფერფლილი რომ გადაარჩინოს.

ვერ მოიპოვებ ნაცრიდან ცეცხლს და  
ვერ გააჩაღებ მხურვალე კოცონს...  
მორჩა: როგორი სამწუხაროა, –  
ვერც თბები, ველარც თან მიგაქვს როცა.

მე შევეჩვიე სევდიან ღამეს,  
საკვამურების მოთქმა-გოდებას...  
რაც უფრო მეტად მკაცრი ხარ, შენი  
მით მეტად მჯერა და გელოდები,

მით უფრო: სასონარკვეთილისა,  
წმინდაა ტრფობაც, ტკივილიც ჩემი...  
ამგვარად ვცხოვრობთ ჩამწვარ კერაზე,  
გაჭირვებაში ამგვარად ვრჩებით.

ვინახავ ნაცარს, ვაკერებ ძონძებს,  
შენს ბედისწერას ნაზიარები...  
ვუცდი – თავს როდის გადაივინყებ  
და შემამჩნევენ შენი თვალები.



სულ ასე იყო  
და ყოველთვის იქნება ასე:

ზოგჯერ მივინყებ, თითქოს არ ვარ ან ბინდი მფარავს,  
ხან გულს მიყინავს შენი მზერა,  
მონყენით სავსე...  
მაგრამ ასეთი მეორე ხომ არა გყავს, არა!  
ენამჭევრობა როდი არის ტრფობის თვისება,  
ცეცხლივით ვუფრთხი ლამაზ სიტყვებს, გაცლა ვარჩიე.  
შენგან ვისწავლე მღუმარების გათავისება  
და მოთმენასაც, ატანასაც შენ მიმაჩვიე.  
არა, მას არა, ბედისადმი რაც მორჩილებით  
წარმოიშობა, უღონობას რაც ეთვისება,  
არა, მას არა, დამსხვრეული, უღონო ფრთები  
რასაც ნუგეშად მოგივლენენ შენში ისევე.  
მასწავლე მინდვრის მოთმინება, როდესაც სრულად  
გამომშრალია დედამინა და სიცხით ღვივის.  
თმენა ბალახის, უნებურად რომ ხდება სული,  
ვიდრე მოუსწრებს გაზაფხულის პირველი სხივი.  
შენ მე მასწავლე მოთმინება ფრინველის, შორი  
გადაფრენისთვის მზადებაში თვისტომს რომ უხმობს,  
ყველა მათგანის მოთმინება,  
ვინც უწყის ხვედრი  
და ელოდება გარდაუვალს მღუმარედ, უხმოდ.



ბორის აკუნინი

**PTSD**

– ექიმო, ისევ განმეორდა, – თქვა გენერალმა და მძიმედ დაეშვა ტახტზე.  
– აჰაა. ვნახე ტელევიზიით, – ნიშნად თანადგომისა თავი დაუკრა სოლომონ ბორისოვიჩმა. – თქვენ მანდ კომფორტულად მოთავსდით, ფეხები კარგად გაფშოკეთ. აშკარაა, ხანგრძლივი სეანსი გველის. უნდა ვაღიარო და... ამისთანა თავის სატეხი შემთხვევა არ მქონია აქამდე, გარდა იმისა, ოთხმოცდ ათში რომ გადავანყდი ფსიქოთერაპიის სფეროში მოღვაწეობისას. ერთ პაციენტს მეტად უცნაური სინდრომი აღენიშნებოდა. საოცრად უყვარდა ამ ქალბატონს სტუმრების მიღება. მთელ დღეს ქურასთან გაატარებდა, ათასნაირ მწნილსა და მარინადს დაამზადებდა და... სანამ სუფრასთან მიიტანდა შეჭამანდებს, დაუკოებელი სურვილი უჩნდებოდა იმისა, რომ ყველა თეფშში ჩაენერწყვებინა. ანერწყვებდა კიდეც, თავს ვერაფერს უხერხებდა. მერეღა გაირკვა, რომ, სანამ ძუძუთა ბავშვი ყოფილა, დედამისი ყოველი კვების წინ ძუძუს თავს თავისი ნერწყვით იზელდა. ასე უფრო ჰიგიენურიყო – ფიქრობდა თურმე. წარმოგიდგენიათ?! აი, მაშინ იყო, რომ გადავწყვიტე – ფსიქონალზისთვის მომეკიდა ხელი. სიღრმიდან

რომ ამომეჩიჩქნა პრობლემის არსი. მე თქვენი პათოგენური ქვეცნობიერის ძირეული სისტემა უნდა გავხსნა და ნევრასტენიული სიმპტომატიკის პარადიგმა გამოვავლინო. განონასწორებული, მონიფული, თვითმყოფადი ადამიანი ხართ და თქვენი უცნაური ანომალია, უთუოდ, აფექტურ ხასიათს ატარებს და ერთგვარ დამანგრეველ სურვილად სუბლიმირდება. აბა, მიაბეთ ამ ჯერზე როგორ მოხდა.

გენერალმა ერთი მძიმედ ამოიხვნეშა და შეუდგა თხრობას.

ტარდებოდა მიტინგი ანტისახალხო რეჟიმის წინააღმდეგ.

სიტყვა წინასწარ იყო მომზადებული.

ნეოკომპრადორული ბურჟუაზიის სულიერების კატასტროფულ ნაკლებობაზე უნდა ელაპარაკა.

უცაბედად, როცა, კონსპექტის მიხედვით, კაცთმოყვარეობასა და ეკლესიურობას უნდა შეხებოდა თავისი გამოსვლითი სიტყვით, არც აცია, არც აცხელა, მასზე დამიზნებულ ტელეკამერებს ჩახელა და...

– ამ ყველაფერში დამნაშავენი ებრაელები არიან! კარგი ებრაელი, მკვდარი ებრაელი! – ჩასძახა... და ასე უკვე მესამედ, მიმდინარე წლის განმავლობაში.

საშინლად რცხვენია, რომ ალა-

რაფერი თქვას იმ ზიანზე, რაც ამ უმსგავსე გამობტომებს საერთო სახალხო-პატრიოტული საქმისთვის მოაქვს. რამდენიმე ამხანაგმა კიდევ დააყენა მისი პარტიიდან გარიცხვის საკითხი და რომ არა მისი საბრძოლო დამსახურებები, რომ არა ავღანელი სიონისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს მიღებული მისი ოთხი, – ნაიარევი, კიდევ გამოაგდებდნენ შერცხვენილსა და თავმოჭრილს.

დაასრულა თხრობა გენერალმა თითქმის მტირალ ნოტაზე, რაც ჩვეულებრივ მისთვის დამახასიათებელი ნამდვილად არ იყო.

– გემუდარებით, ექიმო. მიშველეთ, გადამარჩინეთ! გააკეთეთ რამე. ეს ყველაფერი შენელებული მოქმედების ჭურვივითაა. არასდროს ვიცი, როდის აფეთქდება. იქნებ, სამშობლოს მტრებმა ჩემი ზომბირება მოახდინეს, ჰაა? ან... იქნებ, სულაც ჭკუიდან შევცდი?

სოლომონ ბორისევიჩმა ყურადღებით უსმინა და თან თავისი ბატიფეხურით ინიშნავდა წიგნაკში.

– ფსიქიკური თვალსაზრისით, ჩემო ძვირფასო, სრულიად ჯანმრთელი ხართ თქვენ. ზომბირება კიდევ საერთოდ არც არსებობს. სისულელეა ეგ და მონაჩმახი. აქ სხვა რამეშია საქმე: თქვენი ანტისემიტური სპონტანური გამობტომები მთლიანად ქვეცნობიერის გამოვლინებაა. ფსიქოანალიტიკოსის საქმეა – ტრავმატული კერის ლოკალიზება მოახდინოს. მოდი, ერთად მოვიძიოთ. ნელ-ნელა წარსულში ვიმოგზაურებთ და, თუ საჭირო იქნება, მოსეს ეპოქამდეც მივალთ, – თქვა ექიმმა. თან შეჰლიმა, იმის დასტურად, რომ ხუმრობდა და ასე შორს წასვლა ნამდვილად არ მოუწევდათ და არ დასჭირდებოდათ. – თქვენი შეტევები PTSD-ს კლასიკური გამოვლინებაა.

– რაოოო? – წამოიმართა გენერალი, ჩათვალა მომეყურაო.

– ინექით, ინექით. თქვენ გაქვთ პოსტტრავმატიკ სტრესს დისორდერ. იგივე, პოსტტრავმატული სინდრომი. სადღაც, თქვენს წარსულში ებრაელებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ტრავმა იმალება. მზად ხართ თქვენი ქვეცნობიერის მექანიზმის გასახსნელ-ამოსახსნელად? გაფრთხილებთ, საკმაოდ უსიამო საქმეა, საშიშიც კი. არასდროს ვიცი, რა შეიძლება ამოტივტივდეს ზედაპირზე...

– მე ნაზთა და აქროლადთა რიცხვს არ მივეკუთვნებო, – ხმამაღლა ეს თქვა გენერალმა ლიმილით, სინამდვილეში კი ფსიქოანალიტიკოსის სიტყვებმა გული გადაუცივა.

– მაშინ, შევედგეთ, – სოლომონ ბორისოვიჩმა მაგნიტოფონი ჩართო. – დღევანდელობიდან დავიწყოთ, ისე, თანმიმდევრობისთვის. აბა, მითხარით, ბევრია თქვენს მომხრეთა შორის ებრაელი?

გაოცდა გენერალი. არასდროს მოსვლია აზრად ვინმე ნაციონალური ნიშნით გამოერჩია, მთავარია, ვარგოდესო ადამიანად. მისი პარტიაც ინტერნაციონალიზმის მომხრე იყო და ლენინურ-პავლეესულ (მოციქული, რომლისთვისაც არც ელინა და არც იუდეა არსებობდა გამორჩევით) პრინციპებს იცავდა მყარად.

– ვთქვა სიმართლე, არც ვიცი. იქნებ, მოსკოველი გაულაიტერი ამპიროვი იყოს? არის მის გარეგნობაში რაღაც სემიტური.

– აჰა... და ცოლი ხომ არ წაურთმევია თქვენთვის ან ფარული ჰომოსექსუალური მინიშნებები ხომ არ ყოფილა მისი მხრიდან? სადომაზოხისტური სურვილებს ხომ არ აღგიძრავთ?.. ძალიან გთხოვთ, არაფერი დამიმალეთ და გახსნილად მესაუბრეთ.

– რას ბრძანებთ! – ცოტა არ იყოს, დაიბნა კიდევ გენერალი. – მე და მას მშვენიერი, მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს!

– მაშ, იქნებ, მანამ იყო თქვენს ცხოვრებაში რაიმე პირადი დრამა,

რომელშიც ებრაელი იყო დამნაშავე?!

– აჰ, არა-მეთქი. არა, გარნმუნებთ! ერთადერთი, როცა ავლანეთში ამიყვანეს ტყვედ დაუმანებმა და წინდაცვეთით მემუქრებოდნენ, მაგრამ მეციხოვნე მოვკალი და გამოვექეცი.

– როგორც ჩანს, ფრუსტრაციული იმპულსი მეციხოვნეზე გადმოგინთხევიათ, ასე რომ, ეს ის შემთხვევა არაა, რაც ჩვენ გვჭირდება.

ექიმი ჩაფიქრდა.

– კარგი, მოდი, კიდევ გადავინაცვლოთ წარსულში. ალბათ, ბევრი რამის გადატანა მოგინიათ ბრეჟნევიზმის პერიოდში მეხუთე პუნქტის (მეხუთე პუნქტი აქ – გადატანითი მნიშვნელობით. საბჭოთა პასპორტებში მეხუთე პუნქტად მითითებული იყო ნაციონალობა) გამო.

– როგორც ყველას. დიდი ხნის მანძილზე არ მიშვებდნენ მივლინებებში საზღვარგარეთ. პარტიაშიც ეროვნების გამო მხოლოდ მეექვსე ჯერზე მიმიღეს, მაგრამ, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, დრო იყო ასეთი. გაგებით ვეკიდებოდი. ებრაელების მიმართ ბოღმა არ დამრჩენია, კაცურ სიტყვას გაძლევთო.

მერე გაიხსენა, სამოცდაშვიდში, როგორ უსირცხვილოდ ჩაჭრეს სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის მისაღებ გამოცდებზე. ფიქვა გურვიჩმა შემდეგ უჩუროჩულა: – ალიკ, შენ არ იდარდოო, შენი ბრალი არაა. უბრალოდ, რუსებზე რა ოდენობაც მოდის, ამ წელს უკვე შევსებულაო.

მერე კიდევ სამოცდათვრამეტში, როცა გენშტაბიდან, ყველანაირი ახსნა-განმარტების გარეშე გადაისროლეს ვიჩეგდუში. განყოფილების უფროსმა, გენერალმა შმუელსონმა საიდუმლოდ გაუმხილა: – შენ კი არაჩვეულებრივი თანამშრომელი ხარ, მაგრამ ვერაფერს გავხდებოდი, პარტკომში მითხრეს, განყოფილებაში ორი რუსი გყავს ისედაცო. სელედნიკს ხომ ვერ გავუშვებდი, ცოლი ჰყავსო პარალიზებული.

– არა, – მტკიცედ წარმოთქვა გენ-

ერალმა. – სისულელეა ეს ყველაფერი. ყოველთვის მჯეროდა, რომ მიზანსწრაფული ადამიანი, მეხუთე პუნქტის მიუხედავად, ყოველთვის მიაღწევს თავისას. მივალნიე კიდევ. როგორც ხედავთ, მაინც მოვახერხე და გენერალ-პოლკოვნიკი გავხდი. მიუხედავად იმისა, რომ ასი პროცენტით რუსული სისხლი მიჩქეფს ძარღვებში, მამა რუსი – ემელიან პატრიკევიჩი, დედაც რუსი – არინა სვიატოგოროვნა.

ექიმი სახეში ჩააკვირდა გენერალს.

– როგორც ვხედავ, სიმართლეს ამბობთ. კარგი, მოდი, კიდევ წინ წავინოთ, ორმოცდაათიან წლებში. რთული პერიოდი იყო, კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლის დრო, კიდევ რუსი ექიმების საქმე. ალბათ, თქვენს ოჯახსაც შეეხო ეს ყველაფერი.?

– რა თქმა უნდა, შეეხო, მაგრამ, სხვებზე მეტად არა. პროფესორი ბაბუა ცოტა ხნით იჯდა. ბებიას ერთხელ ბაზარში მიაფურთხეს. მე სასწავლებელში მაძახებდნენ და მაძაგებდნენ, მაგრამ შევძელი საკუთარი თავის დაცვა.

– ესე იგი, აქაც არაფერია... და სამამულო ომის დროს სად იყავით?

– ოკუპაციაში. ჩვენ ხომ სმოლენშინში ვცხოვრობდით, მაგრამ ძალიან პატარა ვიყავი და არაფერი მახსოვს.

სოლომონ ბორისოვიჩი რუკას დააცხრა. როგორღაც უცაბედად დაიძაბა და საოცრად დაემსგავსა ნისკარტ-მოკაუჭებულ მტაცებელ ფრინველს.

– როგორ თუ, არაფერი? – შეპარვით გაიმეორა: – მაგ დროისთვის შვიდი წლის მაინც იქნებოდი. უცნაურია... ძალიან უცნაური.

– თავადაც გამკვირვებია. როგორცა სჩანს, გვიან გამეხსნა მეხსიერება. შიმშილობა, ვიტამინების ნაკლებობა...

– მაგრამ ექიმი უკვე აღარ უსმენდა. გამალებით ინიშნავდა რაღაცას თავის ნიგნაკში.

– ჩვენი პრობლემაც მანდ არის, – აზარტით შესძახა. – პათოგენური ფსიქო-



ტრავმების ოთხმოცდაათობმეტი პროცენტი, სწორედ ადრეულ ასაკში ხდება. ჰიპნოზის გამოყენება მოგვინებს.

ჩართო ფირი მოჩუხჩუხე წყლის ხმით. გენერალს თვალწინ ბრჭყვიალა სამშვენისი გაუტარ-გამოუტარა და უბრძანა:

– მოდუნდით. არაფერზე იფიქროთ და სხივებს გააყოლებთ თვალი.

გენერალმა გულით მოინდომა მოდუნება, მაგრამ არ გამოუდიოდა. მთელი ცხოვრება თავს მობილიზებასა და თავმობმულობას აჩვენებდა.

– ვისთან ერთად ცხოვრობდით ოკუპაციაში? მშობლებთან?

– არა, ობლად ვიზრდებოდი. მშობლები ადრე დამეხოცნენ. არც მახსოვს. დიდება მზრდიდა, დედის მხრიდან.

– ბებია რას გეძახდათ?

– ალკას, – გაელიმა გენერალს.

ს ო ლ ო მ ო ნ

ბორისოვიჩმა რბილი, მოხუც-სმისგავსებული ხმით ჩაიჩიფჩიფა:

– ალექსა, შვილო, გაილვიძე. მე ვარ, ბებიაშენი. ადგომის დროა.

გ ე ნ ე რ ა ლ ს  
ძალაუნებურად ჩაეცინა. იმდენად არ ჰგავდა ეს ცხვირა ექიმი ბებო მოტრიას, მაგრამ მეორე ნამს უცაბედად თითქოს სასწაული მოხდა. სივრცე შეიკუმშა, ჩამოხნელდა და მხოლოდ ის ხმა დარჩა, რომელიც


უხმობდა...

– ალია, ალექსა, გაილვიძე. სწრაფად ადექი. საფრთხეა ახლო..!

ექვსი წლის ალკამ თვალი გაახილა და ჩაიზლუქუნა. სარკმლებს მიღმა უკუნი იდგა. ღამეში შორიდან მოისმოდა ყვირილი და სროლის ხმა. დედა შეშინებული იფარავდა სახეს ცხვირ-სახოცით, მამას ფითრის ფერი ედო და ერთიანად ცახცახებდა.

დინამიკებით მრავალჯერადად გაძლიერებული მოლაღანე, მექანიკური ხმა ეფინებოდა სოფელს:

– პეტლლოვკის მცხოვლდლებებო, პეტლლოვკის მცხოვლდლებებო, თქვენი სოფელი იქნა შეღჩეული ებლაელი ხელმძღვანელობის მიერ შუღლისძიების აქციის ჩასატალღებლად. თქვენ შეიფალღღეთ პალტიზანები. თქვენი სახლები უნდა დაინვას. გამოდით მოედანზე და ალაფღღლის შეგეშინდეთ.



დროდადრო მექანიკური ლალანი წყდებოდა და მაშინ სახლამდე აღწევდა ხმები, თუ როგორ ყმუოდა ვიღაც „შავა-ნაგილას.“

ალკა პატარა იყო, მაგრამ უკვე კარგად იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა „ზონდერები. კბილები აუკანკანდა.

– იატაკქვეშ უნდა დავიმალოთო, – ბებო მორტიამ.

– სახლიდან თუ არავინ გავა, გაჩხრეკენ, – სხაპასხუპით მიაყარა დედამ. – გვიპოვნიან და გაგვათრევენ ან პირდაპირ ყუმბარებს მოგვაყრიან. მთვრალეები არიან და გამხეცებულე-ბიო. ალკა წაიყვანე და დაიმაღეთ. მე და ემელიანე გავალთ... კარგ კაცად გამიზარდეთო, ალკა...

სოლომონ ბორისოვიჩმა ჩაახველა და ჩვენებაც გაქრა.

გენერალი ტახტზე იწვა, ჭერზე თვალები მიეპყრო და სახეზე ცრემლი დიოდა, მაგრამ თავად ვერას ამჩნევდა.

– აბა, გაიხსენეთ? – მოუთმენლად ჩაეკითხა ექიმი. – რალაცას ბურტყუნებდით, ვერაფერი გავიგე. პარტიზანებიო... რა შუაშია პარტიზანები?

გენერალმა ნერწყვი გადაყლაპა და

მოკლედ და სამხედრო პირთათვის შესაფერი სიტყვასიძუნით მიუგო.

– გამახსენდა. ორმოცდასამში ჩვენთან, პეტროვკაში ებრაულმა ზონდერ-კამანდებმა დაშინების აქციები ჩაატარეს. ნახევარი სოფელი დახვრიტეს, დანარჩენები გეტტოში გააგზავნეს... და მეტად ამაზე ნულარ ვისაუბრებთ, შევთანხმდით? თქვენ თქვენი საქმე გააკეთეთ, გამინმინდეთ ქვეცნობიერი თუ რასაც ეძახით... მადლობა. ესეც თქვენი შრომის საფასური, – მაგიდაზე ორიათას ექვსას სამოცდაათი მანეთი დადო, ცენტრობანკის კურსით – ასი დოლარი (ამერიკული ვალუტით პრინციპულად არ სარგებლობდა).

ბულვარზე გამოვიდა. სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. მძლოლი გაუშვა და ზურგზე ხელებშემონყობილი ხეივანს ფეხით მიუყვებოდა. თოვლის ფანტელები ედებოდა თავსაბურავს.

– ხოოოო, ამ ნაციათ ჩვენს ხალხს დიდი უბედურება დაატეხა თავს, – ფიქრობდა გენერალი. – მაგრამ მამის გამო შვილი ხომ არ დაისჯება?! დაე, მიცვალებულები თავიანთ საფლავში იწვნენ და ცოცხლებს ნუ გაიყოლებენ. დავიწყებას მიეცეს სისხლიანი წარსული. ყველამ ერთად მეგობრულად ვიცხოვროთ.!

ამინ...

## ანდრეი შიპილოვი

### ოქროცერცვას სამეფო ქრონიკები (საღღმისო)



ო რ შ ა ბ ა თ ი:

იმპერატორ ოქროცერცვას სამეფო კარზე კვირის ამ დღეს თავებს სჭრიდნენ.

შეგნებულად ამ საქმიანობისთვის შემალლებულზე ეშაფოტი მოენყოთ და იმპერატორი, ჭიქა ჩაით ხელში, ადევნებდა თვალსა და ყურს – როგორ მხიარულად, ბურთივით და რიგრიგობით ისკუპებდნენ ხოლმე ბოროტმოქმედთა ნაჭრილი თავები რიყის ქვით მოკირწყლული ხიდიდან და ნელ-ნელა როგორ მცირდებოდა რიგი ეშაფოტის მისადგომთან.

ისეც ხდებოდა, მეფე ამაღლებულ განწყობაზე იყო და ეზოში ჩასვლასა და მსჯავრდებულებთან მონყალე და საამო საუბარსაც ინებებდა.

– რისთვის მოგესაჯა, ძმაოო?.. – თანაგრძნობით ჩაეკითხებოდა მომდევნო მსხვერპლს.

– იცით რააა, თქვენო უმაღლესობავ... – თვალდახრით უპასუხებდა ისიც. – ასე და ასეო, ღამით ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოვედიო. ღობეზე მიკრული თქვენი უმაღლესობის პორტრეტი ვერ შევნიშნე და უკაცრავად კი ვარ, მაგრამ... ზედ მივაშარდეო.

– ოჰ, არ მოგსვლია კარგი ამბავი და ბედიც არ გქონია შენო, – დანანებით ეტყოდა ოქროცერცვა. – ახლა კი, მისდექ. მიჰყევ რიგს, თორემ ხომ ხედავ, კიდევ რამდენი დგას შენს უკან და რამდენი გელოდებო.

– იქნებდა... შეგენყალებინეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჰააა?... – მორცხვად ამოხედავდა ტუსალი.

– ეგ როგორ იქნება?! როგორ თუ შეგინყალო?! – გაიკვირვებდა იმპერატორი. – ეგრე ხომ თანმიმდევრობა დაირღვევა. წესი და რიგი კიდევ ყველაფერში საჭიროაო. არა და ვერა. მიდი, მიჰყე მაგ კაცს... მოიცა, შეჩერდი!.. აჰაა, შენ თხუთმეტკაპიკიანი, იმ ჯალათს მისცემ არაყისთვის, მანამ... სანამ... იმას გააკეთებდეს... იცი, შენ, რასაც...!

რამდენიმე წამში ჯალათის ნაჯახი ტკაცუნით იჭრებოდა ოქროცერცვასთან მოსაუბრე ტუსალის კისრის მალეებს შორის. თავად მმართველი კი თავისი ჯერისა და რიგის მოთმინებით მომლოდინე სხვა მსჯავრდებულს მიუბრუნდებოდა ხოლმე დაყვავებით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ი:

აი, სამშაბათობით კი ოქროცერცვა თავის ხალხთან შესახვედრად გადიოდა

დედაქალაქის მოედანზე და თან ისე, რომ მისი მისვლა სრულიად მოულოდნელი უნდა ყოფილიყო, აქაოდა, დადგმული სცენები და სანახაობა არ მომინდოვო.

– აბა, ხალხო, როგორ ხართ და როგორ ცხოვრობთ? – ალერსით ჰკითხავდა იმპერატორი.

– კარგად გვეცხოვრება, თქვენო უმაღლესობავ! – მოისმოდა კანტიკუნტად და მოედანზე შეკრებილნი მეფის ბრგე და ახოვან გარემოცვას შეავლებდნენ ხოლმე თვალს, ისე, ყოველი შემთხვევისთვის. – ღმერთმა ინებოს და თქვენი თავი გვიმყოფოს მხნედ და ჯანზე, კიდევ დიდხანს გემართეთ და მეტ ხანს გემეფოთ ჩვენზე. აი, მაშინ კი სრული და უნაკლო იქნებოდა ჩვენი სიხარული და ბედნიერებაო.

– ჰოდა, ძალიანაც კარგო, – მონყალედ უღიმოდა იმპერატორი. – მასე მინდა და მასე მიხარია მეცო. მომწონს ჩემი ხალხის კმაყოფილებაო. მეც ხომ თქვენი საფიქრალი მეფიქრება და თქვენთან ერთად მედარდება სადარდებელიო, მაგრამ... რომელიმეს სათხოვარი ხომ არაფერი გაქვთ ან წინადადება. გისმენთ. არ შეგეშინდეთ. აქ ყველა ერთნი და ერთმანეთისთვის ვართო.

– პური, მეფეო, პური საერთოდ აღარ მოგვეპოვებო, – შეშფოთებით დაიჩივლა ხალხმა. – ჩვენ კი ვართ მიჩვეული, მაგრამ ბავშვებო...

– აბა, თუ იცით რატომ არაა პურიო?! – შუბლს იჭმუხნის იმპერატორი. – არ შრომობთ საკმარისს და იმიტომო. ასე რომ, თქვენი ხელის საქმეა ეგ. ერთად თუ მივადგებით და ერთად შევუდგებით საკეთებელს, ყველაფერიც საკმარისი გვექნებაო. მიხვდით თუ ვერა გაგიგიათ რაო?

– ჩვენ კი გავიგეთ, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ ბავშვებს რა ვუყვით, იმათ როგორ ავუხსნითო?

– ნახეთ, თქვენც, რაღა სადარდებელიო. პურის ნაცვლად ორცხოობილები უყიდეთ ან ფუნთუშები, ტკბილი ნამ-

ცხვრები. ეგ მეტად გემრიელიცააო.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი:

მეფე ოქროცერცვას ქვეშევრდომებს ძალიან უყვარდათ ჯოხი.

ყველა კი არა, კონკრეტულად ერთი სახრე, რომლითაც დისციპლინის დასამყარებლად როზგავდნენ და როზგავდნენ დაუზოგავად. არ იფიქროთ, უსაქმურები ან უქნარები ყოფილიყვნენ. უბრალოდ, როზგის გარეშე ვერა და ვერ მუშაობდნენ და ეგ იყო და ეგ, მხოლოდ.

იმპერატორი, თავისი ბუნებრივი პიროვნული სათნოების გამო, იცოდებდა და ინდობდა ხალხს და ნამდვილად ცდილობდა როზგისთვის საერთოდ არ მიემართა, მაგრამ სხვაგვარად არ გამოდიოდა და ვერც იქნებოდა სხვანაირად: დისციპლინა და წესრიგი ირლვეოდა, ქვეყანა განვითარებას წყვეტდა და ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალი იყო. აი, მაშინ, ქვეშევრდომები თავად გამოხატავდნენ შეშფოთებას: „რაშია საქმე? რატომ არავინ გვცემს? სამაგისო რა გაგჭირვებიათ, თქვენო უდიდებულესობავ! რატომ არ აიღებთ სახრეს ხელში და რატომ ერთი კარგად არ გაგვროზგავთ, თუ ღმერთი გწამთო?!“

ამიტომ იყო, რომ ოქროცერცვას მკაცრი მითითებით, ყოველ ოთხშაბათს უფროსი მსახურები კეტს იღებდნენ ხელში და გემოზე ბეთქვავდნენ მოქალაქეებს.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ი:

იმპერატორის ქვეშევრდომებს შორის ექსტრემისტებსაც შეხვდებოდიო, სულ „თავისუფლება“ რომ ეკერათ პირზე.

მეფე არც თავად იყო წინააღმდეგი თავისი ხალხისთვის თავისუფლება მიენიჭებინა, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ მართალია, თავისუფლება უყვარდათ მის ქვეშევრდომებს, მაგრამ მისი არსი არასწორად ესმოდათ და მათთვის თავისუფლება „არაფრის კეთების“ შეს-

აძლებლობა იყო მხოლოდ. ამიტომ, არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა მათთვის ამ უფლების მინიჭება. აბა, ვინლა იმუშავებდა მაშინ...? ექსტრემისტებს კიდევ, ამის გაგება რატომღაც სრულიად არ სურდათ.

ასე რომ, მეფის ბრძნულ მითითებას მიყოლილი მსახურები, ხუთშაბათობით თავისუფლების მოყვარულებზე ერთობლივ ნადირობას მართავდნენ.

#### პ ა რ ა ს კ ე ვ ი:

ოქროცერცვა თავის სამეფო დინასტიაში გამორჩეულად ჰუმანური მმართველი იყო. თავისი გმირი წინაპრებისგან განსხვავებით, ის არა მხოლოდ სჯიდა, არამედ თავისი მონინააღმდეგეების შემწყნარებლურად შენდობაც შეეძლო.

ამიტომ იყო, რომ პრასკევობით მეფე საყოველთაო ამნისტიას უცხადებდა ყველას, ვინც მთელი კვირის მანძილზე გადარჩა. როგორი ღრეობით და ზარზეიმით ხვდებოდა ხალხი ამ წყალობას! იმპერატორიც მათთან ერთად ზეიმობ-

და. ერთი კია, არასდროს ივინყებდა პირად უსაფრთხოებას და ყოველთვის მკაცრად აფრთხილებდა სამართალდამცავებს, წესრიგისთვის თვალ-ყური ედევნებინათ.

იმათ კი ვინც წესრიგის დამყარებისას გაიჭყლიტ-გაისრის-დაიბეგვა, მეფე ისევ და ისევ მოთმინებითა და გულმონყალედ უსასყიდლოდ მარხავდა და ასაფლავებდა კომუნალურ ხარჯზე.

#### შ ა ბ ა თ - კ ვ ი რ ა:

შაბათს მთელი ქვეყანა წირვა-ლოცვას აღავლენდა იმათ მოსახსენიებლად, ვინც გასული კვირის განმავლობაში იმ ქვეყანას წავიდა და მიებარა უფალს.

კვირას კი ისვენებდა ყველა და ყოველი, რათა განახლებული ძალებით შედგომოდნენ ცხოვრებას მეორე დღიდან.

ისვენებდა ყველა, გარდა იმპერატორისა. ის ამ დღესაც გაუნელებლად და დაუცხრომლად განაგრძობდა თავის ხალხზე ფიქრსა და მათ სიყვარულს.



## სერგეი ლუკიანენკო



### პროფესიონალი

არაჩვეულებრივი სამუშაო მაქვს – საუკეთესო ამ ქვეყნად. სანინალმდებოში ვერავინ დამარწმუნებს და პრინციპში, არც არავინ შეეცდება.

გორაკის ფერდობზე ვისხედით. ივნისის მწველი მზე ალერსიანი სხივებით გვადნებოდა სხეულზე, ქარს კი სურნელების და არომატების მთელი ზღვა ამოჰქონდა მონაბერებით. თივაქასრას სურნელი მსუბუქად იღვრებოდა და ცხვირში ოდნავ გვიქიციანებდა, ავშანი კი ხმამალა, მომწარო ნოტად ფეთქებოდა. გვირილები ტკბილ და მშვიდ არომატს აფრქვევდნენ ჰაერს.

– რა მშვენიერია! შესანიშნავია, რიჩ... – ძლივს გასაგონად წარმოთქვა გოგონამ. თავი უკან გადააგდო და სახე მზეს მიუშვირა.

დღის განმავლობაში პირველად შეეფაკლა ფითრისფერი, უსისხლო სახე.

– რა ნახე შესანიშნავი აქ? – უხეშად გავეპასუხე. – ყოველთვის, როცა ლამაზ გოგონებთან საუბარი მიწევს, უხეშობას ვიწყებ. ალბათ, უხერხულობის ბრალია. ჩვენთან გოგონა ცოტაა. ოცი წლის განმავლობაში ათზე მეტი არც მინახავს.

– როგორ თუ, რა? – გულწრფელად გაიკვირვა. – ეს ჰაერი... ასეთი სუფთა და მოტკბო... ალბათ, მხოლოდ ამ ჰარ-

ითაც შევძლებდი კვებას.

– კვებას რაც შეეხება, ტყუილად ფიქრობთ ასე, – გაფუნყერი. – ახლა სახლში მივალთ და დედა თქვენთვის ნამდვილ ნადიმს მოაწყობს. ძმამ თევზი დაიჭირა – უხას მოამზადებენ. მამამ კიდევ გუშინ ირემი მოკლა...

– ირემი? ეს ის სასაცილო ცხოველია ხეებზე რომ დახტის?

– ეგ ციყვია! – გადავიხარხარე, – ირემი სულ სხვაა.

გოგონა შეიშმუშნა და შემრცხვა კიდევ საკუთარი სიცილისა. რა თქმა უნდა... აბა, საიდან უნდა იცოდეს, რომელია ირემი...

– იცი, რიჩ?! – თითქოს ჩემს ფიქრებს ეპასუხებო, ისე ამოთქვა. – ჩვენთან, ქალაქში, ვირთხების გარდა, ცოცხალი არსებებიდან არაფერი შემორჩა. ადამიანებს თუ არ ჩავთვლით. ჩვენ კიდევ უფრო ამტანები გამოვდექით...

დადუმდა. ვიცოდი, რა კადრები იროდა ახლა მის მეხსიერებაში.

ჯმუხი, კვამლით დაბურული ქალაქი... აირწინალებიანი გამვლელები. – ერთნაირად მოხეტიალე სიბინძურით დაფარულ ტროტუარზე. ნაცრისფერი მხრჩოლავი ბოლის მბოლქვავი მანქანების კოლონები. ცის გარსიდან – მძაფრსუნიანი წვიმა. ოქსიდების წვეთებით დაფარული სარკმლის მინე-

ბი. ეზოებში მოთამაშე უშნო ბავშვები – აირწინალების გარეშე... ისინი უკვე შეეთვისნენ ახალ და ასეთ სამყაროს.

– არც კი ვიცოდი, ასეთი მშვენიერი ადგილები კიდეც თუ შემორჩა. ტყეები, მთები...

– ჩუუუუუ... – ნელ-ნელა წამოვდექი. თან მხრიდან თოფს ვიხსნიდი.

ტყიდან ირემი გამოვიდა. დიდი, ლამაზი ირემი. მხეცურად, მტაცებლურად დაფრენილი პირით და აჯაგრული შავი მზინავი ბეწვით.

კუდს ნერვულად იქნევდა. მიზანში ამოვიღე.

ტყის ზღაპრული სამყაროს შემდეგ ტელეცენტრის პატარა მყუდრო ოთახი არარეალური ჩანდა.

ტექნიკოსები აჩქარებით მხსნიდნენ სენსორ-გადამცემებს, მსხვილ მავთულთა გორგლებს ახვევდნენ.

რეჟისორი მომიახლოვდა. მღუმარედ გამალა ხელები და მერელა ამოთქვა:

– აბა, რიჩარდ! აბა, ძვირფასო! ასეთი ფილმი შენ ჯერ არ გამოგიგონია!

– ცუდია? – შემფოთებით ჩავეკითხე. არც ჟანგბადის გადასახადი მქონდა შეტანილი, არც სახმარი თუ სასმელი ნყლის დავალიანება დაფარული. თუ რეჟისორი არ მიიღებს და დაიწუნებს ჩემს ახალ აზროფილმს...

– შესანიშნავია! გადასარევი! მთელ სერიალს შევქმნით ამ გმირებით!

წამოდგომაში მომეშველნენ.

ტექნიკური პერსონალი და მსახურები მოწინებით მაკვირდებოდა. რაც უნდა იყოს, ცნობილი აზრო-ოპერატორი, ათობით გასართობი ტელესერიალის ავტორი ვარ. ყველას როდი შეუძლია თავისი ფანტაზიები ისე მკვეთრად წარმოიდგინოს, რომ ეკრანზე წამდვილისგან თითქმის არ განსხვავდებოდეს.

– საერთოდ საიდან მოგდის ასეთი აზრები?! როგორ ახერხებ ასეთების მოფიქრებას?! – ხელი ჩამავლო რეჟისორმა და გასასვლელისკენ წამიყვანა, – ეს ტყე... ირემი... ირემი როგორი ცოცხალი გამოვიდა, თმა ყალყზე დამიდგა! მაგრამ... მე მგონი, ირემებს რქები ჰქონდათ...

– რქები ჰქონდათ მგლებს, – განვუმარტე მე. – და მაგ რქებით ირემებისგან იცავდნენ თავს. მოფიქრებით, ბევრს არაფერს ვიფიქრებ ხოლმე მე. უბრალოდ, ძველ წიგნებს ვკითხულობ და ვცდილობ, წარმოვიდგინო.

– ჩემი აირწინალი აიღე, – მზრუნველად მომანოდა კართან. – სამხრეთ ქარხნების ქარი ქრის.

– აქვე ახლოს ვარ, მივირბენ...

კარი ზურგს უკან მჭიდროდ დაიხურა და ქუჩაში აღმოვჩნდი. სახესაც რესპირატორი ეკრა მჭიდროდ. ჯიბეში კი დღეს გამომეშავებული პურის ბარათები და შაქრის ტალონები მეწყო.

ქუჩაზე მყოფე ნისლის ტალღები მოცურავდა. წამდვილად სამხრეთ ქარხნებიდან ქროდა ქარი.

ნაგვისგან მოზიპულ ტროტუარზე შიმშილით გაბეცებული ვირთხა შემომეფეთა. მტერს ფეხის მოქნევით შევხვდი. მხრიდან არბალეტი მოვიხსენი და გავისროლე.

ვარდისფერი შიშველი კუდით ავიღე მოფართხალე ვირთხა.

საკმაოდ წონადია. ასე, ორ კილოგრამამდე.

– დღეს დედა წამდვილ ნადიმს მოაწყობს, – ცხვირში ჩავიბურტყუნე. – ამ ქვეყნად ყველაზე მაგარი სამსახური მაქვს!

*თარგმნა ნათია პაპიძემ*



მიხეილ გიგოლაშვილი

ეზო

ციკლიდან „ოღესლაც თბილისში...“

მიხეილ გიგოლაშვილი - მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დაიბადა 1954 წლის 4 მარტს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (რუსული განყოფილება). შემდგომ, აქვე გააგრძელა სწავლა ასირანტურაში და დაიცვა დისერტაცია დოსტოევსკის მოთხრობების შესახებ. არის მონოგრაფიისა და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს რუსული ლიტერატურის ისტორიის განხრით, მეოცე საუკუნის 90-ანი წლებიდან ცხოვრობს გერმანიაში და საარლანდის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს.

მიხეილ გიგოლაშვილი არის მოთხრობებისა და რომანების ავტორი. მათ შორის, რომანებისა: „იუდეა“ 1978, „თარჯიმანი“ 2003, „ეშმაკის ბორბალი“ 2009, „მოსკოვის აღება“ 2012 და სხვ. მისმა რომანებმა რამდენიმე ლიტერატურული პრიზი დაიმსახურა. მათ შორის „დიდი რუსული წიგნის პრემია“ 2010 წელს რომანისათვის „ეშმაკის ბორბალი“.

ჩვენი ჟურნალის 2017 წლის მეშვიდე ნომერში გამოქვეყნდა ფილოლოგიის დოქტორის, ნინო პოპიაშვილის ინტერვიუ მიხეილ გიგოლაშვილთან, სადაც ავტორი საკუთარ იდენტობაზე საუბრისას გამოყოფს „თბილისელს“, როგორც ერთგვარ ჯგუფს, ნიშანსა და მახასიათებელს.

გთავაზობთ მიხეილ გიგოლაშვილის მოთხრობას „ეზო“, რომელშიც სამშობლოსგან დისტანცირებული ავტორი თბილისური ეზოს ერთგვარ საკრალიზებას ახდენს.

თბილისური ეზო სამყაროს ცენტრია, სანყისთა სანყისი, სამყაროს გამაერთიანებელი, მთავარი ავტორიტეტი, სამართლიანი მსაჯული, ან კანონიერი ქურდი, ალფა და ომეგა, აკვანი და საფლავი. ეზოში დილაადრიან უნდა ჩახვიდე და შებინდებამდე დარჩე, მანამდე, სანამ ხმაჩახლეჩილი მშობლები, რომლებმაც ყველაფერი უკვე სცადეს

– მოფერებაცა და ჩხუბიც, ქოქოლას მოგაყრიან, რომ როგორმე სახლში შეგათრიონ. მერე შეიძლება დამშვიდებული გულითა და სუფთა სინდისით სახლში შეხვიდე და ივასშმო.

დღეს უქმად არ ჩაუვლია: ვითამაშეთ ყველანაირი თამაში, დავეხმარეთ მეზობლის ქალებს საბნის მატყლის გარეცხვა-გაშრობაში, შევაკეთეთ შუა



ეზოში ომისდროინდელი ძველი “მოსკვიჩი”, გავიმარჯვეთ მეზობელი ეზოს ბიჭებთან ორთაბრძოლებში, დავიცავით ეზოს ღირსება, გავაჭუჭყიანეთ ყველაფერი, რისი გაჭუჭყიანებაც შეიძლებოდა. ყველა მეზობლის საჭმელს გავუსინჯეთ გემო, ონკანიდან ყინულივით ცივი წყალიც ბლომად დავაყოლეთ – მეტი რაღა უნდა გინდოდეს კაცს, რომ ცხოვრებაში თავი ბედნიერად იგრძნო?!

ეზოში ყველა მაცხოვრებელს აქვს ხმის ამოღების უფლება. შესაბამისად, უკითხავად აღებული ჩოგნის, ან უადგილოდ დაკიდებული პირსანმენდის გამო კამათი შეიძლება დიდ ჩხუბსა და ნივილ-კივილშიც გადაიზარდოს, მაგრამ ეზო ერთი ოჯახია. ამიტომაც კამათი ნელდება, ჩხუბი ცხრება, შფოთი მშვიდდება... და საიდანაც მოჰქონდათ მწყალი.

მხუქანა მიხო ძია, სტალინურ ფრენჩსა და გალიფეში გამონყობილი, ხორცკომბინატში დარაჯად რომ მუშაობდა, მივიდოდა თავის დიდ, ფინურ მაცივართან, რომელშიც ყოველ დღე სავსე ჩანთით მოტანილ თბილ-თბილ სუკებს აწყობდა ხოლმე. ბავშვებს კი საკუჭნაოში აგზავნიდა ხახვისა და ნახშირის მოსატანად. მელლოტი, გამხდარი ვანო ძია სპორტულუბსა და ჩინურ კედებს იცვამდა – თავისი ჭკუით, ახალგაზრდებს ბაძავდა, კისერზე რეზინის შლანგს შემოიგდებდა და სარდაფისკენ მიდიოდა, სადაც სანუკვარ კასრში ოჯახის ღვინოს ინახავდნენ (ყაირათიანად იქცეოდნენ, შემოდგომობით ფულს აგროვებდნენ, კახეთში მიდიოდნენ, 200 ლიტრ ღვინოსა და 50 ლიტრ ჭაჭის არაყს იყიდდნენ და მთელი წელი სვამდნენ, სანამ ახალი მოსავალი მოუსწრებდათ). კაცები ჩოგბურთის მაგიდას გაზეთებს გადააფარებდნენ. ქალები უფრო ცნობისმოყვარეობას გამო გადიოდნენ ეზოში, აინტერესებდათ, ვისი საჭმელი უფრო გემრიელი იყო, თუმცაღა სამზარეულოდან გამოსული ოხშივარის მიხედვით ამას ისედაც იოლად ხვდებოდნენ.

ეზოში სხვადასხვა ადამიანის გულისტკივილს, მათ საჩივარს ერთნაირი გულისხმიერებით ისმენდნენ, სამართალი ყველასთვის ერთნაირი საზომით იზომებოდა: უშელავათო, მიუკერძოებელი იყო ეზო. ბავშვებს არ ერიდებოდნენ, ყველაფერზე ღიად საუბრობდნენ. ყველაფერს ჩვენთან ერთად განიხილავდნენ – დაე, ყველაფერი იცოდნენო. ჩვენც ეზოში გარჩეული ყველა ამბავი ხუთი თითივით ვიცოდით.

– ქალს ტვინი სადა აქვს! – აცხადებდა, მაგალითად, ვანო, თავის ცოლზე, მშვიდ, ავადმყოფ ამალიაზე რაღაცის გამო გაბრაზებული. ამალია მთელი ცხოვრება ფანჯარასთან იჯდა კატასთან ერთად, რომელსაც ფისოს ეძახდა.

– ტვინი აქვს, მაგრამ არა აქვს ჭკუა! – შეუსწორებდა მიხო.

– როგორც ფისოს, – ჩაურთავდა ვინმე, დომინოს ტკაცუნის, ან ლუდის ჩამოსხმის დროს.

– ან, როგორც მელას, – ეთანხმებოდა მიხო (ის რამდენჯერმე იყო სანადიროდ და, მართალია, ერთხელაც არ გაუსვრია თოფი, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდა და მონადირის სახელს ირქმევდა. თოფის სროლა კი იმიტომ ვერ მოეხერხებინა, რომ ბუნებაში გავიდოდნენ თუ არა, ქეიფიც იწყებოდა და ნადირობისთვის აღარავის ეცალა).

– სამაგიეროდ, თქვენ ბევრი ჭკუა გაქვთ, ტაშტი გაივსება! – ფანჯრიდან ჯიქურ გამოაცხადებდა შეუპოვარი ეთერი დეიდა, არავის რომ არაფერს უთმობდა.

მას სხვა ქალებიც ეთანხმებოდნენ:

– მთელი დღე დომინოს თამაშობენ!

– უსაქმურები!

– საკუჭნაო მაინც შეგეკეთებინათ!

– ან სარდაფი დაგელაგებინათ!

– ან წესიერი სამსახური მოგეძებნათ!

სამსახურში თითქმის არავინ დადიოდა, ვინც დადიოდა, ისიც ორიოდ საათით თუ მიირბენდა, მერე კი ისევ შინ ბრუნდებოდა. თითქმის ყოველ ოჯახში

იყო ერთი შემომტანი, რომელიც ყველას აჭმევდა, აცმევდა. მერე ცხოვრებაც არ უნდა გასჭირვებოდათ: ჩაცმულ-დახურულები ხართ, ციხეში არა სხედხართ, საავადმყოფოში არა წევხართ, მორგში არა ხართ, იცხოვრეთ, რა.

და ყველა ცხოვრობდა. უფროსები რალაცას საქმიანობდნენ, ბავშვები მთელი დღე ეზოში ან ბურთს ვთამაშობდით, ან დამალობანას, მაგიდის ჩოგბურთს, “გაშეშობანას”, კალათბურთს. მხოლოდ მაშინ ვჩერდებოდით, თუ რამე ოინბაზობას მოვკრავდით თვალს: ცოფიან ძაღლს დავინახავდით, უბნის გიჟი ჩამოივლიდა, ან მეზობელ ეზოში აყალმაყალი დაიწყებოდა, ან გზაზე ავარია მოხდებოდა, პურის მოედანზე თუ ხმამალალი შეხლა-შემოხლა ატყდებოდა, ან ლოთების დებოში დაიწყებოდა საპარიკმახეროში (“საყურებლად” მთელი უბანი მორბოდა, დიდიან-პატარიანად).

განსაკუთრებით საინტერესო იყო, როცა ეზოში ქალები წიოკობდნენ. წვრილმანებით დაწყებული ჩხუბი მძვინვარებაში გადადიოდა. ბევრჯერ ხმამალალ დავიდარაბაშიც გადაზრდილა, რაც ჩვენ განსაკუთრებულ ნეტარება-სიამოვნებას გვგვრიდა, მიუხედავად იმისა, რომ უმეტესად ამ ჩხუბის მთავარი მიზეზი სწორედ ჩვენ, ბავშვები ვიყავით — ვილაცამ ვილაცას რალაც წაართვა, ვილაცამ ვილაცას ხელი გაჰკრა, ვილაცამ იტირა... გამძვინვარებული ქალების გაშველება მხოლოდ ძალით შეიძლებოდა, თავიანთ სახლებში შეთრევით, თუმცა იქიდანაც ისეთი ყვირილი ისმოდა, რომ კაცები თავებს მძიმედლა აქნევდნენ.

მნიშვნელობა არა ჰქონდა, ვისი ცოლები წაეკიდებოდნენ, კაცები მაინც არხეინ გამომეტყველებას ინარჩუნებდნენ და ქალების განამანიაში არ ერეოდნენ. ჩვენ კი, დიდი ხანია დავინწყებული გვქონდა, ვინ ვის რა წაართვა და თან სანახაობით ვტკბებოდით, თან თონის ცხელ პურს შევექცეოდით და

ზედ ეზოში მოკრეფილ ლელვს ვაყოლებდით. ქალებიც მალევე მოშმინდებოდნენ. კაცები კი ისედაც არასოდეს ჩხუბობდნენ. არეულობის შემდეგ ეზოში სიმშვიდე ისადგურებდა, ამ სიჩუმეს კი ერთბაშად არღვევდა ყველას მშველელი ოთხფეხა რკინის ჟღარუნის ხმა: მაყალი მოჰქონდათ!

მსუქანა მიხო, ყოფილი დურგალი, ჩვენთან ერთად საათობით ერთობოდა: ანებებდა, თლიდა, გვასწავლიდა ჭადრაკისა და ნარდის თამაშს, მაგიდებისა და სკამების გაკეთებას. ერთხელ ასანყოფი სცენა გაგვიკეთა — ნახევარი უბანი მოდიოდა ჩვენი ეზოს სპექტაკლების სანახავად. სპექტაკლების შემდეგ კი საერთო სუფრა იშლებოდა, სადაც საჭმელები მეზობელი ეზოებიდანაც მოჰქონდათ.

როცა სუფრა გაიშლებოდა, სტუმრებს მაგიდასთან ვანო გაანაწილებდა ხოლმე, სპექტაკლის დღეს ბავშვებს საუკეთესო ადგილები ხვდებოდათ. მიხო ყველაზე პატარას მუხლებზე დაისვამდა და ყველას დაუსხამდა ლიმონათს, ყოველ ჭიქაში ჩაანწეთებდა წითელ ღვინოს “ფერისათვის”, თვითონ ჭიქას გაილიცილიცებდა და დაიწყებდა:

- ყველას ყველაფერი გაქვთ?
- დიახ, – ვპასუხობდით ჩვენ.
- ჭიქები და თეფშები სავსე გაქვთ?
- დიახ, – ერთხმად ვპასუხობდით ჩვენ.

– მაშ, მომისმინეთ! ის დღე ვახტანგ გორგასლისათვის უიღბლო გამოდგა: დიდხანს იხეტიალეს ტყეში, მაგრამ ვერაფერი მოკლეს. ერთმა უკუღმართმა ტოტმა კინალამ დააბრმავა მეფე, მის საყვარელ ცხენს კი ნალი დაეკარგა და დაკოჭლდა. მეფემ ბრძანა, წყაროსთან დაბანაკებულიყვნენ. წყალი ზემოდან მოექანებოდა, უზარმაზარ ქვაზე გადმოდიოდა და ჩანჩქერივით მოთქრიალებდა. ვიდრე მსახურები სუფრას გაშლიდნენ, მეფემ მუზარადი მოიხსნა, წყალს შეუდგა და ის-ის იყო, უნდა დაეღია, რომ

შევარდენმა ხელში ჩაუნისკარტა... აი, ასე, სამჯერ! მეტი დამაჯერებლობისათვის მიხო ყველაზე პატარას შეულუტუნებდა იმის საჩვენებლად, შევარდენმა მეფეს როგორ ჩაუნისკარტა. შემდეგ კი ავისმომასწავებელი ხმით განაგრძობდა: გაბრაზდა მეფე და ბრძანა, შევარდენს თავი წააგდებინეთო!

– რატომ?... ცოდოა!...

– მეფეს წყლის დაღვევა არ დააცადა და იმიტომ!

– წყლის სმის დროს გველიც არა გკბენს!

მიხო სიგარეტისგან გაყვითლებულ თითს მალლა სწევდა და არაფერს არ გვპასუხობდა. ერთ ლუკმას ჩაიდებდა პირში და აგრძელებდა: – სწორედ ამ დროს ერთმა მსახურმა მუჭით წყალი ამოიღო, დალია და უსულოდ დაეცა. აღმოჩნდა, რომ მდინარის სათავეში, ქვის ქვეშ, შხამიანი გველი მომკვდარიყო და წყალი მოენამლა! წყალი მონამლული იყო!

– გამოდის, რომ შევარდენს მეფის გაფრთხილება სდომებია! – სულსწრაფობდა რომელიღაცა.

– შევარდენი კეთილია? – აზუსტებდა ყველაზე პატარა.

– ძალიან კეთილია. მოვიგონოთ უდანაშაულოდ მოკლული შევარდენი, რომელმაც მეფე გადაარჩინა! – ეთანხმებოდა მიხო და სვამდა, ამალის ბუზლუნის მიუხედავად (ყოველი ჭიქის შემდეგ ქალის ბუზლუნი ძლიერდებოდა).

ყველამ იცოდა, რომ ამბავი გაგრძელდებოდა. ასეც იყო. მიხო დაღვევდა, ახალს დაასხამდა და განაგრძობდა:

– მეფე გზას გაუდგა, ცალკე მიდიოდა, ამალას გამოეყო და მოულოდნელად ხოხობი ააფრინა, ისეთი, კონიას რევოლუციამდე, ნადირობიდან რომ მოჰქონდა. ხოხობმა უღრან ტყეში შეიტყუა. მეფე გაბრაზდა და თქვა: “თუ ფრინველის მოკვლაც არ შემიძლია, ქვეყანას როგორღა გაუუძღვებო?” ბოლოს ესროლა ისარი და მოკლა კიდეც, მაგრამ ხოხობი წყალ-

ში ჩავარდა. მეფემ თავისი საყვარელი ცალყურა ძაღლის გაგზავნა მოინდომა მოკლული ფრინველის მოსატანად, მაგრამ ძაღლი საბრალოდ წკმუტუნებდა და არ მიდიოდა, თითქოს რალაცას ანიშნებდა კიდეც!...

– რა უიღბლო დღე იყო.

– ან ვილაცამ თვალი ჰკრა.

– ჯიუტი ძაღლი! – დაასკვნა ყველაზე პატარამ (მასაც ხომ სულ ასე ეუბნებიან: “იქით წადი!” “აქეთ მოდი!”).

მიხო წვრილმანების გარეშე აგრძელებდა მოყოლას:

– შერცხვა მეფეს, იფიქრა: “თუ ძაღლიც არ მიჯერებს, ხალხი როგორღა დამიჯერებსო”. მსახურებს რომ არ დაენახათ, თვითონ დააპირა წყალში შესვლა ხოხობის გამოსატანად. წყლიდან კი ისეთი ორთქლი ამოდიოდა, როგორც ჩაიდანს ასდის დუღილის დროს!... ეს რაღა ჯანდაბააო?... ნახა და წყალი ცხელია, მდულარეა!... შუბით მოსწია ხოხობი და ფრინველი მოხარშულს ჰგავდა!... წყალი მარილიანი იყო, ჩიხირთმასავით გემრიელი ჩანდა! რა ხდებოდა?... მეფეს ჯერ გაუხარდა, მერე შეეშინდა: მონამლული ხომ არ არისო?... რა უბედური დღე გამოთენდაო!... მაგრამ ამ დროს ამალაც გამოჩნდა. მკურნალმა დაასკვნა, რომ წყალი სამკურნალო იყო და ყველა დაავადებას კურნავდა. ხოხობი კი მართლაც მოხარშულიყო, ჭამა უკვე შეიძლებოდა, ტყემალიღა აკლდა... ამის შემდეგ მეფემ ბრძანა, ამ ადგილზე ქალაქი გაეშენებინათ, რომ მის მკვიდრთ ჯანმრთელობა და მხნეობა არ მოჰკლებოდათ, სუფრა კი თავად გაშლილიყო, ისე, როგორც – დღეს!... ამინ! – მალლა სწევდა მიხო თავის სირჩას.

– ძაღლს რაღა მოუვიდა? მეფემ ისიც მოაკვლევინა? – აინტერესებდა ყველაზე პატარას.

– რატომ მოაკვლევინებდა?... პირიქით, მეფურად დააჯილდოვა: თავზე პატარა გვირგვინი დაადგა და გვერდით მოისვა დაბალ ტახტზე.

– ასეთზე?... – ეკითხებოდა ყველაზე პატარა და თავის ქოთანს აჩვენებდა, რომელიც ეზოში იდგა.

უფროს ბავშვებს კი ის უკვირდათ:

– ერთგული შევარდენი სიკვდილით დასაჯა, ურჩი ძალლი კი დააჯილდოვა?... რატომ?...

– აბა თქვენ თვითონ დაფიქრდით, რატომ. – თვალეები მოჭუტა მიხომ, მასწავლებლის აპოთეოზში შესულიყო და განსხვავებულ შეხედულებებს მშვიდად ისმენდა (რომ მეფეს ძალლი უყვარდა, შევარდენი ეჯავრებოდა, ან შევარდენზე გაბრაზებული იყო, ან, საერთოდაც, მარცხენა ფეხზე იყო იმ დღეს ამდგარი) და საზეიმოდ გამოაცხადებდა: ძალლს რომ დაეჯერებინა, მეფე წყალთან არ მივიდოდა და ვერასოდეს გაიგებდა, რომ წყალი სამკურნალო იყო დაჟ ჩვენს დიდებულ ქალაქსაც ვერ ააშენებდა!...

– ანუ, ჯობია ურჩი იყო, ვიდრე დამჯერი? – დაასკვნა ყველაზე პატარამ, მაგრამ მისთვის საპასუხოდ აღარავის ეცალა: უფროსები ერთმანეთს ჭიქებს უჭახუნებდნენ. სვამდნენ ქალაქისა და მეფის სადღეგრძელოს. ხუმარები იმ ცალყურა ძაღლის თამადაობით ყველა ძაღლს ადღეგრძელებდნენ, ძაღლი ხომ ადამიანის საუკეთესო და ერთგული მეგობარია. კატა ფისოს სახით კი ყველა კატის სადღეგრძელოს ამბობდნენ (ფისო კი კრუტუნით გამოხატავდა მაღლიერებას).

ეზოს კუთხეში მოხუცი ქალი ცხოვრობდა. ხმა დადიოდა, რომ მას ჯადოს გაკეთება და მოხსნა შეეძლო, ექიმბაშობა და მკითხაობაც მისი ხელობა იყო. ეზოში ხშირად მოდიოდა ხალხი, ზარს რეკავდნენ და მოთმინებით ელოდებოდნენ, ვიდრე ბებო ჯოხის კაკუნით მოდიოდა კარის გასაღებად და კარსუკან უჩინარდებოდნენ. იქიდან კმაყოფილები და მხიარულები გამოდიოდნენ. ბავშვები ეზოდან ყველაფერს დიდი ინტერესით ვაკვირდებოდით. ბებოც არ გვეპატიჟებოდა და უფროსებიც გვიკ-

რძალავდნენ იქ შესვლას. ჭუჭყიანი ფანჯრებიდან კი ბუნდოვნად მოჩანდა ცეცხლის ალის ლიცლიცი, რალაც ანათებდა, ქრებოდა, ინთებოდა...

ერთხელ თავშეხვეული ქალი მოიყვანეს. ერთხელ ბავშვი შემოიყვანეს. ერთხელაც, დავინახეთ, როგორ მოვიდნენ მოხუცთან სამხედროები, რომლებსაც თავიანთი ამხანაგი ხელით მოჰყავდათ. საბანგადაფარებული ავადმყოფებიც გვინახავს. ხანდახან თაბაშირიანი და ბინტგადახვეული ადამიანებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე, ყავარჯნებითაც მოსულან და ინვალიდის სავარძლითაც. ხან წყვილები მოდიოდნენ, ხან – ახალგაზრდა ქალები დედებთან ერთად.

მოხუცი თავისი ნესტიანი ბინიდან არ გამოდიოდა. პური ჩვენ მიგვექონდა. თუ ეზოდან ვინმე ბაზარში მიდიოდა, ქალი ყველს ან ქათამს აბარებდა. შვილები და შვილიშვილები არ ჰყავდა, ფული შემოსდიოდა და პურისგან დარჩენილ ხურდას ყოველთვის ჩვენ გვაძლევდა, ნაყინი იყიდეთო.

ორი დღე ისე გავიდა, მისი ფანჯარა არ გაღებულა. მეზობლები სარკმლიდან გადაძვრნენ და ნახეს, რომ მომკვდარიყო. სტალინის უზარმაზარი პორტრეტის ქვეშ, ტახტზე იწვა, მორყეულ კომოდზე ბიბლია და უცნაური ნივთები ეწყო: შუშის პირამიდა, მწვანე ქვის ბურთი, სადაფის მარაო, ლამბაქზე გაღვივებული ქერი, ბანქოს ქალაღი უცნაური ნიშნებით, სპილენძის ბეჭედი და რამდენიმე ერთმანეთში ჩადებული ფიალა.

– სატანა! – ცხელ გულზე წამოსცდა ვანოს და კედლიდან სტალინის სურათი ჩამოგლიჯა (სტალინის დროს ხუთი წელი ციხეს ხეხავდა), რაც კომოდზე ეწყო, ყველაფერი ერთ ტომარაში ჩაყარა და ნაგავში გადაუძახა, მკაცრად აუკრძალა ბავშვებს უწმინდურ ბინაში შესვლა. არც შევსულვართ, მაგრამ ნავი კარგად გადავქექეთ და უცნაურმა სათამაშოებმა გაგვახარა. ეს რომ ვანომ დაინახა, სათამაშოები წაგვართვა,

ეზოდან გაიტანა და ვერის ხიდიდან მტკვარში გადაუძახა.

ქელეს უცნაურობების გარეშე არ ჩაუვლია. უეცრად სახურავიდან თუნუქის საწვინარი მილი ჩამოვარდა და ვანოს გვერდით ისე დაეხეთქა, რომ ხელი გაუჭრა. ანაზღად, ღვინით სავსე ბოთლი გასკდა და ერთი ნატეხი იმ ფანჯრის ჩარჩოს ჩაესო, სადაც, ჩვეულებრივ, ამალია იჯდა ხოლმე (ახლა ქელესის გამო გარეთ იყო გამოსული). სრულიად მოულოდნელად, დებოში ატეხა “წყნარმა” საშიკომ და ხაშლამის თეფში გადმოაპირქვა. შილაფლავი უცებ ამოშრა და აიკურნლა, მიუხედავად იმისა, რომ დიასახლისი სულ ქვაბს დასტრიალებდა. მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ ჯადო არსებობს...

მოხუცის გარდაცვალების შემდეგ ბინაში მისი შორეული ნათესავი, მერაბი შესახლდა. მასთან მეგობრები იკრიბებოდნენ, დილამდე ენოთ სინათლე, ხარხარის, ჭიქების ჭახუნის, კარტის ტკაცუნისა და ზარის გაგორების ხმები ისმოდა. უფროსები უკმაყოფილოდ გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს და მე-

რავს “კარტოჭინკსა” და ზარის მოთამაშეს ეძახდნენ.

ზარის მოთამაშეებზე ბევრი არაფერი ვიცოდით: მხოლოდ ის, რომ ისინი საშიში ხალხი იყო, ვილაცის სიცოცხლეზე თამაშობდნენ და შემდეგ ადამიანებს ხოცავდნენ. ჩვეულებრივ, ორთაჭალაში აგორებდნენ ზარს. სხვაგან სად უნდა ეთამაშათ?... მეიდანზე რალაცეებს ყიდიდნენ, ავლაბარში ხალხმრავლობა იყო, სოლოლაკში შეიძლება ქურთები დაგდგომოდნენ თავს, ვაკეში მთავრობა დადოდა, საბურთალო მილიციელებით იყო სავსე. დიდუბე პატარა იყო, ვერაზე და პლენანოვზე ისედაც ბევრი მოთამაშე ჰყავდათ: ყველა ბალი დაკავებული იყო. რალა დარჩა? ან კუკიაზე უნდა ასულიყავი, სასაფლაოზე, ან ორთაჭალაში, სანაპიროზე, სხვა გზა არ იყო!

ორთაჭალაში, სადაც მუდმივად სიგრილე და ჩრდილია, მთელი ქალაქის ზარის მოთამაშეები გროვდებოდნენ. ფული არა ჰქონდათ და უცნაურ რალაცეებზე თამაშობდნენ. ამბობდნენ, რომ განსაკუთრებით ხშირი იყო ახლობლებზე, დედაზე ან დაზე თამაში, ან პირ-



ველივე შემხვედრის მოკვლაზე. ამოირჩევდნენ: სათვალთან, ქუდიან, უღვაშე-ბიან შემხვედრს. ან კიდევ, უარეს სა-  
დაგლობაზე თამაშობდნენ – ტრამვაიში  
ვინმეს გაუპატიურებაზე. თუ წაგებუ-  
ლი ასე არ მოიქცეოდა, სხვა მოთამა-  
შეები თვითონ მას მიასიკვდილებდნენ.

მერაბმა ცხოვრება ცუდად დაასრუ-  
ლა – მეხუთე სართულიდან გადმოვარ-  
და. უფროსები ამბობდნენ, ალბათ ზა-  
რის მოთამაშეებმა გადმოაგდესო, მაგ-  
რამ ზუსტად რა მოხდა, ვერავინ გაი-  
გო. მოხუცი ქალის ბინა ერთმა სქელუა  
მილიციელმა იყიდა. ამის შემდეგ იქ  
ცისფერპერანგიანები დადიოდნენ, რაც  
ასევე არავის მოსწონდა, მაგრამ რა ექ-  
ნათ?.. როგორც ჩანს, ჯადო ჯადოქრის  
სიკვდილის მერეც მოქმედებდა.

ჩვენს უბანში, სოლოლაკში სამი გი-  
ჟი ცხოვრობდა. ფეხებმოჭრილი ბებერი  
მარიამის საგორავებელი დაფის ბორ-  
ბლების ჭრიალს და დედის გინებას,  
რომლითაც ის აუტანელ ცხოვრებას  
ლანძღავდა, მანამდე გაიგებდი, ვიდრე  
ქალს დაინახავდი. ეს ხეივანი დედაბე-  
რი, ასფალტზე ხელის მოსმისაგან ქან-  
ცგანყვეტილი, გზის გასაგრძელებლად  
რკინის სახელურებს გალურჯებული,  
დაძარღვული ხელებით ექაჩებოდა,  
აქეთ-იქით იქნევდა. მერე სადმე გუბე-  
ში ჩაიხერგებოდა და მთელ უბანს აყ-  
რუებდა მისი განწირული ღრიალი:

– წყეულიმც იყოს ეს დაწყველილი  
ცხოვრება!... წყეულიმც იყოს ეს დაწყ-  
ველილი ღმერთი!... წყეულიმც იყოს  
ეს ყველაფერი!...

ძია მიხო ჭიშკრიდან გაიხედავდა და  
მკაცრად ეტყოდა:

– მარიამ, გაჩუმდი! ბავშვებს ესმით!

რა გასაკვირიც უნდა იყოს, ეს სიტყვებ-  
ი შედეგს გამოიღებდა ხოლმე: მოხუცი  
ჩუმდებოდა და მის მთქმელს საეჭვოდ  
აყოლებდა თვალს ქვემოდან ზემოთ, ლი-  
პისკენ, მერე ძალღვივით დაიღრენდა და  
იქაურობას ხოხილ-ხოხილით შორდე-  
ბოდა.

– ვის ლანძღავდა? – ვეკითხებოდი  
ჩვენ.

– ავადმყოფია, უბედურია, გიჟია!  
ილანძღება, ღმერთს წყევლის!

– საგიჟეთში რატომ არ მიჰყავთ?

– იმიტომ, რომ ეცოდებათ. იქ მალე  
მოკვდება, აქ კი ცოცხალია. ყველას  
უნდა სიცოცხლე, – გვიხსნიდა მიხო,  
რომელიც ისევ ჭიშკრიდან იყურებოდა.

ეზოში მოთამაშეები დაფის ჭრიჭი-  
ნისა და ბორბლების ჭრიალის ხმას რო-  
გორც კი გავიგებდით, მაშინვე ქუჩაში  
გავცვივდებოდით, საბრალო მოხუცს  
ვაბრაზებდით, კენჭებს ვესროდით. მე-  
ზობლის სქელუა ბიჭი, გვარად მუდი-  
სი, გვაგულიანებდა, ქურთი ტიტალას  
სარდაფში შევათრიოთ და მოვკლათო.  
სხვები პასუხობდნენ:

– ცოდოა, რატომ უნდა მოვკლათ?

– ბიჭი ჯიუტობდა – ისე, უბრალოდ,  
ვნახოთ, ფეხები სადა აქვს მოჭრილი,  
არაფერიც არ მოხდება, ციხეში არ ჩაგ-  
ვსვამენ, უსახლკაროა და არავის სჭირ-  
დებაო.

სხვები არ თანხმდებოდნენ – ეგ რო-  
გორ შეიძლებაო! ბავშვები მარიამს აღ-  
მართზე ასვლაშიც ეხმარებოდნენ, აწვე-  
ბოდნენ მის საცოდავ, ოფლისაგან სველ  
და გამხდარ ზურგს, ის კი მთელი ძალით  
უსვამდა რკინის რგოლებს ასფალტზე,  
ხმამალლა წყევლიდა ყველაფერს ამ ნუ-  
თისოფელში და ადანაშაულებდა ღმერთს,  
რომელმაც, როგორც ჩანს, ადრე უკვე  
რალაცით გაამწარა.

მეორე სანყალობელი, გიჟი კოლა,  
მზეზე გახუნებული მოკლედ შეჭრილი  
თმით (არავინ იცოდა, ვინ აჭრიდა თმას),  
ქუჩაში თავჩაქინდრული დადიოდა, ვედ-  
როს აბრაზუნებდა და ყველაფერს შიგ  
ყრიდა, რასაც გზაზე იპოვიდა. ეზოებში  
შემოდებოდა და მათხოვრობდა, ხურდას  
ითხოვდა. ხურდებს აივნიდან უყრიდნენ.  
გახარებული ფულს პირში იტენიდა და  
ასე პირგამოტენილი დადიოდა. ჩვენ კი  
ვჩხრეკდით მის ვედროს, გვანტიერესებ-  
და, რა ეყარა შიგ, თუმცა უფროსები შიგ

ცხვირის ჩაყოფას გვიკრძალავდნენ. ჩვენი აზრით, ეს სანყალი არც ისე სულელი იყო, გვიზიდავდა და გვაინტერესებდა ყველაფერი, რაც მის ვედროში ბრჭყვი-ალებდა.

კოლამ ახალი წლის წვეულებაზე საჭმლის ნარჩენების წასაღებად ვედროს ნაცვლად ტომარა მოიტანა.

– პური – ვირებს! ღვინო – ადამიანებს! – მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა და ჩვეული ჟესტებით მონყალება გვთხოვა.

იყო მესამე შეშლილიც, ჩუმი, საზარელი, მუნჯი, შავებში ჩაცმული ქალი. სახეს სკოლის ცარციით ითეთრებდა, თვალებს მელნით იღებავდა. მთელი დღე ჩუმი დადიოდა უბანში, ხელში ფეხსაცმლის ყუთი ეჭირა, სალამოს ყუთს ბაღში მარხავდა. ყველამ იცოდა, რომ ჩვილი მოუკვდა და მას შემდეგ, ყოველ დღე მარხავდა ბაღში ყუთს, რომელსაც ფეხსაცმლის მაღაზიაში აძლევდნენ. თუ არ მისცემდნენ, ჩუმი ტიროდა დახლთან, მელანი ცარციან ლოყებზე ეთხაპნებოდა. უბნელი სკოლის მოსწავლეები გულუხვად უნანილებდნენ ცარცსა და მელანს, ჩაიხატოსო.

– მსხვერპლი! – მწუხარედ წარმოთქვამდა ძია ვასო ყოველ ჯერზე, როცა დაინახავდა კოლას, მარიამს, ან რამე უბედურებას შეიტყობდა.

რაოდენ უცნაურიც უნდა ყოფილიყო, ეს სიტყვა მამშვიდებდა: მაშასადამე, არა უბრალოდ, არა ტყუილად, არამედ ასე ყოფილა საჭირო. და ვისი მსხვერპლია? რასაკვირველია, ღმერთისა, ვისი მსხვერპლი იქნება?!... როცა ბავშვები ეკითხებოდნენ, კეთილ ღმერთს რად უნდოდა, ახალგაზრდა მარიამი ტრამვას ბორბლების ქვეშ მოყოლილიყო და მისთვის ფეხები მოეჭრათო, ვანო გვპასუხობდა, რომ ეს არავინ არ იცის, ღმერთის გარდა, რადგან შეიძლებოდა, მარიამისთვის მატარებელს ფეხები კი არა, თავი მოეკვეთა. თავის მოჭრას კი ფეხების მოჭრა სჯობდა.

ჩვენ ვჩუმდებოდით, გაცოცხლებული ღვთის შორსმჭვრეტელობითა და მონყალებით – როგორ შეუძლია ბრძენ-თაბრძენს ყველაფრის გამოცნობა?... მაგრამ, მეორე მხრივ, თუკი ქრისტე ადამიანებისთვის ენამა, მაშ, ვისთვის ენამებიან ადამიანები? ქრისტესთვის? ცხოვრებისეულ ვალს იხდიან?...

ეზოში აღინიშნებოდა ყველა თარიღი: დაბადების დღე, სახელობითი დღე, დღესასწაული, ქორწილი და ქელები. წინა საუკუნიდან მოყოლებული, ქვაბები და მაყალი საერთო საკუჭნაოში ეწყობო. იქვე ინახებოდა კარტოფილი, ხახვი და ნახშირი, რომელსაც შეგროვებული ფულით ყიდულობდნენ. ღვინისა და ჭაჭის არყის კასრები სარდაფში იყო დამალული. მიხო ხორცზე იყო პასუხისმგებელი. ხორცკომბინატიდან მოჭქონდა საუკეთესო ნაჭრები ყველაზე იაფად. გასაშლელი მაგიდები და სკამები, ოდესღაც, ქორწილის შემდეგ ჩაბარება რომ დავიწყებოდათ, სამრეცხაოს გვერდით, ფარდულში ეწყობო.

და აი, ნახშირს მაყალში ტკაცატკუცი გაჭქონდა. ხორცი მორცხვად იბრანებოდა შამფურებზე. ონკანის ქვეშ, თასში ელვარებდა ახალი პომიდორი და ქორფა კიტრი. თონიდან ახლადამოყრილი პური მაგიდაზე ოხშივარს აფრქვევდა. ყველი ცრემლებს ღვრიდა. მწვანილი ირხეოდა. ძია მიხო უკვე თავის პირველ საყვარელ სადღეგძელოს ამბობდა – “ყველაფერი თანაბრად და ყველაფერი სანახევროდ”:

– უწინდელ დროში თბილისი ისეთი ქალაქი იყო, სადაც ყველაფერი თანაბრად ნაწილდებოდა – ბედნიერება და უბედურება, ადამიანები და ცხოველები, საჭმელი და სასმელი. თუ, მაგალითად, ქალაქის ერთი გასასვლელიდან სამი ადამიანი გადიოდა, მეორიდან აუცილებლად სამი ადამიანი შემოდოდა...

– სამი ძროხა რომ გამოსულიყო? – იკითხავდა ყველაზე პატარა.

– იგივე მოხდებოდა.

– წინილები რომ გამოსულიყვნენ? – არ ისვენებდა ცელქი ბავშვი.

– წინილებზეც იგივე ხდებოდა, კნუტებზეც, ღმერთი ყველას აღრიცხავდა!... ყველას!... ღმერთს ჩვენი ქალაქი უყვარდა და უნდოდა, რომ იქ ყველაფერი თანაბარი ყოფილიყო... – ღვინით ფრთაშესხმული მიხო დეტალებში იძირებოდა, ფართოდ შლიდა ხელებს და შესტებით გვაჩვენებდა – აი, ხედავთ, კატა ზის. ფისო, ფისო, ფისუნია!... ღმერთი კატებსაც ისე მფარველობს, როგორც – ადამიანებს!... და თუ ვინმე მოკვდებოდა – იმავე წუთში სადღაც, ქალაქში მაშინვე იბადებოდა სხვა ადამიანი. და რაც ყველაზე მთავარია – ადამიანები და ცხოველები ერთ ენაზე საუბრობდნენ!

მიხო ცოტა ხანს ადროვებდა სუფრის წევრებს გაცეცხის გმინვით გამოხატვას და მოკრძალებული ვარაუდების გამოთქმას, თუ რა ენა უნდა ყოფილიყო ადამიანებისა და ცხოველებისათვის საერთო და იღუმალებით აღსავსე ხმით იტყოდა:

– დიახ, საერთო ენა! ყველას ესმოდა ერთმანეთისა, და, მაშასადამე, ერთმანეთი უყვარდათ!... ერთხელაც, როდესაც სიყვარულმა ყველა ზღვარს გადააჭარბა, ადამიანებმა მიმოიხედეს და ხედავენ: ცხოვრება საამური, სიმშვიდეა, ყველანი მეგობრულად ცხოვრობენ და შრომობენ. და გადანყვიტეს, ზეცამდე მიეღწიათ, ასულიყვნენ, რომ ღმერთს მიახლოებოდნენ, უფრო ბედნიერად რომ ეგრძნოთ თავი.

– ღმერთის გაცნობა უნდოდათ? – ივარაუდა პატარა ონავარმა.

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა მიხო. – დაინყეს გოდოლის შენება, რომ ზეცამდე მიეღწიათ, ენახათ, როგორი ამინდია ზემოთ, რა ხდება, ანგელოზებს მისალმებოდნენ, მოეკითხათ... და ისე კარგად აშენებდნენ!... ყველანი ერთად!... ვირებსა და ხარებს შეძახებაც

არ სჭირდებოდათ – ტვირთს უთქმელად ეზიდებოდნენ! აქლემები კირის ხსნარს დაატარებდნენ კასრებით. კატები ლავაშისათვის ცომს ზელდნენ, ძაღლები თვითონ ხოცავდნენ ცხვრებს და მწვადებს წვავდნენ!... და ისე კარგად აშენებდნენ, რომ ღმერთმა დაინახა ზემოდან და შეეშინდა. იფიქრა, ადამიანები აქაც ამოვლენ და მე მინაზე წამიყვანენ, მეფედ დამსვამენ ან საერთოდაც, მომკლავენ – მათგან ყველაფერი მოსალოდნელიაო. შიშისა და სიბრაზისაგან ადგა და საერთო ენა მრავალ, მრავალ სხვადასხვა ენად დამალა, რომ ადამიანებს ერთმანეთისა ველარ გაეგოთ... და რა მოხდა? მშენებლობა გაჩერდა, სამშენებლო მასალები დაიტაცეს, ხარები მოიპარეს, ძაღლები და კატები აქეთიქით დაიფანტნენ, ცხვრები მგლებმა შეჭამეს. ამის შემდეგ დაუმთავრებელი ომი დაიწყო, ჩხუბი, შური – ეს ვისია, ეს საიდან გაქვს და ის საით წაიღეო. ღმერთი კი ზის მაღლა, უსაფრთხოდ და უხარია, ვიდრე ადამიანები დედამინაზე ჩხუბობენ, ზეცაში მშვიდად არის!

– რა მოხერხებული ყოფილა!

– დაიმალა!

– დამალობანას თამაშობს!

– დიახ, და ამის შემდეგ დედამინაზე ყველგან და ყველაფერში მეტ-ნაკლებობაა, თანაბარი კი აღარც აღარაფერია, – უხალისოდ დააყოლა ვანომ (ციხეში ჯდომის შემდეგ მკაცრი გახდა და კარგი მომავლისა აღარ სჯეროდა).

ამ სიტყვების შემდეგ, მიხომ, თითქოს ძველ საუბარს აგრძელებსო, მტკიცედ უპასუხა:

– შეიძლება ასეა, მაგრამ ჩვენს ეზოში ყველაფერი ძველებურად იქნება, როგორც იყო. თანაბრად და ძმაკაცურად. შენ თუ არა გაქვს, მე მოგცემ. მე თუ არა მაქვს, შენ მომცემ. თუ იმას არა აქვს, იმას მივცემთ...

– თუ ფისოს არა აქვს, იმასაც მივცემთ? – ეკითხება ყველაზე პატარა, კატასთან რომ თამაშობდა.



– რალა თქმა უნდა, მაშ როგორ – ისიც ხომ ჩვენთან ცხოვრობს, თავგებს იჭერს, სარგებლობა მოაქვს. აი, ეს ნაჭერი მიეცი!... ჩვენი წინაპრები ასე ცხოვრობდნენ. ჩვენც ასე უნდა ვიცხოვროთ. ვანო, შენც კარგად იცი: ვინც ჩვენთან მოყვრულად მოვა – ღვინით გავეუმასპინძლებით, ასეთი სტუმარი ღვინისაა. ვინც მტრულად – მას ხმლით დავხვდებით, დაე, იქით წავიდეს, საიდანაც მოსულა. ასეთი სტუმარი ეშმაკისაა!

– უკეთესი ხომ არ არის, ჩვენ თვითონ გავიქცეთ სადმე! – ამბობს უცხრად ჩერჩეტი ბავშვი.

ძია მიხო მძიმედ აქნევს თავს:

– არა, ჩვენ გასაქცევი არა გვაქვს. ჩვენს იქით კავკასონია. იცით, რა არის კავკასია? ის სამყაროს ხერხემალია! – თქვა და გულთან მჯილი ხმაურიანად დაირტყა. – აი, რა არის კავკასია! ის შეგიფარებს, დაგმაღავს და გადაგარჩენს. რაც შეშლილ სამყაროში ხდება, ის ჩვენ არ გვეხება. აქ (ის მიწაზე მიგვითითებდა და ბანჯგვლიანი თითით გვაჩვენებდა ქვებს შორის ამოზრდილ ბალახს), – ამ ეზოში ყველაფერი თანაბრად უნდა იყოს, ძმურად და ადამიანურად. გაუმარჯოს!

სუფრის წევრები ჭიქებს ერთმანეთს

უჭახუნებდნენ და ჭიქები წკრიალა თაიგულს ემსგავსებოდა. მერე ყვებოდნენ ძველსა და გრძელ ამბებს იმაზე, თუ როგორ შეიფარა მენშევიკმა კონიამ ბოლშევიკი გენო და შემდეგ გენომ როგორ დაიხსნა კონია ჩეკადან. ომის დროს როგორ ინახავდნენ სარდაფში დამალული გერმანელების ოჯახს, ციმბირში რომ არ გადაესახლებინათ. როგორ გამოიყვანა ვილაცის ბიძამ ვილაცის ბებო ცეცხლნაკიდებული სახლიდან. მოხუმცა ბებომ ჯემალას გოგოს როგორ მოხსნა ჯადო. ერთხელ, ომამდე, შუალამისას ეზოში ქურდები შემოიპარნენ და ამალიამ როგორ გააქცია: თავისი ავადმყოფობისა და უძილობისგან გატანჯული, ფანჯარასთან იჯდა, ქოთნის სახურავს აბრაზუნებდა და ღრიალებდა: “თოფს დავტენი და გესვრითო!”

და როგორც კი იმ ამბავს გაიხსენებდნენ, როგორ იხსნა ძმა ახალგაზრდობაში ნადირობისას ვანომ დაჭრილი ტახის თავდასხმისაგან (“ორივე ლულიდან დავახალე, ერთი ჟაკანი - თავში, მეორე კი - შიგ გულში!..”), უკვე ცხადი ხდებოდა, რომ ლამაზი მოგონებების სადღეგრძელოს დროც დამდგარიყო.

თარგმნა **ნინო პოპიაშვილმა**



აფაგ მესუდი

## მომაკვდავი

აფაგ მესუდი – აზერბაიჯანელი მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. რუსეთის მეცნიერებისა და ხელოვნების პეტრეს აკადემიის (პანი) ნამდვილი წევრი. აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტთან არსებული თარგმანის ცენტრის დირექტორი. დაამთავრა ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მრავალი მოთხრობის, რომანის, ესეისა და პიესის ავტორია. გამოცემულია მწერლის თხუზულებების ორტომეული. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. გარდა ფრიად წარმატებული ორიგინალური შემოქმედებისა, ეწევა ინტენსიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას. თარგმნის როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ლიტერატურას. მათ შორის აღსანიშნავია სუფიური ლიტერატურის მისეული თარგმანები. ინსცენირებულია მწერლის არაერთი პიესა. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია რამდენიმე სატელევიზიო ფილმი. თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის რამდენჯერმე დაჯილდოებულია თურქსოის მედლებით. 2015 წელს გაიმარჯვა „საერთაშორისო სასცენო ნაწარმოებების კონკურსში“, რომელსაც თურქეთის კულტურის სამინისტრო, თურქსოისა და მწერალთა ევრაზიური კავშირი ატარებს.

ღია კარიდან მოჩანდა მისი საწოლის კიდე, ზეწარი და საწოლთან მიდგმული პატარა შავი სკამი, რომელზეც ჭიქა იდგა. ეს ნახევრად სავსე ჭიქა შორიდან პატარა აკვარიუმს მოგაგონებდათ თავისი სიძველისაგან ოდნავ ამღვრეული წყლით, ჩანს, წყალი დიდი ხანია არ გამოეცვალათ. ჭიქის ძირში კი რომელიღაც წყლის ბინადრის ჩონჩხივით

კბილის პროთეზი ლივლივებდა.

საწვიმარი შემოსასვლელში დავკიდე. ან მის შრიალზე, ანდა სუნამოზე, რომელიც კარგა ხნის წინ დავისხი, იგი ამჯერადაც მიხვდა, თუ ვინ მოვიდა. ეს ჩემთვის მაშინ გახდა ნათელი, როცა საბანქვეშ მოინაცვლა გამხდარი ფეხები, რომელთაც წყლის უწონობაში ატივტივებული საგნებივით ამოძრავებდა.

ბოლო დროინდელი დიეტების გამო კი საკმაოდ გაძვალტყავებულიყო.

ამას წინებზეც ჩემი მოსვლა ისე გაიგო, რომ ლოგინიდან თავი არ წამოუწვია, დერეფნის იმ ნაწილისკენაც არ გამოუხედავს, საიდანაც ჩემი დანახვა შეეძლო, უფრო მეტიც, თვალებიც კი არ გაუხელია. გასულ კვირასაც, როცა, იმისათვის, რომ იგი არ გამეღვიძებინა, ოთახში თითისწვერებზე დავდიოდი, ვითომც ჩემს იქ არსებობას ვერ გრძნობდა, თვალდახუჭული იწვა და რამდენიმე საათის განმავლობაში მომაკვდავი კაცის კონფულსიებს ასეთ მდგომარეობაში ებრძოდა. ასე რომ, სანამ მე ლოდინით გადავიქანცებოდი და შინ წავიდოდი, თვალი ერთხელაც არ გაუხელია. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის კარგადაა ცნობილი მისი ეს სულთმობრძავის სპექტაკლი, რომელიც იმაზეა გათვლილი, როგორმე მოვცილებოდი ამ სახლსა და მიდამოს, ჯიუტად არ ვნებდებოდი ავადმყოფის ნებას და მოთმინებით ველოდი სპექტაკლის დასასრულს.

ამჯერად მოხუცის სანოლ ოთახში ორი მნახველიც დამხვდა. ზღარბისმაგვარი ჭალარა კაცი და ლოყებლა-ულაჟა ბიჭუნა, მგონი, მისი სოფლელი ნათესავები იყვნენ.

მამაკაცმა, როგორც კი დამინახა, გეგონება, დიდი ხნის უნახავ ახლო ნათესავის შეხვდაო, მომძახა:

– კიდევ კარგი, მოხვედი, შვილო, ისევ ცუდად გახდა.

მგონი, მოხუცი ახლა, მართლაც, ცუდად იყო. ცხვირი ანკესის კეხით ჩამოვარდნოდა, თვალები ღრმა შავ ორმოში ჩაცვივნოდა, თითქმის არ სუნთქავდა, ნახევრად დაფჩენილი პირიდან ხახის ნახევარი მოუჩანდა.

– ხვალამდე გასტანს, – კაცმა თითქოს ყანყრატოში ჩაილაპარაკა, მერე შეტრიალდა და ფანჯარაში გაიხედა.

ავადმყოფის სანოლს მივუახლოვდი, დავიხარე და ყურადღებით დავაკვირდი მის სახეს.

მგონი, ამჯერად მართლა კვდებოდა... მის სუსტ სუნთქვას შორეული კვნესა ერთვოდა...

– საიდა სადაა? – ვიკითხე.

– მეზობელთან გავიდა, ექიმს უნდა დაურეკოს. ტელეფონიც გაუთიშავთ. საქმე რომ დაითარსება, ასე ხდება ხოლმე, – მამაკაცმა ეს თქვა და რატომღაც ჩემკენ გამოიხედა.

მოხუცი ამას წინებზეც ასე იყო, თუმცა მაშინ ლაპარაკობდა. ერთმანეთთან არავითარი კავშირი რომ არა აქვთ, ისეთ სიტყვებს თანმიმდევრულად ამბობდა, მერე თითქოს სულთმობრძავი და ქანცგანწყვეტილი ჩუმიდებოდა, ნახევრად გახელილ თვალებს ოთახს მოავლებდა და თვალსანიერზე მე რომ დამლანდავდა, უკმაყოფილოდ ხუჭავდა თვალებს და გონდაკარგული ისევ მომაკვდავის კონფულსიას მიეცემოდა ხოლმე.

ასეთი ბოდვების დროს მოწმე ვხდებოდი იმისა, ჩვენ თვალწინ როგორ აღმოჩნდებოდა ხოლმე უცხო, იდუმალ გარემოში და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას ადევნებდა თვალყურს. ასეთ მომენტებში ვერც მე და ვერც საიდა ვერ ვხვდებოდით, იგი მართლაც უგონოდ იყო თუ ჩემი ყურადღების გაფანტვის მიზნით აკეთებდა ამას და თავს შეგნებულად იგდებდა ასეთ მდგომარეობაში.

საიდა ამბობდა, რომ იგი მხოლოდ მაშინ ვარდებოდა ასეთ მდგომარეობაში, როცა მე მხედავდა. მე როცა მივდიოდი, თურმე, გონს მოეგებოდა ხოლმე და ვითომც აქ არაფერი, ბალიშზე გადანოლილი თავის წილ ვახშამს შეექცეოდა.

ანალოგიური კრიზისების, პულსის უკიდურესად დასუსტებისა და სახიფათოდ მისუსტებული სუნთქვის შემდეგ მრავალჯერ ყოფილა, რომ გამოძახებულ ექიმთა ბრიგადას იგი კარგად შეუმონებია და გულგრილად უთქვამს:

– ამას ტყუილა აწუხებთ, ეს უკვე სააქაო არაა, – ექიმების ასეთი დი-

აგნოზის შემდეგ ჩვენ მართლაც გვგონებია, რომ იგი მომაკვდავია, მაგრამ მომდევნო წუთს როცა იმის მოწმენი გავმხდარვართ, თუ როგორ ვნებიანად ებლაუჭებოდა ახალგაზრდა ექიმი ქალის ფაფუკ მკლავს, რომელიც მას წნევას უსინჯავდა, ყველანი გაოგნებული დავრჩენილვართ...

ისე კი, არც მე და არც საიდას ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ მის ამ ავადმყოფურ მექალთანეობის კვალს სიკვდილის მერე ვუღკანოვით მინავლულ, მკვდარ თვალეშიც დავინახავდით. მახსოვს, სულ ახლახანს, როცა მისი თითქმის ჩამქრალი მზერა გაურკვეველ სიცარიელეს იყო მიშტერებული და გამხდარი მკლავები ჩაცვივებულ მუცელზე გამხმარი ტოტებივით ეწყო, უცებ მის სანახავად მოსული მეზობელი ქალის მიმზიდველ ნვივებს რომ ჰკიდა თვალი, როგორ მიაჩერდა მის ფეხებს და მერე კი ჩვენი მოტყუების მიზნით მზერა ერთობ ოსტატურად ქალის ნვივებიდან მაგიდის ფეხზე გადაიტანა. აი, მაშინ მე და საიდა მივხვდით, რომ მის ორგანიზმში მრავალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანო ჯერაც ფუნქციონირებს.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. საიდა იყო. იგი აქოშინებული შემოვიდა და ისე, რომ არც მომსალმებია თქვა:

– ვერ დავრეკე... მანქანით ხომ არ წავიდე?

– სად უნდა წახვიდე? – ვკითხე.

– სასწრაფოში, – მიპასუხა საიდამ და მერე მამაზე მანიშნა. – ვერ ხედავ რა დღეშია?!

საიდას დაღლილი თვალები ჰქონდა. ცხვირი მამამისის ცხვირივით დაგრძელებოდა, თვალები ჩასცვენოდა.

– ექიმი რომც მოვიდეს, რა უნდა ქნას, შვილო!? – თქვა ზღარბ-კაცმა. – ეს უკვე საიქიოა. ლოცვანიც ვიცი. ნუ გვეშინია. არსად წამსვლელი არა ვარ. ამ უბედურს ვინ ჰყავს ჩემ გარდა?.. დედისერთაა. დედა ჯერ კიდევ მაშინ

გარდაეცვალა, ეს რომ მთლად ბავშვი იყო. მდინარეში დაიღრჩო. საწყალი დედინაცვლის იმედზე გაიზარდა. ერთადერთი ბიძაშვილი ვყავარ და აჰა, ჩამოვედი. მაგას მინას მივაბარებ და დავბრუნდები.

კაცის ამ სიტყვებზე იატაკი შეინძრა. შეიძლება მე მომეჩვენა.

ჩვენ მერელა მივხვდით, რომ იატაკი წელანდელსაქეთი ზანზარებდა არა ამ კაცის სიტყვების გამო, არამედ კვნესანარევი ოხვრის შედეგად, რომელიც ლოგინში ძეგლივით გახვევებულ მოხუცს აღმოხდებოდა ხოლმე შიგადაშიგ...

ავადმყოფის ამოოხვრის შემდეგ გაქრა სიამაყის ელფერი, რომელიც ბიძაშვილს დასთამაშებდა სახზე.

– უფრო საინტერესო ამბები თურმე წინ გველოდა, – საიდამ ისე წამჩურჩულა, რომ მამისთვის თვალი არ მოუცილებია.

მგონი, ისიც მიხვდა, რომ მოხუცს თურმე მის სიკვდილთან დაკავშირებით რაც ვილაპარაკეთ, ყველაფერი ესმოდა.

ბიძაშვილი წამოდგა და საწოლთან მივიდა. ჯიბიდან ამოიღო სარკე, რომელიც, მგონი, სოფლიდან ჰქონდა წამოღებული და მოხუცს ცხვირთან მიუტანა. ორთქლს დააკვირდა, სარკე პიჯაკის სახელოზე შეინმინდა, ჯიბეში ჩაიდო და თქვა:


– სულ ცოტაააა დარჩენილი, – მერე თავის ადგილას დაბრუნდა, ჩამოჯდა და ხელები ამოიღლია.

საიდა მოხუცთან არ მისულა, გვერდით დამიჯდა და შეშინებული თვალები მოხუცს მიაპყრო. ბოლო დროს ბევრჯერ გადაიტანა შიში. ეს გაცრეცილ ფერზე, ჩაცვნილ თვალის უპეებსა და მინავლულ ხმაში გარეულ თრთოლაზე აშკარად ეტყობოდა.

გასულ კვირას, როცა მოხუცი ჯერ კიდევ შედარებით კარგად გამოიყურებოდა, თავის ლოგინში ბალიშზე არხეინად მიწოლილი ცხელ ჩაის მიირთმევ-

და და ჩემს მოულოდნელ შეკითხვაზე უეცრად ხველა აუტყდა, ჩაი ლოგინზე დაიქცია, უკანასკნელი ყლუპი კი სასულეში გადაუცდა და ლამის გაიგუდა, საიდას თვალეზი პირველად მაშინ გაუფართოვდა. მაშინ მოხუცმა კარგა ხანს ახველა, ახველა და მგონი გაიგუდა კიდევ. სუნთქვა შეუწყდა და მზერა გაყინულს უსიცოცხლო თავი ბალიშზე გადაუვარდა...

მოხუცს ეს სასიკვდილო შეტევები მას მერე დაეწყო, რაც გაიგო, რომ მე რევოლუციის შემდგომ პერიოდზე რომანის წერას ვაპირებ. მანამდე იგი ოთახში ერთობ ლალად დააბიჯებდა, როგორც კი მნახავდა, გახარებულ ჩემიანებს მოიკითხავდა და ჩაისა და სადილზე მიმიპატიუებდა ხოლმე. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რაც ერთ დღეს საიდამ უთხრა, რომ რომანის წერას ვაპირებ



იმ პერიოდის შესახებ, როცა ის თანამდებობაზე იყო. ის, რომ მან ეს ამბავი სასიკვდილო განაჩენით აღიქვა, მე და საიდამ იქიდან დავასკვნით, რომ მოხუცს ფერი ეცვალა და სახეზე სიკვდილის მაუნყებელი ჩრდილები აუთამაშდა. გაფითრებული ერთხანს ადგილზე გაიყინა, მერე წამოდგა და ოთახიდან ისე გავიდა, თითქოს იპარებო. დერეფანში სააბაზანოს კარი ხელის კანკალით გაალო და შევიდა, კი არ შევიდა, შეიყუჟა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, სანამ მე სახლში წავიდოდი, იქიდან არ გამოსულა.

მოხუცმა არ გაიგონოს-მეთქი, საიდასკენ გადავიხარე და ჩურჩულით ვკითხე:  
– მომაკვდავი ადამიანი გინახავს?

საიდამ თავი გააქნია, ისე რომ ჩემთვის არ შემოუხედავს. თანაც ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს რალაცას ნანობსო. მერე გავიხსენოთ, ერთი წლის წინ

ამ ოთახში, სწორედ ამ საწოლში მთელი წლის განმავლობაში როგორ იწვა სიკვდილნატრული დეიდა ხადიჯა და უდრეკად მისჩერებოდა თვალეზში სიკვდილს, რომელიც გული ს გამანვრილებლად ითრევდა ფეხს...

გ ა ვ ი ხ - ს ე ნ ე თ , ს ი კ ვ დ ი ლ ი ს მოახლოებისას თუ როგორ დაბეჩავდა ეს მხნე ქალბატონი, რომლის

ნაბიჯებიც მთელ სახლს აზანზარებდა, მის ხმაზე ფრინველები ფრთხეობდნენ და ეზოში აცელებული ბავშვები მყის გაიკრიფებოდნენ ხოლმე. სადარბაზოში მოხელთებულ დიდრონ ვირთხებს ხელის ერთი დაკვრით ისე კლავდა, ვითომც აქ არაფერიო. ახლა კი, როცა ერთწლიანი ლოდინის შემდეგ სიკვდილი თავს დაადგა, თვალები იატაკს ისე მიაშტერა, თითქოს თავის საფლავს ჩაჰყურებო და მოზარდი ქალიშვილის მიკნავებული ხმით თქვა:

– მეშინია, შვილო, ძალიან მეშინია...

კარგად მახსოვს, მაშინ მეცა და საი-დამაც დავლანდეთ სიკვდილის ბნელი კარიბჭე, ანუ იმ ქვეყნად ვინრო გასასვლელი, რომელიც ამ ოთახში იყო სადღაც და შემზარავად პირდაღებულ სიცარიელეს ავსებდა. და ამ აღმოჩენამ ორივე ძლიერ შეგვაძრუნა... ეს იყო შიში, რომელიც მოასწავებდა, რომ წინ შეუქცევადი გზაა და ამ ბნელი და უჰაერო გზით მიმავალნი აღარასოდეს ბრუნდებიან უკან...

დეიდა ხადიჯას შემდეგ ჩვენს ფართოფანჯრებიან ნათელ სახლში სასტუმრო ოთახში ლოგინში ვწრიალებდი და დიდი ხნის განმავლობაში ვიხსენებდი, თუ როგორ ესალმებოდა მომაკვდავი ხადიჯა დეიდა თავისიანებს, რომლებიც მას იქ ეგებებოდნენ. ზოგჯერ წარმოვიდგენდი, რომ საიქიოს მიმავალი ქალი იქ დამხვდურებს შორიდან ხელსაც კი უქნევს...

იმ იდუმალმა სამყარომ წარიტაცა დეიდაჩემიცა და ახლობლებიც, რომლებიც სიხარულით ხვდებოდნენ მას. მე რალაცნაირად ზუსტად ვიგრძენი როგორ უახლოვდებოდნენ და ყურადღებით აცქერდებოდნენ სახეში დეიდაჩემს ის ახლობლები, რომლებიც ეიმედებოდა საიქიოდ მიმავალს... ჩემი თვალთ ვნახე, დეიდაჩემი, მოულოდნელობისაგან გაფართოებული თვალებით, როგორ მისჩერებოდა ახლობელთა სულს, რომლებიც მას ეხვივნენ

გარშემო და მერე გულდამშვიდებული დეიდა როგორ არხეინად აბარებდა მათ თავის სულს...



– ეგ შენი რომანის გამო ჩავარდა ლოგინად, – მითხრა საილამ მოგვიანებით, როცა სავახშმოდ ბრინჯს ვარჩევდით.

მე დამნაშავესავით ავიჩიე მხრები:

– ამაში განა ისეთი რა ნახა?..

ის, რომ მოხუცი ასე შეძრა და შეაძრუნუნა ჩემმა გადანყვეტილებამ და რომ იგი მზად იყო, თუნდაც თავისი სიკვდილის ფასად მიეჩქმალა და მიემალა მრავალი ცოდვა თუ დანაშაული, რომელიც რეპრესიის წლებში, ანუ იმ პერიოდში მოხდა, როცა იგი თანამდებობის პირი იყო, უკვე იმას ნიშნავდა, რომ წინ გაცილებით რთული და სერიოზული სამუშაო მელიოდა... როგორც ჩანს, მოხუცს შიში ჰქონდა, რომანის წერის დროს ფარდა აეხდებო ბევრ საიდუმლოებით მოცულ ცოდვას თუ მძიმე დანაშაულს, რომელსაც, საფიქრალია რომ, დეიდა ხადიჯასაც კი არ უმხელდა. მე ჯერ კიდევ ბავშობაში დეიდა ხადიჯასგან მქონდა მოსმენილი, ომის წლებში მძიმე როგორ დაამთავრა ამ კაცმა ინსტიტუტი, მაშინვე როგორ დაბრუნდა სოფელში და ახალგაზრდული ენთუზიაზმით როგორ ჩაუდგა სათავეში აზერბაიჯანის განაპირა სოფლის დიდ კოლმეურნეობას. იქიდან კი სულ მალე რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ გაამწესეს და თურმე ცხენზე ამხედრებული სოფელ-სოფელ დაიარებოდა და ხორბლის აღებას უწევდა კონტროლს. ამგვარი შემოვლებისას ადგილზევე ხვრეტდა ახალგაზრდა ბიჭებს, რომლებმაც თავი აარიდეს სამამულო ომში წასვლას. ქვრივი ქალების, განსაკუთრებით ლამაზების მიმართ „განსაკუთრებულ მზრუნველობას“ იჩენდა და უნამუსოდ ეკურკურებოდა. ჯერ კიდევ მაშინ ვგრძნობდი, რომ ეს ყველაფრის პირში მთქმელი ქალი ბევრ რამეს ვერ

ამბობს, ზოგიერთ ამბავს ისე მოხერხებულად უვლის გვერდს, როგორც უძირო უფსკრულებსა და ქარაფებს. ამიტომაც ამ მოხუცის მიმართ ინტერესი ერთი ათად გამეზარდა.

...როცა ბრინჯი ცეცხლზე შემოვდგით და ოთახში დავბრუნდით, ბიძაშვილი სანოლის ფერხით იჯდა, ხელები ისე გადაეჯვარედინებინა თითქოს წიგნს კითხულობსო და ყურანიდან „იასინის“ სურას ამბობდა ჩურჩულით.

ბიჭს ხმადანეული ტელევიზორის წინ სავარძელში ჩასძინებოდა.

მოხუცი წელანდელ მდგომარეობაში იყო... ახლა მისი სახე რუსული ზღაპრების საშიში პერსონაჟების, უკვდავი კაშისა და მისთანების სახეს წააგავდა...

მე სანოლს მივუახლოვდი და ახლოდან დავაკვირდი.

მოხუცს სახე წელანდელს აქეთ შეუსაბამოდ შეცვლოდა... სახის მონაკვეთები დაპატარავებოდა, ლოყები ისე შეკუმშვოდა, თითქოს ცხელ ტაფაში მოუხრაკავთო.

მან ჩვენი შემოსვლა იგრძნო და გაძვალტყავებული თითები, თითქოს პიანინოზე უკრავსო, ჩავარდნილ მუცელზე აითამაშა, მერე კი, თითქოს ვილაცას რაღაცას ანიშნებსო, უცნაური ფიგურები შემოხაზა.

საიდა და მე ჩვენს ადგილებს დავუბრუნდით – სანოლის პირდაპირ, მაგიდასთან. აქედან მისი გამხდარი ხელები უდაბნოს სულისშემხუთავ სიცხეში დამწვარ ჯოჯოებს წააგავდა... სწორედ ეს ჯოჯოები მესიზმრა წინა ღამეს... ხელში ცალი ჩექმა მქონდა მომარჯვებული და მთელი ღამე ბნელ ოთახებში მათ დავდევი მოსაკლავად, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოვკალი. ეს უსწრაფესი ქვენარმავლები მთელი ღამე კედლებზე დახტოდნენ, სინათლის სისწრაფით ძვრებოდნენ ძველი იატაკის ნასვრეტებში და იქ გამალებით ღრღნიდნენ რაღაცას. ასე რომ, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ვერც ერთი

ჯოჯო ვერ მოვიხელთე...

ბოლო დროს ამ მოხუცთან დაკავშირებით არეულ, ნახევრად ბნელ სიზმრებს ვხედავდი. ამ სიზმრებში მისი რუხი ლანდი გამუდმებით თავს მადგა და თითქოს მოუთმენლად ელოდა ჩემს გამოღვიძებას. მერე გამალებული იქექებოდა ჯიბეებში და იქიდან, ამოღებულ პატარ-პატარა ქალაღის ნაფლეთებს შორის რაღაც ერთობ მნიშვნელოვან დოკუმენტს ეძებდა. ეს ყველაფერი მე ძლიერ მღელვარებას მგვრიდა და მაშფოთებდა კიდევ...



...საიდამ ჩაი მოიტანა და მაგიდაზე დადო. თავად კი მაგიდის კუთხში დაჯდა და სწორედ დედამისის, დეიდა ხადიჯას ტონით თქვა:

– სავანშმოდ ბრინჯს ვხარშავ.

ბიძაშვილმა თითქოს საიდას სიტყვები გვიან გაიგო. ყურანიდან სურის კითხვა დაამთავრა და სკამი მაგიდასაკენ მოაჩოჩა, მოხერხებულად მოკალათდა, მას მერე, რაც ერთი ყლუბი ჩაი მოსვა:

– რა ვქნათ?.. – იკითხა და მურაბიანი ჭურჭელი თავისკენ მოიწია.

მე ჩაი მურაბის გარეშე დავლიე. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ოთახის დამძიმებულ სუნს მურაბაშიც შეეღწია.

ჭაობისა და შმორის ეს მყრალი სუნი, დანამდვილებით ვიცოდი, იმ თხილითვალეობა, ტანმორჩილ მოხუც მომვლელ ქალს ეკუთვნოდა, რომელიც მაშინ მოდიოდა, როცა საიდა სამსახურში იმყოფებოდა. თუ არ ვცდები, ეს ქალი შორეულ ნათესავადაც კი ერგებოდათ. სუნი საიდაზეც ცუდად მოქმედებდა. როგორც კი შინ ბრუნდებოდა, კარ-ფანჯრებს ალებდა და ოთახებს საგულდაგულოდ ანიავებდა. მერე ჰაერის განმნახლებელი დეზოდორანტის ღილაკს აჭერდა თითს და ცდილობდა, შიგნით გამეფებული მძიმე სუნი ამ სურნელით ჩაენაცვლებინა. პირიქით კი ხდებოდა. თითქოსდა ჭერზე

დაკიდებული შმორის სუნი დეზოდორანტის სურნელს ისრუტავდა და რამდენიმე წუთში ამ სურნელის ნატამალიც არ იგრძნობოდა ოთახებში.

ზოგჯერ ქერზე ფარდასავით დაკიდებულ ამ შმორის სუნს თითქოს ვხედავდი კიდეც და როცა ოთახებში დავდიოდი, როგორც ცივი ცეცხლის ენებს შორის, ისე მიმოვდიოდი ამ სუნში.

როგორც მომვლელი ქალი ამბობდა, იგი ოთახებს დღეში რამდენჯერმე ანიავებდა. ორმაგი ფანჯრები, რომლებიც ზღვის მხარეს იყო განლაგებული, დღეში ორჯერ – დილით და საღამოთი იღებოდა და ზღვის თევზის სუნით გაუღენთილი ჰაერი ოთახებში შემოიჭრებოდა ხოლმე, მაგრამ ჭაობის სუნს, რომელიც მოხუცის საწოლის ირგვლივ იყო დაგუბებული, ზღვის ჰაერიც ვერაფერს აკლებდა.

შეიძლება მომვლელი ქალი არ ცრუობდა. იგი ამბობდა, რომ ამ სუნს თავისი ფერი გააჩნია. იგი ყვითელია და დილის ცვარივით გადაჰკვრია ოთახების კედლებსა და ავეჯს. იგი უტყუარი საბუთივით კედელზე გვითითებდა, რომელიც გაერეცხა და მისი უწინდელი ფერი მაინც ვერ აღედგინა. მერე კი სინანულით დასძენდა ხოლმე:

– ერთ დროს ეს შპალერი ღია ცისფერი იყო... ახლა კი ყვითელია. და ეს სიყვითლე უბრალოდ ფერი კი არაა, არამედ სუნიცაა, სიძველის სუნი...



– მგონი, აღარ სუნთქავს... – საიდა ავადმყოფისაკენ დაიხარა და გაცრეცილი ლოყები მოხუცს თითქმის ცხვირზე მიადო.

აქედან რომ შეხედავდი, მოხუცის ნახევრად დაფრენილი პირი იდუმალეობით მოცულ გამოქვაბულის შესასვლელს მოგაგონებდა, რომელსაც დიდი ხანია ფეხი არ გაჰკარებია და ამიტომაც შემადრწუნებლად გადახრიოკებულა...

– არა, ჯერ სუნთქავს... – ბიძაშ-

ვილმა მეორე ჭიქა ჩაი სულმოუთქმელად გამოცალა და ჭურჭელში დარჩენილი მურაბის ხვრეპვას შეუდგა. მერე კი წამოდგა და წიგნის თაროზე დალაგებული ძველი საქალაქდებების თვალთვალს მოჰყა, თანაც შიგადაშიგ თავისთვის დუდუნებდა:

– ჩემო მეცნიერო ბიძაშვილო, ჩემო შრომისმოყვარე ძმაო!..

მე კი ვიცოდი, რომ მეორე ოთახიც სავსე იყო ასეთივე საქალაქდებით, რომლებსაც მძიმე ავადმყოფი დეიდა ხადიჯა მთელი წლის განმავლობაში დაუღალავად აშორებდა მტვერს... ამ სამოთახიან ბინაში იმდენი საქალაქდე იყო, ალბათ, ერთი სატვირთო მანქანა ძნელად დაიტევდა. როცა მოხუცი სახლიდან გადიოდა, დეიდა ხადიჯა ამ მტვრიან საქალაქდებს თითო-ოროლას ამოიღლიავებდა და შეუმჩნეველად ყრიდა სანაგვეში. იგი რომ ამ თვითნებობის გამო ისჯებოდა, არაერთხელ ვყოფილვარ ამის შემსწრეც. სანაგვეში გადაყრილი საქალაქდების გამო მოხუცი ოჯახს თვეობით უსახსროდ ტოვებდა და მეუღლესაც ებუტებოდა და ხმას არ სცემდა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა საქალაქდები სანაგვედან უკან მოჰქონდათ, წმენდდნენ და ძველ ადგილას დებდნენ, მაგრამ მოხუცი ამით არ ცხრებოდა, კიდეც კარგა ხანს დაიარებოდა დაღვრემილი.

– დილიდან საღამომდე წერს, შვილო, – დეიდა ხადიჯა ისე ამბობდა, თითქოს თავის ნათქვამში თვითონაც ეპარებოდა ეჭვი. – ხმას თუ ამოვიღებ, მეუბნება, ეს თქვენი პური, მე რომ არ ვიქნები, ამათ გაყიდით და პურის ფული გექნებათო...

იმის გამო, რომ კარის მეზობლები ვართ და საიდა ჩემი დაქალია, სინამდვილეში ამ საქალაქდების შექმნის პროცესის მონმე თავადაც გახლავართ. მას შემდეგ, რაც პენსიაში გავიდა, თითქოს და თავდაცვის ინსტინქტის ამოქმედების გამო, ისევე როგორც პენსიამდე, სამ-



სახურში წასვლისას ხდებოდა ხოლმე, ახლაც დილით დგებოდა, პირს იპარსავდა, განიკნიკებულ თეთრ პერანგს იცვამდა, ჰალსტუხს იკეთებდა, ზემოდან პიჯაკს გადაიცვამდა, მერე მიუჯდებოდა სანერ მაგიდას, დილიდან საღამომდე ცალი თვალთ კუთხეში მდგარ ტელევიზორს უყურებდა, ცალი ყურით მაგიდის კუთხეში მიდგმულ ხელის რადიოს უსმენდა და ამავე დროს უცნაური ჟინით რაღაცას წერდა გაუთავებლად. წლების განმავლობაში თვალყურს ვადევნებდი, თუ როგორ მრავლდებოდა ეს საქალაქდები და ოთახის დიდ ნაწილს იკავებდა. საქალაქდების მატებასთან ერთად მათდამი ჩემი მოუთოკავი ინტერესიც მატულობდა. სინამდვილეში იმ ავადსახსენებელი პერიოდის შესახებ რომანის დაწერის იდეაც მოხუცის ამ მზარდმა საქალაქდებმა და მათში მოთავსებულმა ხელნაწერებმა თუ დღე-ურებმა გამიჩინა...

როგორც საიდა იმონებოდა, ამ საქალაქდებში თავმოყრილი საქმეები გახლდათ მასალა, რომელიც ქვეყნის რომელიღაც ისტორიულ ეპოქას ასახავდა.

მე კი რატომღაც ვფიქრობდი, რომ მოხუცი ამ საქალაქდებში თავს უყრის თავის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ ფაქტს. ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე ვგრძნობდი, რომ მოხუცი ამ თავის მოგონებებში ისე იმალება და თავს ისე მშვიდად გრძნობს, როგორც ჩიტი ბუდეში. ამიტომაც იმ პერიოდიდანვე გამიჩნდა მისდამი ინტერესი.

საიდას ხელი თავი ჩამოეყრდნო და ეძინა. ბიძაშვილიც სკამის საზურგეს მიჰყუდებოდა და თვლემდა.

ამ აუხსნელი შესვენების დროს ჩემში გაჩენილი უცნაური თავისუფლების გრძნობის იდუმალი გავლენით უცებ დამებადა აზრი, რომ დროა, მოვიხელთო საქალაქდები, რომელთა მიმართაც, აგერ უკვე რამდენი ხანია, დაუცხრომელი ინტერესი მამოძრავებს.

ამ გადანყვეტილებით წამოვდექი და კარადაზე დალაგებული საქალაქდებისაკენ წასვლას ვაპირებდი, რომ... მოხუცის ხმა ოთახში გამეფებულ სიჩუმეს ტყვიასავით დაესო:

– აგერაა! მაგაზე გეუბნებით!.. დაიჭირეთ ეგ მამაძალი!.. სწრაფად, არ გაუშვათ!.. – იგი გიჟურად აბოდებდა.

მეც და მძინარენიც შეშინებულები შევხტიით...

...მიუხედავად იმისა, რომ მოხუცს თვალელები დახუჭული ჰქონდა, იგრძნობოდა, დანაოჭებული გუგების ქვეშ თვალელებს კარკლავს და ასევე გუგებქვეშიდან განრისხებული ვილაცას თვალელებს უბრიალებს...

ბიძაშვილმა უძილობით დანითლებული თვალელები დაახამხამა და თქვა:

– დაინყო.

– რა დაინყო? – ჰკითხა ისედაც ფერწასულმა საიდამ.

ბიძაშვილმა თავით მოხუცზე მიანიშნა და მიუგო:

– როგორც წესი, ასე იწყება... ცოტა დარჩა... უკვე საიქიოს ზღურბლზეა...

მოთმინება გამომელია. ერთი პირობა დავაპირე, ამ კაცს ვკითხო, სად და როდის უმუშავია მიცვალებულთა გამპატიოსნებლად? არ ვკითხე, ამის მაგიერ საიდასკენ გადავიხარე და ჩაეჩურჩულე:

– მომკლა ამისმა რეპორტაჟებმა.

მოხუცმა ამჯერად სულის სიღრმიდან ამოიოხრა... თვალის გუგები, რომლებიც კაკლის ქერქს წააგავდა, ციხის კარებივით მძიმე-მძიმედ გაახილა... იქიდან მზერამინავლული და ჩაყვითლებული თვალელები გამოუჩნდა...

იგი კვლავაც გაბოროტებული უყურებდა ვილაცას, სული ეხუთებოდა და ვილაცას უბრაზდებოდა, ბოლო ამოსუნთქვაზე ვილაცას ანგარიშს უსწორებდა...

მოხუცი მოულოდნელად უცხოელები-სათვის დამახასიათებელი დამტვრეული აქცენტით ალაპარაკდა:

– ამას წინებზე ხომ გაჩვენე, შე კუტო, შენა! მიდი, გაფარას დაუძახე, უთხარი მოვიდეს, გაალოს!..

სიტყვა „გაფარის“ გაგონებაზე ბიძაშვილი გამოცოცხლდა და გაბრწყინებული თვალები მოხუცს მიაპყრო, მერე გახარებულმა ჩვენ შემოგვხედა:

– ვაი, შენ გენაცვალე! გაფარაო, ჩვენს ბიძაშვილზე ამბობს... შარშანწინ გარდაიცვალა... მაგას ეძახის... ესე იგი, უკვე იქაა.

– ხასაისაც დაუძახე, ამისი ენა მაგან იცის, – მოხუცმა ჩახლეჩილი ხმით ესეც თქვა.

– ხასაი ვინლაა? – აღელვებულმა ვიკითხე.

ისე, რომ ჩემთვის არ შემოუხედავს, ბიძაშვილმა ხელით რაღაც შორეული მანიშნა:

– ისიც ჩვენებურია... – მერე შემომხედა და უცნაური ტონით დაამატა, – ისიც გაღმაა გასული.

ვიგრძენი, რომ შიშისაგან და მღელვარებისგან მიუხლები მიკანკალებს. ოთახი მიცვალებულებით იყო სავსე... შეძრწუნებულმა მიმოვიხედე... ეგებ... მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად იგი ჩვენთანაა, აქ, აგერ იმ სანოლზე წევს, მისი სული კარგა ხანია სადღაც, სახვა სამყაროში დიდი ხნის წასულ გამჭვირვალე სულებს შორის ტრიალებს?..

მოხუცის საიდუმლოებანი, რომელთაც, აგერ უკვე რამდენი ხანია, მიმალავს, თავად ლამობდნენ თავიანთი თავის გამჟღავნებას...

– კი, კი! – მისი თვალები ასე დახუჭულ მდგომარეობაში განრისხებულნი ტრიალებდნენ, მნახველს ეგონებოდა, ქვეშიდან ცეცხლი აქვთ შენთებული და რაღაც უხილავ ტაფაში იხრუკებიანო, – შენ ეგრე იფიქრე, წინილებს კი, როგორც იტყვიან, შემოდგომაზე ითვლიან...

სანოლს მივუახლოვდი და მოხუცის სახეს ახლოდან დავაკვირდი.

... მისი თვალები, სულიერი სიმხურვალის გამო თუ სხვა რაღაც სიმძიმის

მიზეზით დათუთქულიყვნენ და თეთრი ფერი ედოთ...

... საიდა თავით დაუჯდა და მამის ხელი ხელში აიღო...

– შვილო, შენ მანდ ნუ დაუჯდები, – ბიძაშვილმა თქვა. – უცებ რომ გარდაიცვალოს, შეგეშინდება.

ბიძაშვილის ამ სიტყვების შემდეგ მოხუცის მდგომარეობა მთლად გაუარესდა. მან სახე კედლისაკენ შეაბრუნა და ქამანჩისებური ხმით კვნესას მოჰყვა...

საიდა შეკრთა და ფეხზე წამოიჭრა. მერე უხმოდ ატირდა, აცრემლებული შეტრიალდა და მეორე ოთახში გავიდა.

– გარეკეთ ეს ხალხი აქედან! – მოხუცი ახლა კედლისკენ შეტრიალებული ბოდავდა. – გაიარეთ! გაიარეთ! არ შეიძლება აქ გაჩერება!

მე და ბიძაშვილმა ერთმანეთს შევხედეთ...

– ბოდავს, შვილო, ნუ გეშინია, ჯერ გასტანს...

– გამოდის, რომ ჯერ ზღურბლზე არაა? – ვკითხე ბიძაშვილს.

მღელვარებისაგან მთლად დავიბენი...

– ჯერ არა, – მოხუცს მიყურადებულმა ბიძაშვილმა კატეგორიულად თქვა. მერე თავი წამოწია და უცნაური სიმხნევით ჯერ მე, მერე კი ბიჭს შეხედა, რომელსაც წელანდელს აქეთი ტელევიზორის წინ, სავარძელში მოკალათებულს ეძინა.

სანოლთან მივედი და იქ მიდგომულ სკამზე ჩამოვჯექი. დავიხარე და მოხუცს ყურადღებით დავაკვირდი.

– ცხვირის წვერი დავიწროვებია, თანაც გასთეთრებია... სიკვდილამდე ერთი საათით ადრე დედაჩემსაც ასეთი სახე ჰქონდა.

ჩემი ამ სიტყვების შემდეგ კედლისკენ შებრუნებულ მოხუცს თითქოს ელდა ეცა... გადმოტრიალდა, თვალები ნახევრად გაახილა და მინავლული ხმით მკითხა:

– რა გინდა ჩემგან, შვილო?

მე შეძრწუნებული ფეხზე წამოვ-  
ვარდი. ბიძაშვილიც წამოდგა:

– ნუ გეშინია, შვილო, აბოლებს, სულთ-  
მობრძავეს ასეთი რამეები ემართებათ...

მოხუცის თვალები ჯერაც მე მომ-  
ჩერებოდნენ. მე იმ თვალებში საშიშ ნა-  
პერნკლებს ვხედავდი, რომლებიც მგ-  
ლის ყმუილს მაგონებდნენ...

ადგილი შევიცვალე, მაგრამ მოხუ-  
ცის მიშტერებული მზერა იქ დარჩა,  
სადაც წელან ვიჯექი... ეს მზერა ცოტა  
ხანში მიინავლა და ბოლოს ჩაქრა.  
ოთახში კვლავ დაძაბული სიჩუმე  
ჩამონვა.

მოხუცის ამ დამლდახუჭობანამ  
კიდევ უფრო გაზარდა ჩემი ინტერესი  
საქალაქელებისადმი, რომლებიც ბინის  
სხვადასხვა კუთხეში ფასიანი ქალაქ-  
ლებივით ენყო.

ოთახს თვალი მოვაველე. ბიძაშვილი  
ერთ გაურკვეველ წერტილს მისჩერე-  
ბოდა. საიდა კი მეორე ოთახში იყო.

გამბედაობა მოვიკრიბე და წამოვდ-  
ექი. წავედი საქალაქეებისაკენ,  
რომელთა ხელით შეხებაც კი წლების  
განმავლობაში აკრძალული იყო. ერთ-  
ერთი მათგანი გადმოვიღე, ჩემს ადგი-  
ლას დავბრუნდი და ნასკვი გავხსენი.

ნასკვის გახსნა და მრავალი წლის  
განმავლობაში შეკრული ფურცლების  
მაგიდაზე მიმოხივება ერთი იყო.

ერთ-ერთი ავიღე და კითხვა დავინყე.

წინადადება, რომელიც ფურცლის  
დასაწყისიდან იღებდა სათავეს, დაგ-  
რეხილი ბატის ნაფეხურებით თანდათან  
შუაგულისაკენ მიემართებოდა. ერთი  
შეხედვით, იგი ნაწერზე უფრო მეტად  
პეპლის ნაფართხალს ჰგავდა, პეპლისა,  
რომელსაც ცალი ფეხი მელანში ჩაეყო.

რამდენიმე წინადადება წავიკითხე  
დამარცვლით.

ეს გახლდათ დაულაგებელი გად-  
მოლება ტექსტებისა, რომლებიც 50-  
60 წლებში საინფორმაციო პროგრამე-  
ბით ყოფილა გადაცემული. ნათელი  
იყო, რომ ეს მოხუცს მაშინ ჩაენერა,

როცა უკვე პენსიაზე იყო გასული და  
ამით შინ მოკალათებული საქმიანი კა-  
ცის იმიტაციას აკეთებდა. უდავოა, ეს  
ყველაფერი ან ტელევიზორში ჰქონ-  
და ნანახ-მოსმენილი ანდა გაგებული  
ჰქონდა ტრანზისტორის მეშვეობით,  
რომელიც განუწყვეტლივ მუშაობდა.

ტექსტები სავსე იყო იმ პერიოდ-  
ისათვის დამახასიათებელი ისტორი-  
ული ტერმინებით. გვერდების უმრავ-  
ლესობა ასე იწყებოდა:

– სალამო მშვიდობისა, ძვირფასო  
მაყურებლებო!...

მოთმინება მოვიკრიბე და დანარჩენი  
გვერდებიც გადავათვალიერე.

ეს დამტვრეული, უაზრო წინადადე-  
ბები სსრკ კპ-ის ყრილობის მასალები-  
საგან, მინდვრებში მიმდინარე საგა-  
ზაფხულო ხვნა-თესვის წარმატებით  
დაგვირგვინების შესახებ ცნობების,  
სოციალური შეჯიბრების, ცხრა შვი-  
ლის დედის შრომით მიღწევების შეს-  
ახებ ინფორმაციისა და სხვა ამგვარი  
აბდაუბდისაგან შედგებოდა. და ეს  
ყველაფერი დიქტორის ტექსტზე უფრო  
მეტად ცხოვრებაზე უზომოდ შეყვარე-  
ბული ადამიანის სიკვდილისწინა ბოდ-  
ვების სტენოგრამას მოგაგონებდათ...

ერთ-ერთ გვერდზე მინერილი  
სტრიქონი – „ეი, ნაზო ლამაზო,  
შენი დალაღებია...“ – ფურცლის  
შუაგულისკენ მიიკვლევდა გზას... ამ  
სტრიქონს სხვა სტრიქონი ენაცვლე-  
ბოდა, სადაც ასეთი სიტყვები ეწერა:  
„ბოლოს რეკორდულად დაავიწროვ-  
ნა...“ მერე კი ასეთი სიტყვები იკითხე-  
ბოდა: “ არაფატის მთის ქვემო ნაწილში  
გზის გასწვრივ...“ – ამის შემდეგ: – „შე  
სასიკვდილევ, შენა!“ და ერთმანეთს  
ენაცვლებოდა მრავალი ასეთი განყ-  
ეტილი აზრი, რომელთაც ერთმანეთ-  
თან არაფერი აკავშირებდა...

ამ არეულ გვერდებს ვუკირკიტებდი,  
რომ უეცრად მოხუცის ხრინწიანმა ხმამ  
შემაკრთო:

– განსდექ იქიდან! ხელი არ შეახო

მათ! – ბუნებრივია, ამ შეძახილზე შევხტი.

მოხუცი თვალდახუჭული იწვა, მაგრამ რალაცნაირად იგრძნო, რომ მას მივჩერებოდი და ხმაში სირბილე გაურია:

– გვედრები, მათ ნუ შეეხები... – მერე თითქოს გონს მოეგო და გამოფხიზლებული ადამიანის ტონით დასძინა, – რა გინდა ჩემგან, შვილო? – პასუხს დაელოდა, როცა ნახა, რომ არაფერი ვუპასუხე, უფრო რბილად გამიმეორა. – რას მერჩი, შვილო? – მერე კი ქანცგანწყვეტილივით ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა...

მე ვიცოდი, ეს „ბოდვები“ ვის ეხებოდა, თუმცა საქალაქდეს მაინც არ ვეშვებოდი. ჩემთვის საინტერესო ფურცლებს ცალკე ვაწყობდი, დანარჩენს კი ისევ საქალაქდემი ვაბრუნებდი...

მოხუცი მე აღარ მიყურებდა. მავედრებელი თვალეები ჭერისთვის მიეპყრო. მგონი, ღმერთს ევედრებოდა...

– ...ნუ იზამ... მაპატიე... მაპატიე ცოდვები... ნუ იზამ... დამეხსენ... მაპატიე... ნუ შეეხები მათ...

ბიძაშვილი თავდახრილი იჯდა. ცხვირსახოცი თვალეებზე მიეფარებინა და რალაცნაირად ფიქრობდა. ვითომც არაფერი გამეგებაო, ვკითხე:

– ეგ ვის ელაპარაკება?

ბიძაშვილმა თავი წამოსწია და მკაცრი მასწავლებელივით შემომხედა:

– მას განიკითხავენ... – მიპასუხა და მომაჩერდა.

– ვინ განიკითხავს?

– ასეთი რამეები, ჯობს, არ იცოდე. ახალგაზრდა ხარ, რაში გჭირდება? – მიპასუხა მან და ტირილისაგან დანითლებული თვალეები ამჯერად ჩაბნელებულ ფანჯარას მიაპყრო.

მე წამოვდექი და წიგნის თაროდან კიდევ რამდენიმე საქალაქდე გადმოვიღე. ისინიც მაგიდაზე დავაწყვე და ნასკვები შევხსენი.

...ისე გავვოცდი, რომ მკლავებიდან დაწყებული თითის წვერებამდე მწველმა ტკივილმა გამიარა.

ეს საქალაქდეებიც იმავე შინაარსისანი იყო...

„დილა მშვიდობისა, ძვირფასო მსმენელებო...“ ეს წინადადება წყდებოდა და მომდევნო წინადადება ფურცლის შუაგულიდან იწყებოდა – „სევასტოპოლის შავი ველეების გასწვრივ...“ აქ აზრი კვლავ წყდებოდა და ახალი წინადადება იწყებოდა: „სიმართლე კი ეს გახლდათ... იგი რატომ არ გამოუშვეს?..“

– მოეშვი-მეთქი გითხარი!..

...ჩვენ ორივენი შევხტით მოხუცის ხმაზე, რომელიც ძველი კარის მირახუნებას ჰგავდა...

ამჯერად მას ორთავ თვალეი გახელილი ჰქონდა. ღრმა ჭრილებში ჩავარდნილი თვალეები ისე ნერვულად მოძრაობდნენ, როგორც ხაფანგში გამომწყვდეული თაგვები. ისინი თითქოსდა თვალის გუგებიდან ამოხტომას ლამობდნენ...

მოხუცი მთლად გონებაზე არ იყო. მისი აღელვებული თვალეები მოუსვენრად აწყდებოდნენ კიდეებს და უცებ განრისხებულნი ვილაცას მიაჩერდებოდნენ ხოლმე... ახლა მისი ხმაცა და სუნთქვაც უფრო შორეული და სიღრმისეული იყო. გეგონებოდა, ძალით ექაჩება მათ და უძირო უფსკრულიდან ამოაქვსო...

– მაშინ ხომ გითხარი, არ მოხვიდე!.. არ მოხვიდე!.. არ მოხვიდე!.. – ამოიკვნესა და თითქოს ვილაცას ემალებო, კედლისკენ შეტრიალდა. მერე კი თითქმის ჩურჩულით დასძინა:

– მეშინია... შენი მეშინია... შენ თავადაც იცი, რარიგ მეშინია... – დადუმდა და გვერდი კვლავ იცვალა...

მივხვდი, რომ შეძრწუნებულს სუნთქვა უჭირს, ამიტომაც წამოვდექი და მეორე ოთახში საიდასთან გავედი.



მოხუცის იმდღევანდელი უკანასკნელი ბოდვები ვისი მისამართით გაისმოდა – ჩემი თუ, როგორც ბიძაშვილი

იტყოდა, იმ ქვეყნიდან მის წასაყვანად მოსული პატივდებული შუამავლის მიმართ, ეს ვერც მაშინ და ვერც შემდეგ ვერც მე და ვერც საიღამ ვერ გავარკვიეთ.

მოხუცი გამთენიისას უცნაური, ტკბილი ფშვინვით გარდაიცვალა.

როცა ის გარდაიცვალა, ოთახში ჩემ გარდა, ყველას ეძინა. სრულ გათენებას ცოტა უკლდა.

ვცდილობდი, მოძალებული ძილქუში გამეფვანტა და მაგარ ჩაის ჭიქას-ჭიქაზე ვცლიდი. თანაც ვეცნობოდი საქალაქებში არსებულ მასალას, რომელსაც, ალბათ, ერთი საქალაქთაშორისო ტრადიციული ძლივს დაიტევდა. ვეცნობოდი და მიკვირდა, ეს განწყვეტილი აზრები, რომელთაც ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდა, როგორ ჰგავდნენ მოხუცის ახლანდელ ბოდვებს.

უბრალოდ, ეს საქალაქები ახლანდელი ნაბოდვარის დასაწყისი გახლდათ. უფრო უცნაური ის იყო, რომ ეს ნაჯღაბნით სავსე გვერდები, რომელთაც ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ, რალაცნაირად ჰქმნიდნენ უცხო, შორეულ ტერიტორიებზე ოდესღაც არსებული იდუმალეებითა და საიდუმლოებებით აღსავსე ცხოვრების სურათს...

დილით მოხუცის გარდაცვალების ამბავი სრულიად შემთხვევით მაშინ გავიგე, როცა გარიჟრაჟზე სადღაც განკარუნებული გასაღებისა თუ კლიტის ჩხაკუნზე თავი წამოვნიე... მოხუცს უსიცოცხლო თვალები ფართოდ გაეხილა და ჩემთვის მოეპყრო...

როცა მძინარენი გავაღვიძე და მოხუცის გარდაცვალების ამბავი ვაუწყე, მზე უკვე ამოწვერილი იყო.

საიდა რატომღაც აღარ ტიროდა. გაცრეცილი სახით დადიოდა ოთახებში და სარკეებს თეთრ ფარჩას აფარებდა.

ბიძაშვილი კარგა ხანს მოხუცის სახით იყო დაკავებული. ჯერ იყო და ძლივს მოუხუჭა თვალები, რომლებსაც არაფრის დიდებით არ უნდოდათ მოხუჭვა. მერე კი ჯიბიდან ცხვირსახოცი დააძრო და მიცვალებულს ნიკაპზე ამოაკრა.

სანამ მეჩეთის მსახურნი მოვიდოდნენ, მე სანოლის ახლოს სკამზე ჩამოვჯექი და ბოლომდე ვუყურე, სისხლის განოვის პარალელურად თუ როგორ ეწმინდება და პირველყოფილი სილამაზით უმშვენდება მოხუცს სახე... როცა სახლიდან გასაყვანად თავის საბანში ახვევდნენ, გაოცებული ვუყურებდი, როგორ უბრუნდებოდა მიცვალებულს ახალგაზრდული, თითქმის უმნიკვლო იერი, გეგონებოდა, ეს ის ჭაბუკური ასაკია, როცა კაცს ჯერ არაფრის გაკეთება არ მოუხსნია და წუთისოფლიდან კი ასე უდროოდ მიდის. ვუმზერდი მის სახეს და ვერაფერი გამეგო.

ბიძაშვილმა გააღვიძა ბიჭი, რომელსაც თითქმის მთელი ღამე ჯერ ტელევიზორის წინ სავარძელში მოკალათებულს ეძინა, მერე კი დივანზე გადაბარგდა და ფშვინვა იქ გააგრძელა. მოგვიანებით ბიძაშვილიცა და ბიჭიც გულხელდაკრეფილნი იდგნენ და უყურებდნენ სასწრაფო დახმარების მანქანას, რომელსაც ეზოში ჩასვენებული მოხუცის ცხედარი გასაბანად მიჰქონდა მეჩეთში. მე კი, იმ მიზნით, რომ დამემთავრებინა რომანი, რომელსაც ამ საიდუმლოებით მოცულ „ჭაბუკზე“ ვწერდი, საიდას ნებართვით ჩემთან გადასატანად გამზადებული საქალაქები ერთმანეთზე დავანწყე და მაგარი ბანრით შევკარი...

*თარგმნა იმირ მამედლიმ*



გურამ რჩეულიშვილი

### უკანასკნელი აბენსერაჟი

აფხაზი აჩბა ბილიკმა ათონის ჩაის საბჭოთა მეურნეობასთან მიიყვანა. აქედან გზა ყოფილ მონასტერში მიდიოდა. ჩაფიქრებული ჩაუყვია თავადების ჩამომავალი მოკირწყლულ გზას. შორს, სადღაც, ზღვა ცაში გადადიოდა, კარგა ხანს ჭვრეტდა ზღვის სიმშვენიერეს, მერე მზის სხივებმა თვალი მოსჭრეს და გზა განაგრძო.

აჩბამ ოცდათერთმეტი წელი თავისი ცხოვრებისა აფხაზეთის მთებში გაატარა. დროდადრო ჩამოდიოდა ხოლმე ბარში დროს სატარებლად. ძალიან უყვარდა შამპანური, განსაკუთრებით მოსწონდა, როცა ბოთლსა ხსნიდნენ და საცობის გავარდნასთან ერთად ტკბილი, მათრობელა სითხე რომ გადმოჩქეფდა ხოლმე. იგი ახლა სასმელზე და რუსის გოგოებზე ფიქრობდა.

თითქმის მთელი წელი საქონელს უდგა. ახლა მოსწყურდა დროსტარება და ბარად დაეშვა.

ყოფილი მონასტრის ეზოში დამსვენებლები ირეოდნენ. აფხაზი მალულად ჭვრეტდა მკერდავსე გოგონებს. გაღავანთან მიდგმულ სკამზე მარტო მჯდომი ქალი შენიშნა და გვერდზე მიუჯდა. როგორც იყო, თავისი დამტვრეული რუსულით გაიცნო, თავისი სითამამის თვითონ გაუკვირდა. გადანყვიტეს, ღამის

ათ საათზე შეხვედროდნენ ერთმანეთს. ქალი წავიდა. აფხაზი აჩბა კი იჯდა და ზღვას უყურებდა.

მის ქვევით უზარმაზარი ყურე იყო. აქ წყალს ბაცი ფერი ჰქონდა. აქედან ზღვა ნელა იშლებოდა და გამუქებული იკარგებოდა ცაში. ჰორიზონტზე ჩამავალი მზის სხივები განოლილიყვნენ. თავად მზე დალლილობისაგან ძლივსლა იმაგრებდა თავს. იჯდა აჩბა გარინდებული და თავისი თვალთ უყურებდა მზის თავის დახრჩობას. ნაპირზე უკვე მუქი ფერები ჩამოწვა. მარადმწვანე ხეები იძინებდნენ, მხოლოდ მათ კენწეროებსლა ხედავდა მზე. ყურიდან ალვის ხეებისა და ევკალიპტების ხეივანი მოდიოდა მთისაკენ. აქ იგი გვირაბებს შუა მოქცეულ ტბას ერთვოდა. შემდეგ უცებ იწყებოდა მთა, რომელიც სულ მაღლა და მაღლა გრძელდება, ვიდრე სვანეთის კავკასიონამდე. მოპირდაპირე ბექობზე წინწარში გემოვნებით ნაშენი სახლი იდგა. აფხაზმა შურის თვალთ შეხედა, მერე მზერა ისევ ხეობაში გადმოიტანა. რალაცა არ ესიამოვნა, თითქოს ახლა დაინახა ორსართულიანი, თეთრად შეთხიპნილი რუსული სახლები. ხასიათი თავისდაუნებურად წაუხდა. ბუნებამ დაკარგა თავისი სიმშვენიერის ნაწილი. „ნეტა ეს

სახლები საიდან არის, ან ვინ ააშენა,“ გაიფიქრა გუნებაში. მზერა ისევ ზღვაზე გადაიტანა. ხასიათი უფუჭდებოდა, მაგრამ მიზეზს თვითონ კარგა ვერ მიხვდა. რალაცა უცხო დაინახა ზღვაშიც, მერე ისევ ის სახლები გაახსენდა. დაისი დასრულდა. ბინდმა სულ უფრო იმატა. აჩბა შიმშილმა შეანუხა, მერე შამპანური გაახსენდა და დუქნის გზას დაადგა.

დუქანი ცარიელი იყო. მან თავისი ხელით გახსნა ბათქანით შამპანური და მუშხუნა სითხე ღიმილით შესვა. სვამდა შამპანურს, თან ცხვრის მწვადს ატანდა. ერთი რომ გამოცალა, მეორე მოატანინა, ისიც ხმაურით გახსნა. უზომოდ მოუნდა ვინმესთან ლაპარაკი. გვერდზე მაგიდასთან მთვლემარე მომტანს გამოესაუბრა; ისიც აფხაზი ჩანდა.

– საიდან ხარ, მამობილო?

მომტანი გასწორდა და თვალები ეშმაკურად შეათამაშა, ეტყობოდა, ლაპარაკის ჟინი მასაც მოსწოლოდა.

– მე, ოჩამჩირელი, ოჩამჩირეს ზევით ათი-თორმეტი კილომეტრია ღულამდე. ხომ იცი, შენ, კაცო.

– როგორ არა, იქით ხშირად დამიდის საქონელი.

– საქონელში ხარ? – მომტანმა სკამი ახლო მოსწია.

– საქონელში კი, მამილო. ერთი ქიქა შემისვით.

ორივენი კარგ ხასიათზე დადგნენ, ახლა მომტანმა მოიტანა თავის ხარჯზე შამპანური. დუქანში მთვრალეები შემოვიდნენ. აჩბამ მოსაუბრე დაკარგა და მარტო განაგრძო სმა. ისევ შეეცვალა გუნება. ხეობაში გადაიხედა. თეთრი სახლები ნათელ ღამეში კარგადა ჩანდნენ. მან თავი გააქნია, თითქოს სახლების გამოსახულებებს ერეკებო. ახლა იგი თავის აფხაზეთზე ფიქრობდა. მის პრიმიტიულ გონებაში ათასი ფიქრი იყო.

მოუნდა მთიდან მთაზე ხიდების გადება და სადღაც, ზღვაში კოშკის ამართვა. დათვრა, ფიქრებს თავს ველარ ართმევდა, მხოლოდ გრძნობდა, რომ გადებული ხიდიდან თეთრი სახლები უშნოდ გამოჩნდებოდნენ.

გარეთ გამოვიდა. მისი ქალი ხის ქვეშ იდგა და ხმამაღლა ელაპარაკებოდა ვილაცა კაცს. ამ უკანასკნელმა ხმას აუწია და რუსულად შეაგინა, მერე საცემრად მიიწია. აჩბა ადგილს მოსწყდა, დარტყმით გააგორა ქერათმიანი რუსი, მაგრამ უკნიდან ყურისძირში სილა მოხვდა და დაბანცალდა, სწრაფად მობრუნდა, ახლა გვერდიდან გაარტყეს. თავგამოდებით ჩხუბობდა აფხაზეთის თავადების შთამომავალი, თან თავის ყამასა ნატრობდა. უკვე ველარ არჩევდა თავზე წამოხვეულ მონინაალმდეგეებს. მერე დაილალა. გადანყვიტა, უკან დაეხია, აქ თხრილში ჩაუვარდა ფეხი და წაიქცა.

– Бей его, – დაიღრიალა ვილაცა მთვრალმა და ყველაფერი აირია. აჩბა გრძნობდა, რომ ხვდებოდა წიხლები, მაგრამ არ სტკიოდა. სახეზე ხელები აიფარა.

– Наверно, умер, – გაიმეორა იმავე ხმამ. ბექობი წამში დაიცალა. აფხაზი აჩბა კი ეგდო და ბუნდოვნად გრძნობდა, რომ რცხვენოდა, მერე ნერვიულად გააქნია ხელები, წამოდგა. ბანცალით დაეშვა ხეობისაკენ, იქ ნათესავი ჰყავდა. ახლალა მოაგონდა, რომ მისი ბიძაშვილიც იმ თეთრ სახლებში ცხოვრობდა, სახლების გახსენებამ სულ წაუხდინა ხასიათი. იგი შემობრუნდა და ზღვისკენ წავიდა. კენჭებზე წამოწოლილი ცოტა დამშვიდდა. რამდენიმე ხნის შემდეგ წაეძინა.

*თარგმნა ირმა ოსიაძე*

## Rheulisvili Garam

### Ацыхэтэнтэи Абенсераж

Апсуа Ачба дызкәыиз амѡахуаста Фон ачаи нхамѡа аҕны днанагеит. Уаантәи амѡа уаанзатәи абертып ах ицон. Дхәыцуа дықәлеит аҭауадцәа рымѡа ах. Акыр инаскыаганы, ихараны нахьхы цыара, амшын ажѡан иалалон, акыр аамта дахәапшуа амшын аҭшра шьахә, нас амза ацыпхькәа ибла хыркын, имѡа дықәлит.

Ачба иҭсҭазаара ѡажәи жәеиза шықәса ашьа ихыигеит. Зны –зынла алада длыбаауан аамта ихеигарц азы. Ашампанѡы даараза бзиа ибон, еихаразак игәапхон, аҭатлыка анхитуаз, аѡа аҭкыара бжы, уи инацны ихааз, уазыршьуаз аѡы ахыѡеара. Уажәи уи арыжәтәи, аурыс тыпхәцәеи ракун дзызхәыцуаз.

Ашықәс зегы арахәаазара дафын. Уажәи аамта ихегар иҭахын азы алада дтәлеит.

Уаанзатәи абертып аҕны аҭсшьаѡцәа еилысуан. Апсуа иѡыцәахны дкылшны дрыхәапшуа зыхәда тыху ацкы зшәыз азҭабцәа. Аҭзамц ааигәара игылаз аҕәардә зымацара иқәтәаз аҭхәыс дибит, лган днатәеит. Аурыс бызшәа аҭәара ицәыцәгъаны аарла лацәажәара далагеит, игәаҭыра иара ихаҭа уамашәа ибеит. Ирызбит ахулбаехан асаат жәаба

рзы еипыларц. Аҭхәыс дцеит. Апсуа Ачба даанхит, амшын ахь дыпшуа дтәан.

Уи ицка адгылбжыахажара ыҕан. Уаҕа азы аҭштәи еиха ихыгга иҕан. Араантә амшын ашьшьахәа ицәырцуан, уи ихәашьшьза ажѡан иалазуан. Алапшхәаа иалпххоз амра ацпхькәа шьтан. Амра ахаҭа аарла аѡааннакылон убрыскак иааҭсаны иҕан. Ачба фымт дтәаны дахуапшуан амра ахы азы ишанаҭоз. Аҕәара аҕны аҭштәи еиқәатцәа ашьшьахәа ицәырцит. Еснагь ииацәоу атцәкәа ицәон, урт рықәцә мацара акун амра иабоз. Адгылбжыахажара аҕнытә ахәаца цләкәеи, аевкалипткәа раллеиа ашьаҕа иаауан. Араҕа уи аҭаҭы ала еиѡшаз азиа иалалон. Нас иаразнак ашьа алагон, уи еиха - еиха аѡада ихунон, Шәантәылатә Кавказ аҕнынза. Иаҭхәа аҭкыара аҕны еинаало ѡныпшзак гылан. Апсуа датцашьыцны днахәапшит, нас илапш еиҭах ашьаҕа инаирпшит. Акы игәампхәит, уи, уажәи ибазшәа ѡеихагыла змаз, шкәакәа пштәыла ишәыз аурыс ѡнқәа ракун. Ишиҭахымз игәалаҕазаара пхастахит. Аҭсабара иамаз аҭшзара ахәҭак ацәызит. “Арҭ аѡнқәа иабаанага, ма изыргылада,” дазхәыцит. Илапш амшын ахь ииаигеит.



Игэалаҕазаара аҕхастара иаҕын, аха үи зыхҕаз иара ихата өеи изеилкаауамзт. Амшын аҕынҕы акы ибеит, еиҕах өнқәа игэалашеит. Амра ҕашәит. Еилашәшон, еиха алашьцара иаҕын. Ачба амла дакит, нас ашампанөы игэалашәеит, акрыфарҕа ахь амөа дықәлеит. Акакалкырҕа ҕацәын. Иара инапы ала абжыы рганы ашампанөы хиртит, аччы зыхгоз аөы дҕышәарччо ижәит. Ашампанөы ижәуан ауасажыы зны иацифон. Акы даналга аөбатәи изааргеит, уигыы абжыы рдуны ихитит. Азәы диацәажәар иҕаххит даараза. Иган аиышәа иахатәаны зылацәы нҕаауаз ахәынаҕаөы дыниацәажәеит, уигыы даҕсуан.

- уабатәиу, ахатца ?

Ахәынаҕаөы иеириашан, иблақәа гызмалза дынихәаҕшит, иаргыы ацәажәара шиҕахыз өашьомзт.

- сара Очамчыратәиуп, Очамчыра инахыган жәаба - жәаөа километр бьыланза. Уаргыы иумдыруеи, уара.

- хәарада уахь анеира лассы исықәшәоит.

- араху унапы алакума? – ахәынаҕаөы икәардә даахеит.

- ааи араху, ахатца. Атәыцак аанкыл.

Рыөцьягыы ргэалаҕазаара бзиахеит, ахәынаҕаөы иҕарала иааигеит даөа ашампанөы ҕатҕыкак. Акакалкырҕа аөы иашьыз шьоукы өналеит. Ачба иацәажәоз дицәеит, имацара аөыжәра далагеит. Еиҕах игэалаҕазаара аөаҕсахит. Аөкьара ахь днаҕшит. Аөны шкәакәақәа ацх лаша аҕны ибзианы иубон. Ихы ааиртцысит, аөнқәа ацҕхь рынҕхалозшәа. Уажәы үи иара и- Аҕсны дазхәыцуан. Ихшыө хуцы аҕны ахуцра рацәа ыҕан.

Ашьхақәа рыбжьара ацҕа ахцара иҕаххит, амшын агәҕа абаа аргылара. Аөы

дашьит ихәыцрақәа дызрызиаауамзт, аха ицәаныррала, иқәтцаз ацҕа иаҕырхаган уаҕа игылаз аөны шкәакәақәа.

Адәахыы ддәылцит. Иҕхәыс атцла атцаҕа дгылан, лыбжыы рдуны хатцак диацәажәон. Ахатца ибжыы ирдуит, урысшәала дыцәхаит, нас инапы шьҕихит дыкшарц азы. Ачба дахьгылаз дақәууан, икшарала ҕаҕа дкаижьит ахышкәакәа аурыс, аха ишьҕахь ала ихәдаҕьал азәы дасит, даабарыбынееит, афырҕа дааҕьяжьит, илымхала еиҕах исит. Ихы дамеигза ақәҕара даҕын аҕсуа, аҕауадцәа рҕынха, иҕама ахьимамзгыы хьаас иман. Аилкаара илшомзт иқәланы иҕҕара иаҕыз ауаа зустваз. Нас дааҕсеит. Избит шьҕахьҕа ахьатцра, ажра ишьапы ҕахан, дкахаит.

- Бей его, - дҕааит аөы иашьыз азәы, үскан зегыы еилаҕьежьит. Ачба еиликаауан ашьхәақәа шиаахоз, аха ихьомзт, инапы ихы - иөы иаҕыракны итәахуан.

- Наверно, умер, - уаанзтәи абжыы еиҕах игеит. Минутк ала рыззегыы иныҕашәкуа ицеит. Аҕсуа Ачба дкажыын, аарла еиликаауан ихьыз шҕхеишьоз, нас инапқәа ааиртцысит, дөагылеит. Деицакьаза аладара дҕаланы иөынеихеит, уаҕа иуа дынхон, игэалашәеит иара иаб иашья иҕагыы урт аөнқәа руакы аҕны дшынхоз, аөнқәа ргэалашәара зынза игэалаҕазаара ҕхастанатәит. Дхынхәын амшын ала иөынеихеит. Аҕәара, ахахәра аҕны диет, мацк дҕынчхеит. Ғытк антцы ацәа имнахит.

1956 шықәса, нанхәамза 24.

Аҕсуа бызшәа ахь еиҕалгеит

**Осиа Ирма**



ნათელა არველაძე

### ტრადიცია ბრძელდება

2017 წლის 8 სექტემბერს ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრმა მორიგი პრემიერა წარმოადგინა – ლევ ტოლსტოის პროზის („კრეიცერის სონატა“) ინსცენირების მიხედვით შექმნილი დადგმა. ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორია საულიუს ვარნასი, თარგმანი ეკუთვნის ზაზა ჭანტურიას, მხატვარია იურაიტე რაჩინსკაიტე, ქორეოგრაფი კონსულტანტია ირინე კუპრავა, ტექნიკური რეჟისორი – მაია მეზონია.

თეატრის ხელმძღვანელობა ხშირად იწვევს როგორც ქართველ, ისე სხვადასხვა ქვეყნის რეჟისორებს. ამ მხრივ ფოთის თეატრი, თუ შეიძლება ითქვას, „გახსნილი თეატრია“. ამ სცენაზე სპექტაკლებს დგამენ მონვეული რეჟისორები ავსტრიიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან და სხვ. ამჯერად სცენა დაეთმო ლიტველ რეჟისორსა და მხატვარს. ასე გრძელდება ტრადიცია. თეატრის ხელმძღვანელობა ცდილობს, დასი აზიაროს სხვადასხვა, განსხვავებული სათეატრო ხელნერის რეჟისორებს, თანამედროვე სათეატრო მოდელის ავტორ-ლიდერთა შემოქმედებით ძიებებს, ამ მხრივ გაამდიდროს მსახიობების სააზროვნო არეალი და დახვეწოს საშემსრულებლო არსენალი.

თავის მხრივ ხომ, მონვეული რეჟისორები, ამ შემთხვევაში ევროპელი თანამედროვე თეატრის წარმომადგენლები, იმ ესთეტიკის გაცნობა-ათვისების პროცესს უწყობენ ხელს, რაც დამახასიათებელია აწინდელი სასცენო ხელოვნებისათვის. ამასთანავე, ხელმძღვანელობა ცდილობს, მიმდინარე სათეატრო პროცესი გააცნოს არა მარტო დასსა და ტექნიკურ პერსონალს, არამედ მაყურებელსაც. ამჯერად ლიტველი რეჟისორის, საულიუს ვარნასის, მონვევა თეატრის დირექტორის ინიციატივით მოხდა. მას გუმანმა არ უმტყუნა – პრემიერის საღამოს მაყურებლის გულმხურვალე ემოციით, განსაკუთრებულად სწორედ თენგიზ ხუხია ხარობდა – მისმა არჩევანმა გაამართლა. წარმოდგენა მნიშვნელოვანია არა მარტო სადადგმო კულტურით, ინტელექტუალური თეატრის თვისებათა გააზრებით, არამედ მსახიობ ჯანო იზორიას მაღალი რანგის შესრულებით. თანამედროვე ქართული სცენა არცთუ ხშირად გვანებივრებს ასეთი მსახიობების მიგნებებით, პერსონაჟის სასცენო ამბის ასეთი ღრმა და საზრიანი გათამაშებით.

ლევ ტოლსტოის საფიქრალი სიკვდილით დასჯის თაობაზე, ადამიანთა

ურთიერთობის კულტურასა და სიყვარულზე მეტად აქტუალური აღმოჩნდა სადღეისოდაც. ამჟამად ხომ სიკვდილი მეტისმეტად გაუშინაურდა მსოფლიო საზოგადოების ყოფას! მოიშალა ადამიანთა ურთიერთობის კულტურა, გაუფასურდა ადამიანის სიცოცხლე! თანამედროვე კაცობრიობის თანაცხოვრება ძალუმად განიცდის სიყვარულის ყოვლისმომცველი ძალის დეფიციტს! დაკნინდა ადამიანთა საჯარო ცხოვრების კულტურა! მძულვარება დაძრწის დედამიწაზე! „უსიყვარულოდ არ არსებობს...“ – სულის სიღრმიდან დაძრული, ვულკანური ძალის ამოფრქვევით შთაგვაგონებს გალაკტიონ ტაბიძე. ქართველი პოეტის შემოქმედებაზე აღზრდილი მსახიობებისათვის მეორე გენიოსის, ლევ ტოლსტოის შეგონება – აგრერიგად ახლობელი აღმოჩნდა. დღევანდელი სამყაროს მაჯისცემას, გულის ფეთქვის უხილავ იდუმალებას შეიცნობს და უღრმავდება საულიუს ვარნასი, უკვირდება და განიცდის სიყვარულის დეფიციტის სიმძიმის! ამ სატკივრით შეძრული შემოქმედი მეტაფორებით დახუნძლული სასცენო ქმედებით ეხმიანება სიკეთისაგან განძარცვულ, გაპირუტყვეებულ, ზნეობრივად დაცემულ ადამიანთა საკრებულოს.

ლევ ტოლსტოის მეტად ტევადი და ღრმა პროზიდან რეჟისორმა სიყვარულის თემა გამოარჩია და მასზე ააგო სასცენო ქმედება. ცოლქმრული ურთიერთობის ამბავი მხოლოდ საყრდენი ქვაკუთხედი სახანაობისა. აქ ადვილად ირღვევა ეს ჩარჩო და მაყურებელი, ასოციაციის გამიზნული ნაკადით, უღრმავდება და იხსენებს უმწვავეს მოვლენებს. ქალისა და მამაკაცის სიყვარულის ამბით გაცხადებულია დღევანდელი უსასტიკესი დილემა – მკაცრი რეალობა მეუფებს! ოცნებათა მსხვერველა, იდეალის გაუფასურება, ყოფის მღვრიე ნაკადი არჩევანის წინაშე ამყოფებს ადამიანს; ქაოსს, აგრესიას,

სიყვარულისა და სიკეთის დეფიციტს, კულტურის დევალვაციას, ტექნიკისა და კაპიტალის კულტს, ადამიანი უმეტესად, ზნეობრივ დაცემამდე მიყავს... ის ხდება მკვლელი! ამიტომაცაა, მუსიკალურ ფრაზათა ერთობლიობა, ხმაურისა და განათების პარტიტურა კიდევ ერთი მოქმედი პერსონაჟი რომ ხდება სანახაობისა. დადგმის აზრობრივი პარტიტურა სათეატრო კომპონენტთა თანახმიერი ერთობლიობით რელიეფურად მჟღავნდება და უმთავრეს პრობლემაზე ახდენს მაყურებლის გონებისა და გრძნობის კონცენტრაციას – ასე ცხოვრება უკვე შეუძლებელია!

საულიუს ვარნასის ინსცენირებითა და დადგმის აქცენტებით ნაწარმოები იძენს კიდევ უფრო მეტ აქტუალობას და ორგანულად ეხმიანება თანამედროვეობის გაშიშვლებულ გასაჭირს. სანახაობით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ლევ ტოლსტოის, როგორც ღრმად მოაზროვნე და კაცობრიობის მომავალზე მასშტაბურად მოფიქრალი მწერალის ფიგურა. შესანიშნავი თარგმანი ორგანულად აჟღერდა მსახიობთა მეტყველების შემწეობით. ზაზა ჭანტურიას ნიჭიერების წყალობითაცაა, რომ სცენიდან ისმის დარბაისლური ქართული, თითქოს ნაწარმოები ამ ენაზეა შექმნილი. ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, ტექნიკური პერსონალის პროფესიონალიზმზე ბევრად რომ არის დამოკიდებული სიტყვის, აზრის, განათების, მუსიკალური ფრაზის, ხმაურის პარტიტურათა ერთიანობის მიღწევა, რომელიც ტექნიკური რეჟისორის, მათა მებონიას, ხელმძღვანელობით ხორციელდება სცენაზე.

საულიუს ვარნასი მდიდარი ლიტვური სათეატრო კულტურის ჩინებული წარმომადგენელია, ის ცნობილი და ნიჭიერი რეჟისორ-ლიდერის, იოზას მილტინისის, მოწაფეა. მილტინისი გასული საუკუნის 60-70-იანი წლების რეჟისურის მეტად მნიშვნელოვანი ფი-

გურაა. მისი ხელმძღვანელობით არსებული პანევკეისის თეატრი ერთ-ერთი წარჩინებული, თანამოაზრეთა სასცენო აზროვნებით შეკავშირებული კოლექტივი გახლდათ, რომელმაც ძლიერი შენაკადით გამოკვეთა რეჟისორული თეატრის, ინტელექტუალური თეატრის, ერთიანი მოქალაქეობრივი და ხელოვნებისეული იდეით შედუღებული გუნდის გამორჩეულობა. საულიუს ვარნასი, თავის მხრივ, ერთგულებს და აგრძელებს გურუსგან მიღებულ ცოდნას, გამოცდილებას, უკომპრომისო შემოქმედებით-მოქალაქეობრივ პრინციპებს, ამასთანავე, ამდიდრებს მათ თანამედროვე კონცეპტუალური რეჟისორული აზროვნების თავისებურებებით. ამჯერად მხოლოდ იმ ასპექტს გამოვყოფ, რომელიც, ჩემი ფიქრით, მეტად ნიშანდობლივია რეჟისორის მსოფლმხედველობისა და სათეატრო მოდელის კონცეფციისათვის, წმინდა ხელოვნებისეული ხედვისათვის. ამ ნიშანთა ერთობლიობა თვალნათლივ წარმოჩნდა ფოთის თეატრის სპექტაკლშიც.

1. საულიუს ვარნასი, როგორც თანამედროვე კონცეპტუალური რეჟისურის წარმომადგენელი და მოაზროვნე შემოქმედი, „შეიარაღებულია“ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური სკოლების მიღწევათა გააზრებით. მსოფლიო სოციოკულტურულ და პოლიტიკურ ვითარებას რომ აყურადებს, შეძრულია იმ ტოტალური სისასტიკით, რომელიც თანამედრეა კაცობრიობის ამჟამინდელი ყოფისა. ის იბრძვის ადამიანის შინაგანი ამაღლებისათვის, ხილული და ქვეცნობიერი პლასტების ამოქმედებისათვის, რათა გადაარჩინოს „ყოველ ადამიანში მოცარტი“ (ეგზიუპერი). ის, ტენდენციური რეჟისორული თეატრის წარმომადგენელი, სცენიდან დაუფარავად ამბობს, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ ისიც კარგად ესმის, რომ თეატრი არ არის ის ინსტანცია, რომელსაც ძალუძს, შეცვალოს რეა-

ლობა, მოახდინოს მოვლენათა რადიკალური ცვლილება. სცენას შეუძლია ინტელექტუალურ-ემოციური ზემოქმედებით გააერთიანოს დარბაზი, დამუხტოს იგი ძლიერი ვნებათა ლეღვით და დააფიქროს უმწვავეს პრობლემებზე. ამ მისიას ემსახურება რეჟისორი მთელი შეგნებით. ის უბიძგებს მაყურებლის გონებას, გაიაზროს და ჩაუღრმავდეს კაცობრიობის დღევანდელ ყოფას, შეიმეცნოს ისტორიული გამოცდილება, რათა გაითავისოს პიროვნული როლი მიმდინარე მოვლენებში, იგრძნოს პასუხისმგებლობა ცივილიზაციის განვითარებაზე, მის მომავალზე, გახდეს აქტიური შემოქმედი სამყაროში გაუმჯობესებული თანაცხოვრებისა.

ამ დადგმითაც რეჟისორი ცხადად წარმოაჩენს რეალობას. ცოლქმრულ ურთიერთობას განიხილავს არა ვიწრო ოჯახური დრამის რადიუსით, არამედ როგორც თანამედროვეთა ურთიერთობის უპირველესი ზნეობრივი სიღარიბის, კულტურის, სიყვარულისა და სიკეთის დეფიციტის შედეგს. ამ მოტივაციას მიყავს ადამიანი უღირსებო ცხოვრებისაკენ. საულიუს ვარნასი გულწრფელია თავისი მონოდებებით, ამიტომაც ინადირებს ჯერ მსახიობთა გუნდის ნდობას, შემდეგ მაყურებელთა დარბაზს და ქმნის მათგან თანამოაზრეთა საკრებულოს. ის უჩვენებს კონკრეტულ რეალობას, როგორც გლობალური რეალობის ნამსხვრევს და უბიძგებს მაყურებელს, მოახდინოს პიროვნული არჩევანი.

მისი დადგმების ზე-ზეამოცანა მიმართულია დარბაზის გონება-გრძნობაზე (და არა გრძნობა-გონებაზე) ზემოქმედებისაკენ. ის დაჯერებით ეძიებს თანამოაზრეებს დამდგმელ გუნდში, თეატრის ხელმძღვანელობასა, ტექნიკურ პერსონალსა და შემდგომ მაყურებელთა დარბაზში. ამ ორმხრივი კომუნიკაციის შემქმნელია რეჟისორი, რომელიც გახსნილია დასისა და დარბაზის

წინაშე, თუმცა, ამავე დროს, ჩაკეტილია თავის სამყაროში, მაგრამ კეთილი და მგრძობიარეა ცალკეული ადამიანის მიმართ.

საულიუს ვარნასის სპექტაკლები არ ეფუძნება, არ გამოხატავს კონკრეტულ ყოფას. ისინი ერთგვარად ყოფაზე ამალღებულნი არიან, თუმცა დრო, როგორც ასეთი, მყარად „ზის“ მისი დადგმების შინაგან დინებასა და სიღრმისეულ პლასტებში. ამას ადასტურებს ფოთელთა წარმოდგენაც.

2. კიდევ ერთი ასპექტი, რომელზეც შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას, წმინდა საავტორო სამეტყველო ენის, სათეატრო ტექსტის, გამოსახვის ფორმების ერთობლიობას ეხება. რეჟისორის სპექტაკლები აწყობილი სისტემაა, ყოველი კომპონენტის აზრიანი და გამიზნული შეკავშირებით შექმნილი ახალი

მთლიანობაა. ის ცდილობს, სპექტაკლი, როგორც სათეატრო ტექსტი, იყოს გამჭვირვალე, ნათელი, ამოსაცნობად შექმნილი. ამიტომაცაა, ფარდის ყოველი ახდისას, ყოველი ეპიზოდის გათამაშებისას ის ცდილობს არა მარტო ერთობის მიღწევას, სცენისა და მაყურებელთა დარბაზის გაერთიანებას, არამედ „მოაზროვნე პუბლიკის შექმნას“ (ჯორჯო სტრელერი). ეს ორმხრივი კომუნიკაციის სახეობა მიმართულია ყოველი ადამიანის გონება-გრძნობის აღზევებისკენ, რათა მიაღწიოს და აღმოაცენოს მასში შინაგანი მზაობა მოქმედებისათვის, რათა ადამიანი გაემიჯნოს თვინიერ ცხოვრებას, შემგუებული კონფორმისტის პრაგმატულ ყოფას.

მას სცენაზე მოძრაობაში მოჰყავს ოთხივე ბუნებრივი სტიქია, რათა მათი ერთობლიობით ყოფა წარმოსახოს

ბუნებასთან კავშირით, ყოფითი ნივთი კი სიმბოლო-ნიშანია. სცენაზე გათამაშებული სიყვარულის გამხელისა და ქორწინების ეპიზოდები აღმოცენებულია ავანსცენასთან ახლოს, მაყურებელთა დარბაზთან შემაკავშირებელ გზაზე. იგი ერისა და იმავე დროს ხიდიც არის, პოდიუმის ასოციაციასაც იწვევს



და სავალი გზაც გახლავთ, რომელზეც პოზნიჩევი და საცოლე ნავით „მიჭერიან“ მდინარეზე. აქ ნიჩაბი ყოფის კი არა, მოძრაობის მიმანიშნებელია. სინათლის მიმქრალი სხივი, ქალიშვილის თეთრი სამოსი, ქარისაგან ფართოდ გაშლილი საცოლის ფატა, მსახიობების სხივჩამდგარი თვალები და სხეულის პლასტიკური მონახაზი ტკბილხმოვან მუსიკალურ ფრაზასთან ერთად, რომელიც „ჩატეხილია“ განგაშის მიმანიშნებელი ბგერებით, ერთიან მიზანს ემსახურება – გვიჩვენოს სიყვარულის ყოვლისმომცველი საკრალურობა, სიხარული, აღმაფრენა, სულთა ერთიანობის ჰარმონია მეტყველი, ნატიფი, სხარტი გამომსახველობით. ეს ლამაზი სანახაობაა.

ყოფის აღმნიშვნელი ლამპები, რომლითაც ცოლი (მსახიობი ნინო პაჭკორია) შემოსაზღვრავს მკვლელობის სამყოფელს, გაუცხოებულა თავისი პირველქმნილი არსისგან, ის ცეცხლის სტიქიის ასოციაციას ბადებს და მიგვანიშნებს, გვამზადებს საზარელი აქტისთვის. მკვლელობა აქ გათამაშებულია მბორგავი, მაგრამ გარეგნულად მეტად ნაცადი, ოსტატის მიერ შესრულებული მოქმედებით – თითქოს ტორეადორი უკანასკნელი დარტყმით ამარცხებს მსხვერპლს. ტუხაჩევსკის (მსახიობი სანდრო გუჯაბიძე) გამოჩენა, მისი „ფიზიკულტურელის“ მექანიკური პოზა, ჩასაბერი საკრავის ხმოვანება განგაშის მაუნყებელია, ხოლო სხეულის პლასტიკური მონახაზი, იუმორთან ერთად, ცინიზმის მკრთალი გაელვებითაა გაჯერებული.

რეჟისორი ითვალისწინებს და იყენებს პროფესიული, ოცდახუთსაუკუნოვანი თეატრის ისტორიის ნიშანდობლიობასაც. სპექტაკლის პერსონაჟი დირიჟორი (მსახიობი გუჯა ქარაია) ასოციაციით ანტიკური ბერძნული თეატრის ქორეგტს გვახსენებს, რომელიც სცენაზე გამოხატავდა, ვთქვათ, ათენის

ქალაქ-სახელმწიფოს მმართველისა და არეოპაგის სახელმწიფოებრივ იდეებს, მიზნებს. ის პირდაპირ, ა'პარტეთი მიმართავდა მოქალაქეებს, ამზადებდა და წარმართავდა მათ გრძნობა-გონებას მმართველის მიერ დასახული მიზნებისაკენ, ამკვიდრებდა მათ მსოფლმხედველობას. „კრეიციერის სონატის“ ერთ-ერთი პერსონაჟი – დირიჟორი, „სათეატრო ორკესტრის“ ხელმძღვანელი, მუსიკალურ ინსტრუმენტთა თანახმიერების შემქმნელი, რომელიც იწყებს და ასრულებს წარმოდგენას, ქორეგტისაგან განსხვავებით, თანამედროვეობის ადეპტია! თუმცა თავისი ფუნქციით ჩამოგავს ქორეგტს, მაგრამ გაუცხოებულა მისი არსისგან. მსახიობის გულღია მიმართვა, დარბაზთან გახსნილი დიალოგის მოსურნეობა, ცბიერი ღიმილი (პოსტმოდერნული ხელოვნების ირონიის და თვითირონიის ნიშანი), თვალების მოძრაობა, პლასტიკური მონახაზის სიმსუბუქე, იუმორთან შერწყმული ირონია და ცინიზმი, ამასთანავე, ამბის მთხრობელის გულმხურვალება გვიბიძგებს, ავხსნათ მოვლენა – თანამედროვე სცენაზე ქორეგტის ფიგურა ისევე დაკნინებული, როგორც რეალურ ყოფაში ადამიანი. როლის ინტერპრეტაცია ითვალისწინებს პოსტმოდერნული ეპოქის სულისკვეთებასაც. აწინდელი ქორეგტი-დირიჟორი აღარაა სანახაობის იდეური „წინამძღოლი“, რომელსაც მოძრაობაში მოყავს ორკესტრი და წარმოქმნის მუსიკალური ფრაზების ჰარმონიულ წყობას, არამედ ის მხოლოდ თავშესაქცევად „გარდასახული“ არლეკინი-ბერიკაა (ძველი თეატრის ნივთმტკიცება). მწამს, თანდათან დაიხვენება სასცენო ამბის თხრობა და დირიჟორის ხელში მისი პროფესიის მიმანიშნებელი „ჯოხიც“ უფრო ზუსტად „ამოქმედდება“ – ხან როგორც მახვილი, ხან როგორც რეკვიზიტის „დანამატი“, უმაქნისად რომ უპყრია ხელთ პერსონაჟს, ხან კი, როგორც დირიჟორის

იმპერატივის, მაჟორული ძალისხმევის გამოხატულება. ასევე, თანდათან დაიხვეწება, სიღრმესა და მასშტაბს შეიძენს ცოლისა და ტუხაჩევსკის სასცენო ბიოგრაფიაც, მაშინ კიდევ უფრო აქტიური, მძაფრი და მიზანმიმართული აღმოჩნდება ამბავიცა და სანახაობაც.

სახიერად არის გადანყვეტილი რეჟისორისა და ქორეოგრაფ ირინე კუპრავას მიერ მეძავთა „დეუეტი“, რომელიც საროსკიპოს ბინადართა ყოფის გამოხატულებაცაა და დარბაზზე სასურველი ზემოქმედების საშუალებაც. მსახიობების შესრულებით ზუსტად და ზომიერადაა გადმოცემული პლასტიკური მონახაზი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ზომიერება შეინარჩუნონ მსახიობებმა – ნინი გოშაძემ და ანი ანდლულაძემ, რათა არ დაირღვეს ეპიზოდის მთლიანობა და ქვეტექსტის აქცენტები, რათა რისკიანი პლასტიკური გადანყვეტა არ ამოვარდეს წარმოდგენის საერთო კულტურული დონიდან და არ იქცეს უგემოვნებოდ გათამაშებულ ეპიზოდად.

მძიმე ატმოსფეროს გამომხატველია მრუმე ფონი, რომელიც შესაძლებელია მივიჩნიოთ ახლანდელი, იარალის ენით მოლაპარაკე სოციუმის განწყობის მიმანიშნებელ სიმბოლოდ. მხოლოდ შუაგულში, ეულად ამოზრდილი ფოთლოვანი ხე, როგორც რეალობის მოცემულობა, ხე, როგორც კოსმოლოგიური სიმბოლო, აქ გვევლინება სანახაობის, ანუ სასცენო სამყაროს ღერძად. მას თითქოს ზეცა ეყრდნობა, ანუ ის კომუნიკაციის საშუალებაცაა დედამიწასა და ზეცას შორის. ამასთანავე, ხე წარმოგვიდგება მითოსურ, საკრალურ, რიტუალურ ნიშნად. რეჟისორი ერთ გუნდად შეჯგუფებულ ადამიანებს სწორედ მის ტანთან, ფოთლოვან ტოტებთან შეყუყულებს წარმოაჩენს, თითქოს დაზაფრულები მისგან ელიან შვებას, მისგან იძენენ მოქმედების სახსარს. ამ დროს სინათლის მთრთოლარე სხივი იჭრება

ფოთლოვან სივრცეში და ათინათივით ადგას სცენას, მოლიცლიცე მუსიკალური ფრაზა კი, იდუმალების საბურველს უქმნის ეპიზოდს. ამიტომაც, ასე ორგანულადაა გათამაშებული სამი ზონა – დედამიწა, ზეცა და ქვესკნელი.

რეჟისორი იყენებს შუა საუკუნეების მისტერიათა გათამაშების სამგანზომილებიან სივრცეს: სკნელი (დედამიწა), როგორც მყარი მოცემულობა; ზესკნელი, როგორც ადამიანთა მისწრაფებების სიმბოლო, ზეადმიტაცი ვნების საუფლო; ქვესკნელი, როგორც ადამიანის უნმინდური ვნებების, მისი ზნეობრივი დაცემის, შავბნელ ზრახვათა აბოპოქრების, ნყვდიადით მოცული გარემო. მრუმე ფონი, მისტერიათა წარმოდგენის სამგანზომილებიანი სახეობა, აქოჩრილი სიცოცხლის ხე, ოაზისივით რომ წამომართულა ცოდვამადლიანი სამყაროს ცენტრში და მგრძნობიარე ჰანგი... მიმქრალი სხივით განათებული ეს ოაზისი პერსონაჟთა გუნდთან ერთად აღიქმება, როგორც ბუნებრივი გრძნობისა და ადამიანურ მისწრაფებათა თავშესაფარი. საკრალური, რალაც გრძნეული, იდუმალი, ნათელი მისტერია გათამაშდა სცენაზე.

რეკვიზიტიც გამოიყურება, როგორც ამ სამი განზომილების ნივთმიკიცება – მცირე ზომის ლამპები, მაგიდის ნათურა, ბორკილებიანი მძიმე ჯაჭვი, გრძელი თეთრი ქსოვილი (ხან შეყვარებულის წმინდა სულის მანიშნებელი, ხან მექორწინეთა საიდუმლოების მგრძნობიარე დამსწრე-თანამგზავრი, ხან მაგიდის გადასაფარებელი, ხან პოზნიჩევის სამართებლის სანმენდტილოდ გადაქცეული) გაუცხოებულია პირველქმნილი არსისგან ისევე, როგორც საცოლე, ცოლი, სტუმარი ტუხაჩევსკი... ნივთი სიმბოლოს რანგშია აზიდული, ადამიანი უტილიტარული ნიშნითაა წარმოდგენილი. გრძელ, შავ ჯოხებზე წამოცმული ვერცხლისფრად მოელვარე პეპლებიც მხოლოდ ლაზათს

კი არ ჰმატებენ სასცენო სივრცეს, არამედ ხანმოკლე სიცოცხლისათვის განწირულ სახე-სიმბოლოს წარმოადგენენ.

ეს ლამაზი, დახვეწილი, აწყობილი სანახაობაა, მხოლოდ ადამიანური მბორგავი ვნებები და უმიზნო ქცევა არღვევს ამ გარეგნულ მშვენიერებას. აქ ადამიანები პეპლებივით დაფარფატებენ და მიუსაფრად გამოიყურებიან. ისინი ხანმოკლე (პეპლებივით!) ცხოვრებისათვის გაიმეტა განგებამ, მათ პეპლებივით ერთდღიანი ცხოვრება „მიუსაჯა“ არსთა გამრიგემ და... თავში გიტრიალებს მწვავე ფიქრი – ამ ხანმოკლე ცხოვრებას როგორ ფლანგავს ადამიანი!

გაფლანგული ცხოვრება! კონტრასტი გარეგნულ ბუკოლიკურ სიმშვიდესა და ადამიანთა შინაგან სამყაროს მძვინვარებას შორის ნათლად გამოისახა... და სამყაროს წრებრუნვის უმთავრეს დილემაზე მიეჯაჭვა მაყურებლის გონება და გრძნობა. ამავე დროს, რეჟისორმა ღრმად გაიაზრა და მეტაფორათა სისტემით სრულად გამოსახა თავად სონატისათვის (კრეიცერის სონატისათვის!) ნიშანდობლივი „წვრილმანებზე“ აგებული კონტრასტული ხმოვანების შინაგანი ჰარმონია. ადამიანთა საკრებულოს ზრახვათა დისჰარმონია და ბუნების ჰარმონიული წყობა-კონტრასტი ხელშესახებია!

ამ მთრთოლარე, ხან კი ნათელი სხივით განათებულ საცხოვრისში ადამიანები პეპლებივით დაფარფატებენ, ხან კი ძლიერი და ჯარისკაცური ნაბიჯებით არღვევენ დახვეწილი სივრცის იდუმალებას და მაინც – პერსონაჟები მიუსაფრად გამოიყურებიან, სიყვარულისა და სიკეთისაგან ამ განძარცულ სამყოფელში. ადამიანები ხანმოკლე (პეპლებივით!) ცხოვრებისთვის გაიმეტა განგებამ. მათ ამ წუთისოფელში პეპლებივით „ერთდღიანი“ ცხოვრება მიუსაჯა... და ამ ხანმოკლე ცხოვრებას როგორ ფლანგავს უმეცარი ადამიანი!

ამ ზოგჯერ ნათელ, ზოგჯერ მრუმე დინებას დროდადრო არღვევს მკვლელობის იარაღი – ალესილი ხანჯლები. ეს ის იარაღია, რომელიც იმ „ამაღლებული საუფლოდან“, გარინდული ზესკნელიდან თავს ატყდება პოზნიჩევს და რომლითაც შემდგომ ცოლს განგმირავს ქვესკნელივით მღვრიე აზრების ტყვედქმნილი, სიყვარულისგან გაუცხოებული ქმარი. ზეციდან, „მაღალი იდეალების საუფლოდან“, ცვივა ხანჯლები და ასოციაციით აღდგება დღევანდელობის სოციუმის თანამდევი, მასობრივი მკვლელობის იარაღები – ავტომატები, ყუმბარები, ქვემეხები, „მოლოტოვის კოქტიელები“, რომლებსაც ასე სასტიკად იყენებენ თანამედროვე განგსტერები, ყაჩაღები, ტერორისტები... ხმაურის პარტიტურა შემზარავია ქვემეხების, მატარებლების, ტექნიკის, სირენის, თვითმფრინავის დახლართული ხმოვანების განგაშით. ასე „იჭრება“ თანამედროვე სამყაროს მძულვარება, აგრესია, ბრმა გამეტება სპექტაკლის შიდა შრეებში. ამ მძულვარების, დაუნდობლობის, ფსიქიკის რყევის მსხვერპლია პოზნიჩევიც... ასე ეხმიანება სანახაობა თანამედროვე სამყაროს დაძაბულ ყოფას. რეჟისორი ტენდენციური სვლით გვამცნობს თავად ავტორის პოზიციას და დარბაზის სულთქმა უერთდება მის მოწოდებას: „ასე ცხოვრება უკვე შეუძლებელია!“

ერთი შეხედვით, ამბავი ძალზე „ბანალურია“: ყმანვილქალით გატაცება, იდეალის მიგნების პოეზია, სიყვარული, ცოლქმრული ურთიერთობის პროზა, საყვარელი, ეჭვიანობა, მკვლელობა, სასამართლო, ტუსადის აქსესუარები, მონანიება... ყველაფერი ის, რაც თანამდევია კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ყოფისთვის. ეს მრავალგანზომილებიანი ვნებათა ლეღვა თამაშდება პერსონაჟის ძალზე მგრძნობიარე შინაგანი სამყაროს მოუხელთებელი ვიბრაციითა და დახვეწილი მიზანსცენებით.



ვფიქრობ, ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს დარბაზში პოდიუმივით შეჭრილ დანადგარზე გათამაშებული სცენები: ჯერ პეპლებზე „ნადირობის“ მოქნილი და საკრალური მოძრაობები ყმანვილი ქალისა (მსახიობი ან ანდლულაძე), შემდეგ ზეალმტაცი სიყვარულის გამხელისა, ბოლოს საქორწინო საიდუმლოს რიტუალური შესრულებისა. ამ ეპიზოდებს აერთიანებს მისტერიოზა გათამაშების საკრალურობა, იდუმალეობა, სილაზათე, რომელსაც მსახიობთა შესრულებასთან ერთად ქმნის განათებისა და მუსიკალური ფრაზის ერთობლიობა.

ფერიასავით მსუბუქი და ნარნარია ან ანდლულაძის შეყვარებული ყმანვილი ქალი. მსახიობი თამაშობს შინაგანად გასხივოსნებულ, უჩვეულოდ მოხდენილსა და შეურყვნელი ვნებათა ღელვით გათანგულ, ახალგაზრდულ, შინაგან გახელებას. მიმდობი და გულუბრყვილოა მისი პერსონაჟი – მორიდებული გამოხედვა, ღიმილად ქცეული პირისახე, მოქნილი მოძრაობები. რეჟისორის მიერ სახიერადაა გადანყვეტილი მთელი ეპიზოდი. მსახიობთა შესრულება აღწევს იმ ნიშნულს, როდესაც ორი არსება აღარაა მხოლოდ წყვილი. ეს შერწყმული, ერთ არსებად ქცეული, სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალით დამუხტული ერთიანობაა. მსახიობთა უბინობა, შინაგანი აღმატებულება, გრძნობათა ბუნებრიობა ორგანულად იხატება რეჟისორული გადანყვეტის სიცხადეში. რეჟისორული გამომგონებლობა, მსახიობთა ტანდემი, ტექნიკურ საშუალებათა მიზანმიმართება ნათლად მიგვითითებს დამდგმელისა და მსახიობთა სულიერი თანახმიერების მიღწევაზე. შემოქმედებითი თანამოაზრობის ფაქტი ორგანულად იქცა მოვლენად!

სანახაობის პროტაგონისტია ჯანო იზორია. მისი პოზნიჩევი, ლევ ტოლსტოის მიერ შექმნილი პერსონაჟი, რე-

ჟისორისა და მსახიობის გააზრებით, წარმოსახავს XIX საუკუნის წიაღსაც, ამავე დროს, ორგანულად იხატება და გამოგვცემს თანამედროვე ხელმოცარული, შინაგანად გაველურებული, უღირსებო ყოფის ადეპტსაც. ჩემი აზრით, მსახიობის როლის მარცვალია „დაცემული ანგელოზი“. არტისტული გზნებით შექმნილ პერსონაჟს ჯანო იზორია წარმოაჩენს, როგორც მოქანდაკე ფიგურას: ჩამოქნილს, სივრცეში დასანახს, ყოველი მხრიდან საყურებელს, მრავალნახნაგოვანს, ადამიანი-პირუტყვის მძიმე ლოდისაგან საჭრეთლის ოსტატური მოძრაობით გამოკვეთილს! მსახიობმა მარტო სახე-სიმბოლო კი არ შექმნა, არამედ თითქოს გადახსნა პერსონაჟის გულისპირი, ჩავახედა „დაცემული ანგელოზის“ სულიერ ჯურღმულში, სააშკარაოზე გამოიტანა თვალთ უხილავი ვიბრაცია. მისი შინაგანი სამყაროს მაცურებელი პერსონაჟის აღიარებას მხოლოდ კი არ ისმენს, არამედ „ხედავს“ კიდეც, როგორ „ინასკვება“ მის სულიერ ქვესკნელში აზრის სიმახვილე, საქციელის მოტივაცია, თანდათან როგორ გარდაიქმნება შეყვარებული ყმანვილი იმედგაცრუებულ მკვლელად. ეს მკვლელობა არ არის მხოლოდ ქმრის ეჭვიანობის შედეგად ჩადენილი სისასტიკე. ჯანო იზორია-პოზნიჩევი სიყვარულის სიმბოლოს კლავს, რადგანაც პრინციპსა-შეყვარებული ვერ იქცა სიყვარულის დედოფლად!

თავდაპირველად მსახიობი წარმოგვიდგენს საკუთარ თავში ჩაკეტილ პიროვნებას, შემდეგ სიყვარულის მაძიებელ ყმანვილკაცს. საროსკიპოებში ნათრევი პოზნიჩევი იმედიანად დაეძებს სიყვარულს, იდეალს, მისი ოცნების პრინციპსა და აი, მიაგნო კიდეც მას! მსახიობის შავი ჩასაცმელი, დაფიქრებულ სახეზე აღბეჭდილი ჭმუნვა უეცრივ ფერს იცვლის! მილულულ თვალეში სხივი აკიაფდება, ბალღური ღიმილი ირეკლება მის გახნილ პირისახეზე. ჯანო იზორია თამაშობს არა მხო-

ლოდ სიყვარულის გამონათებას, არამედ სიყვარულის ელდას, ოცნების ახდენით მოგვრილ ნირვანას, სიხარულს, ტკბობას, ალტყინებას. მან აღმოაჩინა პრინცესა! ძალზე მგრძნობიარედ უხსნის პოზნიჩევი დარბაზს მისი სულის ყიჟინის მიზეზებს: მან აღმოაჩინა იდეალი! მას ავიწყდება, რომ რეალობა მკაცრია და რომ ყმანვილქალებში მრავლადაა პრინცესა, ქალებს შორის კი არ არის დედოფალი! მისი პრინცესა, შემდგომში ხუთი შვილის დედა, არ აღმოჩნდა პოტენციური დედოფალი. ამ სატკივარს პერსონაჟში გაღვიძებული პირუტყვის ბლავილით გვამცნობს მსახიობი. რამდენჯერმე მეორდება ეს ბლავილი, როგორც მთვარიან ღამეში მგლის ყმუილი. მიუსაფარი პოზნიჩევი გამეტებით ჩაეშვება ქვესკნელში. ის ხდება მისი საუფლო! შემდეგ კი ჯაჭვით თავდაყირა დაკიდებული პერსონაჟი აღსარების სიმხურვალით მიმართავს დარბაზს... „ვხედავთ“, როგორც მნიფდება მასში მრისხანების შედეგი – მკვლელობის გადაწყვეტილება.

მკვლელობის შემდეგ ძალაგამოცლილი პოზნიჩევი მიემართება დარბაზისკენ, ისევ იმ ხიდზე (თუ პოდიუმზე) შედგება, ემბრიონის პოზით მიეგდება. ასე ასრულებენ რეჟისორი და მსახიობი ამ სასცენო ამბავს. დირიჟორი მას გადააფარებს მოსასხამს და მოფარფატე პეპელათი „ასაჩუქრებს“... დარბაზი გულმხურვალე ოვაციით ეგებება მსახიობებს. რამპასთან გამოსული გუნდის შუაგულში დგება ახლა უკვე მსახიობი

ჯანო იზორია... ტაში და ოვაცია დიდხანს არ წყდება.

თეატრის შენობიდან გამოსული წარმოსახვით ვუბრუნდები ამ ღამეზე, კულტურულ დადგმას, ვიხსენებ ცალკეულ მიგნებებს, გამოსახვის საშუალებათა სახიერ სიმწყობრეს, პოსტდრამატული თეატრის პრიორიტეტზე, პლასტიკური მონახაზის სახიერებაზე ბევრს ვფიქრობ და... მაინც ჯანო იზორიას თამაშს ვიხსენებ – მოხიბლული ვარ მისი არტისტიზმით, იმ სიხარულის გამოსხივებით, მისი გრძნობა-გონება, მისი სხეულის ყოველი ნაკვეთი რომ „აღმოსთქვამს“. იგი ხარობს, სცენაზე რომ დგას, ხარობს წარმატებული სპექტაკლის გამო, ხარობს, დარბაზის ალტყინებას რომ ხედავს... იმ სიხარულსაც ვიხსენებ, კულისებში რომ გათამაშდა, როცა მსახიობები მადლიერებას – გამოხატავდნენ რეჟისორის მიმართ.

თავის მხრივ, საულიუს ვარნასი მადლიერია ქართველ მსახიობებთან შეხვედრისთვის, ტექნიკური პერსონალის, თეატრის დირექტორის – თენგიზ ხუხიას, სამხატვრო ხელმძღვანელის – დავით მღებრიშვილის, სადადგმო ნაწილის გამგის – ლერი გიორგაძის, ტექნიკური რეჟისორის – მაია მეზონიასი თანადგომისა და გულისხმიერებისთვის. ფოთის თეატრის შემოქმედებითი ჯგუფის და ადმინისტრაციის ძალისხმევით, მართლაც, ძალზე საინტერესო წარმოდგენა იხილა მაყურებელმა.

ასე გრძელდება ტრადიცია.

გიორგი ყაჯრიშვილი



### ვინ მოკლა ტრეპლოვი?

ახმეტელის თეატრში დადგმულმა „თოლიამ“ შეგვახსენა, რომ არსებობს მუდმივი თემები, მუდმივი პრობლემები და უკვდავი დრამატურგია. ანტონ ჩეხოვის ნაწარმოების მიხედვით ბორის აკუნინის მიერ შექმნილი პიესა პირველად იდგმება საქართველოში, რომელიც ერთდროულად გვაბრუნებს მისი პერსონაჟების განცდებთან და ახლებური კუთხით გვიჩვენებს იმ მოვლენებს, სორინის სახლში რომ განვითარდა. პიესების დეტალური შედარების გარეშე ცხადია, რომ ბორის აკუნინი ამ დრამატულ ნაწარმოებს იწყებს იქიდან, საიდანაც ამბავს ამთავრებს ანტონ ჩეხოვი – კოსტია ტრეპლოვის თვითმკვლელობიდან, მაგრამ იყო თუ არა ეს თვითმკვლელობა ან ვის ინტერესშია მისი მოკვლა – აი თემა, რომელიც აინტერესებს თანამედროვე ქართველ ავტორს. სპექტაკლის რეჟისორი ვლადიმერ უშაკოვი (ბელორუსი) არ დაკმაყოფილდა მხოლოდ

ბორის აკუნინის ტექსტით და სპექტაკლის დასაწყისსა და დასასრულში ისევ პირველწყაროს მიაკითხა. წარმოდგენა მაშას (მაიკო ვანაძე) შემოსვლით იწყება, რომელიც „შავებში“ გამოწყობილი მოგვევლინება – პირობითად შავებში, თუმცა შავები სულაც არ აცვია – ეს ერთ-ერთი რეჟისორული ხერხია, მეტაფორაა იმისა, რომ, მაშა წითელი კაბითაც რომ გამოსულიყო, მის განწყობასა და ჩამუშაობას მიჩვეული ამ სახლის მკვიდრნი მას მაინც შავ კაბაში აღიქვამდნენ – ის ხომ თავის ცხოვრებას გლოვობს გამუდმებით: „ეს გლოვაა ჩემი ცხოვრების. მე უბედური ვარ“.



ჩემი აზრით, ა. ჩეხოვის „თოლია“ ავტორის თეატრალური მანიფესტია, ისევე როგორც მაგ. ა. სტრინბერგის „ფრეკენ ჟული“ ან ე. ზოლას „ნატურალიზმი თეატრში“, ან ვ. პიუგოს „კრონვერკის“ შესავალი („ფრანგული რომანტიზმის მანიფესტი“). „ჩეხოვის დრამატურგიული სისტემა – დრამატული ხელოვნების ახალი სახე – მოვიდა ტრადიციული, რენესანსული თეატრალური სისტემის სანაცვლოდ“ (ბ. ზინგერმანი).

ა. ჩეხოვი, „ახალი დრამის“ ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, ილაშ-



ქრებს ძველი თეატრალური ფორმების წინააღმდეგ და ამას არც მალავს და ლაპარაკობს კონსტანტინე ტრეპლოვის პირით. ილაშქრებს იმდროინდელი სამსახიობო სკოლის წინააღმდეგ – პრიმადონაზე მორგებული დრამატურგია, დეკლამაცია და ყალბი პათეტიკა (მაგ. ირინა არკადინა – „ეს რომელი პიესიდანაა“ – ხშირად შეახსენებენ ხოლმე) სრულიად მიუღებელია ა. ჩეხოვისთვის და ამ პი-

ესის „კომიზმიც“ იმაში მდგომარეობს, რომ ირინა არკადინაც, ნინა ზარეჩნაიც (ყოველ შემთხვევაში, იმ ეტაპზე, როცა პიესაში აღწერილი მოვლენები ვითარდება), კონსტანტინე ტრეპლოვი და ბორის ტრიგორინიც დიდი ნიჭით ვერ გამოირჩევიან, მაგრამ დიდი პრეტენზიებით და ამბიციებით არიან აღსავსე. სწორედ ამ სიყალბეს და გაზეპირებულ ციტატებს, შესრულებულს მოძველებული მანერით და სიყალბით, დასცინის დრამატურგი ნინა ზარეჩნაიას მიერ წარმოთქმული მონოლოგით ტრიპლოვის ძალიან დაბალი ხარისხის პიესიდან: „ადამიანები, ლომები, არწივები და მწყერები...“ და ა.შ., რაც ა. ჩეხოვის სარკაზმისა და სატირის ობიექტი ხდება. თავისთავად გასაგებია, რომ „თოლიას“ თამაში სულ სხვა ხერხით – ფსიქოლოგიური თეატრის, „ახალი დრამისთვის“ დამახასიათებელი მანერითა და კულტურით უნდა განხორციელებულიყო, რაც ვერ გაიგეს ალექსანდრეს თეატრში (1896 წ.), მიუხედავად იმისა, რომ ნინას ვერა კომისარჟევსკაია თამაშობდა. განსაკუთრებული თავდასხმის ობიექტი გახდა ირინა არკადინას როლის შემსრულებელი ა. დუჟიკოვა. „ყალბი, უტვინო, ...საკუთარ თავზე შეყვარებული“, – წერდა ჩეხოვი ამ მსახიობის შესრულებაზე. და მხოლოდ მოგვიანებით, ავტორის უშუალო ჩარევის შემდეგ გახდა დრამატურგისთვის მისაღები და მოსაწონი მოსკოვის სამხატვრო თეატრში კ. სტანისლავსკის მიერ დადგმულ სპექტაკლში ოლგა კნიპერ-ჩეხოვა ირინა არკადინას როლში.

ეს – რაც შეეხებოდა ორიგინალურ ტექსტს და თვით პიესის დადგმას, მაგრამ ბორის აკუნინის სულაც არ აინტერესებს, ნიჭიერები იყვნენ თუ არა ნინა ან ირინა. მისი მზერა კონსტანტინე ტრეპლოვისკენ არის მიმართული და თუ ჩეხოვის პიესაში ეს პერსონაჟი სულ სცენაზეა და ჩვენი ინტერესის საგანი მისი სიცოცხლის ბოლო დღე ხდება, აკუნინის პიესაში მხოლოდ მისი სიკვდილის შემდგომ

მოვლენებს ვაკვირდებით, თუმცა აქაც მისი სული თუ აჩრდილი სულ თან დაგვყვება. დიახ, ორივე პიესა კონსტანტინ ტრეპლოვის ტრაგედიაზეა აგებული – პირველ შემთხვევაში, სატირისა და კომიზმის ელემენტებით, მეორე შემთხვევაში კი „კრიმინალური კომედიის“ ნიშნებით, შავი იუმორით, ვინაიდან თვით კითხვა – ვინ მოკლა ტრეპლოვი უშუალოდ, ასე ვთქვათ, ფიზიკურად ან ვინ აიძულა იგი, ჩაედინა თვითმკვლელობა – ორივე პიესის ტექსტსა და ქვეტექსტებში ამოიკითხება.

რაც შეეხება ქვეტექსტებს, ცნობილია, რომ ანტონ ჩეხოვი ამის დიდოსტატი იყო. ამდენად, მხოლოდ რეჟისორზეა დამოკიდებული, როგორ გაიგებს მის ნებისმიერ ფრაზას. პიესა „თოლიაც“ დიდად არის „დახუნძლული“ ასეთი ქვეტექსტებით. როგორც ჩანს, ბ. აკუნინმაც ამ ქვეტექსტების ამოხსნა დაისახა მიზნად.

თუ „თოლია“ დანერვილია იმაზე, რომ ცხოვრებაში ბევრი რამაა უფრო მნიშვნელოვანი, „ვიდრე საწინააღმდეგოდ მიმართულ ნებასა და ინტერესებს შორის ბრძოლა“ (ბ. ზინგერმანი), აკუნინმა სწორედ ეს – ნებასა და ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლის „გაშიშვლება“ გადააქცია თავისი პიესის ქვაკუთხედად. მწერალმა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა ჩეხოვის „თოლიას“ პერსონაჟების ბუნება და ხასიათები, ჩამოაცილა მას ჰამლეტიზმის დამლა (თუმცა მთლიანად მაინც ვერა, რადგან თუნდაც მეორე დუბლში, სადაც ნინა წითელ ხალიჩაზე წევს, მას თავს დორნი დასდგომია და ჩასძახებს: „რას განოლილხარ, როგორც დამხრჩვალნი ოფელია!“) და შექმნა ა. კრისტის („მკვლელობა „აღმოსავლეთ ექსპრესში“) და ჯ. პრისტლის („სახიფათო მოსახვევი“) ტიპის ახალი პიესა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს „თოლიას“ მეხუთე და მეექვსე მოქმედებად კონსტანტინ ტრეპლოვის სიკვდილის მერე. აქ საინტერესოა ის ხაზები, რაც დეტექტიურ განვითარებას აძლევს ახალ პიესას და

რაც ბადებს კონფლიქტს ამ ათ პერსონაჟს შორის: ტრეპლოვს უყვარს ნინა, ნინას უყვარს ტრიგორინი, მედევედნკოს უყვარს თავისი ცოლი მაშა, მაშა კი შეყვარებულია ტრეპლოვზე და არ უყვარს თავისი ქმარი, პოლინა ანდრეევნას უყვარს ევგენი დორნი და ყელში ამოუვიდა თავისი ქმარი შამრაევი, ირინა არკადინას უყვარს ბორის ტრიგორინი, რომელიც ნინასთან ლალატობს, ამიტომ ირინა ვერ იტანს ნინას.

მთავარი განსხვავება ჩეხოვის „თოლიასა“ და აკუნინის ვერსიას შორის ისაა, რომ, თუ „ჩეხოვმა მოახდინა დრამის ბელეტრიზირება და თითქმის საერთოდ ჩამოაცილა ჩვეული თეატრალური ეფექტები და მოვლენები“ (ბ. ზინგერმანი), აკუნინმა პირიქით – თავის პიესაში წინამონია სწორედ ეს მომენტები – თეატრალური ეფექტები, მოვლენათა სწრაფი განვითარება, გაამძაფრა პერსონაჟთა ურთიერთობა და მაქსიმალურად დაუპირისპირა ისინი ერთმანეთს.

მაგრამ ახმეტელის თეატრის სპექტაკლში მხოლოდ ეს არაა მთავარი. რეჟისორის ჩანაფიქრით, სპექტაკლი, ფაქტობრივად, კინოგადაღებაა, სადაც ეკრანზე პროეცირდება დარბაზში შემოსული პირველი მაყურებლიდან დაწყებული ყველაფერი, რაც კი ამ დარბაზში ამ საღამოს ხდება. სპექტაკლის ფინალი ტრეპლოვის მიერ შექმნილი ფილმის „ოსკარით“ დაჯილდოებაა, რაც არა მხოლოდ კონსტანტინ ტრეპლოვის (გიორგი ცხადაძე) ოცნებაა, არამედ ირინა არკადინასი (სოფია სეფისკვერაძე) და ნინა ზარეჩნაისი (ვერონიკა კალანდარიშვილი). მაყურებლები ის სტატისტიკები ვართ, რომლებიც ვაკვირდებით ამ ფილმის გადაღებას, განსაკუთრების კი მეორე ნაწილში – დუბლი პირველი, დუბლი მეორე... დუბლი მერვე – და ვართ ქმედებისა და ეკრანზე გადატანილი ნაწარმოების მონაწილენიც. ჩვენ წინამე თამაშდება საკმაოდ არეული დეტექტიური ამბავი, რომელსაც ასე მონდომე-

ბით წარმართავს ექიმი დორნი (ანდრია გველესიანი) – მათ შორის ყველაზე ინტელექტუალური, რომელიც თითქოსდა არ უნდა განიხილებოდეს მკვლელის როლში, თუმცა სპექტაკლის ბოლოს მასაც მოუწევს თავის მართლება შეკრებილთა წინაშე. რაც შეეხება შეკრებილებს (თავისთავად – ჩვენთან ერთად), ყველა, წინასა და ირინას გარდა, სულ სცენაზეა და რეჟისორი მათ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ და ხანაც სცენის უკანა კედელთან უყრის თავს, რათა თორმეტი მსაჯულის მსგავსად ყურადღებით უსმინონ გამოძიების თანმიმდევრულობას პირველი დუბლიდან მერვე დუბლამდე, რომლებიც ერთი და იმავე ფრაზით იწყება: „საათი ჩამორჩება“ და ჭეჭა ქუხილით მთავრდება. დორნის განცხადებამ, რომ კოსტია ტრეპლოვი მოკლულია, ნერვული გარემო შექმნა და ეს პერსონაჟებსაც დაეტყვოთ: ყველა დაძაბული, დაბნეული და ისტერიკულიც კია. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა წინას, ირინას და ბორის ტრიგორინის (გიგი მიგრიაული) ქცევებში. რასაკვირველია, თავს ყველა უდანაშაულოდ მიიჩნევს და „გამოკითხვაშიც“ ცდილობენ ამის მტკიცებას – როგორ უყვარდათ კოსტია. „ექვმიტანილი“ თანმიმდევრობით იკავებენ მთავარ სცენას და მთხრობელი ხან ნერვულად, ხან ისტერიკულად პასუხობს დორნის შეკითხვებსა და ბრალდებებს. აი, დორნს კი მშვიდად და აუღელვებლად მიჰყავს გამოძიება. ყოველი დუბლი, რომელსაც თვით კ. ტრეპლოვი აფიქსირებს ვიდეოფირზე, იმ რვავე მონაწილის მტკიცებულებებს ეთმობა, სადაც ასე თუ ისე დორნისთვის და მაყურებლისთვის ცხადი ხდება ის მოტივი, თუ რატომ არის შესაძლებელი, თითოეული მათგანი მკვლელი გამხდარიყო. ერთი შეხედვით, ყოველ პერსონაჟს თავისი სიმართლე აქვს, თუმცა აკუნინის ახლებური აქცენტირებით იკვეთება ის, რომ ყველა მათგანს ჰქონდა სერიოზული საბაბი, პისტოლეტის ჩახმახისთვის თითი გამოეკრა. დორნის გამოკითხვით იქმნება

ერთგვარი შთაბეჭდილება, თითქოს საქმე გვაქვს „მასობრივ ჰიპნოზთან“. როდესაც ყველა ექვმიტანილმა გადანწყვიტა, აღიაროს კოსტია ტრეპლოვის მკვლელობა – ეს ყოველივე ან დორნის ზმანებანია, მის ქვეცნობიერში არსებული ვერსიები ან თვით ტრეპლოვის მიერ შექმნილი კინოსცენარი, რომლის მოქმედი პირნიც ამ სახლის მკვიდრნი ან სტუმრად ჩამოსული პერსონაჟები არიან. მაგრამ ერთი კი ცხადია – ყოველივე ეს იმისთვის არის შექმნილი, რომ ამ ადამიანებმა გამოამჟღავნონ, გამოააშკარაონ ერთმანეთი: თუნდაც არკადინას (სოფიო სეფისკვერაძე) ერთი ფრაზა, მიმართული ტრიგორინისადმი – „ნუთუ ოდესმე ხელს გიშლიდი, რომ ბიჭებთან და გოგონებთან გართობილიყავი?“ – რა არის ეს თუ არა იმის აღიარება, რომ ტრიგორინი, საქვეყნოდ ცნობილი ბელეტრისტი, უზნეო იყო და მხოლოდ არკადინას „კისერზე“ შემომფედარი თავს ირთობდა თევზაობით, არც ტრიგორინი (გიგი მიგრიაული) ჩამორჩება ამ გამოაშკარავებაში – „რამდენჯერ მითხოვია, გამიშვი, ამომასუნთქე, მომეცი სიცოცხლის, სიყვარულის საშუალება... მე მსხვერპლი ვარ, ობობას მსხვერპლი“, ასევე მედვედენკო (ოთო ჩიქობავა), სკოლის მასწავლებელი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს არც განათლების სისტემაზე და არც იმაზე, რასაც ასწავლის მოსწავლეებს, თუ პოლინა ანდრეენა (თამარ ბეჟუაშვილი), რომელმაც მხოლოდ ახლა დაინახა, რა კეთილშობილი ყოფილა მისი მეუღლე შამრევი, თუ წინა ზარეჩნაია, რომელიც თითქოს თანაუგრძნობს ტრიგორინს სიყვარულსა და შემოქმედებაში, მისი საყვარელი ხდება და ყველას თანდასწრებით მუხლებზე ჩამოუჯდება მას.

ასე რომ, კოსტიას მკვლელობა აღიქმება არა როგორც მისი დასჯის მცდელობა, არამედ იმ კუთხით, უშლიდა თუ არა რომელიმე მათგანს ხელს საკუთარი გეგმების განხორცილებაში: წინას იმიტომ, რომ იარაღიან ტრეპლოვს, შესაძ-

ლოა ბორის ტრიგორინისთვის ესროლა ეჭვიანობის ნიადაგზე; მედვედენკოს – გალოთებული მაშას დასაცავად, ტრეპლოვის სიყვარულისგან მის დასახსნელად; მაშას – საკუთარი თავისუფლებისთვის და აქედან გაქცევისთვის; ის ხომ ნინაზე ეჭვიანობდა და ტრეპლოვი ყურადღებასაც არ აქცევდა; შამრაევს (მამუკა მახავრიშვილი) – საკუთარი შვილის დასაცავად, რომელსაც ტრეპლოვმა თავგზა აუბნია და მერე ნინასთან საუბარში შეურაცხყო კიდევაც; ტრიგორინს, რომელმაც, არკადინას გავლენის მიუხედავად („ქალი ძალით“ – ასე უწოდებს ამ კავშირს ნინა) მაინც შეძლო ნინასთან

უიღბლო შვილო...“

ნინა ზარეჩნაიას და ირინა არკადინას დაპირისპირება გამოკვეთილია. თეორიულად, ჩეხოვის მოსაზრებით, ირინა არკადინა წარმოდგენის თეატრის მსახიობია, ხოლო ნინა ზარეჩნაია განცდის თეატრისა. რეჟისორი ვლადიმერ უშაკოვი სარგებლობს ამ მოსაზრებით და ახმეტელის თეატრის სპექტაკლში არკადინას შემოსვლისთვის ირჩევს მონოლოგს, რომელსაც ტატიანა დორონინა (ასე გამოკვეთილად პათეტიკური და წარმოდგენის თეატრის მსახიობი) კითხულობს გიორგი ნატანსონის ცნობილ ფილმში „უფროსი და“ – „გიყვართ



რომანის გაბმა (შვილიც კი ჰყავდა მასთან); და ბოლოს თვით დორნი, რომელიც, როგორც ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრი, ვალდებული იყო, შური ეძია ტრეპლოვზე, რომელმაც ჯერ თოლია მოკლა, შემდგომ მამალი და ძალი; და ამ ყველაფერს ლაიტმოტივად გასდევს არკადინას პათეტიკური მოთქმა: „ჩემი სანყალი, ჩემი სანყალი ბიჭი. მე ცუდი დედა ვიყავი, ძალიან გატაცებული ვიყავი ხელოვნებით და საკუთარი თავით – დიას, საკუთარი თავით... ჩემო ძვირფასო,

თუ არა თეატრი ისე, როგორც მე?“ – ირინა არკადინას (სოფია სეფისკვერაძე) ეს შემოსვლაც „თეატრალურია“, მაყურებელთა დარბაზში ჩამოსვლა, მათთან გაბაასება ხაზს უსვამს მის ბუნებასა და ხასიათს – მას, ჯერ მსახიობს და მერე დედას, თეატრი ურჩევნია საკუთარ შვილსაც კი.

ნინა ყოველთვის ცდილობს, თავი აარიდოს არკადინასთან შეხვედრას, ემალება კიდევაც. არც ირინაა აღფრთოვანებული მისი ხშირად გამოჩენით სომრინის

(ნუგზარ ყურაშვილი) სახლში. რეჟისორი და მხატვარი (მარია კვაჭაძე) ხაზს უსვამენ ამ დაპირისპირებას, ელემენტარულად, მათი ჩაცმულობაც კი ამას მეტყველებს: მათ ყოველთვის ერთნაირი ფერის კაბები აცვით – დასაწყისში და ბოლოში თაფლისფერი, ხოლო სპექტაკლის შუა ნაწილში წითელი კაბა თეთრი აპლიკაციებით, თუმცა ისინი სულ სხვადასხვა ადგილას აქვთ მიბნეული: თუ ირინა ამ აპლიკაციით მკერდის სილამაზეს უსვამს ხაზს, ნინა ზარეჩნაის ეს აპლიკაცია (ჯვრის ფორმის) თითქმის სასქესო ორგანოზე მიუბნევია. მთლიანობაში პერსონაჟთა ჩაცმულობა ახალმოდურია – პოლინას (თამარ ბეჟუაშვილი) და ილუმას, მაშას და მედვედენკოსი კლასიკურთან არის მიახლოებული, ტრიგორინისა და ტრეპლოვისა კი თინეიჯერულია – პიჟონური (სხვათა შორის, ჩეხოვის ტრიგორინს კუბოკრული შარვალი აცვია, რაც იმ დროისთვის სწორედ რომ „ულტრათანამედროვედ“ აღიქმებოდა).

სპექტაკლის სცენოგრაფია მინიმალისტურია: მხოლოდ მრავალფუნქციური კარი, საგრძობად და საწერი მაგიდა და რაც არცთუ უმნიშვნელოა – წითელი, სისხლისფერი ხალიჩა და მწვანე ფარდა სცენის მარჯვენა კუთხეში... „სისხლის ლაქები მწვანე ხალიჩაზე“.

ნინო როტას მუსიკა კინოფილმიდან „ორკესტრის რეპეტიცია“ და ჩარლი ჩაპლინის „დიდი ქალაქის ჩირაღდნებიდან“ პერიოდულად ახალისებს წარმოდგენის დაძაბულ გარემოს და ღირსეულ აკომპანიმენტს უწევს პერსონაჟების ქმედებას.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სპექტაკლის ხანგრძლივობისა და ზოგიერთი გამეორებისა, თითქმის ყველა სცენა დინამიკური, ცოცხალი და ემოციურია. ძნელია გამოყო რომელიმე მსახიობის თამაში, ვინაიდან საქმე გვაქვს სრულ ანსამბლურობასთან, შეთანხმებულ თა-

მამთან და პარტნიორის ზუსტ შეგრძნებასთან. მაგრამ არის მაინც რამდენიმე ღრმად ემოციური და „გულშიჩამწვდომი“ პასაჟი: პირველ ნაწილში ნინასა და ტრეპლოვის საუბარი, ნინა ზარეჩნაის (ვერონიკა კალანდარიშვილი) აღსარება და გამომშვიდობებაც კი – „მე თოლია ვარ, არა, ასე არა. მე მსახიობი ვარ!“ და ტრეპლოვის (გიორგი ცხადაძე) თითქმის უკანასკნელი სიტყვები: „მე მარტოსული ვარ, ცივა და ვიყინები!“

ირინას (სოფია სეფისკვერაძე) სცენა და „ოსკარის“ შობა, რომელიც მერე ტრიგორინს უნდა დარჩენოდა, ირინასა და ტრიგორინის (დუბლი მეექვსე) და ბელეტრისტის – გიგა მიგრიაული – უკანასკნელი ემოციური გაბრძოლება ირინა არკადინას გავლენისგან გათავისუფლებისათვის, მედვედენკოს (ოთო ჩიქობავა) მონოლოგი (დუბლი მეორე) და რასაკვირველია, ტრეპლოვისა (გიორგი ცხადაძე) და არკადინას ბოლო, ფინალური (ახლა კი უკვე ჩეხოვის „თოლიადან“) სცენები.

ურთულესია ჩეხოვის პესონაჟების განსახიერება ქართულ სცენაზე, თუნდაც განსხვავებული გრძობათა ბუნებისა და ტემპერამენტის გამო და არც აკუნინის პერსონაჟების თამაში აღმოჩნდა ადვილი, მაგრამ ჩვენ ვნახეთ სპექტაკლი, სადაც ყველა მსახიობმა ერთმანეთზე უკეთესად გაართვა თავი დაკისრებულ როლს. რეჟისორულ მიგნებად უნდა ჩაითვალოს სპექტაკლის ფინალი და ერთგვარი „შეკვრა“ იმისა, რაც ამ საათ-ნახევრის განმავლობაში ვიხილეთ. ეკრანზე პროექტირებული კინოფილმის კადრებია: ტბაში ჩაძირული თოლია – ნინა ზარეჩნაია და რაღაც ურჩხულის მსგავსი განგება (ტრეპლოვისა თუ ტრიგორინის სახით), რომელიც სორინის სახლს მოეგვინა მათ დასალუპად.